

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
კავკასიოლოგიის ინსტიტუტი

იზა ჩანტლაძე

სვანური ენის შესწავლის ისტორია

(სახელთა პარადიგმატიკა)

წიგნი ეძღვნება იმ საოცარი პედაგოგების ნათელ ხსოვნას, რომელთა ამაგს ვერასდროს დავივიწყებ; ესენი გახლავან პირველი ქართული უნივერსიტეტის პირველი გამომშვების წარჩინებული კურსდამთავრებულები, ჩემი მოძღვართმოდვრები, აკადემიკოსები **არნოლდ ჩიქობავა** და **ვარლამ თოფურია**. მე რომ ენათმეცნიერი ვარ, უპირველეს ყოვლისა, მათი დამსახურებაა.

ბრწყინვალე კავკასიოლოგმა, პროფესორმა **კარლ ჰორსტ შმიდტმა** თავის მასწავლებელს, უდიდეს ეთნოლინგვისტს, *Das Kharthwelische Verbum* („ქართველური ზმნა“)-ის ავტორს, **გერჰარდტ დეეტერსს** *Doktorvater* („დოქტორი მამა“) უწოდა.

ბატონი არნოლდისა და ბატონი ვარლამის ყველა სტუდენტი, ასპირანტი თუ დისერტანტი დღესაც დიდი სიამოვნებით გამოიყენებდა ამ მრავლისმთქმელ გერმანულ ტერმინს მათ საიუბილეოდ – დაბადებიდან 120 წლისთავზე.

ავტორი

The book is dedicated to the memory of those brilliant teachers, whose contribution I will never forget. They are: the excellent graduates of the first graduating of the first Georgian university, my teacher of teachers, Academicians **Arnold Chikobava** and **Varlam Topuria**. The fact that I'm a linguist, first of all, is their merit.

A brilliant Caucasiologist Professor **Karl Horst Schmidt** called his teacher, the great ethno-linguist, the author of "*Das Kharthwelische Verbum*" "*Kartvelian verb*") **Gerhardt Deeters Doktorvater**.

All students, post-graduates and PhD students of Mr. Arnold Chikobava and Mr. Varlam Topuria pleasantly wish to use this eloquent German term even today at their jubilee date – the 120th anniversary of their birth.

A u t h o r

ნაშრომს დამხმარე სახელმძღვანელოს სახით გამოიყენებენ სახელმწიფო უნივერსიტეტების ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტების ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტები როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში, აგრეთვე, ყველა ის პირი, ვისაც კავკასიოლოგია-ქართველოლოგიის ისტორია და თანამედროვე ვითარება აინტერესებს.

წინამდებარე წიგნზე მუშაობას წარმართავდა არნოლდ ჩიკობავას თვალსაზრისი: სახელმძღვანელოში განხილული მასალა გარკვეული თანამიმდევრობით უნდა იყოს დალაგებული და იმავდროულად ერთგვარ მთლიანობას ქმნიდეს, წინამდებარე შემთხვევაში იგი ვერ იქნება სისტემატური კურსი, თუნდაც ელემენტარული. სხვა ტიპის სასწავლო ლიტერატურას ე. წ. ინფორმაციის მომხმარებლის მომზადება თუ შეუძლია, თან ისეთის, რომელსაც არსებითისა და არარსებითის, მთავრისა და მეორეხარისხოვნის გარჩევა უჭირს. უმაღლესმა სასწავლებელმა მსმენელს არა მხოლოდ უნდა შეათვისებინოს გარკვეული ოდენობის ცოდნა, რაც მთავარია, უნდა ასწავლოს მეცნიერული აზროვნება (ჩიკობავა 2015: 580-581)... ინფორმაციის სისრულეს ვერავითარი სასწავლებელი ვერ უზრუნველყოფს (შესასწავლს რა გამოლევს!..), ცოდნის შევსებას კი ახალგაზრდა შემდეგშიც შეძლებს, თუ მთავარი იცის და თავის დარგში აზროვნება შეუძლია (1979: 6).

როგორაა წარმოდგენილი ზემოაღნიშნული მოთხოვნები ამ სახელმძღვანელოში, ეს მკითხველთა განსასჯელია...

The work will be useful as an additional manual for the BA and MA students of the Faculty of Humanities of the State Universities in Georgia as well as abroad, also for those who are interested in the modern situation and history of the Caucasian Studies and Kartvelology.

Working on the present book was inspired by Arnold Chikobava's viewpoint: „The manual material should be arranged according to a certain order and at the same time should create a kind of wholeness, otherwise it cannot be a systematic course, even elementary. Other kind of educational literature can train only so called „informational user“ who cannot distinguish essential and inessential. High institutions should give a student not only knowledge but most importantly, it should teach him/her scientific thinking“ (Chikobava 2015: 580-581)... „Not any institution can provide the full informational (there is plenty to be studied!...). A young man can always expand the knowledge in future if he/she has the basic knowledge and is intelligent in his/her field“ (1979: 6).

How the above-mentioned requirements are given in the present manual - this should be assessed by the readers...

E d i t o r i a l b o a r d :

Avtandil Arabuli – PhD in Philology, Professor, Academician of the National Academy of Sciences of Georgia

Vazha Shengelia – PhD in Philology, Professor, Corresponding Member of the National Academy of Sciences of Georgia

Ketevan Margiani-Subari – Academic Doctor in Philology, Associated Professor of the Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Fellow of the Arnold Chikobava Institute of Linguistics

Joni Kvitsiani – PhD in History, Associated Professor of the Ivane Javakhishvili Tbilisi State University

R e v i e w e r s :

Elisabed Gazdeliani – PhD in Philology, Fellow of the Arnold Chikobava Institute of Linguistics

Ketevan Margiani-Dadvani – Academic Doctor in Philology, Associated Professor of the Sokhumi State University

Rusudan Ioseliani – Doctor in Philology, Key member of the grant team of the Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Chato Gujejiani – assistant curator of the Christian Heritage Foundation of the Mestia Museum of History and Ethnography of Svaneti, graduate of Department of the Caucasian Languages of the Tbilisi State University

T e c h n i c a l e d i t o r s : **Tinatın Gabroshvili**
Levan Vashakidze

E n g l i s h t e x t e d i t o r **Nana Kavtaradze**

C o v e r D i s i g n e r **Mariam Ebralidze**

© Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Arnold Chikobava Institute of Linguistics

Published by Tbilisi State University Press

ISBN 978-9941-13-604-7

რ ე დ ა ქ ტ ო რ ე ბ ი :

- ავთანდილ არაბული** (ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი);
- ვაჟა შენგელია** (ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი);
- ქეთევან მარგაიანი-სუხარი** (ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერთანამშრომელი);
- ჯონი კვიციანი** (ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი).

რ ე ც ე ნ ზ ე ნ ტ ე ბ ი :

- ელისაბედ გაზდელიანი** (ფილოლოგიის დოქტორი, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომელი);
- ქეთევან მარგაიანი-დადვანი** (ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, სოხუმის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი);
- რუსუდან იოსელიანი** (ფილოლოგიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგრანტო ჯგუფის ძირითადი წევრი);
- ჩათო გუჯეჯიანი** (სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მესტიის მუზეუმის ქრისტიანული კულტურის მეგლთა ფონდის ასისტენტ-კურატორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიურ ენათა განყოფილების კურსდამთავრებული).

ტექნიკური რედაქტორები: **თინათინ გაბროშვილი**

ლევან ვაშაკიძე

ინგლისური ტექსტის სტილისტი **ნანა ქავთარაძე**

გარეკანის დიზაინერი **მარიამ ებრალიძე**

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

დაიბეჭდა თსუ გამომცემლობის სტამბაში

ISBN 978-9941-13-604-7



წინამდებარე ფოტოზე ასახულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა შეხვედრა 1960 წლის 19 ნოემბერს.

პირველ რიგში სხედან (მარცხნიდან): გრიგოლ კიკნაძე, პროკლე კეკელიძე, თინათინ მრეკლიშვილი, ლადო გუდიაშვილი, არნოლდ ჩიქობავა, გრიგოლ ჩხიკვაძე, ვარლამ თოფურია, სერგი ჟღენტი; მეორე რიგში დგანან (მარცხნიდან): ნანა ახოზაძე, სერგო კოტრიკაძე, როინ მეტრეველი, იზა ჩანტლაძე, ლევან მენაბდე, დამანა მელიქიშვილი, თენგიზ ფაშალიშვილი, მედეა როგავა, ჰაპუნა წერეთელი, გრეტა გიორგობიანი, ნოდარ დოლიძე.

**უცხოელი (ან – უცხოეთში მოღვაწე ქართველი)
დიპლომატები, მოგზაურები და მკვლევრები
სვანეთისა თუ სვანური ენის შესახებ**

სვანურმა ენამ ჯერ კიდევ XVIII-XIX საუკუნეებში მიიქცია ყურადღება თავისი არქაული ლექსიკითა და გრამატიკული სტრუქტურით, ამიტომაც მათი ფიქსაცია მოხდა, ძირითადად, პრიმიტიულ ლექსიკონთა სახით უცხოელ დიპლომატთა, მოგზაურთა ან მკვლევართა მიერ. ბუნებრივია, რომ არაერთი შეცდომაც იქნა დაშვებული სვანური ენის არმცოდნე პირთაგან, მაგრამ ამ ჩანაწერებში ფიქსირებული ზოგი გრამატიკული ფორმა, როგორც ადრინდელი მონაცემი, მაინც ასე თუ ისე გამოგვადგება გარკვეული მორფონოლოგიური პროცესების ისტორიის გასათვალისწინებლად, რადგანაც სვანურში „სამკალი ‘ჯერაც’ ფრიად არს, ხოლო მუშაკნი მცირედ“ (ქართული ოთხთავი 1945: მ. 9: 37).

თავის დროზე (2.VI.1930 და 22.V.1937) აკადემიკოსმა ვარლამ თოფურიაძემ ქართული საენათმეცნიერო საზოგადოებისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის სხდომებზე წაიკითხა მოხსენებები სვანური ენის შესწავლის ისტორიიდან (თოფურია ვ. 2002: 220-221), მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ მათ კვალს ჯერჯერობით ვერ მივაგენით.

“Несмотря на то, что склонение имён сванского языка изучалось целыми поколениями специалистов, которые добились весьма ощутимых результатов, многие вопросы, связанные с данной проблемой, ещё не решены или требуют дальнейшего углублённого исследования (Шарадзенидзе 1983: 53).

„სახელთა ბრუნების პროცესი ქართველურ ენებში მორფოლოგიის ერთ-ერთ ურთულეს უბნად რჩება. ამ საკითხისადმი მიძღვნილ ნაშრომთა სიმრავლის მიუხედავად, რომლებიც ზოგადად ბრუნვათა სისტემებს, ამა თუ იმ ბრუნვის გენეზისისა და ფუნქციონირების პრობლემებს ეხება, მხოლოდ რამდენიმე გამოკვლევა შეიძლება დავასახელოთ, რომლებშიც ბრუნვათა სისტემები სწორედ სისტემური თვალსაზრისით იქნებოდა განხილული“ (გაბუნია 2007: 2).

ამიტომ, თავისთავად ცხადია, ვერ გავიზიარებთ სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ „სახელთა ბრუნება სვანური ენის მორფოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე უკეთ შესწავლილი უბანია“ (აბესაძე 1975: 5).

ვისაც კი სვანურ სახელთა პარადიგმატული სისტემა მეტნაკლებად უკვლევია, ყველამ უპირველესი ყურადღება მიაქცია ბრუნების ორ (resp. სამ) ფუძიანობის პრინციპს, რითაც სვანური სრულიად უპირისპირდება ქართულსა და ზანურს, თუმცა ძალიან მოგვაგონებს მთის კავკასიურ ენათა მორფოლოგიურ სტრუქტურას...

"Обособленное положение в классификации картвельских языков занимает сванский, фонетический и грамматический строй которого обнаруживает значительные расхождения с остальными картвельскими языками" (Халидов 2008: 60).

წინამდებარე ნაშრომში შევეცდებით, წარმოვადგინოთ მკვლევართა ღვაწლი ქრონოლოგიური პრინციპის დაცვით, რაც ყველა შემთხვევაში არც ისე ადვილია...

Foreign (and abroad-working Georgian) diplomats, travelers and researchers about Svaneti and the Svan language

Svan language has been attracted attention still in the 18-19th centuries due to its archaic vocabulary and grammatical structure and thus they were recorded by foreign diplomats, travelers and research scholars basically, in the form of primitive dictionaries. Naturally, a number of mistakes were made by the Svan not-knowing individuals, though some grammatical forms given in these records, as earlier data, are still more or less useful for the history of some morphonological processes, because in Svan **"the harvest is plentiful but the workers are few"** (Georgian Four Gospels 1945: M. 9, 37).

Academician Varlam Topuria delivered the reports (2.VI.1930 and 22.V.1937) on the history of Svan language studying at the meetings of the Georgian Scientific Society and Georgian Language Department of the Tbilisi State University (Topuria 2002: 220-221), but, unfortunately, we couldn't uncover their traces.

"Despite the fact that the declension of Svan nominals has been studied by professional generations who achieved very tangible results, many issues related to this problem have not resolved yet, and they require further in-depth study" (Sharadzenidze 1983: 53).

"Declension process of the nominals remains one of the most complicated areas of morphology in the Kartvelian languages. Despite the large number of works dedicated to the issue of declension systems in general, and the problem of genesis and function of any case, only a few studies can be named, in which the declension systems are discussed from systemic viewpoint" (Gabunia 2007: 2).

So, naturally, I cannot share the view expressed in the professional literature that "declension of nominals is one of the most well-studied areas of the Svan morphology" (Abesadze 1975: 5).

Those who have researched the paradigmatic system of the Svan nominals, all of them firstly focused on the declension having two (resp. three) stems, by which Svan completely opposes Georgian and Zan, but it is similar of that of the morphological structure of the mountain Caucasian languages...

"Distinctive place in the classification of the Kartvelian languages is occupied by Svan the phonetical and grammar structure of which reveals considerable difference with other Kartvelian languages" (Khalidov 2008: 60).

In the present work, I will try to present the merits of researchers **chronologically** which in any case is not easy...

§ 1. გიორგი როზენი

ადრინდელ ჩანაწერებში ყველაზე ხშირადაა გამოყენებული უმგულური მეტყველება:

ლაშხური დიალექტის მასალაა ასახული ი. გიულდენშტედტის, ი. კლავროთისა და გ. როზენის შრომებში. სწორედ ამ უკანასკნელის კალამს ეკუთვნის სვანური ენის (არამხოლოდ!) პირველი გრამატიკული მიმოხილვა (Rosen G., *Ossetische Sprachlehre nebst einer Abhandlung über das Mingrelische, Suanische und Abchasische*, "Philologische und historische Abhandlungen", Berlin, 1847), მათ შორის – ცნობები სახელთა ბრუნების შესახებაც. აი, მისი პარადიგმები (Rosen 1845: 423):

nom.	იარ „ვინ?“	ალე „ეს“
gen.	იეშა	ამშა
dat.	იას	ამას
instr.	იეშაუშ	ამნაუშ
loc.	იეშაცახან	–
abl.	იეშახენ	ამშაშხენ

რატომღაც გ. როზენს მიუჩნევია, რომ სვანურში ბრუნება უფრო ძუნწადაა წარმოდგენილი, ვიდრე დანარჩენ „იბერიულ დიალექტებში“, ამიტომაც ის გარდამავალ საფეხურს ქმნის აფხაზურისაკენ, სადაც საერთოდ არ გვაქვს ბრუნებაო. მას ჰგონია, რომ სინტაგმაში **დადიანი ჩაე** („დადიანი¹ ცხენი“) მსაზღვრელი არ იბრუნვის, თუმცა მშვენივრად იცის, რომ პოსტპოზიციურ წყობაში გვაქვს **დადიანიშ**, სადაც ნათესაობითის ნიშანი **-შ** ლაშხური **-ში** და ქართული **-სა** ელემენტების ტოლფარდია. ასევეა მიცემითის **-ს**, რომელიც მოძმე ენებთან ერთობას გვიჩვენებსო (იხ. გვ. 60).

აკუზატივი მისთვის ხან მიცემითს უდრის, ხანაც სახელობითს. ამ უკანასკნელის ფორმითაა წარმოდგენილი წოდებითი ბრუნვაც. გ. როზენს, ძირითადად, სწორად შეუმჩნევია მოქმედებითის მორფემა **-შუ**, რომელიც თანაობითის ფუნქციასაც გადმოსცემს. საყურადღებოა, რომ ლაშხურ **ალე** („ეს“) ნაცვალსახელთან მას დადასტურებული აქვს თავდაპირველი **ამნაუშ** (და არა მეორეული **ამნოშ** „¹უ“ „ამით“) ვარიანტი.

დანარჩენ ბრუნვებზე გ. როზენი არაფერს ამბობს, უფრო თანდებულიანი ფორმებით გამოიხატებაო სათქმელი (ვთქვათ, **ქორ-თე** „სახლისკენ“). მას ზოგი თანდებულიანი (**-ცახან**, **-ხენ**) მონაცემი ძირითა-

დი ბრუნვა ჰგონია; სვანურში იმდენად ხშირია (დღესაც კი!) მარტივი მიცემითი ლოკატიური ფუნქციის გამოხატვა, რომ ამ უკანასკნელის ნიშნად გ. როზენმა -სა გამოყო (იქვე: 420).

მსაზღვრელი, რომელიც, ძირითადად, ზედსართავი ან რიცხვითი სახელებით გადმოიცემა, ჩვეულებრივ, წინ უსწრებს საზღვრულს და ისევე არ იბრუნვის, როგორც მონათესავე მეგრულსა და ჭანურში.

გ. როზენი გახაზავს, რომ რიცხვით სახელებში თვლის ათობითი სისტემა გვაქვს (გვ. 64) – როგორც ჩანს, მას ხელთ ჰქონდა მხოლოდ ლაშხური (ან ბალსზემოური) მასალა.

გერმანელ მკვლევარს სწორად შეუნიშნავს, რომ სახელთა მრავლობით რიცხვში დანარჩენ „იბერიულ დიალექტთაგან“ სრულიად განსხვავებული წარმოება გვაქვს სვანურ ენაში. ესაა -რ თანხმოვანი, რომელსაც შეიძლება წინ უსწრებდეს ა/ე ხმოვანთაგან რომელიმე ან მოსდევდეს კიდევცო [ამ უკანასკნელში ალბათ -ერ'იან ფორმებს ან **ოთარშერა** („ოთარისანი“)ს ტიპის ფილიაციურ სახელებს გულისხმობდა, თუმცა, ჩვენი აზრით, **ოთარშერა < ოთარ-შა-ერ-ალ-ე** (ამის შესახებ იხ. ჩანტლაძე 1998: 154].

„მიუხედავად მასალის უკმარისობისა და სირთულისა, გ. როზენის შრომებში მეგრულ-ჭანურის, სვანურის, აფხაზურისა და ოსურის გრამატიკული სისტემა პირველად იქცა მეცნიერული ანალიზის საგნად და ამ უმწერლო ენათა გრამატიკა სპეციალისტებისათვის ასეთე ისე ხელმისაწვდომი გახდა“ (ჩიქობავა 1965: 152).

§ 2. ალექსანდრე ცაგარელი

მეტად მნიშვნელოვანია პროფესორ ალექსანდრე ცაგარლის ღვაწლი ქართველურ ენათა კვლევის თვალსაზრისით. თბილისში, პეტერბურგში, მიუნხენში, ტიუბინგენსა და ვენაში განსწავლულმა მეცნიერმა, პეტერბურგის უნივერსიტეტის კათედრის გამგემ საფუძველი ჩაუყარა ქართულის, სვანურის, მეგრულისა და ლაზურის კომპარატივისტულ შესწავლას. 1872 წელს მან ძალზე შეზღუდული რაოდენობით (სულ 47 ეგზემპლარი) გამოსცა "Сравнительный обзор морфологии иберийской группы кавказских языков", ხოლო 1880 წელს "Мингрельские этюды"-ს ორი ტომი. პირველი ნაშრომისთვის მას მიენიჭა მაგისტრის წოდება, მეორისთვის კი – დოქტორისა.

ძალზე საინტერესოა აკაკი შანიძისეული შეფასება ალექსანდრე ცაგარლის ისტორიულ-შედარებითი მეთოდოლოგიით დამუშავებული მონოგრაფიისა: **Труд, являющийся первой попыткой, дать сравнительный материал по морфологическим явлениям картвельских языков, попыткой начинающего учёного, пробующего свои силы на научном поприще для решения больших вопросов... Цагарели А. А. правильно оценил значение бесписменных языков, "на формы которых литература не успела ещё набросить свою узду и сковать их произвол и капризы, обуславливающие свободное развитие речи"** (Шанидзе 1957: 3-5).

თავის ნაშრომში ალ. ცაგარელი ძალიან წუხს იმდროინდელი ლინგვისტიკის დაბალი დონის გამო, ეს განსაკუთრებით ფონოლოგიას ეხება, რომელშიც ფაქტიურად არაფერიაო გაკეთებული: **"Звуковые законы совершенно не определены, что составляет альфу и омегу сравнительного языкознания, без чего немислимо никакое научное сравнение"** (Цагарели 1957: 11).

ფრიად საყურადღებოა "Сравнительный обзор"-ის მე-14 გვერდზე წარმოდგენილი ერთი თვალსაზრისი:

ნაცვალსახელოვანი ელემენტები ისე შეზრდია ზმნის ფუძესა და ძირს, რომ ენათმეცნიერის ანატომიური დანა ხშირად ჩლუნგდება, მაგრამ შედარებითს ანალიზს აქაც შეაქვს სინათლე და საშუალებას აძლევს ენათმეცნიერს, აღადგინოს ნამსხვრევების მიხედვით სიტყვათა მთელი ორგანიზმი.

ალ. ცაგარლის აზრით, „იბერიულ იდიომებში“ არ გვხვდება ნაწევარი; არსებითს, ზედსართავს, რიცხვითსა და ნაცვალსახელს ახასიათებს ფლექსია, ორი რიცხვი და რამდენიმე ბრუნვა. არც სახელობითს

აქვს რაიმე ნიშანი (ალბათ, მხოლოდ სვანურ ენას გულისხმობს!) და არც აკუზატივს. მეგრულსა და სვანურში აკუზატივი ხან სახელობითს ემსგავსება, ხანაც – მიცემითს, ხოლო ნათესაობითი მსაზღვრელის როლში გამოდის (გვ. 25).

ქართველურ ენებში მრავლობითობის მაწარმოებლებად ან ბაგისმერთ თანხმოვანთა შემცველი მარცვლები გვაქვს (ქართულში, მეგრულში, ლაზურში) ან ნარნარა **ნ, რ, ლ** ბგერათა შემცველი (სვანურში).

ნაშრომში მოყვანილია სვანური მარე „კაცი“¹ს ბრუნება ქართული კაც²ისა და მეგრულ-ლაზური კოჩის³ პარალელურად (გვ. 28):

	მხ. რ.	მრ. რ.
Им. და В.	მარე	მარე-ლ
Родит.	მარე-შ	მარე-ლ-შ
Дат.	მარე-ს	მარე-ლ-ს, -სა (мест.)
Т. (instr.)	მარე-შუ (с)	მარელ-შუ
Твор. 2-ой	„————“	„————“
Ablativ.	მარე-ხენ (от)	მარელ-ხენ, მარელ-შუ-ხენ
Tensivus	მარე-თე (к)	მარელ-თე
Motativ.	„————“	„————“
Зват.	Сходен с именительным	

მაშასადამე, გამოყოფილია 9 პარადიგმატული ერთეული (თუ ბრალდებით ბრუნვასაც ჩავთვლით – 10!), ხოლო ფრჩხილებში მოცემულია შესაბამისი რუსული თანდებულები, არც ერგატივია შენიშნული და არც ვითარებითი. გარდა ამისა, დაშვებულია არაერთი შეცდომა ფორმათა სეგმენტაციისა თუ ბრუნვის მორფმათა კვალიფიკაციის თვალსაზრისით – ზოგჯერ ისინი არეულია თანდებულებში.

ალ. ცაგარელი ში („ხელი“)⁴ს ფორმებსაც გვთავაზობს (ში-ა, ში-ა-შ, ში-ა-ს, ში-ა-შუ, ში-ა-ხენ, ში-ა-თა) თითქოს არქაული (-ა აუსლაუტიანი) მონაცემით, მაგრამ არა გვგონია, ანალოგიურ სახელებს XIX საუკუნის 70-იან წლებშიც ჰქონოდათ ხმოვნიანი დაბოლოება (იგი უფრო ადრეა მოკვეცილი!). რომ ეს ასეა, კარგად ჩანს ში⁵ს მრავლობითის ფორმათა ავტორისეული სეგმენტაციიდან: (ში-არ, ში-არ-შ, ში-არ-ს, ში-არ-შუ, ში-არ-ხენ/ში-არ-შ-ხენ, ში-არ-თე (1957: 29).

„იბერიულ იდიომებში“ ზედსართავები ისევე იბრუნვიან, როგორც არსებითი სახელები – გახაზავს ალ. ცაგარელი.

მეტად ორიგინალურია ავტორის გააზრება სვანური კუთვნილებითი ნაცვალსახელისა მიშ-გვა, რომლის პირველ სეგმენტში იგი ხედავს მი პირის ნაცვალსახელის ორგანული წარმოების ნათესაობითი

ბრუნვის კანონიკურ მორფემას -**იშ**, რაც განასხვავებს სვანურს სხვა იბერიულ ენათაგან, სადაც ირიბი (косвенный) ბრუნვები არა აქვს პირის ნაცვალსახელსო (1957: 12). საყურადღებოა, რომ მომდევნო გვერდზე სეგმენტაცია რატომღაც განსხვავებულია (კორექტურული შეცდომა ხომ არაა?) – ესაა **მი-შგვა**, ხოლო მეორე პირისა და შესაბამის კუთვნილებით ნაცვალსახელებს შორის შემდეგი მიმართებაა: **სი** („შენ“) – **(ს)ი-სგვა** („შენი“) [ტექსტში შეცდომითაა დაბეჭდილი (s)i-šgwa]. საინტერესოდ გვეჩვენება **ისგვა** ნაცვალსახელის ანლაუტში II პირის ნაცვალსახელის თანხმობითი ელემენტის აღდგენა. ასევე, ყურადღებას იქცევს ქართულ **ჩე-მი**, **ლაზურ შქი-მი**, **მეგრულ ჩქი-მი** და სვანურ **მი-შგვა** ნაცვალსახელებში I პირის ნაცვალსახელის (**მი**) დანახვა (1957: 12-13).

სვანურ მორფოლოგიაზე მსჯელობისას, ძირითადად, ალ. ცაგარელი გ. როზენის მასალებს ეყრდნობოდა, რადგანაც საკუთარი ცოტა ჰქონდა – გრამატიკული ანალიზის დროს დაშვებული უნებლიე შეცდომებიც ალბათ ამითაა გამოწვეული.

უმწერლობო ენების მკვლევართათვის, ვფიქრობთ, საყურადღებო იქნება ალ. ცაგარლის მუშაობის სტილი. აი, რას წერს იგი:

ჩემი მოგზაურობის დროს, სვანებსა და ლაზებს რომ ვხვდებოდი, ვცდილობდი, უფრო ახლოს გავცნობოდი მათ მეტყველებას, რათა შემემოწმებინა და გამესწორებინა ჩემს ხელთ არსებული მასალა. 1871 წელს ალ. სტოიანოვიჩმა ქ. პიატიგორსკიდან გამომიგზავნა რამდენიმე სვანური ლექსი (ლათინური ტრანსკრიფციით), ჩაწერილი ნაწილობრივ მის მიერ, ნაწილობრივ კი – კ. დადიშქელიანისა და ენგ. ჯაჭვლიანისაგან... ჩემი მოგზაურობის დროს ეს ლექსები თან მქონდა და ვამოწმებდი...

სოფელ გორდში სადადიანო სვანეთის მკვიდრთაგან, რომლებიც აქ თავად მინგრელსკისთან მსახურობდნენ, ვიწერდი რიცხვით სახელებს, სიტყვებსა და ფრაზებს...

1878 წელს სოფელ ჯვარში ვხვდებოდი სვანებს და ზოგი რამ მათგან ჩავიწერე. იმავე წლის შემოდგომაზე ქუთაისის სასულიერო სემინარიის II კლასის მოსწავლესთან, უშგულელ ბესარიონ ნიქარაძესთან წავიკითხე და გავასწორე მთელი მასალა, დავაზუსტე თარგმანი და გრამატიკული კომენტარები, ჩავიწერე რამდენიმე სვანური ლექსი, რომელთა გამოცემაც განზრახული მაქვს უახლოეს ხანებში...

სამწუხაროდ, სვანურ სიმღერათა ტექსტების პუბლიკაცია ალ. ცაგარელმა ვეღარ მოახერხა. რაც შეეხება მთქმელებთან შემოწმებას, ცნობილია, რომ მას ხელთ ჰქონდა ლაშხური (გ. როზენისეული) და ბალსქვემოური (ალ. სტოიანოვისეული) დიალექტების მასალები, რომლებიც მოსალოდნელია, რომ უშგულურ კილოკავზე ჩაუსწორა „თავისუფალმა სვანმა“. ხალხურ სიმღერებთან დაკავშირებით მაინცა-დამაინც დიდ ცდომილებას არ მივიღებდით, რადგანაც მათი უმეტესობა ზემო სვანეთშია შექმნილი და აქედან ვრცელდებოდა ყველგან, თანაც ისე, რომ ტექსტებში დიალექტური თავისებურებები ფაქტიურად არც კი აისახებოდა. ნიკო მარის აზრით, სვანური ხალხური პოეზია ერთგვარ კოინესაც კი წარმოადგენდა.

§ 3. პეტრე უსლარი

იმ დროისათვის უკვე სახელმწიფოებრივმა კავკასიოლოგმა, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პეტრე უსლარმა 1887 წ. თბილისში გამოაქვეყნა მონოგრაფია "Этнография Кавказа – Абхазский язык", რომელსაც დანართის სახით ახლავს მისივე "Грамматический очерк сванетского языка (Издание Управления Кавказского учебного Округа)". მასში გაანალიზებულია იფარული მეტყველების ნიმუშები. ნარკვევი სულ 18 გვერდს მოიცავს, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ პ. უსლარმა სვანური ენა არ იცოდა (მისი ინფორმატორი იყო გ. გულბანი), ნაშრომს მაინც ეტყობა ანალიზის კვალი მოაზროვნე კაცისა, რომელიც გარკვეულად ებოდიშება კიდევ მკითხველს თვითკრიტიკული პოზიციიდან: "Предлагаемая мною статья едва ли даже может названа грамматическим очерком сванетского языка. Грамматика должна заключать в себя правила, которые не иначе могут быть выведены, как из тщательного изучения обильного запаса образцовъ языка. Предлагаемый мною сборникъ слишкомъ скуденъ для таковой цѣли, посему я привожу большею частью одни лишь примѣры, не выводя изъ нихъ правилъ" (გვ. 105). პ. უსლარისთვის მთავარია, სვანური ენის მომავალ მკვლევარს შეუქმნას ხელსაყრელი პირობები მისი ნაშრომის გაცნობით: "Примѣры расположены довольно въ систематическомъ порядкѣ; пробѣлы выставляются наружу и будущій изслѣдователь сванетскаго языка легко откроетъ, на что слѣдуетъ ему обратить особое вниманіе" (იქვე).

დაახლოებით იგივე განაცხადა მ. ზავადსკიმ სამი წლის შემდეგ СМОПК-ის X ტომში (1890 წ.): "Быть может, люди, болѣе меня компетентные, воспользуются издаваемыми текстами и придутъ къ выводамъ, болѣе отвѣчающимъ дѣйствительнымъ законамъ языка сванетскаго. Съ своей стороны, я не упущу случая издать другіе сванетскіе тексты, которые дадутъ новый матеріалъ для грамматическихъ изысканій (გვ. XLIX)... Сознаю и вижу многіе недостатки настоящаго выпуска: избѣгнуть ихъ я не могъ по многимъ причинамъ, излагать которыя считаю здѣсь преждевременнымъ. Смѣю думать, что люди, интересующіеся уясненіемъ формъ иберійской группы кавказскихъ языковъ, все-таки найдутъ въ этомъ выпускѣ кое-какой матеріалъ для своихъ соображеній (Завадский 1890: LI).

ჯერ კიდევ საუკუნეზე მეტი ხნის წინ პ. უსლარი თვლიდა, რომ ქართულ გრამატიკაში ძალიან ბევრი რამ იხსენება სვანური ენის მოშველიებით, რაც ოდესმე უეჭველად მიიქცეოდა ფილოლოგთა მთელ ყურადღებას – საოცარი რამ იწინასწარმეტყველა შესანიშნავმა კავკასიის-

მცოდნე! და მართლაც, დღეს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოს პროგრესული ქვეყნების ქართველოლოგიურ ცენტრებში არაერთი დიდებული უცხოელი ეთნოლინგვისტი იკვლევს სვანეთსა თუ სვანური ენის სტრუქტურის საკითხებს.

ყურადღებას იქცევს პ. უსლარის ერთი დაკვირვება, რომელსაც დღემდე არ გასვლია ყავლი: **"Въ сванетскомъ языкѣ встрѣчается въ наипростѣйшей формѣ много существительныхъ, которыя въ другихъ грузинскихъ нарѣчїяхъ являются усложненными или через удвоеніе или через надбавленіе"** (ბაზი ჩვენია – ო. ჩ.); საილუსტრაციოდ მოყვანილია: ქართული **თვალი** – მეგრული **თოლი** – სვანური **თე**, ქართული **ძალი** – მეგრული **ჯოდორი** – სვანური **ჟელ**'ის მსგავსი მაგალითები (იხ. გვ. 104).

სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოებაზე მსჯელობისას ერთსა და იმავე ლექსემასთან ნარკვევში ზოგჯერ მითითებულია როგორც ენგურის, ისე ცხენისწყლის ხეობათა მასალა: ერთი მხრივ, ზსვ. ჩააჟ („ცხენი“) – ჩააჟარ („ცხენები“) და, მეორე მხრივ, ქსვ. ჩარაღი (чаралj). ცხადია, პ. უსლარმა ვერ აღიქვა სვანური ფონოტაქტიკის სპეციფიკა – ხმოვანთა ვერც უმლაუტი და ვერც სიგრძე, მაგრამ ჩააჟ ორი ხმოვნით რომ წარმოგვიდგინა, ხოლო ჩარაღი ფორმის აუსლაუტი დაარბილა (j соотвѣтствуетъ русскому ж или ѝ – წერს იგი), ეს იმას გულისხმობს, რომ ამით მან რაღაც მინიშნება გააკეთა (შდრ. აგრეთვე, ოტიზებული лjашдрал „სათამაშო“ – лjашдралjар „სათამაშოები“ ნაცვლად лjашдрл – лjашдрлjар ფორმებისა – იხ. გვ. 107).

პ. უსლარს მიაჩნია, რომ სვანურ ენაში ბრუნვების დაბოლოებათა განუსაზღვრელი რაოდენობა არსებობს... უნებლიეთ გვახსენდება დიდი რუსი ენათმეცნიერის ა. სობოლევსკის ერთი გამონათქვამი: რამდენი ბრუნვა არსებობს? – ამ კითხვაზე პასუხი არათუ რთული გასაცემია, არამედ შეუძლებელიცაა (Соболевский: 1892-1893). ისიც ცნობილია, რომ მრავალბრუნვიანი ტიპი ბრუნებისა იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ერთ-ერთი სპეციფიკაა (Халидов 2008: 106, 117)

"Грамматический очерк"-ის ავტორს ბრუნებათა სახეებზე მსჯელობის ნაცვლად მოჰყავს ამა თუ იმ მორფემათა გარკვეულ ფრაზებში გამოყენების ფაქტები; განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნათესაობით ბრუნვაში მართული (როგორც პრეპოზიციურ, ისე პოსტპოზიციურ მსაზღვრელთა შემცველი) მონაცემები. სინტაგმები ისეა შერჩეული, რომ მკითხველი ადვილად დაინახავს ერთფუძიანი თუ ორფუძიანი ბრუნების სისტემის წარმომადგენელ სრულ და ნაწილობრივად მოკვეცილ მორფემებს:

მიზგვა მუვე თვეფ

მიზგვა მუვემ თვეფ

თვეფ მიზგვა მუვემიზ

თვეფ მიზგვა მუვემი

ружьё моего отца

(„ჩემი მამი „ს“ თოფი“)

(„თოფი ჩემი მამის“)

ამ ჩანაწერის (იხ. გვ. 108) მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ მსაზღვრელის წყობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ნათესაობითის გამოხატვის თვალსაზრისით, ანუ პრეპოზიციურია იგი თუ პოსტპოზიციური, მასთან თანაბრად შეიძლება ვიხმაროთ ბრუნვის როგორც სრული (-ემ, -ემიშ), ისე თანხმოვანმოკვეცილი (-ე, -ემი) დაბოლოება. თუ ამ სინტაგმებში რამე შეცდომა არაა, გამოდის, რომ იფარელი გ. გულბანის მეტყველებაში რაღაც გარდამავალი პერიოდი (ფორმათა აღრევის ხანა) არის დაფიქსირებული. ბესარიონ და ივანე ნიჟარამეების, აგრეთვე, ნიკო მარის ჩანაწერებში მორფემის სრული სახე მხოლოდ პოსტპოზიციის შემთხვევაში გვაქვს, ხოლო პრეპოზიციურ მსაზღვრელს -შ თანხმოვანი, როგორც წესი, ეკვეცება. იგივე სიტუაციაა, ძირითადად, თანამედროვე სვანურ ენაშიც (დეტალურად ამის შესახებ იხ. Климов Г. А. 1955, მისივე 1962: 88-93; ჩანტლაძე 1998: 25-39), ოღონდ მხოლოდ სამ (ბალსჴემოურ, ლაშხურ, ლენტეხურ) დიალექტში. რაც შეეხება ბალსჴემოურ მეტყველებას, აქ, ჩვეულებრივ, დაცულია ნათესაობითი ბრუნვის სრული დაბოლოება (ერთფუძიანი ბრუნების მხოლოდობით რიცხვში მაინც, თუ სხვაგან არა!). ყოველივე ეს, ძირითადად, პ. უსლარსაც შეუმჩნევია, რადგანაც იგი საგანგებოდ გახაზავს, რომ მუჴ-ე/მუჴ-ემ-ი და მისთანა ფორმები „თავისუფალ (ე. ი. უბატონო) სვანეთში“ გამოიყენება, ხოლო მუჴ-ემ/მუჴ-ემ-იშ – „სადადეშქელიანოში“ (ე. ი. ბალს ჴევით – იხ. გვ. 108). საინტერესოა მისი ერთი დაკვირვებაც წოდებით ბრუნვასთან დაკავშირებით: "Для звательного падежа употребительная особая форма (ხაზი ჩვენია – ო. ჩ.) въ одной лишь Дадешкилиановской Сванетии: *mya rišgæj*¹ – Отче нашъ!" (გვ. 110).

მაშასადამე, ნარკვევის ავტორს მხოლოდ ერთი (და ისიც ბალსჴემოელი) მთქმელი არ ჰყოლია და, ცხადია, ნათესაობითი ბრუნვის პარალელური (სრული და მოკვეცილი) ფორმები მარტო გ. გულბანს არ ეკუთვნის, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ ბალსჴემოელ მთქმელს სცოდნოდა ბალსჴემოურში არსებული შინი'ანი ფორმების შესახებაც, იმდენად თვალში საცემია ისინი სვანური ენის სხვა დიალექტებზე მოლაპარაკეთათვის. ამ მხრივ საგულისხმოა თ. შარაძენიძის

¹ ალბათ, კორექტურული შეცდომაა! – უნდა ყოფილიყო *rišgæj* (გუნიშგემ – უმლაუტიანი ფორმა) ან *rušgæj* (გუშგემ – უუმლაუტო ფორმა).

ერთი შენიშვნა: „მესტიის რაიონის სოფელ ცხუმარში ახალგაზრდების მეტყველებაში უფროსი თაობა უშინო (მათი აზრით, ბალსზემოურ) ფორმებს ბალსქვემოურად (შ-ს შემცველი ფორმებით) ასწორებს. თვით ახალგაზრდებშივე ეს ბგერა შეიძლება არტიკულაციაში არც არსებობდეს, მაგრამ ცნობიერებაში მაინც შემონახულია, რადგანაც ჩაკითხვისას ყოველთვის შინაინ ფორმებს ხმარობენ ხოლმე“ (შარაძენიძე 1958: 230).

პ. უსლარი საკმაოდ ვრცლად ჩერდება ნათესაობით ბრუნვაში მართულ მსაზღვრელზე, მოჰყავს მისი შემცველი არაერთი სინტაგმა თუ ფრაზა, რომელთაგან ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ ერთ საილუსტრაციო წინადადებას:

აჟჟარ რუიარგეჟ მუჟარემი რუარ ლიხ – „ესენი ჩვენი მამები ს' ბვლე-ბი არიან“.

იგი ჩვენს თვალსაწიერში მოექცა სადოქტორო დისერტაციაზე („სახელთა პარადიგმატული სისტემა სვანურში“) მუშაობის დროს, ჯერ კიდევ 30 წლის წინ. „ვინც კი სვანურ სახელთა ბრუნებას საფუძვლიანად თუ გაკვრით შეხებია, ყველა ერთხმად აღიარებს, რომ მრავლობითის ფორმებში არც -ემ'იანი ერგატივი გვხვდება და არც -ჟ'იანი მიცემითი, შესაბამისად, არც ორფუძიანი (resp. სამფუძიანი) ბრუნების სისტემა გვაქვს, რითაც სვანური უპირისპირდება მთის კავკასიურ ენებს, სადაც ორფუძიანობის პრინციპი ორსავე რიცხვში დასტურდება“ (ჩანტლაძე 1998: 111). ასე რომ, ვფიქრობთ, პ. უსლარისეული **მულ-მარემი** (<’მულ-მ-არ-ემ-იმ) არც შემთხვევითი მოვლენაა და არც მცდარად ჩაწერილი ფორმა. პირიქით, მას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სვანური ენის ორფუძიანი (ერგატივის -ემ'იან ფორმაზე დამყარებული) ბრუნების ისტორიისათვის, რომელიც ჩვენ საგანგებოდ შევისწავლეთ (დეტალურად ამის შესახებ იხ. ჩანტლაძე 1998: 111-117).

პ. უსლარი მსჯელობს ზედსართავ სახელთა ხარისხების შესახებ, რიცხვით სახელთა ჯგუფებზე, აგრეთვე, ათობითი თვლის სისტემასთან დაკავშირებით, რითაც სვანები განსხვავდებიან კავკასიის ყველა სხვა მკვიდრი (ძირითადი) ხალხისაგან, რომელთაც ოცობითი სისტემა აქვთო (იხ. გვ. 114) – როგორც ჩანს, მისთვის უცნობი იყო ბალსქვემოურ და ლენტეხურ დიალექტთა მონაცემები, სადაც სწორედ ოცობითი თვლაა გაბატონებული.

ნარკვევში უფრო ვრცლადაა განხილული ნაცვალსახელთა ჯგუფები, მათი დეფექტური ბრუნება, თანდებულისანი თუ მარტივი ფუძეები და, რაც მთავარია, ჩატარებულია სწორი ანალიზი ნაცვალსახელთა ინკლუზიურ-ექსკლუზიური ფორმებისა (ცხადია, შესაბამის ტერმინთა გარეშე!) სათანადო ზმნებთან მიმართებით (იხ. გვ. 109, 112-113).

პ. უსლარი შესაბამის საილუსტრაციო წინადადებათა ჩვენების საფუძველზე გამოკვეთილად გახაზავს, რომ სვანურ ენაში, ისევე, როგორც ქართულში, არ არსებობს ბრალდებითი (винительный) ბრუნვა (იხ. გვ. 108).

უღრესად დიდია რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების განყოფილების წევრის, აკადემიკოს პეტრე უსლარის დამსახურება კავკასიოლოგიის წინაშე. ამიტომაც სრულიად ბუნებრივია, რომ სპეციალურ ლიტერატურაში იგი მოხსენიებულია სინტაგმით Крупнейший кавказовед" (Магомедов 1979: 5). მართალია, მას ქართველურ ენათა გრამატიკული სტრუქტურის შესწავლისათვის საგანგებო მონოგრაფია არ მიუძღვნია, მაგრამ ერთ თავის ბოლო ნაშრომში "Характеристические особенности кавказских языков" („კავკასიურ ენათა დამახასიათებელი თავისებურებანი“) საგანგებოდაა ხაზგასმული, რომ ივერიულ ენათაგან ყველაზე ნაკლებად დღემდე სვანურია გამოკვლეული (იხ. Сборник сведений о кавказских горцах, IX, Тифлисъ, 1876, გვ. 1-20).

მას შემდეგ, რაც პ. უსლარმა თავი დაანება სამხედრო სამსახურს (წარმატებული გენერალი გახლდათ!), „უზენაესის ბრძანებით“ მას დაევა კავკასიის ისტორიის შედგენა და, მიუხედავად იმისა, რომ არ ჰქონდა ლინგვისტური განათლება (ინჟინერი იყო!), შესანიშნავად იცოდა, რომ ისტორიის უტყუარი წყარო სწორედ ენაა. პ. უსლარის ყველა მონოგრაფიას ერთი საერთო სათაური აქვს – ესაა "Этнография Кавказа", რომელშიც ტერმინი „ეთნოგრაფია“ ფართო გაგებითაა გამოყენებული, იენის შესწავლა ხალხის ისტორიის შესწავლის საშუალებად არის ნავარაუდევო; ცხადია, ასე გაგებული ეთნოგრაფია ზოგადი ხასიათის დისციპლინა იქნებოდა, ენათმეცნიერებაც „ეთნოგრაფიის“ დარგად მოგვევლინებოდა, სადაც ენათა ფონემატური შედგენილობა და გრამატიკული მოვლენები აღწერილია ისეთი სიზუსტით, რომ პ. უსლარის შრომები არ ძველდება" (ჩიქობავა 1965: 186-187), რომელთა შექმნას ავტორმა თავისი სიცოცხლის უკანასკნელი თხუთმეტი წელი შეაღია. არნ. ჩიქობავას აზრით, წინამორბედ მკვლევრებთან შედარებით, საანალიზო მასალა, რომელიც პ. უსლარის შრომებს საფუძვლად უდევს, უფრო ვრცელია, მასალის დამუშავებაც უფრო სრულია (იქვე: 191).

არც ენის, არც მიწა-წყლის გაყალბება არ მოხერხდება. ესენია მართალი მატთანები, ასეთი მატთანები კი კავკასიის ყველა ხალხს აქვს; ამ მატთანების მიხედვით შეიძლება შევქმნათ ხალხის ნამდვილი ისტორია... ფილოლოგისთვის არ არსებობს არასაინტერესო ენა... ყველა ენა (და არამხოლოდ სამწერლო!) არის საინტერესო – წერდა პ. უსლარი 1888 წელს თავის მონოგრაფიაში "Чеченский язык" (გვ. 6-7, 15).

§ 4. მიხეილ ზავადსკი, ადოლფ გრენი

ი. ბართოლომეე წარმოადგინა ბალსზემოური ლექსიკურ-გრამატიკული მასალა (1855 წ.), ხოლო რ. ერკერტმა – უმჯულური (1895 წ.). ამავე მეტყველებას ემყარება СМОМПК-ის სამივე (X – 1890, XVIII – 1894, XXXI – 1902) ტომში გამოქვეყნებული მონაცემები; პირველ მათგანს ახლავს მ. ზავადსკის "Предисловие", რომელშიც მოცემულია სვანური ენის გრამატიკული მიმოხილვა (ბგერათა ფონეტიკური დახასიათება, მსჯელობა ტექსტების ტრანსკრიფციის შესახებ, პ. უსლარის შექმნილი "Сванетская азбука"-ს თუ ე. წ. აკადემიური ანბანის ურთიერთშედარება, საკმაოდ კრიტიკული დამოკიდებულება სვანური ზმნის დრო-კილოთა და მწკრივთა უსლარისეული ანალიზის მიმართ, ბრუნების სისტემის შესახებ სპეციფიკური და ღირებული დაკვირვებები, ძირითადი ტიპების პარადიგმები, ბრუნვათა დაბოლოებათა, სუპინუმი და გერუნდივი,...). ალბათ ამიტომ იყო, რომ ნიკო მარმა (Март 1913: 13) მ. ზავადსკის მიუჩინა დამსახურებული ადგილი სვანური ენის წინამორბედ მკვლევართა შორის.

წინასიტყვაობაში 23 გვერდი აქვს დათმობილი ურთულესი სვანური ზმნის მწკრივთა პარადიგმებს და მათ ანალიზს (რაც იმ დროისათვის მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა!), ხოლო სახელი შედარებით მოკრძალებულად გამოიყურება (სულ 12 გვ.).

სახელის ბრუნვათა ფორმა-ფუნქციების განხილვისას მ. ზავადსკისთვის ამოსავალია მორფოსინტაქსური კონსტრუქციები ზმნისა, ამიტომაც ის საგანგებოდ შენიშნავს: "Опредѣлить точное значение каждаго падежа и дать соотвѣтственно правильное наименование можно будетъ тогда, когда вполне выяснится характеръ сванетскаго глагола" (СМОМПК 1890: XXXIII).

მ. ზავადსკი გამოყოფს ცხრა ბრუნვას (именительный, родительный, дательный, творительный, усвояющій, орудный, движительный, сравнительный, равняющій). თანამედროვე აღწერილობისგან განსხვავებით, ბრუნვათა პარადიგმატულ ერთეულებს მის ნაშრომში ზრდის თანდებულთა სისტემა, რომლის ზოგიერთი კომპონენტი ჩათვლილია ბრუნვის მორფემად (დინათე „ქალიშვილისკენ“ – движительный, სადაც -თე მიმართულების აღმნიშვნელი თანდებულია, და დინათან „ქალიშვილისთანა“ – равняющій, სადაც -თან მსგავსების, თანაობის, თანაბრობის შინაარსს გადმოსცემს). გარდა ამისა, ორმაგი (და არა ორფუძიანი!) წარმოების მონაცემიც – ნანათესაობითარი ვითარებითი შედის მარტივ ბრუნვათა რიგში (დინაშდ „ქალიშვილისთვის“) და ის აღინიშნება ტერმინით усвояющіѣ.

"Предисловие"-ში, ძირითადად, სწორადაა გამოყოფილი დღეისათვის ცნობილი ყველა მორფემა, მათ შორის – ორფუძიანი ბრუნების წარმოქმნელი -ემიანი ერგატივიც, ოღონდ არც „მოთხრობითი“ და არც „ერგატივი“ არსად ნახსენები არ არის, მათი მაწარმოებლები (-დ, -ემ) კი გაერთიანებულია მოქმედებით ბრუნვასთან. მოვუსმინოთ თავად მ. ზავადსკის: "Творительный падеж обозначает лицо совершающее (творящее); предмет, въ который что-либо превращается; образъ дѣйствія; предель, до котораго дѣйствіе достигается" (იქვე). ამიტომაც ზმნის ნამყოსრულის ფორმასთან დაკავშირებული ქვემდებარე მოქმედებით ბრუნვაში დაისმის (იხ. გვ. XXXVII). -დ და -ემ-ის გვერდით ფრჩხილებში მითითებულია ნაგენეტივარი ვითარებითის (თანამედროვე გაგებით!) რთული მორფემა -ემ-დ (ზოგიერთ არსებითთან და ნაცვალსახელთან გვხვდება), რაც, რაღა თქმა უნდა, შეცდომაა.

შენიშნულია, რომ პრეპოზიციურ მსაზღვრელს ეკვეცება ნათესაობითი ბრუნვის თანხმონითი ელემენტი -შ, რომელიც სხვა შემთხვევებში ყველგან დაცულია. საგულისხმოა, რომ მ. ზავადსკის მრავლობითი რიცხვის ფორმებშიც აქვს დაფიქსირებული როგორც -რე, ისე -რემ. ეს უკანასკნელი, თუ ძველ სვანურ ხალხურ სიმღერათა ტექსტების მონაცემი არ არის, გამოგვადგება ნათესაობითი ბრუნვის მორფემის ცვეთის დასათარიღებლადაც – მაშასადამე, 127 წლის წინ უშგულურ მეტყველებაში, რომელიც ყველაზე არქაულია დღესაც კი ბალსზემოური დიალექტის კილოკავებს შორის, ჯერ კიდევ დაცული იყო ნათესაობითი ბრუნვის მაწარმოებლის თანხმონითი ელემენტი -შ, ახლა რომ დაკარგულია სვანური ენის თითქმის ყველა კილოში პრეპოზიციური მსაზღვრელის შემთხვევაში. საგანგებოდაა ხაზგასმული, რომ **emi, ami, emish, amish** (ანუ, დღევანდელი გაგებით, ერგატივის ფუძეზე დამყარებული გენეტივის მორფემები) **"встрѣчается въ немногихъ существительныхъ"** (ხაზი ჩვენია – **o. წ.**) и обычно въ прилагательныхъ и въ причастіяхъ", ანუ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ არსებით სახელთა ორფუძიანი ბრუნების გამარტივების პროცესი ასზე მეტი წლის წინ დაიწყო უშგულურ მეტყველებაში, ხოლო სვანური ენის სხვა დიალექტებსა თუ კილოკავებში ალბათ უფრო ადრეც.

მეტად საინტერესოა, რომ მ. ზავადსკის შეუმჩნევია მიცემითი ბრუნვის -ამ/-ემ მორფემის თანხმონითი ელემენტის დაკარგვის შემთხვევები ზედსართავ სახელთა მხოლოდით რიცხვში, რასაც შემდგომში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს XX საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე მკვლევრებმა.

ისიც საყურადღებოა, რომ მ. ზავადსკი ე. წ. საკუთრივ სვანური ბრუნების (ნ. მარის ტერმინოლოგიით) წარმომადგენელ -ნ მორფემის შემცველ ბრუნვას მიცემითს ან ვითარებითს კი არ უწოდებს, როგორც ეს ცნობილია სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, არამედ „შედარებითს“ (Сравнительный), რომელიც გამოიყენება ზედსართავ სახელთა შედარებითი თუ აღმატებითი ხარისხის ფორმებთან, დროის გარემოებებთან და რამდენიმე ზმნასთან: კერძოდ, დასახელებულია „**нияться**“ და „**удивляться**“ (იხ. გვ. XXXIV). ეს უკანასკნელი ერთგვარ დისონანსს ქმნის, რადგანაც XX-XXI საუკუნეთა მკვლევრები -ნ/დ მორფემებს მხოლოდ **ლიყალჟე** („შეშინება“) და **ლიგჷშილე** („ავსება“) მასდარებიდან მომდინარე ზმნათა პირიან ფორმებთან ადასტურებენ, ხოლო **ლისკჷრელალ** („გაკვირვება“) თან დაკავშირებული მიცემით-ვითარებითის საზიარო კონსტრუქცია ჯერჯერობით დასახელებული არ ყოფილა, თუმცა მაინც საინტერესოა მ. ზავადსკისეული ფრაზა: **მიჩაშნ** (დაბეჭდილია შეცდომით *Mi чашн*) **მამა საკჷრელ ლი** (დაბეჭდილია შეცდომით *сакврели*) **ალ გჷეში ლიჩჷმე** – **მისგან არაა საკვირველი ამ საქმი^ს** ჩადენა (*„не удивительно, что это дѣло онъ сдѣлалъ“* – მ. ზავადსკისეული თარგმანი, იხ. გვ. XXXVIII); აქ **საკჷრელ ლექსემა** არაფერ შუაშია **მიჩაშნ** (ალბათ **მიჩაშენ** სჯობდა!) ფორმასთან მიმართებაში, რადგანაც ის ისედაც იქნებოდა საილუსტრაციო ფრაზაში – ცნობილია, რომ მორფემა -ნ (ან -გნ), როგორც წესი, თანდებულისან გამონათქვამთა შესაბამის შინაარსსაც გადმოსცემს სვანურში, რაზედაც თავად „*Предисловіе*“-ში დადასტურებული ერთი წინადადებაც მიუთითებს: **მარა-ნ მად იკაჟ ალა** – **კაცისგან** ეს არაა მიზანშეწონილი (მ. ზავადსკის თარგმანის მიხედვით, *„отъ челоуѣка не слѣдуетъ ожидать этого“* – იქვე)!

მ. ზავადსკი მუშაობდა იმ დროის ცნობილ საზოგადო მოღვაწეებთან და მწიგნობრებთან, უშუალოდ ივანე და ბესარიონ ნიჟარამეებთან ერთად. ამ უკანასკნელს ახლო ურთიერთობა ჰქონია ილია ჭავჭავაძესთან.

„წინასიტყვაობის“ ავტორი სვანური ენის მხოლოდ ფონეტიკურ-გრამატიკული ესკიზით არ კმაყოფილდება. ის მომავალ მკვლევრებს ამოცანად უსახავს ქართული, სვანური, მეგრული და ლაზური ენების შედარებით შესწავლას, რადგანაც გენეტურად ერთი ოჯახის წარმომადგენლები დროთა განმავლობაში მნიშვნელოვნად დაშორდნენ ერთმანეთსო (იხ. გვ. XLIX). აქვე (სქოლიოში!) მ. ზავადსკი გვაწვდის მეტად საყურადღებო ცნობას პროფესორ ალექსანდრე ცაგარლის შესა-

ხებ, რომელიც მეგრულთან ერთად სვანურ ენასაც სწავლობდა, რაზე-
დაც თავის დროზე იგი "Мингрельские этюды"-ს (ტ. II, გვ. VII) წინასი-
ტყვაობაშიც იტყობინებოდა და აპირებდა კიდევ მის ხელთ არსებული
სვანური ტექსტების (კომენტარებითურთ) გამოქვეყნებასო. სამწუ-
ხაროდ, სპეციალურად ეს ტექსტები დღემდე არავის
შეუსწავლია. ვ. თოფურიას განცხადებით, ალ. ცაგარელმა გამოიყე-
ნა გ. როზენის ნაშრომი "Über das Mingrelische, Suanische und
Abchasische" (Berlin, 1847), რომელშიც გაანალიზებული იყო ლაშხური
დიალექტის მასალა. საერთოდ კი, XIX საუკუნის II ნახევრისა და XX
საუკუნის I მეოთხედის მკვლევრები ყველაზე ხშირად იყენებდნენ უშ-
გულურს (რაც ბ. და ი. ნიჟარაძეების დამსახურებაა!), ნაკლებად – ლაშ-
ხურსა და ბალსხემოურს, იშვიათად – ბალსქვემოურსა და ჩოლუ-
რულს, ლენტეხური კი სრულებით არ ყოფილა დაკვირვების ობიექ-
ტი... არც ტექსტები და არც მიმოხილვები სანდო და დამაკმაყოფილე-
ბელი არ არის (თოფურია 2002: 151).

მ. ზავადსკი შედარებით ფრაგმენტულად განიხილავს ზედსარ-
თავ სახელთა ხარისხებს, რიცხვით სახელებს, პირის, ჩვენებით, კითხ-
ვით, მიმართებით, განსაზღვრებით და განუსაზღვრელობით ნაცვალ-
სახელებს. მის მიმოხილვაში ზოგი არაკვალიფიციური დასკვნაც
გვხვდება [ასე მაგალითად: მასდარებს წარმოქმნილ არსებით სახე-
ლებს უწოდებს, რთულ ნაცვალსახელებში თანდებულიანი ნაცვალსა-
ხელებიც შეაქვს, პირისა (მი „მე“) და კუთვნილებით (მიშგჟი „ჩემი“)
ნაცვალსახელთა ბრუნებას ერთმანეთში ურევს, მოჰყავს ბრუნვათა
არარსებული პარადიგმები – ამიშნ, იშაშნ, ხოდაშნ, ხოჩაშნ, ..., განსა-
ზღვრებითი ნაცვალსახელი „ყველა“ სახელობითში წარმოდგენილია
როგორც მაგ ლექსემით, ისე ე. წ. ირიბ ბრუნვებში გამოყენებული ჩი
ფუძით, ამასთანავე ორივე მათგანს კითხვის ნიშანი აქვს და ა. შ.], მაგ-
რამ მაინც ავტორი ყველგან ცდილობს, წარმოადგინოს ბრუნვათა სრუ-
ლი პარადიგმები.

თითქმის ყველა მოგზაური თუ მკვლევარი (განსაკუთრებით
რუსეთის იმპერიის წარმომადგენლები!) თითქოს ერთგვარად „ცხვი-
რაწეული“ განიხილავდა მათთან შედარებით „დაბალ საფეხურზე
მდგომი“ ხალხის, ე. წ. „ტუზემცების“ ენას, ისტორიას, ადათ-წესებს,
რიტუალებს, ტრადიციებს, უძველეს გადმოცემებს და ა. შ. არავინ ფიქ-
რობდა იმაზე, რომ ამ მცირერიცხოვან ხალხებს საოცრად
უყვართ თავიანთი ქვეყანა, მშობლიური ენა და სხვა-
გან განცხრომითა თუ ფუფუნებით ცხოვრებას უამრავ

ჭირვარამგამოვიღე დედასამშობლოში სიკვდილი ურჩევნიათ. ამ მხრივ გამონაკლისი იყო მიხეილ ზავადსკი. აი, რას წერს იგი СМОНПК-ის X ტომში (გვ. 259) გამოქვეყნებული ულამაზესი იანვანას ტექსტის შესახებ: "Прекрасная пѣсня мингрельки-матери мнѣ кажется не чисто народнымъ произведеніемъ. Мать, ублаживая свое ненаглядное дитя, выражаетъ глубокое чувство и нѣжной матери и серьёзной патриотки. Вся жизнь ея въ сынѣ: самой себѣ она кажется ничтожной безъ него, только ради сына она любитъ міръ, но трогательно говорить сыну: Прошу тебя, люби свою родину! Здѣсь родились твой отецъ, твоя мать! Она охраняетъ насъ отъ несчастій; она многое сдѣлала для насъ и сама отъ насъ ожидаетъ службы!.." (გვ. IV).

ამავე კრებულშია დაბეჭდილი ა. გრენის "Грамматические заметки" – შეცდომებით სავსე, მაგრამ მაინც აღსანიშნავი იმით, რომ საილუსტრაციო მასალად პირველადაა გამოყენებული ჩოლურული მეტყველება.

§ 5. რიხარდ ერკერტი

1895 წელს ვენაში დაიბეჭდა რუსეთის გენერალ-ლეიტენანტის რიხარდ ერკერტის ვრცელი (613 გვ.) მონოგრაფია Die Sprachen des kaukasischen Stammes („კავკასიური ძირის ენები“). მასში ნათქვამია:

ახალი ქართული ენა გაგრძელება ძველი ქართული ენისა, რომელიც იხმარებოდა: ჭოროხის, რიონის, ენგურისა და მტკვრის აუზში... ლექსიკიდან, რაც ძველ ქართულს ჰქონდა, ბევრი რამ სვანურმა, მეგრულმა, ჭანურმა და მთის დიალექტებმა შემოგვინახეს (იხ. გვ. 286-287).

რ. ერკერტის ნაშრომი, რომელსაც ახლავს XIX საუკუნის II ნახევრის გამოჩენილი ლინგვისტის ფრიდრიხ მიულერის წინასიტყვაობა, შედგება ორი ნაწილისაგან: I – სიტყვათა საძიებელი (Wörterverzeichnis); II – ენათა ნიმუშები და გრამატიკული ესკიზები (Sprachproben und grammatische Skizzen).

პირველ ნაწილში მოყვანილია 206 სინტაგმა თუ ფრაზა სვანური ენის „მთავარ“² დიალექტზე (Hauptdialekt, გვ. 353-358). მათში უმლაუტი, ძირითადად, სწორადაა ფიქსირებული (რაც სრულიად ბუნებრივია გერმანელი მეცნიერისგან!), მაგრამ არ არის მოცემული გრძელი ხმოვნები (მათ ნაცვლად ორი იდენტური გრაფემაა წარმოდგენილი).

სახელზე მსჯელობა იწყება მრავლობითობის წარმოების აღწერით (კად-ალ „ნაჯახები“, ჩაე-არ „ცხენები“, ლა-ხვზ-ა³ „მშები“, ლა-ღჭურ-ალ „დები“), ხოლო შემდეგ მოცემულია გრამატიკული შენიშვნები ცალკეულ ბრუნვათა შესახებ (იხ. გვ. 359):

1. ნათესაობითი იწარმოება -შ სუფიქსის საშუალებით; ამგვარი ფორმა საზღვრულს შეიძლება წინაც უძლოდეს (კადა-შ ლადარე „ნაჯახის ტარები“) და მოსდევდეს კიდეც (ლარტამ მუე-შ „ბოსტანი⁴ მამისა“⁵). მრავლობით რიცხვში გამოიყენება -ალეშ, -არშ სუფიქსები;

2. მიცემით ბრუნვაში -ს სუფიქსი გვაქვს (ნალოჭურ-ს⁵ „ვაქს“, ბოზშ-არ-ს „ბავშვებს“);

3. მოთხრობითში (der Narrativ) -დ იხმარება (მამა-დ „მამამ“, დია-დ „დედამ“), ერთ მაგალითში კი -მ'ც (მუხვ-ხ-ემ „მამამ“) დასტურდება ისევე, როგორც ქართულ ენაში (im Gruzinschen⁶); .

4. მოქმედებით (der Instrumental) ბრუნვას აწარმოებს -შვ სუფიქსი (კადა-შვ „ნაჯახითურთ“);

² ცნობილია, რომ რ. ერკერტს ხელთ ჰქონდა უზუღუღური მასალები (თოფურია 2002: 151).

³ ტექსტში შეცდომაა – დაბეჭდილია **la-rvla**.

⁴ გერმანული **der Gart**, რომლითაც სვანური ლარტამ არის თარგმნილი, ქართული „ბაღის“ შესატყვისია, ლარტამ კი მხოლოდ „ბოსტანს“ აღნიშნავს.

⁵ 359-ე გვერდზე შეცდომაა, მაგრამ 353-ეზე სწორი ფორმაა (ნალოჭურ-დ „ვაქმა“).

⁶ სხვაგან ყველგან Georgische-ს ხმარობს რ. ერკერტი.

5. სოციალური (?) ურთიერთობის აღსანიშნავად -**ცახან** გამოიყენება (**მიშგვა-ცახან** „ჩემთან ერთად“); გარდა ამისა, მსგავსი მნიშვნელობით შეიძლება შეგვხვდეს ინსტრუმენტალისის -**დ** სუფიქსიც (**ლე-გზალ-დ** „ვაჟიშვილთან⁷ ერთად“, **ლე-ჩაჟ-დ** „ცხენთან ერთად“);

6. ლოკატივის სუფიქსია -**თე** (**შურა-თე** „შურასკენ“). ამავე მნიშვნელობით იხმარება, აგრეთვე, -ს⁸ იანი მიცემითი (**ქალაქ-ს** „ქალაქში, ქალაქისკენ“) და -ისგა სუფიქსი (**ლარტამ-ისგა** „ბოსტანში“);

7. დაწყებითი მოქმედების აღმნიშვნელ ბრუნვას (Ablativ) აწარმოებს -**ხენქა**⁸ (**ჯიმილ-ხენქა** „ძმისგან“);

8. შედარებითი (Comparativ) ბრუნვის სუფიქსია -**ნ** (**ჩაჟ წელ-ნ ხოშა ლი** „ცხენი სახედარზე დიდია“).

ზედსართავ სახელებთან დაკავშირებით რ. ერკერტის წიგნში აღნიშნულია, რომ ისინი არსებითთა წინა პოზიციაში ბრუნებისას უცვლელნი რჩებიან და ხშირად ღებულობენ: -**მ** (**ხოშა/ხოშა-მ**⁹ „კარგა“), -**დ** (**ეზარ-დ** „კარგად, ჯანმრთელად“) ან -**მდ** (**ხოჩა-მდ** „კარგად, ჯანმრთელად“) დაბოლოებებს. ამ უკანასკნელ ფორმებთან **ზედსართავის** (Adjectiv) გვერდით ფრჩხილებში კითხვის ნიშნით წერია **Adverb** (**ზმნისართი**), რაც, რა თქმა უნდა, სწორი მიგნებაა უკითხვისნიშნოდაც!

„კავკასიური ძირის ენებში“ გამოთქმულია საკმაოდ ფრთხილი ვარაუდი იმის შესახებ, რომ შესაძლოა ზემოაღნიშნული ფორმები გარკვეულ მიმართებაში იყოს მოთხრობითი ბრუნვის -**დ**, -**მ** ნიშნებთან.

სვანური პირისა და კუთვნილებითი ნაცვალსახელების, აგრეთვე, ზმნების პარადიგმათა წარმოდგენის შემდეგ (მცირეოდენი მსჯელობითურთ! – იხ. გვ. 360-361) წიგნში მოცემულია ქართული დიალექტების (იმერული, ინგილოური¹⁰, ხევსურული), მეგრულის, ლაზურისა და

⁷ **გზალ** თანამედროვე სვანურში, ძირითადად, „შეილს, ბავშვს“ (ზოგადად, სქესის გარეშე!) აღნიშნავს, თუმცა მოხუცები, როცა **გზალ**ს **დნა**ს („ქალიშვილი“) უპირისპირებენ, მაშინ ამ ლექსებში ისინი მხოლოდ „ვაჟს/ბიჭს“ გულისხმობენ, რაც, რ. ერკერტის საანალიზო მონოგრაფიის გარდა, შენიშნულია ჩ. გუჯეჯიანისა და ლ. პალმაიტის ერთობლივ ნაშრომშიც Upper Svan (1986: 26-33).

⁸ წიგნში შეცდომა – დაბეჭდილია **rekha** (გვ. 359).

⁹ წიგნში ამ ფუძის ხან სწორი ტრანსკრიფციაა (**xoča-md**) მოცემული, ხანაც – მცდარი (**xoča-m**).

¹⁰ რ. ერკერტთან თანამშრომლობდა და მას ქართველურ ენათა დიალექტურ მასალეს (აგრეთვე, თავის დაკვირვებებსაც!) აწვდიდა კავკასიაშიც და ბერლინშიც ნ. მარის უერთგულესი მოწაფე, „ქართული გრამატიკის“ (ტფილისი, 1906) ავტორი მოსე ჯანაშვილი. ჩვენთვის ხელმისაწვდომი შრომების ანალიზიდან გაირკვა, რომ **პირველად** სწორედ „კავკასიური ძირის ენებშია“ ერთმანეთთან დაკავშირებული ქართული (და არა სვანური!) მოთხრობითი ბრუნვის – **მ** მორფემა (განსაზღვრული ნაწევრისგან მომდინარე, აკადემიკოს მარი ბროსეს მიხედვით, – იხ. Brosset 1834: 43) და ჩერქეზული განსაზღვრული ნაწევარი **მ** (Ercert 1895: 368). ეს დაკავშირება ალბათ მ. ჯანაშვილისეულია!

სვანურის რიცხვის, ბრუნვისა თუ პირის აღმნიშვნელი მორფემები სახელისა (არსებითი, ზედსართავი, ნაცვალსახელი) და ზმნისა სათაურით „ქართველურ ენათა გრამატიკული ტაბულა“ (გვ. 361-364).

რატომდაც ბრუნვისა და რიცხვის მორფემები რ. ერკერტს მეშველი ზმნა ჰგონია სვანურში: მხ. რ. ტვეტ „ხელი“ – ნათ. ტოტ-ო, მიც. ტვეტ-ს; მრ. რ. ტვეტ-არ, ნათ. ტოტ-რე, მიც. ტვეტ-არს (იხ. გვ. 305).

მისი აზრით, ქართველურ ენებში (სვანურის გარდა) თვლის ოცობითი სისტემაა გაბატონებული, ხოლო სვანურსა და ზოგ მთის კავკასიურ ენაში – ათობითი (გვ. 369).

რ. ერკერტი ჯერ კიდევ საუკუნენახევრის წინ წუხდა, არა გვაქვს იბერიულ ენათა შედარებითი გრამატიკაო (გვ. 387). **იგივე საწუხარი დღესაც ძალაში რჩება.**

რ. ერკერტის შრომაში 545 სიტყვა და 169 ფრაზა თარგმნილია 30 კავკასიურ ენაზე; სვანური მასალები რატომდაც სულ ბოლოსაა, ხოლო პირველია ხუნძური ენის მონაცემები, მაგრამ წიგნის დასასრულს, კავკასიურ ენათა კლასიფიკაციის წარმოდგენისას, პირველად სამხრეთკავკასიური, ანუ იბერიული ენებია დასახელებული, რომელთაც სწორედ სვანური მეთაურობს. იქვეა ნათქვამი: „იბერიული ენები ერთი დედის შვილებს მოგვაგონებენო“.

არნ. ჩიქობავას აზრით, „კავკასიური ძირის ენები“ პირობითად თუ მიიჩნევა რ. ერკერტის ნაშრომად, რადგანაც მასალის მხოლოდ ნაწილი ეკუთვნის წიგნის ავტორს, ხოლო გრამატიკული მიმოხილვა შექმნილია ბრესლავის უნივერსიტეტის პრივატდოცენტის, ორიენტალისტ ბეერის მიერ. დიდებული კავკასიოლოგი დაასკვნის: „უკმარი ლექსიკური მასალის შეპირისპირება და ზერელე გრამატიკული მიმოხილვაც კი, თუ ყველა კავკასიური ენის ჩვენებას მოვეუხმობთ, ხელშესახებს ხდის ქართველურ და მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიულ-გენეზისურ ერთობას, რასაც ცხადყოფს ფრ. მიულერის წინასიტყვაობაც“ (ჩიქობავა 1965: 259-261).

§ 6. ჰუგო შუხარდტი

იმავე წელს და იმავე ქალაქში გამოვიდა შესანიშნავი ავსტრიელი ენათმეცნიერის ჰუგო შუხარდტის ორი მნიშვნელოვანი ნაშრომი: *Über das Georgische*, "Selbstverlag des Verfassers" და *Über den passiven Charakter des Transitivs in den kaukasischen Sprachen*, "Sitzungsberichte der Kais. Akademie des Wissenschaften in Wien", Bd. 133. პირველ მათგანში ის გახაზავს, რომ ქართული ენა უნდა იყოს ამოსავალი ქართველურ ენათა შედარებითი შესწავლისათვის და, ორაზროვნობის თავიდან ასაცილებლად, გვთავაზობს, ტერმინ „იბერიულის“ ნაცვლად გამოვიყენოთ „ქართველური“. აქვე ჰ. შუხარდტი აკრიტიკებს ალექსანდრე ცაგარელს, რომელმაც გამოაქვეყნა „მეგრული ეტიუდები“ და არც სვანურ-ლაზური დაუტოვებია უყურადღებოდ, მაგრამ არ განუხორციელებია ის მიზნები, რაც თავისი სამეცნიერო მუშაობის დასაწყისში დასახა ამ მიმართულებით (იხ. გვ. 5).

ჩვენი საანალიზო პრობლემისათვის "Über das Georgische" მეტად მნიშვნელოვანია მე-14 გვერდზე წარმოდგენილი შემდეგი მიგნების გამო:

„ვფიქრობ, რომ ერთი ახალი ბრუნვა აღმოვაჩინე – ძალიან ძველი, ზმნისართული მნიშვნელობით ხმარებული; ბოლოვდება ივ-ით და აქვს მოქმედებითის ანდა ზმნისართული მიცემითის მნიშვნელობა: ძლ-ივ, ძლ-ივ-ს, სხვაფრ-ივ (შდრ. არასფრ-ით), მხრ-ივ (= მხრ-ით), მარჯვნ-ივ, მარცხნ-ივ, ოთხ-ივ კუთხ-ივ, ღვთ-ივ... ამ ვ-ში იგივე ვ უნდა გვექნდეს, რაც სვანურ მიცემითში აქვს ზოგ სახელს (მაგ. ღერბათ-ვ „ღმერთს“) და რომელიც მოქმედებითის შ-ვ'ში მონაწილეობს (-შ ნათესაობითისაა)“¹¹.

სვანური ბრუნების მომდევნო მკვლევრებმა თითქმის ყველამ გაიზიარა მოქმედებითი ბრუნვის მორფემის შუხარდტისეული გენეზისი, თუმცა ამ ძალზე საინტერესო მიგნების ავტორზე მითითება ზოგჯერ ავიწყდებათ ხოლმე.

¹¹ მაგრამ ნათესაობითის მორფემა მხოლოდ თანხმონებით ელემენტისგან რომ არ შედგება? – მას წინ უძღვის ხოლმე -ო-, -ე- ან ფუძისეული -ა- ხმოვანი.

§ 7. ბესარიონ ნიჟარაძე

1911 წელს „ძველი საქართველოს“ II ტომში დაიბეჭდა „თავისუფალი სვანის“ (ბ. ნიჟარაძის) „მოკლე განხილვა სვანური გრამატიკისა“,¹² რომელიც მოგვიანებით (2013 წელს) ცალკე ბროშურის სახით გამოსცა ლელა ნიჟარაძემ. მცირე მოცულობის მიუხედავად, „მისი მნიშვნელობა ქართველურ ენათა შესწავლის ისტორიაში განუზომელია: ესაა პირველი ნაშრომი, სვანური ენის გრამატიკის საკითხებზე დაწერილი, ქართულ ენაზე... მასში მოკლედ არის საუბარი უმნიშვნელოვანეს გრამატიკულ მოვლენებზე“ – ნათქვამია წინასიტყვაობაში (ჭუმბურიძე 2013: 3-5). აქვე დაბეჭდილია ჩვენი შესანიშნავი უცხოელი კოლეგის, პროფესორ ვინფრიდ ბოედერის შეფასების ფოტოპირიც ბ. ნიჟარაძის „ქართულ-სვანურ-რუსული ლექსიკონის“ შესახებ:

თავისუფალი სვანისა და სვანური ენის
უკლებესი მდიდრის მანდა გაცხადებით
მწვენილი სახეებისაჲს, ატყენს სხვადგანა
წინასწორს ადგილსაჲსსი შექვიძრუისაჲს
წინასწორისაჲსსი დაჲსსი მათი მოგონებებისაჲს
ქართულ ენაზე, ეს წიგნი ქართველთაჲს
დაიბნა სასაუბროსა და საქარისა და მანდა
საბუთად დაჲსსი.
ვიქნებოხელ ვმადლო წიგნსაჲსსი დაჲსსი.

ვიქნებოხელ ვმადლო წიგნსაჲსსი დაჲსსი.
ვიქნებოხელ ვმადლო წიგნსაჲსსი დაჲსსი.

თავის დროზე დიდ ილია ჭავჭავაძეს ასე უთქვამს ბესარიონ ნიჟარაძისთვის: „თუ შენ საქართველო ოდნავ მაინც გიყვარს, სვანეთში უნდა წახვიდე და იქიდან ამოგვიდგე უღელში“-ო (გაზეთი „სახალხო საქმე“, №253, ტფილისი, 1919).

ღრმად განსწავლულმა პიროვნებამ და არაერთი ქართველი თუ უცხოელი მეცნიერის (მათ შორის, დიდი ექვთიმე თაყაიშვილისა და ნიკო მარის) გულითადმა მასპინძელმა ღირსეულად შეასრულა თავისი მამულიშვილური ვალი როგორც საზოგადო მოღვაწემ და სვანეთის ისტორიისა თუ ეთნოლინგვისტური პრობლემების ნიჭიერმა მკვლე-

¹² მიუხედავად იმისა, რომ 1911 წელი აღარ არის XIX საუკუნე, ბ. ნიჟარაძეს თავისი „მოკლე განხილვა“ უკვე კარგა ხნის დაწერილი ჰქონდა, ვიდრე დაიბეჭდებოდა, ამიტომ ამ ნაშრომზე მსჯელობა უპრიანია XIX საუკუნის მოღვაწეთა შემდგომ.

ვარმა. მთავარი მაინც ისაა, რომ ძირძველი უშგულელი სვანის, სოფელ იფარის სკოლის პედაგოგისა და მესტიის მღვდელმთავრის მიერ **გაანალიზებული მასალა, ძირითადად, სანდოა და უშეცდომო, განსხვავებით ხესარიონ ნიჟარაძის წინამორბედთაგან**. ამიტომაც სრულიად სამართლიანად უწოდა მას აკადემიკოსმა აკაკი შანიძემ „სვანეთის ბურჯი“ (ნიჟარაძე 1964: 4-6).

ნაშრომის ფონეტიკურ ნაწილში გაცილებით სრული ანალიზია წარმოდგენილი (შენიშნულია სვანური ენის სპეციფიკური ფონემები: **გ, ჯ, ძ, ნაუმლაუტარი პ, რომელსაც ნიჟარაძე „რბილ პ“ს უწოდებს, ზს დელაბიალიზაციით მიღებული ყრუ ჟ, რომელიც უდრისო ფრანგულ eu‘ს, ხმოვანთა ელიზია**), ვიდრე მორფოლოგიურში.

გამოყოფილია ხუთი ბრუნვა, რომელთა შორის მოთხრობითიგ შედის თავისივე **-ემ, -დ** მორფემებით, ოღონდ ამ ბრუნვას „სახელობითი 2“ ჰქვია (**მარემ „კაცმა“, დომდულდ „მთვარემ“**).

რაც შეეხება მიცემითს, აქ მისი მაწარმოებლობია: **-ს, -დ** (თანამედროვე ვითარებითი), **-თე, -მუყვ** (ე. ი. თანდებულები, დღევანდელი გაგებით).

აჩად ქუთაშდ თარგმნილია როგორც „წავიდა ქუთაისად“, რომელსაც აქვს შემდეგი შენიშვნა: „ძველ მწერლობაში ხმარობდნენ: კაპერნაუმად, იერუსალიმად, ქუთაისად და სხვ.“ (იხ. გვ. 12).

ნათესაობითის დაბოლოებათა სიმრავლე აშკარადაა თვალში საცემი „მოკლე განხილვაში“, რასაც განაპირობებს ამ ბრუნვის შეკვეცილ და სრულ ალომორფთა (**-მ, -ა, -შ, -იშ, -ემ**) ცალ-ცალკე წარმოდგენა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ბ. ნიჟარაძემ შენიშნა **-ნ** მორფემა (რომელსაც მისი ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ ნიკო მარმა „საკუთრივ სვანური“ უწოდა), ოღონდ მას იგი ხან ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოება ჰგონია (**-ქა „გარდა“ თანდებულებიან კონსტრუქციაში: დიარგნქა „პურის გარდა“**) და ხანაც მოქმედებითისა (**სგაჰინ გოშია, მარან-ქა, თხვიმუნ-ქა, ლეჯან-ქა, ლითინ-ქა, გვიშგენ-ქა, ქაიშგენ-ქა, ჰყივარგენ-ქა**¹³; ამ უკანასკნელ ფორმებს ზოგიერთი ზმნა და თანდებული განაპირობებსო – გვ. 13); ბ. ნიჟარაძეს სწორად შეუნიშნავს **ლიგჟშილე** („ავსება“) ზმნისგან ნაწარმოებ ფორმათა ნარ’იან ბრუნვასთან მიმართების სპეციფიკა, ოღონდ ანალოგიურ შემთხვევებში **-ნ/-გნ** ვითარებითის ფუნქციით გამოიყენება და არა მოქმედებითისა

¹³ სეგმენტაცია ნიჟარაძისეულია და სვანური ფორმები მოყვანილია ქართულ შესატყვისთა გარეშე.

(**ჟარჩხილ-ინ გოშია**'ს მსგავსი სინტაგმები არაერთია ძველი სვანური ხალხური სიმღერების ენაში, მაგრამ ის „ვერცხლად სავსეა“-ს უდრის – შდრ. თანამედროვე **ჟარჩხილ-ნ/დ გჟემი**). როგორც ჩანს, ბ. ნიჟარაძე საანალიზო სინტაგმათა ქართული თარგმანის გავლენის ქვეშ მოექცა. გარდა ამისა, ბრუნვათა სისტემაში მას ვითარებითი არც შეუტანია.

სწორადაა გამოყოფილი მოქმედებითი ბრუნვის **-შვ** დაბოლოება (**ჯანშვ** – ხარით, **მერჩილშვ** – ცელით, **ჩაწემშვ**¹⁴ – ცხენით, **შივშ** – ხელით, **კვშვშვ** – ფეხით), ოღონდ **-ში** თანხმოვნის გამოცხადება მოქმედებითი ბრუნვის მორფემად, ვფიქრობთ, გაუმართლებელია. ამ წესს არ ახლავს საილუსტრაციო მასალა – ალბათ, ბ. ნიჟარაძე ამ შემთხვევაში **-ა** აულსლაუტიან სახელებს გულისხმობს, სადაც მართლაც გვაქვს **-ში**, მაგრამ ის **-შვ** მორფემის ალომორფია, გარკვეულ ფონეტიკურ კოზიციიაში მიღებული (**დინოშ < დინა-ჟშ < დინა-ში** „ქალიშვილით, გოგონათი“). სწორედ ამის გამო თქვა ალბათ „მოკლე მიმოხილვის“ ავტორმა: „მოქმედებითი ბრუნვა თითქო დღემდე ვერ გამაგრებულია თავის ფორმაში, ისე რყევამია“ (გვ. 13).

პარადიგმატულ ერთეულში **მარა-(ს)** „კაცს“ მიცემითი ბრუნვის ძირითადი ნიშანი **-ს** ფრჩხილებშია ჩასმული, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ბრუნვა სხვაგვარადაც იწარმოება.

სახელობითი (1)'ის მაწარმოებლებზე საერთოდ არ მსჯელობს სტატიის ავტორი, ოღონდ მრავლობითის ფორმათა მაგალითებში დასახელებულია ერთი ისტორიული გვარი – ესაა **რუჩეგიაწარე** („რუჩეგიაწარე“), რომელსაც ახლავს შენიშვნა: დაბოლოება **ე** გვხვდება ხალხურ სიმღერებშიო; ე. ი. **-ე** ბ. ნიჟარაძისთვის სახელობითი ბრუნვის ნიშანი კი არ არის, როგორც ეს არც მთლად საყოველთაოდაა აღიარებული სპეციალურ ლიტერატურაში, არამედ მრავლობითობის მის მიერ გამოყოფილ მორფემათაგან ([**ა**]ლ, [**ა**]რ, **ა**, **უ**, **ე**) ერთ-ერთი.

რაც შეეხება წოდებითს, რომელიც ბრუნვათა რიგშიც კი არ შეჰყავს ბ. ნიჟარაძეს, მას „თუ არ აზრით, ისე ფორმით ვერ განასხვავებ სახელობითი ბრუნვისაგან“ – აღნიშნულია ნაშრომში, რომელშიც **სა-მი გრამატიკული რიცხვია გამოყოფილი: მხოლოობითი, ორობითი და მრავლობითი**, მაგრამ **-ა** ხმოვანი (**ლახვზა** „ორი ძმა“, **ლავდილა** „ორი და“, **ლაჩყა** „ორი სიძე“,... ერთი მხრივ, და **მვთა** „მკელნი“, **მგვმა** „მთი-

¹⁴ თანამედროვე ტრანსკრიფციით ჩაწემჟ.

ბავნი“, მკლდლა „მწყემსები“, მეორე მხრივ), მისი აზრით, ორობითსაც აწარმოებს და მრავლობითსაც. პირველ შემთხვევაში, ცხადია, ლა- - ა აფიქსთან გვაქვს საქმე და არა ორობითის -ა ნიშანთან.

ამგვარ სახელებს თავის დროზე პ. უსლარმაც მიაქცია ყურადღე-
ბა, ოღონდ მათთვის „ორობითის“ ფორმები კი არ უწოდებია, არამედ –
„მრავლობითი რიცხვის უწესო წარმოება“ (Устарь 1887: 107),
ამასთანავე, საინტერესოა, რომ მან ლახვბმალ დააფიქსირა (და არა
ლახვბა), რომელიც იშვიათად დღესაც გამოიყენება სვანური ენის ცალ-
კეულ დიალექტებსა და კილოვაკებში (თანაც -ა- შეიძლება არც იყოს
ფორმაში), მაგრამ ძირითადი მაინც არის ლა-ხჷმ-ა („მშები“). პ. უსლა-
რისეულ ლახვბმალ ში -ა- ალბათ მრავლობითობის მორფემის ხმოვ-
ნისეული უმლაუტის მაჩვენებელია. ბ. ნიჟარაძეს აქვს ლახვბაწლ
(ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა ყოფილიყო ლახვბაწლ. „მოკლე განხილვის“
ავტორი ხომ გრძელი ხმოვნის ნაცვლად ორ ხმოვანს წერდა, ხოლო,
თუ ამგვარი ფონემა იმავდროულად უმლაუტიანიც იყო, მაშინ შესაბა-
მის სიმბოლოს – ორ წერტილს ორსავე ხმოვანს უკეთებდა). რაც შეეხე-
ბა პ. უსლარს, მან, ცხადია, ვერც უმლაუტი შენიშნა და ვერც ხმოვანთა
სიგრძე, მაგრამ ლახვბმალ ჩანაწერი სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ
მკვლევარმა იგრძნო რბილი წარმოთქმის მსგავსი რაღაც, რომელიც j
გრაფემით გამოსახა.

„თავისუფალი სვანი“ (ბ. ნიჟარაძის ფსევდონიმთაგან ერთ-ერთი)
დიდი სიამაყით აცხადებს, რომ „ა, უ და ე დაბოლოება არც ერთს
ავტორს, რომელთაც სვანურზე რაიმე უწერიათ, არა აქვთ ნახსენები“
(გვ. 14). მრავლობითის -ა და -უ მორფემა სწორადაა შენიშნული, რაც
მოხერხებული მაგალითებითაა ილუსტრირებული, ძირითადად,
მოქმედებითი (მგჷმა < *მგ-ჷემ-ა „მთიბავნი“,...) ან ვნებითი გვარის
(ლგდგარუ < *ლგ-დაგ-არ-უ „მკვდარნი“) მიმღეობათაგან. რაც შეეხება
-ე ხმოვანს, მის შესახებ მხოლოდ სამი მაგალითია მოყვანილი (რუჩე-
გიან-არ-ე, მახელვაჷ-არ-ე „ახალგაზრდა ვაჟკაცი“, ლგემ-ალ-ე „და-
მხრჩვალნი“) და არც ერთ მათგანში -ე არ არის მრავლობითის ნიშანი
(ის სახელობითი ბრუნვის მორფემა!)¹⁵. ამ ფორმებში მრავლობითობას
გადმოსცემენ -არ/-ალ სუფიქსები.

¹⁵ განსხვავებული თვალსაზრისისათვის იხ. მ. ჯალდანი, სახელობითი ბრუნვისა
და მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელ სუფიქსთა საკითხისათვის სვანურში,
„ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“, ტ. IV, თბილისი, 1974 და ალ. ონიანი,
სვანური ენა, თბილისი, 1998.

ბ. ნიჟარაძე ასახელებს პირის, კუთვნილებით, კითხვით და განუსაზღვრელობით ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ე ბ ს და მეტად საგულისხმოა, რომ სვანურ ეჯი, აჯა ლექსებებს (ეს უკანასკნელი მხოლოდ გამოკვლევის ავტორის მშობლიურ მეტყველებაში – ბალსზემოური დიალექტის უმგულურ კილოკავში იხმარებოდა მაშინ და გამოიყენება დღესაც!) უდარებს მათ ფონმათმესატყვისებს – ქართული ენის გურული დიალექტის ეგი და აგი ფუძეებს (გვ. 15).

ბ. ნიჟარაძე ეხება ზ ე დ ს ა რ თ ა ვ („თვისებით“) ს ა ხ ე ლ თ ა შედარებით (ხო- პრეფიქსიან) და აღმატებით (მა- პრეფიქსიან) ხარისხთა ფორმებს (გვ. 16), თუმცა მოჰყავს აღწერითი წარმოების მაგალითებიც (ხოთთვენა – უფრო თეთრი, მათთვენე – უუთეთრესი, მაგრამ: ჩინ ხო-მა თვეთნე – ყველაზე უფრო თეთრი). საგანგებოდაა ხაზგასმული, რომ „ბრუნვებში თვისებითი სახელი ეთანხმება სახელ არსებითს“. ცხადია, მსაზღვრელ-საზღვრულის პარადიგმატულ მიმართებათა საკითხი მხოლოდ ამ ერთი ფრაზით არ ამოიწურება. დღეს ბრუნვაში შეუთანხმებლობის ფაქტები უფრო ხშირია, ვიდრე შეთანხმებისა – XIX საუკუნეში დაფიქსირებული ტექსტებიდანაც იგივე ვითარება შეინიშნება. ეს მოვლენა თავის დროზე სრულიად ადეკვატურად ასახა ალ. ცაგარელმა: „В лазском, мингрельском и сванетском прилагательное непременно предшествует своему существительному и никогда не склоняется (Цагарели 1872: 42-43). სვანური ენის შემთხვევაში ალ. ცაგარელი ალბათ მხოლოდ თანხმოვანფუძიან სახელებს გულისხმობდა.

ბ. ნიჟარაძის აზრით, რიგობითი რ ი ც ხ ვ ი თ ი ს ა ხ ე ლ ი არსებობს მხოლოდ ათამდე (მერმე – მეორე, მემჩხრე – მეცხრე, მემშდე – მეათე). როგორც ჩანს, ავტორს მხოლოდ მარტივი ფუძეები ჰქონდა მხედველობაში. ასევე, სვანური თვლა მარტო ათამდეა ქართულისებური, მერე კი განსხვავებულია (ერვემდ ი ოხვიმდ – „ორი ათი და ხუთი“, ანუ ოცდახუთი), ხოლო „სამეგრელოსთან დაახლოებულ სვანეთში“ ოცამდე გაბატონებულია თვლის ათობითი სისტემა, შემდეგ კი იგი ქართულ-მეგრულ თვლას უახლოვდებაო (გვ. 17): სემ ერვემდ ი ემდ იშგვიდ („სამი ორ-ათი და ათ-შვიდი“ = სამოცდაჩვიდმეტი).

ამკარაა, რომ ამ მსჯელობაში ასახულია ათობითი და ოცობითი თვლის სისტემის დიფერენცირების წესები სვანური ენის სხვადასხვა დიალექტის მიხედვით.

§ 8. ოლივერ უორდროპი

საგულისხმოა, რომ ოლივერ უორდროპის English-Svanetian Vocabulary („ინგლისურ-სვანური ლექსიკონი“)ში (1911 წ.), რომელსაც აშკარად ეტყობა მისი ავტორის თანამშრომლობა ივანე და ბესარიონ ნიჟარაძეებთან, ხაზგასმითაა აღნიშნული: „ჩვენ არ ვცდილვართ ზემო და ქვემოსვანური დიალექტების ერთმანეთისაგან გარჩევასო“ (იხ. გვ. 590). ალბათ ამის გამოა, რომ მასში რიცხვითი სახელები ფიქსირებულია როგორც ათობითი, ისე ოცობითი თვლის სისტემის მიხედვით:

სემეზდ („სამ ათი“) / **ერვეშთიეშთ** („ორ ათი და ათი“) – 30,

გოშთხვეშდ („ოთხ ათი“) / **ურიწერვეშთი**¹⁶ („ორჯერ ორი ათი“) – 40.

ამ ლექსიკონში კითხვითი და მიმართებითი ნაცვალსახელები თუ შესაბამისი ზმნისართები ერთმანეთისგან გათიშული რომ არ არის, ეს მკვლევრის ინგლისურენოვნობის ბრალი კი არაა (აბესაძე 1982: 303), არამედ იმის, რომ, როგორც XX საუკუნის დასაწყისში, ისე დღესაც სვანური ენის არაერთ კილოკავში (განსაკუთრებით არქაულობით გამორჩეულებში, მათ შორის უშგულურშიც!) ისინი ერთმანეთისაგან მხოლოდ კონტექსტით განსხვავდებიან (შდრ. ძვ. ქართ.). ესეც და სხვა არაერთი ფაქტი უცხოელ თუ ქართველ მეცნიერ-მოგზაურთა მიერ ფიქსირებულ სვანურ მასალასთან ივანე და ბესარიონ ნიჟარაძეების უშუალო კონტაქტის ასახვაა.

¹⁶ ალბათ შეცდომაა, აუსლაუტში არც -ო იყო მოსალოდნელი და არც ყრუ თანხმოვანი.

§ 9. ძველი ჩანაწერები და დიგიტალური ტექნოლოგია

ბალსქვემოური მასალა გვხვდება ა. სტოიანოვის (СМОТК, X, 1890) ჩანაწერებში, ხოლო ლენტეხური დიალექტი საერთოდ არ ყოფილა გაანალიზებული ადრინდელ მკვლევართა მიერ.

უფრო ძველი, უფრო ახალი – რელატიური (ფარდობითი) ქრონოლოგიის ცნებებია, აბსოლუტური ქრონოლოგია საჭიროებს დოკუმენტაციას (Чикобава 1982: 232).

ძველ ჩანაწერებს რომ გარკვეული მნიშვნელობა (არამხოლოდ ისტორიული!) აქვთ დღესაც, ეს კარგად გამოჩნდა მაინის ფრანკფურტის ვ. გოეთეს უნივერსიტეტთან არსებული ემპირიული ლინგვიტიკის ინსტიტუტის პროექტებიდან, რომელთაც ხელმძღვანელობს პროფ. იოსტ გიპერტი. ერთ-ერთი სტატია "Towards a Corpus Caucasicum Building a Corpus from Unstructured Data (Corpus Caucasicum-ის შესახებ კორპუსის აგება არასტრუქტურული მასალიდან)", რომელშიც გაანალიზებულია XVII-XIX საუკუნეებში ფიქსირებული ტექსტები კავკასიური ენებისა, მათ შორის სვანურისაც (იხ. Gippert 2015: 149-165), უკანასკნელ ხანებში დაიბეჭდა „ტიპოლოგიური ძიებანი“ VII ტომში. მეტად მნიშვნელოვანია ის, რომ ი. გიულდენშტედტის, ა. ბართოლომეს, ა. გრენის, პ. უსლარის, ი. კლაპროთის ჩანაწერები, აღსაქმელად რომ უფრო ადვილი იყოს მკითხველისათვის, წარმოდგენილია საერთაშორისო უნიკოდში მიღებული თანამედროვე ტრანსკრიფციით, სადაც ლათინური ასოები გვხვდება დიაკრიტიკული ნიშნებითურთ (საჭიროებისამებრ!). ამის შედეგად გვაქვს 48 გრაფემა სვანურისათვის. აჯობებდა ყოფილიყო 50 – ჯ და ჯ გრაფემებითურთ, რომლებიც ჩვენ ყველგან დავამატეთ მორფემათა ზღვარზე ჩვენ მიერ გამოცემულ გამოკვლევებში, ტექსტებში, ლექსიკონებსა თუ ვ. თოფურიას „სვანური ენის სახელმძღვანელოში“. ი. გიპერტის უნიკოდში (Titus mxedruLi და მისთანები) ჯ და ჯ არის, მაგრამ გამოუყენებელია, რადგანაც შესაბამის პროექტა წევრები ვერ გრძნობენ მათი მოხმარების აუცილებლობას სვანური ენის პრაქტიკული უცოდინრობის გამო.

**§ 1. ნიკო მარი და სვანური ენის
(კერძოდ, სახელთა ბრუნების)
მეცნიერული შესწავლის დასაწყისი**

სვანური ენის მეცნიერული შესწავლის დასაწყისი უკავშირდება აკადემიკოს ნიკო მარის მოღვაწეობას. ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია, რომ მისი ამ პროფილის პირველივე სტატია სწორედ სვანური ბრუნების ძალზე არქაულ ტიპს, ე. წ. წარიან სისტემას ეხება და ტერმინიც „საკუთრივ სვანური ბრუნება“ სწორედ ამის შემდეგ დამკვიდრდა სპეციალურ ლიტერატურაში. ნაშრომი დაბეჭდილია იმ დროის სანკტ-პეტერბურგის ყველაზე პრესტიჟულ გამოცემაში (იხ. Гдѣ сохранилось сванское склонение?, "Известія Императорской академіи наукъ", 1911: 1199-1206). სამწუხაროდ, დიდ მეცნიერს გამოუქვეყნებელი დარჩა სვანური ენის გრამატიკა, რომელსაც ვერც ჩვენ მივხედეთ ისე, როგორც საქმე მოითხოვდა, თუმცა ენათმეცნიერების ინსტიტუტის ერთ-ერთი თანამშრომელი (რ. ჭკადუა) თავის დროზე სწორედ ამ გრამატიკის შესასწავლად მიავლინეს ლენინგრადში.

გენიოსები თითქოს გრძნობენ რაღაცას სიკვდილის წინ მათი მემკვიდრეობის შეფასებასთან დაკავშირებით. როგორც გადმოგვცემენ, თურმე ნიკო მარი ასე ევედრებოდა ექიმებს: "Мне некогда умереть; дайте мне оформить хоть одну работу" (მეგერელიძე 1935).

მიუხედავად იმისა, რომ სტატიაში გარკვეული საკითხები ახსნილია არაბული ენის სახელთა ბრუნების სისტემიდან ამოსვლით და, სწორედ მცდარი მეთოდოლოგიური მიდგომის გამო, გამოტანილია არა-დამაჯერებელი დასკვნები, მაინც საინტერესოა ის, რომ მასში პირველად და დასმული ბრუნვის მორფემათა გენეზისის საკითხი. გარდა ამისა, ნ. მარს მოჰყავს მეტად ორიგინალური კლასიფიკაცია სვანური ენის დიალექტებისა შესაბამისი აბრევიატურებითურთ: **თავრარული** (таврарскій говоръ – თრ.), **ლახამულური** (лахамульскій говоръ – ლა.) ქვემოენგურული მეტყველებისა (нарѣчія), **მუჯალური** (мужальскій – მ.) და **მულახური** (мулахскій – მ.) ზემოენგურული მეტყველებისა (нарѣчія), **უშკულური** (ушкульскій – შკ.), **ლაშხეთური** (лашхетскій – შხ.) ზემოცხენისწყლური

მეტყველებისა (нарѣчя) და ჩოლურული (чолурскій – ч.). ამ სტატიაში ლენტეხურის შესახებ არაფერია ნათქვამი, მაგრამ ორი წლის შემდეგ (1913 წ.) "Христианский Восток"-ის II ტომში, სანკტპეტერბურგში, გამოქვეყნდა ნიკო მარის სვანეთში მოგზაურობის დღიური "Из поездок в Сванию", სადაც აღნიშნულია:

"Установлены четыре наречия (ხაზი ჩვენია – ო. წ.): верхне-лашхурское¹⁷ или лашхское, ниже-лашхурское или лентехо-чолурское, верхне-ингурское, ниже-ингурское и **особо в ниже-ингурской диалектической среде лахамульское** (ხაზი ჩვენია – ო. წ.)... Выяснено, что иногда в ближайшем родстве находятся говоры отдельных, теперь далеко друг от друга стоящих пунктов, так, напр., поразительны лексические совпадения Таврара, села на крайнем западе ниже-ингурской Свании, с одним из говоров Цхенис-цкальской Свании, именно с лентехским" (გვ. 15-16). ნ. მარის ამ განცხადებას ადრე მაინცადამაინც ყურადღება არ მიჰქცევია, მაგრამ საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ უკანასკნელ ხანებში ბალსქვემოურ და ლენტეხურ დიალექტთა ურთიერთმიმართების შესახებ რამდენიმე მოხსენება იქნა წაკითხული ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერთანამშრომლის ლამარა ბაბლუანის მიერ.

სვანური ენის ოთხი ძირითადი დიალექტის შესახებ მსჯელობას ნ. მარი აგრძელებს შედარებით მოგვიანებით (1922 წ.) შექმნილ ნაშრომში "Извлечение из сванско-русского словаря".

სვანურ დიალექტთა კლასიფიკაცია და მათი დაყოფის საფუძვლები, გარდა ტერმინოლოგიისა, ნ. მარის დროიდან მოყოლებული, ფაქტობრივად არც შეცვლილა. ფონეტიკურ-ფონოლოგიური მახასიათებლების პარალელურად დიალექტთა ურთიერთგასამიჯნავად დიდი მეცნიერი იყენებდა ბრუნებისა თუ უღლების სისტემათა სპეციფიკას, აგრეთვე, სვანურის, როგორც ნარევი ენის, თავისებურებათა ანალიზს.

ჩვენში სპეციალისტები უფრო მეტ ყურადღებას აქცევდნენ სვანური ენის ფონოლოგიას (48 ფონემით გართულებულს) და სახელთა ბრუნებას, ხოლო უცხოელები სინტაქსით და ეტიმოლოგიური კვლევებით იყვნენ გატაცებულნი.

ბრუნების კლასიფიკაციები საგრძნობლად განსხვავდება ერთმანეთისგან, რადგანაც მკვლევრებს სხვადასხვა საკლასიფიკაციო ნიშნები აქვთ არჩეული: პირველი ჯგუფისთვის ამოსავალია ორფუძიანობა,

¹⁷ ტერმინი შექმნილია მდინარის ქვემოსვანური სახელწოდების (ლაშხურ) მიხედვით, თუმცა ალბათ лашхурское სჯობდა.

რომელსაც ქმნის -ემიანი ერგატივი (ზოგისთვის ნასესხები, ზოგისთვის ქართველური წარმომავლობისა), მეორე ჯგუფი ეყრდნობა მიცემითის წარმოებას და სამფუძიანობას ბრუნების პროცესში, ხოლო მესამე ჯგუფისთვის საკლასიფიკაციო ერთეულად მიჩნეულია ნათესაობითი ბრუნვის ფორმები.

იმდენად რთულია სვანური ბრუნება, რომ ამ ენის მეცნიერული შესწავლის ერთ-ერთი ფუძემდებელი აკადემიკოსი აკაკი შანიძე იძულებული გახდა, ელიარებინა: „ძნელია ნათლად გაერკვეს კაცი იმ არევ-დარეულ ფორმებში, რომელთაც იძლევა სვანური ბრუნება დღეს“, და ეს ითქვა ჯერ კიდევ 1924 წელს ფუნდამენტურ ნაშრომში „უმლაუტი სვანურში“; მას შემდეგ ხომ თითქმის საუკუნე გავიდა, ენათა კონტაქტებიც გაძლიერდა და ინტერფერენციის პროცესმა საგრძნობი გავლენა მოახდინა სვანური ენის მთელ სისტემაზე, მათ შორის ბრუნების სტრუქტურაზეც.

ნ. მარის კლასიფიკაციისთვის ამოსავალია ბრუნვის მორფმათა წარმომავლობა, ანუ საკუთრივ სვანური (წარიანი) და ქართული (ქაშდ-მოსოხური) ან ზანური (თუბალ-კაინური) სისტემებიდან ნასესხობის საკითხი. „Тде сохранилось сванское склонение“ ან სვანური ენისადმი მიძღვნილი სხვა შრომები (მაგალითად: „Тубал-каинский вклад в сванском“ – 1912, „Из поездок в сванию“ – 1913, „Яфетические элементы в языках Армении“ – 1911-1914, „Яфетические названия деревьев и растений“ – 1915, „Извлечение из сванско-русского словаря“ – 1922) „თავის დროზე ეგების გაუგებარი, კვლევის მეთოდის მხრივ ზადიანი, მაგრამ მიხვედრილობითა და დასკვნებით იშვიათი ღირებულებისა (ხაზი ჩვენია – ი. ჩ.), აღგვიდგენენ იმ ფორმანტებს, რომელთა არსებობა დღეს თითქმის მართლდება. ესენია -in, -im, -iv და -an, -am, -av (თოფურია 2002: 48).

შესანიშნავი შეფასება მისცა ნ. მარის ცნობილ თეორიას მისმა ღირსეულმა მოწაფემ კარპეზ დონდუამ: „ნ. მარმა მთლიანად უარყო სვანურში ამჟამად წარმოდგენილი ბრუნების სვანურობა იმიტომ, რომ ეს ბრუნება არ ეთანხმება, მისი აზრით, სვანური ენის ფონეტიკურ მოვლენებს. ისტორიულად სვანურს, ნ. მარის შეხედულებით, საკუთარი ბრუნება მოეპოვებოდა, მაგრამ დროთა განმავლობაში ის ნასესხებმა ბრუნებმა გააძევეს (იხ. Март 1911: 1199). მაშასადამე, სესხება მოხდა არა მორფოლოგიური სიღარიბის ნი-ადაგზე, არამედ ენათა შერევის პროცესში“ (დონდუა 1946: 171).

ნ. მარის შრომებში ძირითადი ყურადღება გადატანილია დღემდე მხოლოდ თანდებულის სახელებსა და გაქვავებულ ადვერბიულურ გამონათქვამებში შემორჩენილად მიჩნეულ ან ძალზე არქაულ ფრაზებში მოცემულ წარიან მიცემით-ვითარებითსა თუ ნათესაობით-ზე: **მწრა-ნ-ქა** („აპაცის გარდა“), **ლეთ-გნ-ღო** (ღამის შემდეგ“), **ა-მ-გნ-ქა** („ამას გარდა“), **მე-თხვ-იარ-ნ ხოჩა** („მონადირეზე უკეთესი“), **დწ-ნ მაყლუნი** („დევის მეშინია“), **ლეთ-ნ ი ლა-დეღ-ნ** („ღამით და დღით“)...

ჩვენი ყურადღება მიიქცია "Где сохранилось сванское склонение?"-ში მოყვანილმა ფრაზამ: **მწრან მად იკაფ ალა** ("От человека не следует ожидать этого")¹⁸ (გვ. 1204), რომელშიც მიცემითი ბრუნვის ნიშნად გამოყოფილია **-ან** (ე. ი. მასში ფუძისეული ხმოვანიც შედის) და რომელიც დღეს სვანურის არც ერთ დიალექტში უთანდებულოდ (შდრ. **მწრახენქა / მწრახანქა / მწრანქა**) აღარ იხმარება. ნ. მარის ეს მაგალითი და ჩვენი კვლევის შედეგები (იხ. „ქართველოლოგიური ძიებანი“, I, 1998: 48-61, 58-59, 76-77, 85, 123-124), ვფიქრობთ, აქარწყლებს გ. მაჭავარიანის, გ. კლიმოვის, ალ. ონიანისა და კ. გაბუნიას შეხედულებებს (იხ. ქვემოთ) **-ან/-გნ/-ნ**, **-ინ** მორფემათა მიერ მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვების ფუნქციებით გამოუყენებლობის შესახებ.

მოგვიანებით პოლიფუნქციური (მიცემით-ვითარებით-მიმართულებითი) ბუნების მქონე ბრუნვა საგანგებოდ გამოიკვლიეს ქ. ლომთათიძემ (1988: 148-155) და გ. თოფურიამ (1995: 46-79). აფხაზურ-აბაზურ ენებში ვითარებით-გარდაქცევითობის ფუნქციას გადმოსცემს ქართველურ ენათაგან შეთვისებული **-ს** (მიცემითობისა); მის პარალელურად აბჟურ დიალექტში შეიძლება შეგვხვდეს „გერუნდიული“ **-ნგ** სუფიქსი, რომელიც გაბატონებულია ბზიფურ მეტყველებაში, ხოლო აშხარულში **-ს** საერთოდ არა გვაქვს – შესაბამისი შინაარსის გამოსახატავად მხოლოდ **-ნგ** გამოიყენება. ეს უკანასკნელი კი შეიძლება უკავშირდებოდეს მარისეულ „საკუთრივ სვანური ბრუნების“ წარმომადგენელ **-ნ/-გნ**, **-ინ** მორფემებს, რომლებიც იმავე პოლიფუნქციური ბუნებისანი არიან.

¹⁸ ეს ფრაზა მ. ზავადსკის "Предисловие"-დან მომდინარეობს, ოღონდ ნ. მარს ზმნის პირიანი ფორმა გაუსწორებია – ინლაუტში **ა** (ალბათ ფუძისეული **-ა** ხმოვნის უძლაუტის აღსანიშნავად!) ჩაუმატებია.

§ 2. ადოლფ დირი

თავის დროზე მოქმედებითი ბრუნვის ბიფუნქციურობით, როგორც ჩანს, ჩვენი უცხოელი მკვლევრებიც დაინტერესდნენ.

ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა ადოლფ დირის მსჯელობა წიგნში "Арчинский язык" (1908): ეს ფორმა მოქმედის აღსანიშნავად მეტწილად მაშინ იხმარება, როცა თავად მოქმედი III პირითაა გადმოცემული, ხოლო I და II პირის ნაცვალსახელები ხშირად მოქმედებით ბრუნვას არ განასხვავებენ სახელობითისგან. ამ მხრივ სხვაობა, ერთი მხრივ, I-II პირებსა და, მეორე მხრივ, III პირს შორის ქართველურ ენებში ახლაც დაცულია, ზოგიერთ კავკასიურ ენაში კი I და II პირის ნაცვალსახელებს გაუჩნდათ ერგატივი (გვ. V).

დიდი ეთნოლინგვისტის კალამს ეკუთვნის, აგრეთვე, 1928 წელს ლაიფციგში დასტამბული მონოგრაფია *Einführung in das Studium der kaukasischen Sprachen* („შესავალი კავკასიურ ენათა შესწავლაში“), რომლის ავტორს „კავკასია ენათა ლაზორატორიად წარმოედგინა“ (იხ. გვ. 40). მის საკმაოდ ვრცელ წიგნში ქართველური ენების განხილვას 43 გვერდი (57-100) აქვს დათმობილი.

ა. დირს გამოყენებული აქვს СМОНПК-ის X და XVIII ტომებში გამოქვეყნებული მასალები, პ. უსლარისა და მ. ზავადსკის შრომები, აგრეთვე, ივანე ნიჟარაძის "Русско-сванский словарь", რომელთა არაერთგვაროვან ხასიათს მკვლევარი საგანგებოდ უსვამს ხაზს (იხ. გვ. 113).

საანალიზო ნაშრომის პარადიგმატულ სისტემებში წარმოდგენილია მხოლოდ ექვსი (ნომინატივი, გენეტივი, დატივი, ერგატივი, ინსტრუმენტალისი, ალატივი) ბრუნვა, მსჯელობისას კი – უფრო მეტია, რადგანაც თანდებულისანი ფორმებიც გარკვეულ ბრუნვებადაა ჩათვლილი (გვ. 114-115):

1. ნომინატივის შესახებ არაფერია ნათქვამი;

2. გენეტივი იწარმოება -ი, -ა, -ემი, -ამი ელემენტთა მეშვეობით, რომელთაც დაერთვით ემფატიკური (და ძველი?) -შ¹⁹, პ. უსლარი სადადეშქელიანო სვანეთის სპეციფიკად რომ მიიჩნევდა (მარემიშ შიარ – „კაცის ხელები“);

3. დატივი (აგრეთვე, აშკარად ლოკატიური მნიშვნელობითაც) დაირთავს -ს თანხმოვანს (ჟილახსგურდა რაშს – „შეჯდა ცხენზე“²⁰);

¹⁹ გაუგებარია, -შ რატომაა ემფატიკური ხგერა!

²⁰ სიტყვისიტყვი: „შეჯდა ცხენს“ (კარგი იქნებოდა, ესეც აღენიშნა ა. დირს!).

4. ინსტრუმენტატივ-კომიტატივის -ზე გვხვდება -**ო** დაწერილობითაც, სადაც -**შ** შესაძლოა ლაბიალიზებულიც იყოს, ავბაზურ ს'-სთან მიახლოებული (ლადეღვშ - „დღით“);

5. ერგატივი დაირთავს -**დ**, -**ემ** (-**ემდ**) ნიშნებს (კასარს ხაქე მიჩა ხაზვემ - „კეისარს უთხრა მისმა ცოლმა“). აქვე (გვ. 114) ა. დირს მოთხრობითი ბრუნვის „დანარჩენ მნიშვნელობათა“ საილუსტრაციოდ მოჰყავს შემდეგი ფრაზა: **მი მიხა ჩაქს²¹ თაკვშ მეგამდ** („მე 'მი'მიხია ცხენი თოკით ხისთვის < ხე-დ“). სწორად მიუგნია მონოგრაფიის ავტორს -**დ** ნიშნის დესტინატიური ფუნქციისთვის, მაგრამ ეს -**დ** ვითარებითის (ინსტრუმენტალისის) მორფემაა და არა მოთხრობითისა. ამგვარ მნიშვნელობას ა. დირი ნაგენეტივარ წარმოებაშიც გამოყოფს სხვა ტერმინით. ესაა

6. კომოდიტატივი, რომელშიც ნათესაობითის დაბოლოებას ემატება -**დ** (**ღერთემ ანწასე გიმ მარემ-იშ-დ** - „ღმერთმა დააწესა მიწა კაცისთვის < კაც-ის-'ა'-დ“);

7. ალატივ-ილატივისთვის გამოიყენება -**თე** (**არგი-თე** „შინ/შინისკენ, სახლისკენ“, შდრ. **არგი-ს** „შინ, სახლში“);

8. აბლატივი (?²²) დაირთავს -**ნ** თანხმოვანს (**მარა-ნ** „კაცით, კაციდან“, **მეთხვარ-ნ** „მონადირით, მონადირისგან“);

9. აქვატივის მოუღის -**თან** (იგივეა, რაც ქართული -**თან**: **დი-ნა-თან** „ქალიშვილთან, გოგოსთან“);

10. სუპერესივი გამოიხატება -**ჟი** დაბოლოებით (**თანაღჟი** - „მთაზე“)...

ბოლოს ა. დირს მოჰყავს -**ქა** (**ზოგ-ქა** „ხიდზე, ხიდის გავლით“), -**ხან** (**ქალაქ-ხან** „ქალაქიდან“) და სხვა თანდებულთა საილუსტრაციო მაგალითები, მსჯელობს სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოებაზე, ზედსართავეებზე, რიცხვითებზე და ნაცვალსახელებზე...

²¹ აქ სახელობითის ფორმაა საჰირო (ჩაქ) და არა მიცემითისა.

²² კითხვის ნიშანი ა. დირსეულია; ამასთანავე, ის სქოლიოში მიუთითებს მ. ზავადსკიზე (СМОНІК, XXXVIII), ვინც ამგვარ -**ნ** სუფიქსს შედარების ფუნქციას ანიჭებს, პ. უსლართან -**დ** თანხმოვნით რომაა გამოხატულიო (იხ. გვ. 115). მაშასადამე. Einführung'-ის ავტორი სწორად აღიქვამს სვანურ -**ნ** მორფემასთან დაკავშირებულ სიმნელებს.

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსება და
ქართველოლოგიის, როგორც სამეცნიერო დარგის,
ჩამოყალიბება**

§ 3. აკაკი შანიძე და მისი მოწაფეები

1918 წელს ქართველი ერის ეთნოკულტურული განვითარების ისტორიის ღერძი ერთბაშად შემოტრიალდა ჩვენს სასიკეთოდ – დიდი ივანე ჯავახიშვილისა და მის თანამოაზრეთა უზარმაზარი ძალისხმევით საქართველოს დედაქალაქში დაარსდა პირველი ქართული უნივერსიტეტი, რამაც სამარადქამო სული ჩაუდგა ქართველოლოგიას, როგორც ეროვნულ სამეცნიერო დარგს.

დიდებული სკოლა შექმნა სულმნათმა აკაკი შანიძემ, რომლის მოწაფეებმა შორს გაუთქვეს სახელი ქართველურ ლინგვისტიკას. ქართველოლოგიის პატრიარქს საგანგებოდ სვანური ბრუნების შესახებ არ უმსჯელია, მაგრამ მის ფუნდამენტურ ნაშრომში „უმლაუტი სვანურში“ (1924 წ.) მოცემულია სახელობითი ბრუნვის -ე/-ო მორფემათა (რომლებიც იმავდროულად წინა პოზიციაში მყოფ ა/ო/უ ხმოვანთა უმლაუტს იწვევენ) წარმომავლობის ახსნა: დღეს სვანურის ყველა დიალექტში გაუჩინარებული -ე (უფრო არქაული) და -ო (რამდენიმე გამოწვევის მათი არსებობისა კარგადაა ცნობილი სპეციალური ლიტერატურიდან) მომდინარეობენ ენკლიტიკად ქცეული -ეჟო/-ეჟა („იგი“) ნაცვალსახელისგან, ანუ ნაწევრისაგან ისევე, როგორც ქართულში. ამ დებულებას დღემდე ერთხმად იზიარებს ყველა ქართველოლოგი, ოღონდ მ. ქალდანი და ალ. ონიანი მხოლოდ -ო'ს მიიჩნევენ სახელობითის ნიშნად (ქალდანი 1974: 148-164, ონიანი 1998: 67-68), მიუხედავად იმისა, რომ -ე სვანურ ხალხურ სიმღერებში შემონახულია (გეზალე „შვილი“, მურყყამე „კოშკი“, ზურალე „ქალი“, ხეშნაწრე „ბეგთარი“, ატლასე „ატლასი“ – დაწვრილებით იხ. ჩანტლაძე 1973: 269)²³.

²³ აკაკი შანიძის დამოკიდებულებას სვანური ენის ბრუნებისადმი დანარჩენ მკვლევართა თეორიების განხილვისას ისევ მივუბრუნდებით...

§ 4. სიმონ ჯანაშია

ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ნიკო მარის ტრადიცია გააგრძელა სიმონ ჯანაშიამ (1929 წ.)²⁴. სვანური ბრუნების კლასიფიკაციისთვის მანაც მორფემათა გენეტიკური პრინციპი აირჩია, რომლის მიხედვით გამოიყო სამი ტიპი:

1. წმინდა ქართველური (ორგანული ბრუნება),
2. წმინდა (ან თითქმის წმინდა) „უცხო“ ბრუნება,
3. შერეული ბრუნება.

სამივე ტიპის საილუსტრაციო მასალა მოყვანილია მ. ზავადსკის ნაშრომის მიხედვით მეტყველების ნაწილთა ყველა ჯგუფის შესახებ ექვსი (ხანაც ხუთი) ბრუნვის (სახელობითი, მოთხრობითი, ნათესაობითი, მიცემითი, მოქმედებითი, ვითარებითი) ფორმებში:

I ტიპი

სახ.	ნათი	„ნაწილი“
მოთხ.	ნათი-დ ²⁵	„ნაწილმა“
ნათ.	ნათი-იშ, ნათი	„ნაწილის“
მიც.	ნათი-ს	„ნაწილს“
მოქმ.	ნათი-შვ	„ნაწილით“

II ტიპი

სახ.	ხოჩა	„პარგი“
მოთხ.	ხოჩ-ემ-დ, ხოჩ-ემ-ნ-ემ ²⁶	„პარგმა“
ნათ.	ხოჩ-ემ-იშ, ხოჩ-ემ-ი	„პარგის“
მიც.	ხოჩ-ამ-ს	„პარგს“
მოქმ.	ხოჩ-ამ-შვ	„პარგით“
ვით.	ხოჩ-ამ-დ	„პარგად“

²⁴ შესაბამისი სტატია [„სვანურ-ადიღური (ჩერქეზული) ენობრივი შეხვედრები. ქართველურ-ადიღური პარალელები“, I] დაიბეჭდა მოგვიანებით, 1942 წელს. ენიმკის მოამბის XII ტომში.

²⁵ პარადიგმატულ ერთეულთა სემანტიკა ჩვენია.

²⁶ გრძელხმოვნანი ფორმები ბალსზემოური დიალექტის მიხედვითაა წარმოდგენილი.

სახ.	თვეთნე	„თეთრი“
მოთხ.	თვეთნ-ნემ თვეთნ-ნემ-ნ-ნემ	„თეთრმა“
ნათ.	თვეთნ-ნემ-იშ	„თეთრის“
მიც.	თვეთნ-ა	„თეთრს“
მოქმ.	თვეთნ-ოშ	„თეთრით“
ვით.	თვეთნ-ა-დ	„თეთრად“

II ტიპის მიხედვით იბრუნება, აგრეთვე, ნაცვალსახელი ხადა („რომელი“) მხოლოდ ხუთი ბრუნვის ფორმით – რატომღაც ვითარებითი ბრუნვა მითითებული არ არის. იგივე სიტუაციაა III ტიპის მიხედვით ფორმაცვალებად ალა („ეს“) ნაცვალსახელთანაც:

სახ.	ა-ლ, ა-ლ-ა	„ეს“
მოთხ.	ა-მ-ნ-ემ-დ, ა-მ-ნ-ემ	„ამან“
ნათ.	ა-მ-იშ(ა-მ-ი), ა-მ-ნ-ემ-ი(შ)	„ამის“
მიც.	ა-ლ-ა-ს	„ამას“
მოქმ.	ა-მ-ნ-ოშ	„ამით“

მოქმედებითი ბრუნვის -შ თანხმოვანს საერთო აქვს ნათესაობითის ნიშანთანო (იხ. გვ. 344) – შენიშნავს ავტორი, თუმცა დაახლოებით იგივე აზრი („მოქმედებითის შ-ვში -შ ნათესაობითისეულია!“) ჯერ კიდევ 1895 წელს გამოთქვა ჰ. შუხარდტმა. ანალოგიური შეხედულება მომდევნო მკვლევრებსაც ჰქონდათ, რომელთაც ხან ახსენდებოდათ დიდებული ავსტრიელი ქართველოლოგის ნაშრომზე („Über das Georgische“) მითითება, ხან კი – არა, სამწუხაროდ!

ავტორის მსჯელობისთვის ამოსავალია ერგატივის მაწარმოებელი-**ე**შ, რომელიც, მკვლევრის აზრით, ნასესხები უნდა იყოს ჩერქეზული ენიდან.

მეტად საყურადღებოა ს. ჯანაშიას დასკვნა: „სვანური ქართველურ ენად რჩება და ეს დებულება ურყევია... ჩერქეზული ელემენტი სვანურში მხოლოდ იმის მოწმობაა, რომ ზოგადქართველურის თვალსაზრისით უადრესად საინტერესო ენას რიგს პერიოდებში მჭიდრო და ისტორიული კონტაქტი ჰქონია ჩერქეზულს ენობრივ-კულტურულ სამყაროსთან. ურთიერთობის ინტენსიურობისთვის, ყოვლის უწინარეს, სწორედ მორფოლოგიური ფაქტებიანი იშანდობლივი“ (იხ. გვ. 264-274). მაშასადამე, ჩერქეზული ელემენტი გაგებულია არა როგორც მექანიკურად ნასესხები, არამედ როგორც შედეგი სვანურისა და ჩერქეზულის მჭიდრო, ინტენსიური კონტაქტისა.

§ 5. არნოლდ ჩიქობავა

მოგვიანებით (1939, 1941 წ.წ.) არნოლდ ჩიქობავამ თავისი თეორია სვანურ სახელთა ბრუნების სისტემაში ორფუძიანობის პრინციპის არსებობის შესახებ სწორედ -ემ'იან ერგატივზე დამყარებით შექმნა და იგი დაუკავშირა ზოგ მთის კავკასიურ ენას არა მხოლოდ მატერიალურად, არამედ ფუნქციის თვალსაზრისითაც. მისი აზრით, სახელობითის ფუძეს გვერდით უდგას ახალი, მეორე ფუძე. **თუ მიცემითის დაყვანა მოთხრობითამდის აღარ მოხერხდება, მაშინ ორი ფუძე კი არა, სამი აღმოგვაჩნდება.** და მართლაც, სვანური ბრუნების სისტემის მომავალმა კვლევა-ძიებამ არა მხოლოდ ორფუძიანობის, არამედ სამფუძიანობის საკითხებიც დასვა სპეციალურ ლიტერატურაში (თ. შარაძენიძე, ი. ჩანტლაძე), თუმცა ყველა მკვლევარს არ გაუზიარებია ჩვენი მოსაზრებანი ამ თვალსაზრისით.

ქართველურ ენათა მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისადმი მიძღვნილ სტატიაში (1939 წ.) არნოლდ ჩიქობავა საგანგებოდ მიუთითებდა სვანურის რთულ ვითარებაზე: „მოთხრობითი არაა მხოლოდ ერთი, სუბიექტისთვის განკუთვნილი ბრუნვა. ამით სვანური მოგვაგონებს რიგ კავკასიურ ენებს (ჩაჩნური თუ დაღესტნური ჯგუფიდან), რომელთაც მოთხრობითი სხვა ბრუნვის მოზიარედ გამოჰყავთ – სვანურში მოთხრობითი და გარდაქცევითი ერთმანეთს ხვდება... -ემ ნიშნის გამოყენებისას ბრუნებას ზოგი ისეთი თავისებურება ახასიათებს, რომლებიც უცხოა სხვა ქართველური ენებისათვის, მაგრამ საყოველთაოდ ცნობილია კავკასიური ენებიდან, სადაც მოთხრობითის ნიშანი ფუძეს გადაჰყვება სხვა ბრუნვებშიც“ (ჩიქობავა 2010: 350-351). სვანური ერგატივის -დ მორფემა, არნ. ჩიქობავას აზრით, ქართული ნ-ს (მა-ნ, ვი-ნ) ფონეტიკური კორელატია და წარმოშობით ნაცვალსახელური ძირია. სწორედ ისაა მოთხრობითის ძირითადი ნიშანი, -ემ კი, სიმონ ჯანაშიას მოსაზრების თანახმად, ადიღურიდანაა ნასესხები (იქვე: 352-358).

ამვე გამოკვლევაში ავტორი სვამს საკითხს ერგატიულ და ნომინატიურ კონსტრუქციათა ურთიერთმიმართებისა თუ სახელობითი და მოთხრობითი ბრუნვების ფორმათა ისტორიული უწინარესობა-შემდგომადობის შესახებ, რასაც, პრობლემის სირთულის გამო, სვანური ენის სახელთა პარადიგმატიკის შესწავლის ისტორიის წინამდებარე მონაკვეთში შეგნებულად არ ვეხებით.

მთავარი თეზისი არნოლდ ჩიქობავას თეორიისა, რომელიც წარმოდგენილია 1941 წელს გამოქვეყნებულ მეტად მნიშვნელოვან სტატიაში (თუმცა არსებობს კი რამე არამნიშვნელოვანი მის ნაღვაწში?) გახლავთ შემდეგი: ირკვევა, რომ ხუნძურში ერგატივი პირდაპირი ბრუნვის ვარიანტად გვევლინება – მას სახელობითი ენაცვლება, ე. ი. იგივე ვითარებაა არსებითად, რაც ქართველურ ენებში გვაქვს, ოღონდ ერგატიული ბრუნვის საკითხი რთულდება ადიღურში. აქ ეს ბრუნვა გარკვევით ირიბი ჩანს, რომლის ნიშანია მ (მწ): *Имя в склонении имеет две формы – два падежа: прямой и косвенный* (Яковлев 1930: 80). ის შეიძლება იყოს გამოყენებული მოთხრობითის, მიცემითის, ნათესაობითის, მოქმედებითის ფუნქციით“ (იხ. გვ. 48).

არნ. ჩიქობავას განსაკუთრებული ყურადღება იმიტომ მიიქცია სვანურის -მ აფიქსმა, რომ იგი, მოთხრობითის გარდა, მხოლოდითი რიცხვის რამდენიმე ბრუნვაში გვხვდება.

იმ დროისათვის არ იყვნენ განებივრებულნი სვანურ პროზაულ ტექსტთა პუბლიკაციებით, ამიტომ სტატიაში მოყვანილია უამრავი მონაცემი ძველი სვანური ხალხური სიმღერებიდან. საგანგებოდაა აღნიშნული, რომ მსაზღვრელად ხმარებული ზედსართავი და რიცხვითი სახელები ყველგან ერთი და იმავე -ამ (მ. ზავადსკის მიხედვით, მიცემითი ბრუნვის – 1890: XLI) დაბოლოებით წარმოგვიდგება: **ხოჩამ ხეხვიშ** („კარგი ცოლის“, შდრ. სახელობითი ბრუნვა **ხოჩა ხეხუ**), **მერმამ ლეთის** („მეორე ღამეს“, შდრ. სახელობითი ბრუნვა **მერმე ლეთ**). იგივე ვითარებაა მათი დამოუკიდებლად გამოყენების შემთხვევებში მიცემითში, მიმართულებითში: **არამ-ჩხარამ** („რვა-ცხრას“), **მესმამ'ღ'** („მესამედ“), **მაშენამ'ღ'** („ყველაზე მეტად“),...

მაშინ ბევრი რამ ჯერ კიდევ არ იყო გამოკვლეული, ამიტომ 1941 წელს არნ. ჩიქობავამ დასვა რამდენიმე საკითხი, რომლებიც მომავალში სვანური ენის სათანადო მასალის დიალექტობრივი შესწავლის საფუძველზე უნდა გადაწყვეტილიყო (იხ. გვ. 55), მაგრამ იმდენად იყო დარწმუნებული თავისი თეორიის ჭეშმარიტებაში, რომ სტატიის ავტორი ხაზგასმით აღნიშნავდა:

1. **ჩვენი მსჯელობის მიმართულებაზე გავლენას არ მოახდენს და საბოლოო დასკვნებს არ შეგვაცვლევინებს, ასე გადაწყდება საკითხი თუ ისე (მხოლოდ ზოგიერთ შიდა რგოლებს დასჭირდებოდა სხვაგვარი დაფორმულება).**

2. ჩვენთვის არსებითია ის, რომ სვანურს აღმოაჩნდა -მ აფიქსი, მოთხრობითის გარდა, მიცემითში, ნათესაობითში, მიმართულებითში, მოქმედებითში – ერთი ბრუნვის ნიშანი სხვა ბრუნვის ნიშნების წინ აღმოჩნდა – გარკვეული ბრუნვის ფორმა (მოთხრობითისა!) ფუძის როლში გამოვიდა სხვა ბრუნვათა მიმართ. მსგავსი რამ სხვა ქართველურმა ენებმა არ იცის! ის უჩვეულოა ქართულისა და მეგრულ-ჭანურისთვის, მაგრამ სრულიად ჩვეულებრივი, ამასთანავე, ძირითადი მნიშვნელობის ფაქტია მთის იბერიულ-კავკასიური ენებისთვის (ადილეური, ხუნძური, დარგული, კიურული,...).

მეტად მნიშვნელოვანია, რომ, მიუხედავად მასალის სიმწირისა, არნ. ჩიქობავამ იმ დროისათვის მაინც შეამჩნია ბრუნვათა ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ორი პარადიგმატული სისტემა:

მიც.	ხახვ	ხეხვს	„ცოლს“
მოთხ.	ხახვემ	ხეხვდ	„ცოლმა“
ნათ.	ხეხვიშ	ხეხვიშ	„ცოლის“

თუმცა ისინი მას ერთმანეთისათვის არ დაუპირისპირებია როგორც ბრუნვათა ძველი და შედარებით ახალი სისტემის შემადგენელი პარადიგმატული ერთეულები (ფორმათა ამ ოპოზიციებს დღეს სწორედ ასე განვიხილავთ!).

ვერც ბალსქვემოური ვითარების განხილვა მოახერხა არნ. ჩიქობავამ (მასალები არ ჰქონდა!), მაგრამ მაინც სწორად ივარაუდა სპეციალურ ლიტერატურაში მომდევნო წლებში სრულიად უსაფუძვლოდ გამოწვეული კამათის არსი: „სვანურს ნათესაობითის ნიშანი რომ მოჰკვეცოდა (მუხვბე-მ-რშ, „ძმის“), ერგატივი და ნათესაობითი ერთი ირიბი ბრუნვის (მუხვბე-მ „ძმამ/ძმის“) შთაბეჭდილებას შეეგვიქმნიდაო (იხ. გვ. 59). მაშასადამე, ნათესაობითის -იშ მორფემის მოკვეცა ივარაუდა ბატონმა არნოლდმა და არა ბალსქვემოურის მოთხრობით-ნათესაობითი ბრუნვების ფორმათა ისტორიული გაუდიფერენცირებლობა.

დიდებულ ქართველოლოგთა მოწაფეებმა (ე. ი. მომდევნო თაობამ) განსაკუთრებულად გახაზეს თავიანთ შრომებში: სვანურ ენაში ერგატივის მორფემა არის -ემ და არა -მ, როგორც ამას ჩვენამდე აღნიშნავდნენო, ყველას კი დაავიწყდა არნოლდ ჩიქობავას ერთი შენიშვნა:

„ღიად ვტოვებთ საკითხს, უძღვის თუ არა მოთხრობითის მ-ს წინ ხმოვანი. ადილეურში თანხმოვანზე დაბოლოებულ ფუძესთან ამ მ-ს წინ ხმოვანი არისო (G. Dumézil): ა²⁷ და ი. იგი ბრუნვის ნიშნის ნაწილად უნდა მივიჩნიოთ, თუკი სახელის ფუძის ბოლოკიდური ხმოვანი არ არის მის წინ შემონახული. აქ კი რობით მარტო მ-ს გამოცყოფთ“ (1941: 49). ნუთუ აქ წერია, სვანურ ენაში ერგატივის მორფემა უხმოვნოა?!

²⁷ ა ალბათ ანაპტიქსური გ ხმოვანია, რომელსაც ქ. დიუმევილიცა და ა. ჩიქობავაც რატომღაც ლათინური ტრანსკრიფციით გამოსახავენ.

§ 6. ვარლამ თოფურია

გამორჩეული დამსახურება მიუძღვის ვარლამ თოფურიას ქართველურ ენათა გრამატიკული სტრუქტურის კვლევის საქმეში. მან პირველმა განიხილა ვრცლად და დასაბუთებულად ბრუნვათა რიგში წოდებითის ფორმის შეტანის პრობლემა; განსაკუთრებული მსჯელობის საგნად აქცია წრფელობითის ბრუნვად მიჩნევის საკითხი; საგანგებო ყურადღება დაუთმო ნათესაობითი, მოქმედებითი თუ ვითარებითი ბრუნვების დაბოლოებათა საპაექრო სიტუაციას, ბრუნვათა რიგსა და სახელწოდებებს ქართველურ ენებში; საყურადღებო მოსაზრებები გამოთქვა მიმართულებითის, დაწყებითისა თუ დანიშნულებითის გენეზისის შესახებ მეგრულ-ჭანურში; სახელის ფუძისა და ბრუნვის მორფმათა ურთიერთქმედების საფუძველზე ხაზი გაუსვა გრამატიკულ მოვლენათა ერთგვაროვან პროცესებს ქართველურ ენათა დიალექტებში.

სწორედ სვანური, როგორც **ფონეტიკური ქართველების განსაკუთრებული ნაკვალევის მატარებელი ენა**, აღმოჩნდა ვ. თოფურიას მეცნიერულ შესაძლებლობათა მთავარი საჯილდაო ქვა (არაბული 2011: 8).

სახელთა პარადიგმატიკის ანალიზისთვის სწორი მიმართულების მიცემისა და სტრუქტურულ პროცესთა გარკვეულად მწყობრ ერთობლიობაში წარმოდგენის თვალსაზრისით, ვფიქრობთ, საპროგრამო გამოკვლევად შეიძლება ჩაითვალოს „ბრუნების სისტემისათვის სვანურში სხვა ქართველურ ენათა ბრუნებასთან შედარებით“, რომელიც დაიბეჭდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბის მეხუთე ტომში (№3) 1944 წელს. მასზე არანაკლები ღირებულებისაა „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბის“ მეშვიდე და მერვე ტომებში გამოქვეყნებული სტატიები „სახელთა დაბოლოების ისტორიისათვის სვანურში“ (1927 წ.) და „კვლავ უმლაუტისათვის სვანურში“ (1928 წ.). სამივე ნაშრომი ძალიან მალე იქცა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად და ამიტომაც მოგვიანებით (2002 წ.) განმეორდა პუბლიკაციები ვ. თოფურიას შრომების მეორე ტომში.

„ზოგჯერ ხდება ხოლმე, რომ ესა თუ ის ენა და მისი მკვლევარი ერთმანეთის მიმართ ასოციაციურ წარმოდგენებად იქცევიან. ასეთად რჩება ჩვენს მეხსიერებაში სვანური ენა და ვარლამ თოფურია, ლაკური ენა და ვარლამ თოფურია“ – წერდა ერთ-ერთ საიუბილეო გამოცემაში შესანიშნავი კავკასიოლოგი, არნოლდ ჩიქობავას და ვარლამ თოფურიას საუკეთესო მოწაფე, ჩვენი უსაყვარლესი მასწავლებელი, პროფესორი ილია ცერცვაძე 1974 წელს (თსუ შრომები, №6-7: 78).

1944 წლის 29 თებერვალს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების XV სამეცნიერო სესიაზე ვ. თოფურიამ წაიკითხა მოხსენება თემაზე „ბრუნების სისტემისათვის სვანურში სხვა ქართველურ ენათა ბრუნებასთან შედარებით“, რომელიც „წინასწარი ცნობის“ სახით დაიბეჭდა საკმაოდ შემოკლებით იმავე წელს. ავტორი გამოკვლევის სრულად წარმოდგენას აპირებდა თავისი „სვანური ენის“ მეორე ნაწილში, რომელიც, სამწუხაროდ, არ გამოქვეყნებულა, თუმცა სასტამბოდ მზადდებოდა 2002 წელს.

ვ. თოფურიამაც, ს. ჯანაშიას მსგავსად, ბრუნების საკლასიფიკაციო ნიშნად მორფემათა წარმომავლობა შეარჩია და გამოყო **ოთხი სისტემა**:

1. ქართველური (ქართულ-ზანური);
2. ადიღეური (ჩერქეზულ-დაღესტნური);
3. სვანური (ქართულ-კავკასიური);
4. ნარევი (ჰიბრიდული – სხვადასხვა სისტემის შერწყმის შედეგი).

დასკვნები ასეთია:

„ბრუნების მხრივ სვანურ კილოთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ზემოსვანური, კერძოდ, ბალსქვემოური, სადაც კარგადაა წარმოდგენილი ჩერქეზული სისტემა. მას ადასტურებს თავის გადმონაშთებით ბალსზემოური; ქვემოსვანური გამარტივების გზას ადგას: ადგილი აქვს უნიფორმაციას – ბრუნების დაყვანას ერთ სისტემამდის (ჰიბრიდები აქაც ჩანს)“ (თოფურია 2002: 49).

მიუხედავად იმისა, რომ ვ. თოფურიას კლასიფიკაცია, მის წინამორბედ მკვლევართა მსგავსად, დაფუძნებულია ბრუნვის მორფემათა გენეზისზე, მაინც ქართველოლოგთა სამაგიდო წიგნის – „სვანური ზმნის“ ავტორმა, როგორც მას ყველა შემთხვევაში სჩვეოდა, **სკრუპულოზური სიზუსტით** (რამდენადაც ეს შესაძლებელია **ლინგვისტიკაში!**) გამოიკვლია ურთულესი სვანური ბრუნების ტიპები, ორფუძიანობის პრინციპი, ბრუნვათა და მათ მაწარმოებელ მორფემათა ურთიერთმიმართებანი, საკუთრივ სვანური თუ მონათესავე ენათაგან მომდინარე ფორმანტები, ფუძეთა აუსლაუტები, პარადიგმატული აბლაუტ-უმლაუტი, -მ და -ჟ მორფემათა გამოყენება ცალკე ან ერთდროულად ყველა ბრუნვაში, გარდა სახელობითისა, ერთი და იმავე ფორმის არსებობა ბალსქვემოური დიალექტის ერგატივსა და ნათესაობითში, ბრუნვათა გამოხატვა ხმოვნებით (-ა მიცემით-ვითარებითში, -ე მოთხრობითსა და ნათესაობითში).

დასკვნა – სვანური ბრუნების სისტემაში მოიპოვება სამი ფენა:

	ქართულ-ზანური	ადიღური	სვანური
მიც.	(ა)-ს	-(ა)-მ	-ნ
ნათ.	-ო/-ე-შ	-(ე)-მ	-ო-ნ
ვით.	-(ა)-დ	-	-ნ

პირველი ორი შეთვისებულია, მესამე საკუთარია და იმავე დროს საერთოა ქართულ-კავკასიურ ენებთან. **ძირითადი ბრუნებია: მიცემით-ვითარებითი და ნათესაობითი. ბრუნებს აქვთ განსხვავებულ ბმოვნები და საზიარო თანხმოვნები**“ (თოფურია 2002: 52-53).

ამ სტატიაში სახელობითი ბრუნვის -ო ჩათვლილია ქართულიდან ნასესხებად, თუმცა მოგვიანებით (1965 წ.) ვ. თოფურიას მიაჩნდა, რომ სახელობითის -ო/-ე საერთოქართველური წარმომავლობისაა მიცემითის -ს და ვითარებითის -დ მორფემებთან ერთად (თოფურია 2002: 165). ეს ვარაუდია მოცემული გამოკვლევის რუსულ ვარიანტშიც "Сванский язык" (იკეწ, ტ. XII, თბილისი, 1985, გვ. 100-148).

მიუხედავად იმისა, რომ ვ. თოფურია იზიარებდა სვანური ერგატივის -'ე'მ მორფემის ადიღურ წარმომავლობას, მაინც უშვებდა სხვა შესაძლებლობასაც: „-მ ან ნასესხებია სვანურის მიერ, ან საერთოქართველური იყო და ქართულში დაიკარგა (ან ეგების ვში გადავიდა)“. მართალია, კარპეზ დონდუას გამოკვლევა „ადიღური ტიპის მოთხრობითი ბრუნვა სვანურში“ რამდენადმე გვიან დაიბეჭდა (იკე, I, 1946), მაგრამ, როგორც ჩანს, ვ. თოფურია დაესწრო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების X სამეცნიერო სესიას, სადაც წაკითხულ იქნა შესაბამისი მოხსენება, და ამიტომ 1944 წლის ზემოგანხილული პუბლიკაციის ერთ-ერთ სქოლიოში აღნიშნულია შემდეგი: ყურადსაღებია კარპეზ დონდუას აზრი -'ე'მ ფორმანტის შესახებ: „ორივე ტიპი (იგულისხმება-'ე'მ'იანი და დონ'იანი ერგატივი – ი. ჩ.) სვანური ენის შინაგანი წყობის კუთვნილებაა; ერგატივის ადიღური ტიპი წარმოშობით სვანური ერგატიული კონსტრუქციის ჩამოყალიბების თანადროული მოვლენაა“ (თოფურია 2002: 53).

§ 7. კარპეზ დონდუა

სვანურში ადიღური ტიპის მოთხრობითი ბრუნვის ისტორიის კვლევისას კარპეზ დონდუასთვის²⁸ ამოსავალი იყო ზოგადი ხასიათის დებულება: „ქართველურისა და არაქართველური კავკასიური ენების სტრუქტურული ურთიერთობის დასადგენად განსაკუთრებით სვანურის მონაცემებია გასათვალისწინებელი. მასში ცოცხლადაა წარმოდგენილი ქართველურ ენათათვის დამახასიათებელი ძირითადი და ტიპიური ინვენტარი..., მაგრამ, ამასთანავე, სვანურში ისეთი გრამატიკული ფორმებიც გვხვდება, რომლებიც საგრძნობლად განასხვავებენ მას ქართულისა და მეგრულ-ჭანურისაგან და, წინააღმდეგ, ახლოს აყენებენ დაღესტნურსა, ჩაჩნურ-ინგუშურსა და, უმთავრესად, აზხაზურ-ადიღურ ენებთან“ (დონდუა 1946: 171).

კ. დონდუა დეტალურად განიხილავს ს. ჯანაშიას, არნ. ჩიქობავას, ვ. თოფურიას მოსაზრებებს სვანური -ემიანი ერგატივის ჩრდილოკავკასიური წარმომავლობის შესახებ, საკმაოდ ვრცლად მსჯელობს როგორც ე. წ. ადიღური (-მ ფორმანტიანი), ისე ქართველური (-დ ფორმანტიანი) ტიპების ფლექსიათა განაწილების წესების თაობაზე და გამოთქვამს ფრიად ორიგინალურ შეხედულებებს:

1. არა გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ მ ფორმანტი (რომლის არსებობა ადიღურში აბსოლუტური ფორმის რ ფორმანტის არსებობითაა გამართლებული) სვანურმა ისესხა ადიღურიდან საკუთარი მოთხრობითი ბრუნვის ფუნქციების შესავსებად (გვ. 185);

2. გაჭირდებოდა კატეგორიული მტკიცება იმისა, რომ თითქოს სვანური მოთხრობითის ადიღური ვარიანტი წარმოშობითაც ადიღური იყოს... ცხადია, მ-იანი მოთხრობითის ადიღურიდან ნასესხებ ბრუნვად გამოცხადების მიზეზი, პირველად ყოვლისა, ამ ბრუნვის მატერიალური მხარეა... ფუნქციური შეხვედრები, განსაკუთრებით ერთისა და იმავე ფორმანტის გამოყენება იქაც და აქაც, პირდაპირ და ირიბ ბრუნვებშიც, თავისთავად არაფერს ამბობს ადიღური ვარიანტის ადიღური ენიდან სესხების შესახებ; ტიპოლოგიურად მსგავსი მოვლენები ცნობილია სხვა კავკასიურ ენებშიც; ნაწილობრივ, ამავე რთული ფუნქციის შემსრულებელია თვით სვანურში ქართველური ტიპის მოთხრობითი ბრუნვაც (დ ფორმანტიანი)... სვანურში ადიღური ტიპის მოთხრობითი ბრუნვა

²⁸ კარპეზ დონდუა ნიკო მარის მოწაფე იყო, მაგრამ სვანური ენისადმი მიძღვნილი ნაშრომები მან შექმნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრაზე (გამგე აკაკი შანიძე) მუშაობის დროს, ამიტომ მისი ღვაწლის შესახებ მსჯელობა ამ თავში სჯობს.

იმდენადვე ადიღური, რამდენადვე სვანური... ცხადია, ერგატივის ადიღური ტიპი გენეზისურად სვანური ერგატიული კონსტრუქციის ჩამოყალიბების თანადროული მოვლენა უნდა იყოს (გვ. 189-190).

3. სესხება ფლექსიისა ენათა ურთიერთობის სხვა ხასიათზე მიგვითითებს. „ნასესხები“ სიტყვათსაცვლელი აფიქსები ურთიერთობაში მყოფ ენათა საერთო პროდუქციას წარმოადგენს, ხოლო თვით პროდუქტი ამ ენებში სხვადასხვაგვარადაა შენახული და გამოყენებული (გვ. 191).

4. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქართულისა და სვანურის შინაგან კავშირს ადიღური ტიპის მოთხრობითი ბრუნვის მატერიალური, ნაწილობრივ ფუნქციური მხარეების გამოყენებაში. ამ მხრივ სვანური განმარტოებით არ დგას: ქართული ენის ერგატივი - მან წარმოშობით მოთხრობითშივე გაფორმებული დამოუკიდებელი ჩვენებითი ნაცვალსახელია, რომლის ფუძე მა (→ მ) საზიაროა ადიღურისა, ქართულისა და სვანური ენებისათვის: ადიღურისა და სვანურისათვის - როგორც ერგატივის ფორმანტი, ხოლო ქართულისათვის - როგორც ერგატივის განუყრელი ფუძე, თანამედროვე ქართულში - ბრუნვის ფუნქციის შემსრულებელი (გვ. 192).

კ. დონდუამ ძალზე კეთილსინდისიერად გამოიყენა სპეციალურ ლიტერატურაში იმ დროისათვის არსებული საილუსტრაციო მასალა, რომელსაც მის მიერ შეკრებილი სრულიად ახალი მაგალითებიც დაუმატა და მაღალკვალიფიციურად იმსჯელა ს. ჯანაშიას, არნ. ჩიქობავას თუ ვ. თოფურიას ვარაუდების შესახებ მანი'ან ერგატივთან დაკავშირებით, ოღონდ მათგან განსხვავებით, ამ მორფემის ადიღურიდან ნასესხობა გამორიცხა, რადგანაც იგი ქართულ-სვანურ-ადიღურ ენათა საზიარო მოვლენად მიიჩნია.

კ. დონდუა კრიტიკულად განიხილავს, აგრეთვე, არნ. ჩიქობავას მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სვანური ერგატივის -დ ქართული -ნ'ს ეკვივალენტია (იხ. ჩიქობავა 1939: 352-358): „ეს დებულება სწორია, მაგრამ საჭიროებს დაზუსტებას, სახელდობრ - შეზღუდვას. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ სვანური -დ ნაწილობრივ ასრულებს ქართული -ნ'ს ფუნქციებს. მათ შორის განსხვავებაც სერიოზულია: -ნ გამოყენებულია მარტო სუბიექტურ ბრუნვაში (მა-ნ), -დ კი სუბიექტურშიც და ობიექტურშიც“ (გვ. 186). ეს საკითხი კამათის საგნად იქცა მომდევნო მკვლევართა შრომებშიც (Климов 1962: 58, ონიანი 1989: 147; გაბუნია 2007: 156-157):

გარდა იმისა, რომ ქართული -ნ და სვანური -დ მორფემების დისტრიბუცია სრულიად განსხვავებულია, ფონემათშესატყვისობა -ნ (ქართ.) / -დ (სვან.) რეალურად არ დასტურდება.

კ. დონდუამ პირველმა შეისწავლა გამოწვლილვით სვანური მარტივი (-დ) და რთული (ნანათესაობითარი -**იმ-დ/-ემ-დ/-ჰ-შ-დ**) ვითარებითის ყველა ფუნქცია (ადვერბიალურობა, გარდაქვევითობა, დესტინატიურობა/დანიშნულებითობა, მიმართულებითობა – ეს უკანასკნელი დაკავშირებულია, მისი აზრით, -**თე** სუფიქსიან მიმართულებით ბრუნვასთან – გვ. 172, 186); შემდგომში მარტივი და რთული ვითარებითის ფორმათა ურთიერთმონაცვლეობის შესახებ (დესტინატივის მნიშვნელობით!) საგანგებოდ ვიმსჯელებთ სხვა მკვლევრებმაც (იხ. აბესაძე 1975: 8-10; Cujejani, Palmaitis 1986: 42; ჩანტლაძე 1998: 85, 93-95, 120-121, 150-151; გაბუნია 2007: 79; Boeder 2015: 37-38), მაგრამ ჩვენს მომდევნო თაობას ეს ფაქტები რატომღაც დაავიწყდა.²⁹

სვანური ენის ყველა დიალექტის უხვი საილუსტრაციო მასალის ღრმა ანალიზმა კ. დონდუას შესაძლებლობა მისცა განეცხადებინა ყოველგვარი ყოყმანის გარეშე:

„ცხადია, რომ ოდესღაც ქვემოსვანურიც კარგად იცნობდა ადიღური ტიპის აფიქსს და ის ქვემოსვანურისთვისაც ისეთივე ინგრედიენტი ყოფილა კლასიფიკაციური სისტემისა, როგორც სხვა კილოებისათვის. საჭიროა ოღონდ ამ სისტემის დაზუსტება და მისი პირველი სახის აღდგენა, რაც მომავლის საქმეა. ამჟამად გარკვევით მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ არ არის სვანური ენის ისეთი კილო, სადაც მოთხრობითი ბრუნვის მარტოოდენ ერთი მორფოლოგიური სისტემა იყოს წარმოდგენილი – „წმინდა ადიღური“ ან „წმინდა ქართველური“... მორფოლოგიურად განსხვავებული ორი მოთხრობითი ბრუნვა სვანური ენის სტრუქტურულ ნაწილს წარმოადგენს (ხაზი ჩვენია – ი. ჩ., გვ. 183).³⁰

ეს განცხადება დღესაც (73 წლის შემდეგ!) ძალაში რჩება.

²⁹ ამის შესახებ აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ (იხ. ი. ჩანტლაძე, ნ. ნაკანი, სვანეთის ფლორა, თბილისი, 2014: 133-134).

³⁰ დამატებით იხ. ჩვენი „ორფუძიანობის საკითხისათვის ქვემოსვანურში“ (1979 წ.); აგრეთვე, ალ. ონიანის „სვანური ენა“ (1998 წ.), სადაც ნათქვამია: ქვემოსვანურ დიალექტებში ბრუნების სხვადასხვა ტიპები არ გამოიყოფაო (გვ. 58).

ქართველოლოგთა მომდევნო თაობა (ჩვენში და უცხოეთში)

1944 წლის შემდეგ არაერთი ქართველოლოგი იკვლევდა სვანურ ენას სწორედ ბრუნების თვალსაზრისით ქართულ-ლაზურ-მეგრულ-თან შედარებით თავისი გამორჩეული სირთულისა და ორფუძიანობის პრინციპის მიხედვით ფორმაცვალების გამო. მათ შორისაა ჩვენი სადოქტორო დისერტაციაც „სახელთა ბრუნების პარადიგმატული სისტემა სვანურში“ (1990 წ.). თავისთავად ცხადია, ბევრი ახალი საკითხი წამოიჭრა, მაგრამ ვ. თოფურიას მიერ 1944 წელს გამოტანილი ძირითადი დასკვნები უცვლელი დარჩა, თუმცა ყველაზე სადავო აღმოჩნდა სვანური ენის ნარეგობის ვარაუდი და ერგატივის -**ე**მ მორფემის წარმომავლობის კვლევა. ჩვენი კლასიკოსები, ძირითადად, მის ადილური ენებიდან სესხებას ვარაუდობენ. ამ მხრივ განსხვავებულ პოზიციასზე დგანან: კარკეზ დონდუა, ბესარიონ კიკვიძე, გივი მაჭავარიანი, გიორგი კლიმოვი, ლეტა პალმაიტი და ალექსანდრე ონიანი, რომელთა უმრავლესობა მას ქართველური ტიპის ბრუნების მახასიათებლად მიიჩნევს და სრულიად ბუნებრივია, რომ -**ე**მ-ის ნასესხობას გამორიცხავს.

სპეციალურ ლიტერატურაში ბრუნების ტიპებთან და ცალკეულ მორფემებთან ერთად ყოველთვის ექცეოდა ყურადღება სხვადასხვა მეტყველების ნაწილებსა თუ ფუძეთა დაბოლოებას. საგანგებოდ იყო გამოკვლეული, რომ -**ამ** მხოლოდ მიცემით ბრუნვაში (და არა მოთხრობითში!) შეიძლება შეგვხვდეს და ისიც ზედსართავ ან რიცხვით სახელებთან. გ. მაჭავარიანის მიერ შენიშნული ლნტ. მარამ („კაცს“), რომელიც გაანალიზებული იყო აკაკი შანიძის ნაშრომში „წელიწადის ეტიმოლოგიისათვის“ (1924: 9, 1981: 315) და ნორა კოტინოვის სტატიაში (1955), ან მცდარად ჩაწერილი მონაცემია (მარამ),³¹ ან იდიო-

³¹ თუმცა ზოგი ზედსართავისა და ნაცვალსახელის ერგატივში წარმოდგენილ -**ემ** მორფემას ლ. პალმაიტი -**ამ** (მიცემითისა) ისაგან მომდინარედ თვლის (1979: 114-121), რადგანაც ერგატივი, როგორც დამოუკიდებელი ბრუნვა, ქართველურ ენებში შედარებით ახალიაო (ზაზი ჩვენია - ო. ზ.), მაგრამ ეს კამათი შორს წაგვიყვანს.

ლექტური მოვლენა (მუხჷბამ).³² ნ. კოტინოვის მიერ შენიშნული მუხჷბამ („ძმას“) ფორმა თ. შარაძენიძემ უფრო ადრე (1945 წ.) დაადასტურა ლატალურ კილოკავში – ბალსზემოურ და ბალსჷვემოურ დიალექტთა შესაყარზე.

სვანურში გაცილებით მეტია თანხმოვანფუძიანი სახელი, ვიდრე ხმოვანფუძიანი, რასაც განაპირობებს ამ ენაში არსებული ერთი მკვეთრად გამოხატული ტენდენცია ღიამარცვლიანი სტრუქტურების დახურულმარცვლიანებად გარდაქმნისა (ჟღენტი 1949: 98-99; შდრ. ჭუმბურიძე 2007: 84-88).³³ სწორედ ფუძეთა ტიპების ანალიზის საფუძველზე ჯერ კიდევ 1927 წელს ვ. თოფურიამ შექმნა ფაქტობრივ უგამონაკლისო წესი, რომელსაც დღემდე ყველა ქართველოლოგი იზიარებს:

1. ისტორიულად თანხმოვანფუძიანი სახელების ბოლო მარცვლის ხმოვანი უმლაუტიანია, ყოფილი ხმოვანფუძიანებისა კი – უუმლაუტო;

2. თუ სახელი უმლაუტიანია, მაშინ მას ნათესაობითში -იშ დაბოლოება აქვს, ხოლო უუმლაუტონი იმავე ბრუნვაში -აშ ფორმანტს მიიღებენ (თოფურია 2002: 5-30).

³² ვრცელი მსჯელობა მათ შესახებ იხ. ჩვენს მონოგრაფიაში „ქართველოლოგიური ბიებანი“ (1998: 108).

³³ განსხვავებული თვალსაზრისისათვის იხ. О с и д з е Е. А., Ауслат в сванском и некоторые вопросы исторической морфологии сванского языка, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული“, ტ. IX, თბილისი, 1982: 40-61.

§ 1. თინათინ შარაძენიძე

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს თინათინ შარაძენიძის დედას სვანური ენის ზოგადენათმეცნიერული თვალსაზრისით შესწავლის საქმეში. თავისი ძირითადი აზრი სვანური ბრუნების ტიპებისა და ბრუნვის მორფემათა გამოყენების შესახებ ქალბატონმა თინათინმა მოახსენა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სესიებზე 1946-1948 წლებში, მათი გამოქვეყნება კი მხოლოდ მოგვიანებით (1955, 1961 წ.წ.) მოხერხდა ორი პუბლიკაციის სახით.

ცნობილია, რომ სვანური ენის ბალსქვემოური დიალექტი (ბალს-ზემოურთან შედარებით) კილოკავთა დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

თ. შარაძენიძემ მოახერხა, გაეთვალისწინებინა არამხოლოდ კილოკაური, არამედ მთქმელთა ასაკობრივი თავისებურებანიც ცხუმარულ მეტყველებაზე მუშაობის დროს. მას მოუხდა ურთიერთობა ოთხი სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებთან და ერთი ოჯახის შიგნითაც კი შენიშნა გარკვეული ვარიაციები:

I თაობა – მოხუცები (ქართული წერა-კითხვის არმცოდნენი);

II თაობა – შუახნისანები (მათ შორის მცირე ნაწილი წერა-კითხვის მცოდნე);

III თაობა – ახალგაზრდები (ბეჩოში ან მესტიაში სკოლადაამთავრებულნი);

IV თაობა – ბავშვები (დაწყებითი სკოლის მოსწავლეები, რომელთაც ქართული მთლად კარგად არ იციან).

„ნ. მარიდან მოყოლებული არაერთგზის აღნიშნულა, რომ სვანურის ერთ-ერთ თავისებურებას მისი ნარევიანობა წარმოადგენს. შერევა სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ენასთან წარმოებდა. ეს პროცესი ამჟამადაც არ არის შეწყვეტილი. ბუნებრივია, ყველაზე ინტენსიურად შერევას სვანურის განაპირა მეტყველება განიცდის. ბალსქვემოური იმიტაც გამოირჩევა, რომ მას ორ ახლო მონათესავე ენასთან აქვს მჭიდრო ურთიერთობა – ქართულთან და მეგრულთან“ (შარაძენიძე 1958: 223).

ცხუმარულის სპეციფიკად თვლის მკვლევარი არაერთ ფონეტიკურ ცვლილებას, რომლებიც შედარებით ახალ მოვლენებად მიაჩნია. მაგალითად, ჯ აფრიკატის დასუსტების შედეგად III პირის ნაცვალსახელის ბრუნებისას ვდებულობთ დუბლიკატებს:

სახ.	ეჯი	ეი	„ის“
მიც.	ეჯის	ეის	„იმას“
მოთხ.	ეჯნემ	ეინემ	იმან“
მოქმ.	ეჯნოშ	ეინოშ	„იმით“
ვით.	ეჯნარ	ეინარ	„იმად“

ძალზე საინტერესოა, რომ მიცემითი ბრუნვის შემთხვევაში თ. შარაძენიძემ პარალელურ ფორმებს შორის გარდამავალი საფეხურიც (ე¹ჯ¹ის) შენიშნა, ოღონდ ნაცვალსახელის პარადიგმატულ სისტემაში რატომღაც არ შეუტანია (იხ. გვ. 225). კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ III პირის ნაცვალსახელის სხვადასხვა ბრუნვაში **ჯ**-ს დასუსტება-დაკარგვის პირობები განსხვავებულია. სახელობითსა და მიცემითში **-ჯ-** ხმოვნებს შორის იკარგება, დანარჩენ ფორმებში კი თანხმოვნებს შორის – ეს უკანასკნელი უფრო ადრინდელი და თანმიმდევრული ჩანს, მკვლევრის აზრით. რაც შეეხება სახელობით ბრუნვას, აქ **-ჯ-** ყველაზე იშვიათად იკარგება და ისიც მხოლოდ მაშინ, როდესაც საანალიზო **ეჯი** ნაცვალსახელი მსაზღვრელის ფუნქციითაა გამოყენებული (იხ. გვ. 226).

ამავე მსჯელობას უკავშირდება თ. შარაძენიძის კიდევ ერთი დაკვირვება: „სახელებში ნათესაობითი ბრუნვის **შ**-ს მოკვეცა წმინდა ფონეტიკური პროცესი არ უნდა იყოს, მასში სინტაქსსაც გარკვეული წვლილი აქვს. ბალსზემოურ დიალექტში საზღვრულის წინ ნათესაობითის **შ**-ს მოკვეცა უგამონაკლისოდ არის გატარებული, ცხუმარულში კი ეს პროცესი მხოლოდ იწყება. განმეორებისას ყოველთვის **შ**-ს ამბობენ – ერთი რომ მოკვეცს **შ**-ს, სხვები უსწორებენ“³⁴ (იხ. გვ. 230).

აქვე გვახსენდება არნოლდ ჩიქობავას თვალსაზრისი, რომელიც გამოთქმული იყო ჯერ კიდევ „ჭანურის გრამატიკულ ანალიზში“: „მსაზღვრელი და საზღვრული ორი სიტყვაა და არა კომპოზიტი. რას უნდა მიეწეროს წინამავალი მსაზღვრელის უცვლელობა? უთუო წილი ამაში უდევს შინაარსობლივ მომენტს: მსაზღვრელი საზღვრულს განმარტავს; ეს კავშირი მსაზღვრელისა საზღვრულთან ცხადია, როცა მსაზღვრელი საზღვრულს უსწრებს: მსაზღვრელი სხვა სიტყვას ვერ დაუკავშირდება. ამ ნიადაგზე უნდა იყოს დაწყებული მისი მოდუნება, რომელიც საკმაოდ შორს არის წასული ახალს ქართულშიაც ძველ ქართულთან შედარებით და რომელიც დამთავრებული პროცესის ხასი-

³⁴ თ. შარაძენიძის დაუნჯებული დაკვირვებანი უშუალო შედეგია სხვადასხვა ასაკის მთქმელთან მისი ლინგვისტური საქმიანობისა, რაც სანიშნოდ გამოადგება ყველა მკვლევარს ველზე მუშაობის დროს, მითუმეტეს – ახალგაზრდობას.

ათს იღებს ჭანურსა და მეგრულში“ (ჩიქობავა 1936: 70-71). შევნიშნავთ, რომ ამ მხრივ სვანური ენა გარდამავალ საფეხურზე დგას და მსაზღვრელის დემორფოლოგიზაციას გარკვეულ მორფოლოგიურსა თუ მორფოსინტაქსურ მოვლენებთან ერთად ერთი ზოგადლინგვისტური კანონზომიერებაც (ეკონომიურობის პრინციპი!) განაპირობებს (დეტალურად იხ. ჩანტლაძე 1998: 25-39, 217-222).

მთავარი დასკვნა ზემოთ გაანალიზებული გამოკვლევისა ასეთია: მორფოლოგიაში ცხუმარულის სპეციფიკას ქმნის ბეჩოური და ეცერული კილოკავებისთვის დამახასიათებელ ნიშანთა თავმოყრა... გასარკვევია თავად საკითხი – ბალსქვემოური დიალექტის კილოკავებში, ამჟამად ასე მნიშვნელოვნად რომ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მორფოლოგიაში, ეს თავდაპირველი ვითარებაა თუ მეორეული? შესაძლებელია, სწორედ მეორეულ მოვლენასთან გვეკონდეს საქმე, ე. ი. მრავალფეროვანი ფორმები საერთო იყო მთელი ბალსქვემოურისათვის და ამათგან ზოგი ეცერულმა შეინარჩუნა, ზოგი კიდეც ბეჩოურმა. მაშინ ცხუმარულ კილოკავში წარმოდგენილი მდგომარეობა უძველესი გამოვა. **ფორმათა დიდი მრავალფეროვნება ერთსა და იმავე ერთეულში არ გაგვაკვირვებს, რადგანაც იგი სვანური ენისათვის საერთოდ არის დამახასიათებელი** (შდრ. ბრუნების რამდენიმე ტიპი, მრავლობითობის რამდენიმე აფიქსი, უარყოფით ნაწილაკთა დიდი რაოდენობით არსებობა და ბევრი სხვა – გვ. 248).

1946 წელს ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილების სხდომაზე თ. შერაძენიძემ წაიკითხა მოხსენება თემაზე „სვანური ენის ლატალური კილოკავის ზოგიერთი თავისებურება“, რომელიც სტატიის სახით საკმაო დაგვიანებით (1970 წ.) გამოქვეყნდა „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების“ XVII ტომში. ბუნებრივია, ეს მეტყველება მკვლევართა გარკვეულ ინტერესს ყოველთვის იწვევდა, რადგანაც იგი გამოიყენება სვანური ენის ბალსზემოურ და ბალსქვემოურ დიალექტთა შესაყარზე. ამიტომ სრულიადაც არ არის გასაკვირი, რომ ლატალში, მოსალოდნელი ათობითი თვლის (ბალსზემოური) სისტემის ნაცვლად, ოცობითი (ბალსქვემოური) თვლის სისტემა გვაქვს (იხ. გვ. 56).

თ. შერაძენიძემ ლატალის თემი სოფელ-სოფელ მოიარა. მართალია, 25 დღის მანძილზე ყველგან მისვლა ვერ შეძლო, მაინც არაერთი მეტად საინტერესო სპეციფიკა შენიშნა. ასე მაგალითად: უხვი საილუსტრაციო მასალის ანალიზის საფუძველზე მან დაადგინა, რომ არქაული **ეჯნარ** („თურმე“) იხმარება სიდიანარსა და ლელბაქში, მისი ვარიანტი **ეჩნარ** იფხსა და იენაში გვხვდება, ხოლო **ესნარ** ზემოსვანუ-

რშია გავრცელებული და უნდა მომდინარეობდეს III პირის ნაცვალსახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმისაგან, თუმცა თავადვე შენიშნავს, რომ „ფონეტიკური თვალსაზრისით ასეთი დაკავშირება არავითარ დაბრკოლებას არ ხვდება, მაგრამ სემასიოლოგიურად ნათელი არ არის, როგორ უნდა მიეღო „მისთვის“ მნიშვნელობის მქონე ნაცვალსახელს „თურმე“ ნაწილაკის ფუნქცია“ (იქვე: 62).

ამ უკანასკნელი სემანტიკით არც ეჯნარ და არც ეჩნარ ჩვენ სვანური ენის არც ერთ ლექსიკონში არ შეგვხვებდრია.

რაც შეეხება ბრუნებას, აქ მიცემითში -ჟ'იანი ფორმები ჭარბობს, რაც ჩვეულებრივია ბეჩოური კილოკავისთვის, ბალსზემოურ დიალექტში კი შედარებით იშვიათად იხმარება (იხ. გვ. 63).

ამ სტატიაში პირველად და დეტალური მსჯელობა -ჟ'იანი მიცემითის შესახებ (ჩამოთვლილია იმ დროისთვის შენიშნული ყველა შემთხვევა მისი გამოყენებისა სვანურ სახელთა ორფუძიანი, resp. სამფუძიანი ბრუნების სისტემაში!), რომლის საგანგებო შესწავლა სპეციალურ ლიტერატურაში თ. შარაძენიძის სახელთანაა დაკავშირებული (იხ. მისი „ორფუძიანობის ერთი ტიპის შესახებ სვანურ სახელთა ბრუნებაში - ჟ'იანი მიცემითის გამოყენება ფუძედ დანარჩენ ბრუნვათათვის, „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“, ტ. II, თბილისი, 1961: 221-233).

ცნობილია, რომ ბალსზემოურ დიალექტში, ძირითადად, ა/ე ხმოვანფუძიან სახელებთან იხმარება -ემ'იანი ერგატივი, თანხმოვანფუძიანებთან კი ის სპორადულად გვხვდება. რაც შეეხება ბეჩოურ კილოკავს, თ. შარაძენიძის აზრით, აქ -ემ მორფემა ორივე შემთხვევაშია წარმოდგენილი. მოგვიანებით იგი დადასტურდა ქვემო სვანურშიც (იხ. ჩანტლაძე 1979: 115-129).

ლატალურ მეტყველებაში ნათესაობითის მორფემა -'ე'მიშ შენიშნულ იქნა იმ შემთხვევებშიც, რომლებსაც ამჟამად მოთხრობით ბრუნვაში -ემ არ დაერთვის. თ. შარაძენიძე ორ შესაძლებლობას უშვებს: ერგატივის -ემ წინათ ლატალურში უფრო ფართოდ იყო გავრცელებული (თანხმოვანფუძიან სახელებთანაც იხმარებოდა), რომელიც ნათესაობითის -ემიშ დაბოლოებამ გაქვავებული სახით შემოგვინახა, ან არადა -'ე'მიშ ბეჩოურიდანაა ნასესხები.

მეტად საყურადღებოა, რომ საანალიზო მორფემის რედუცირებულ ვარიანტს, მართალია, ერთ შემთხვევაში, მაგრამ მაინც, თ. შარაძენიძე ლატალური მეტყველებების მრავლობით რიცხვშიც წარმოგვიდგენს:

ამჟრნ ანჰნდ ალმარმი (<ალი-არ-ე-ემ-ომ) გჰემი³⁵ – „ასე რა მოვი-
და ამათი საქმეც“ (გვ. 65; შდრ. აქვე ჩვენი მსჯელობა პ. უსლარისე-
ულ მულმარემი – „მამების“ ფორმასთან დაკავშირებით – გვ. 21).

ძალზე საინტერესოა, რომ კუთვნილებითი ნაცვალსახელის (მიჩა
„მისი“) ნათესაობითი ბრუნვის ფორმაში გამოკვლევის ავტორმა ლატა-
ლურ კილოკავში მიჩას გვერდით მიჩეც დაადასტურა, განსაკუთრე-
ბით ქალთა მეტყველებაში (<მიჯ-შა-ემ? – იხ. გვ. 66).

პირველი მკვლევარი, ვინც მუხჰზე („ძმა მმისთვის“)ს
მიცემით ბრუნვაში ზედსართავ და რიცხვით სახელთა-
თვის დამახასიათებელი -ამ დაბოლოება შენიშნა (იხ. გვ.
78), გახლდათ თ. შარაძენიძე (უფრო დეტალურად შესაბამის მსჯელო-
ბას სხვა ქართველოლოგთა ნაშრომების განხილვისას წარმოვადგენთ).

სტატიის დასასრულს დაწვრილებითაა შეჯამებული საველე მუ-
შაობის შედეგები:

ლატალური კილოკავის, როგორც გარდამავალი მეტყველების,
სპეციფიკა განისაზღვრება ორგვარ ჭრილში:

1. ზოგი რამ ბალსზემოურ ლატალურს, როგორც ბალსქვემოურ
დიალექტთან მომიჯნავე მეტყველებას, აერთიანებს ბეჩოური კილოკა-
ვისთვის დამახასიათებელ მოვლენებთან;

2. მორფონოლოგიურ თუ მორფოსინტაქსურ პროცესთა ერთი
წყება სპეციფიკურია მხოლოდ ლატალური მეტყველებისთვის და არ
ახასიათებს არც მესტიურ-ლენჯერულ (ბზ.) და არც ბეჩოურ (ბქ.)
კილოკავებს.

1946 წლისთვის ჯერ კიდევ არ იყო გამოწვლილვით შესწავლილი
ბალსქვემოური დიალექტის კილოკავთა თავისებურებანი, ამიტომაც
შესაბამისია დასკვნებიც:

„ლინგვისტურმა გეოგრაფიამ განსაკუთრებით გაამახვილა ყურა-
დღება იმაზე, რომ ცალკეული ენობრივი ფაქტების გა-
ვრცელების სფეროები ერთმანეთს არ ემთხვევა – ზოგი
თავისებურება ლატალში კი არ წყდება, ლენჯერამდეც აღწევს (მრავ-
ლობითი რიცხვის -წრ სუფიქსის უდისიმილაციოდ წარმოდგენა³⁶,
-ჟიანი მიცემითის ხშირი ხმარება,...), ზოგი ალბათ ბეჩოს ქვემოთაც
არის ფენმოკიდებული“ (გვ. 80).

³⁵ აუსლაუტში სიგრძე არ უნდა გვექონოდა თანხმოვნის მომდევნო პოზიციასში.

³⁶ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართვე-
ლოური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ 1997-1999 წლებში
ლატალში ფიქსირებული ტექსტების ანალიზის საფუძველზე ნინო ნაკანმა
დაადგინა, რომ „სახელის მრავლობითის ფორმათა წარმოების თვალსაზრისით
ლატალური კილოკავი ემოჯნება ბალსქვემოურ დიალექტს – -წრ სუფიქსის დისი-
მილაციის პროცესი ახალი თაობის ლატალელთა მეტყველებაში
თითქმის დასრულებულია (98%-ის სახით). უდისიმილაციო მონაცემები მეტი
სიხშირით დასტურდება 70 წელს გადაცილებულთა შორის (35%-ის სახით)“ – იხ.
ნაკანი 2000: 260-262.

1983 წელს „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეულის“ X ნომერში დაიბეჭდა სვანური ენის სახელთა ურთულეს პარადიგმატიკაზე თ. შარაძენიძის მუშაობის შემაჯამებელი სტატია „Некоторые основные вопросы склонения сванского языка“³⁷, რომელშიც სხვადასხვა დიალექტის ემპირიული მასალისა და წინაშრობედ მკვლევართა ნაღვაწის სკრუპულოზური ანალიზის ფონზე წარმოდგენილია მნიშვნელოვანი თეორიული მსჯელობანი; ავტორი ნაწილობრივ აგრძელებს თავის დიდებულ მასწავლებელთა ტრადიციებს, მაგრამ ბრუნების კლასიფიკაციას იგი ახდენს არა მორფემათა წარმომავლობის (ორგანულობა-ნასესხობის), არამედ ორ(resp. სამ)ფუძიანობის პრინციპისა და მიცემითი ბრუნვის სხვადასხვა მაწარმოებელთა მიხედვით. რაკი ამ მსჯელობას საფუძვლად უდევს მიცემითის ფორმა, როგორც მეორე ფუძის წარმომქმნელისა ბრუნების პროცესში, ცხადია, მან გადაინაცვლა წინ, ე. ი. პირველი ფუძის შემცველი სახელობითის შემდეგ, ამიტომ (და არამხოლოდ ამიტომ!) სვანურ ბრუნვათა ტრადიციული რიგიც შეიცვალა. სინქრონიულად ახალ კლასიფიკაციაში 5 ტიპი გვაქვს (ქვეტიპებითურთ), თუმცა დიაქრონიულად შეიძლება მისი 4 ტიპამდე ჩამოყვანა, რადგან სავარაუდოა, რომ -ა ბოლომდონიან არსებით სახელებსაც უნდა ჰქონოდათ ისტორიულად -ამ მორფემა მიცემით ბრუნვაში ზედსართავ, რიცხვით და ნაცვალსახელთა მსგავსად (ხოხჭრანმ „პატარას, უმცროსს“, ჩხარანმ „ცხრას“, ჟოშანმ „რამდენს“, ბქ. ხანდამ <“ხედა-ამ, შდრ. ბზ. ხედანშ „რომელს“).

წარმოგიდგენთ თ. შარაძენიძისეული კლასიფიკაციის სქემას:

ბრუნვათა სახელწოდებანი	I ტიპი -ს'იანი მიცემითი	II ტიპი -ჭ'იანი მიცემითი	III ტიპი -წ'იანი მიცემითი	IV ტიპი -ა'იანი მიცემითი	V ტიპი -ამ'იანი მიცემითი
სახელობითი	მ/ ე				
სიცნაათი	-ს	-ჭ	-წ'ა?;	-ა	-ამ
ერგატივი	-დ	-ჭ-ურ	-(წ-ა-უმ)-წურ	-ა-დ, (-ა-უმ)-ურ	-ურ, -ამ-დ, -ამ-წურ
მოქმედებითი	-მჭ/ურმ	-ჭ-მ	-(წ-ა-უმ)-წომ	(-ა-უმ)-ომ	-ამ-მჭ
გარდაქცევითი	-დ	-ჭ-დ	-წ-ა-რ-დ	-ა-დ	-ამ-დ
ნათესაობათი	-მშ/უმ	-ჭ-(უმ)-მშ (მზ.), -ჭ-მქ (ბქ.)	-მწ -მშ	(-ა-უმ)-მშ(-)უმ-მშ (მზ.), -მქ (ბქ.)	-უმ-მშ (მზ.), -მქ (ბქ.)

³⁷ ხსენებულ სტატიაში, ძირითადად, განმეორებულია ადრინდელ გამოკვლევაში („ბრუნებათა კლასიფიკაციისათვის სვანურში“) წარმოდგენილი დებულებები და სქემაც; გარდა ამისა, დამატებულია 1955 წლის შემდგომდროინდელ ნაშრომთა ანალიზი ახალი მოსაზრებებითურთ. ამიტომ ვარჩიეთ 1983 წელს გამოქვეყნებული რუსულენოვანი სტატიის განხილვა.

ლ. პალმაიტის აზრით (1979, 1986), სინქრონიული ანალიზისას არ არის სავალდებულო, კლასიფიკაცია მოხდეს ბრუნვის მორფემათა წარმომავლობის მიხედვით, მაგრამ თ. შარაპენიძის შერეული, სინქრონიულ-დიაქრონიული კლასიფიკაცია მოსახერხებელია, თუმცა ის არ მოიცავს ყველა ტიპს. იმავეს, ოღონდ უფრო მკაცრად, გახაზავს ალ. ონიანიც: „სინქრონიული ანალიზი აფიქსთა წარმომავლობის მიხედვით დაჯგუფების ცდამ შეცვალა – სინქრონიული კლასიფიკაციისას დიაქრონიიდან ამოსვლამ, ე. ი. თანამედროვე სვანურის მონაცემთა იმის მიხედვით დახასიათების ცდებმა, როგორც, ვარაუდის მიხედვით, უნდა ყოფილიყვნენ ისინი ისტორიულად და როგორც არ არიან ამჟამად. მეთოდოლოგიური ხასიათის ამგვარ ნაკლოვანებათა დაძლევა ისეთ შრომებშიც კი ვერ მოხერხდა, სადაც მიზნად იყო დასახული ბრუნებათა კლასიფიკაცია სტატიკური თვალსაზრისით, ბრუნვათა წარმოების პრინციპზე დაყრდნობით“ (ონიანი 1998: 57).

რაღა თქმა უნდა, მეთოდოლოგიური ხასიათის შენიშვნა მისაღებია როგორც უცხოელი, ისე ქართველი მკვლევრისაგან, მაგრამ ისიც ხომ ცნობილია, რომ „ენათმეცნიერების ყველაზე არსებითი მიღწევები სწორედ ენის ისტორიას უკავშირდება“ (ჩიქობავა 1979: 5). მხოლოდ სინქრონიული პრინციპით შექმნილმა კლასიფიკაციებმა კიდევ უფრო გაართულეს სვანური ენის ისედაც რთული ბრუნვათა სისტემა. რომელი უფრო ადვილია აღსაქმელად 3, 4 ან თუნდაც 5 ტიპისგან შედგენილი პარადიგმატიკა თუ 8 (პალმაიტი) ან არაძირითადი წესების სხვადასხვა ვარიანტიან ფუძეთა და სხვადასხვა ქვეჯგუფთა შემცველი 2 ტიპი (ონიანი)?!

თ. შარაპენიძის ფუნდამენტურ გამოკვლევამდე სვანურ ენაში ყველაზე გავრცელებულ I ტიპში (ე. წ. ქართველურ სისტემაში) განიხილებოდა თანხმოვანფუძიანი და -ა, -ო, -უ დაბოლოებიანი საზოგადო თუ საკუთარი სახელები; რაც შეეხება -ი აუსლაუტიანებს, მათ ყველა ადრინდელი მკვლევარი რატომღაც გვერდს უვლიდა, ქალბატონმა თინათინმა კი ისინიც ჩართო -ა, -ო, -უ აუსლაუტიანთა გვერდით, ვფიქრობთ, ალბათ იმიტომ, რომ იმ დროისათვის უკვე 10 წლის გამოქვეყნებული იყო ჩვენი საგანგებო სტატია საანალიზო საკითხთან დაკავშირებით „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხების“ IV ტომში. მანამდე ამგვარ სახელთა ფორმაცვალების კვლევით სპეციალურად არავინ დაინტერესებულა.

დანარჩენი ქართველური ენებისთვის დამახასიათებელი მორფემებით გამორჩეული სვანური ბრუნების I ტიპი ყველა დიალექტში თანაბრადაა გავრცელებული (შეიძლება ითქვას, რომ ქვემოსვანურში ერთადერთიც კია, თუ სხვა ტიპის ბრუნების ზოგიერთ გადმონაშთს არ მივიღებთ მხედველობაში), დანარჩენებს კი ახასიათებს მეტ-ნაკლები შეზღუდვები:

II ტიპის ბრუნებისთვის სპეციფიკურია ფუძისეულ ხმოვანთა აბლაუტი, ანუ გარკვეული ფონეტიკური პროცესის მორფოლოგიზაცია, რაც მეორეულია აფიქსაციასთან შედარებით. თ. შარაძენიძის აზრით, ფუძისეული ხმოვანი სახელობითი ბრუნვის ამჟამად მოკვეცილი -*ო/-ე* სუფიქსის გავლენით უმლაუტდება, ზოგჯერ კი *ჰ > ე* (განსხვავებული თვალსაზრისისთვის³⁸ იხ. მ. ქალდანის „სვანური ენის ფონეტიკა, I, უმლაუტის სისტემა სვანურში“, 1969). ვინაიდან რიგ შემთხვევაში მიცემითის -*ჟ-ც* იკვეცება, სახელობითი და მიცემითი ბრუნვები ამჟამად ერთმანეთისაგან განსხვავდება უმლაუტიანი (*ჰ, ე*) და უუმლაუტო (*ა*) ხმოვნების დაპირისპირებით (სახ. ხეხჟ „ცოლი“ – მიც. ხახჟ „ცოლს“).

ბრუნების II ტიპი სისტემატურად გვხვდება ბალსქვემოურ დიალექტში, ძირითადად, თანხმოვანფუძიან სახელებთან. ბალსზემოურში შედარებით იშვიათია და იქაც პარალელურად I ტიპის მორფემებიც გამოიყენება.

III ტიპის მიხედვით იბრუნება ნაცვალსახელები და ზოგი არსებითი სახელი (შგ-ნ „ხელში“ / ში „ხელი“, გუ-ნ „ძალიან“ / გუ „გული“) ზმნისართული თუ ზოგჯერ ატრიბუტული მნიშვნელობით, შედარებით ხარისხთან (მეთხჟიარ-ნ ხოჩა „მონადირეზე უკეთესი“) ან ზოგ ზმნასთან (დაჟ-ნ მაყლუნი „დევის მემინია“) კონტექსტში, აგრეთვე, თანდებულიან ფორმებში (ანუ ნ. მარის ე. წ. „საკუთრივ სვანური“ ბრუნება).

IV ტიპს განეკუთვნება -*ე* ბოლოხმოვნიანი სახელები, სადაც მიცემითში წარმოდგენილი -*ა* ბრუნვის ნიშანი კი არ არის ისტორიულად, არამედ ფუძის ბოლო ხმოვანია,³⁹ რომელიც სახელობითი

³⁸ თ. შარაძენიძისეული აბლაუტი (უფრო ადრე ვ. თოფურიას -*ა* ფორმანტიანი მიცემითი) უკანა მიმართულების უმლაუტადაა კვალიფიცირებული მ. ქალდანის სადოქტორო დისერტაციაში „უმლაუტის სისტემა სვანურში“ (1969 წ.), მაგრამ ეს მოსაზრება საანალიზო სტატიის ავტორს არ გაუზიარებია (იხ. Шапардзенидзе 1983: 86-87).

³⁹ გ. დეტერსს, იმის გამო, რომ სვანურ მიმღობებში ძალიანაა გავრცელებული მე-/მა- — ე წარმოება, მწარეს ტიპის სახელებიც Die Partizipia auf -*e* ჰგონია (Deeters 1930: 95).

ბრუნვის -ი მორფემის გავლენის შედეგად ჯერ გაუმლაუტებულა, შემდეგ კი ე-დ ქცეულა, თინათინ შარაძენიძის აზრით, მაგრამ ჩვენ მარე „კაცი“ ტიპის სახელთა წარმომავლობა რამდენადმე განსხვავებულად გვესახება; ანუ მარე <მარა <მარა+ი კი არა, არამედ: მარე <მარე <მარა+ე⁴⁰, რადგანაც სავარაუდოდ ამოსავალი⁴¹ მარაი ფორმა უფრო მარაჲ'ს მოგვცემდა (შდრ. ჰალა+ი > ჰალა-ი „მდინარე“), ვიდრე მარე'ს (იხ. ჩვენი „კვლავ მარე ტიპის სახელების გამო სვანურში“, 1970); ე. ი. ა+ე ხმოვანთა შერწყმის ვარაუდი უფრო დამაჯერებელია, ვიდრე უმლაუტი ამ კონკრეტულ შემთხვევაში.

თ. შარაძენიძე იზიარებს წინამორბედ მკვლევართა გამონათქვამებს სვანური ბრუნების სხვადასხვა ტიპის უნიფორმაციის შესახებ და „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების“ XXI ტომში გამოქვეყნებულ ჩვენს სტატიაზე („ორფუმიანობის საკითხისათვის ქვემოსვანურში“ – 1979 წ.) დაყრდნობით, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ უნიფიკაციის პროცესი გამოხატულია არა მხოლოდ ბრუნების I ტიპის გენერალიზაციით, არამედ სხვადასხვა ბრუნების დაბოლოებათა ერთდროული გამოყენებით (Шарадзенидзе 1983: 56, 77-78).

ყველაზე მნიშვნელოვანი თ. შარაძენიძის გამოკვლევაში ისაა, რომ მან არა მხოლოდ დეტალურად მიმოიხილა წინამორბედ მკვლევართა (და ასეთი საკმაოდ ბევრია!) შრომები, არამედ არავის დაუპარგა არანაირი წვლილი ახალ მოსაზრებათა შემუშავების საქმეში – არც მასწავლებელს და არც მოსწავლეს. მე ქალბატონი თინათინის სტუდენტი გახლდით და დიდი სიამოვნებით გავხაზავ ამ ფაქტს, რაც, სამწუხაროდ, არც ისე ხშირად ხდება ხოლმე.

ხუთი ტიპიდან პირველის მიხედვით ფორმაცვალებად სახელებს ბრუნების პროცესში ერთფუმიანობა ახასიათებს (ისევე, როგორც დანარჩენ ქართველურ ენებს), II-IV-V ტიპებში თ. შარაძენიძე სამფუმიანობის პრინციპს ხედავს, ხოლო III-ში – ორფუმიანობისა. მაშასადამე, ახალი თეორია რამდენადმე მიუახლოვდა არნ. ჩიქობავას თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც, თუ არ მოხერხდებოდა მიცემითის ფუძის

⁴⁰ ე. ი. ამგვარი ტიპის სახელთა ნომინატივში ახლა ჩვენ ვვარაუდობთ -ე (და არა -ი!) მორფემას (ადრე სხვაგვარად ვფიქრობდით!).

⁴¹ თ. შარაძენიძე თავის შრომებში წარმოდგენილ პარადიგმატულ სქემებში ან თეორიული მსჯელობისას სვანური (და საერთოქართველურიც!) ენის განვითარების უძველესი საფეხურებისთვის სახელობითი ბრუნვის მორფემად აღადგენს როგორც -ი, ისე -ე ხმოვანს, მაგრამ ბრუნებათა ცალკეულ ტიპებში კონკრეტულ მაგალითებთან რატომღაც მხოლოდ -ი გვაქვს, გარდა ღელ <ჴელ <ჴელ-ი/ე („ძალი“) ლექსემისა.

დაყვანა ერგატივისაზე, მაშინ საქმე გვექნებოდა სამფუძიანობასთან (1941: 56). თ. შარაძენიძის აზრით, სვანური ენისთვის სპეციფიკურია არა მხოლოდ სამფუძიანობა (ქალ-ჟ-ემ-იშ „ძაღლის“, სადაც მიცემითის ფორმას ქალ-ჟ „ძაღლს“ ემყარება ერგატივის ქალ-ჟ-ემ „ძაღლსმა“, ორივეს კი ნათესაობითის ქალ-ჟ-ემ-იშ „ძაღლსმას“: სამი ფუძის გამოყენების შემდეგ სახელს შეიძლება დაერთოს დესტინატივის ფუნქციის გადმომცემი -დ და ვლელულობთ ძველი ქართული „ძაღლისად“ ფორმის შესაბამის სემანტიკას ქალ-ჟ-ემ-იშ-დ), არამედ მეორე ფუძედ მიცემითის გამოყენება. მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში ამ ფუნქციით, ჩვეულებრივ, გვევლინება ერგატივი, იშვიათად ნათესაობითი, ვითარებითი ან ლოკატიური ბრუნვები. სვანური მიცემითის დაყვანა რომელიმე სხვა ბრუნვამდე ჯერჯერობით ვერ ხერხდება.

მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ ურთულესი სვანური ბრუნების ურთულეს სისტემას ქართველოლოგთა თაობები იკვლევდნენ, მაინც ჩვენ წინაშე კვლავ არაერთი პრობლემა დგას, რასაც არც სხვა მეცნიერები უარყოფენ.

§ 2. მაქსიმე ქალდანო

სვანური ბრუნების საკითხებზე მაქსიმე ქალდანს საგანგებოდ არ უმუშავია, მაგრამ 1956 წლიდან „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების“ რამდენიმე ტომში ქვეყნდებოდა ბალსქვემოური დიალექტის კილოკავთა (ბეჩოური, ეცერული, ჩუბეხეური, ლახამულური)⁴² გრამატიკული ანალიზები, სადაც გამოთქმულია საკმაოდ საინტერესო მოსაზრებანი ბრუნების ტიპებისა თუ ცალკეულ ფორმანტთა შესახებ. ეს უკანასკნელნი ზოგჯერ განხილულია მთქმელის ასაკთან მიმართებაში, რაც ძალიან მნიშვნელოვანია გარკვეულ გრამატიკულ ფორმათა წარმომავლობის უწინარესობა-შემდგომადობის ჩვენების თვალსაზრისით. ბატონი მაქსიმე თავად ბალსქვემოელი იყო და ამიტომ ძალზე სანდოა მისი შრომების არა მხოლოდ თეორიული ნაწილი, არამედ, უპირველეს ყოვლისა, საილუსტრაციო მასალაზე დაკვირვება. მაგალითად: „ადიდური ტიპის -ემ (|| -მ) ფორმანტი თითქმის მთელ სვანურში გვხვდება, თუმცა იმ განსხვავებით, რომ ბალსზემოურსა და ლაშხურში მისი მორფოლოგიური ძალა, როგორც ჩანს, იქამდე დასუსტებულა, რომ -იშ სუფიქსის მოშველიების გარეშე ნათესაობითის გამოხატვა უჭირს, ხოლო ლახამულურში -ემ-ის მორფოლოგიური ფუნქცია შედარებით ნაკლებ არის შელახული, რის გამოც -იშ ფორმანტის დამატებას არ საჭიროებს“ (ქალდანო 1956: 167). მოგვიანებით ბქ. მარემ („კაცმა/კაცის“) ტიპის ფორმებს გ. თოფურიამ პალეოერგატივი („Совмещающий“) უწოდა მთის იბერიულ-კავკასიური ენებიდან ამოსვლით, სადაც ერთი ფუძე რამდენიმე ბრუნვის ფუნქციას ითავსებს (Топуриа 1977: 28-33). მაშასადამე, როგორც მ. ქალდანს, ისე გ. თოფურიას ბალსქვემოურის გაუდიფერენცირებელი, მოთხრობითისა და ნათესაობითის ზიარი, ფორმები არქაულ მონაცემებად მიაჩნიათ. ამასვე ფიქრობდა ვ. თოფურიაც (1944: 345), თუმცა დანარჩენ სვანოლოგებს მარემ („კაცის“) მეორეული, გვიანდელი ჰგონიათ, მათ შორის – ჩვენც. „Такому допущению препятствуют случаи, когда согласная фонема родительного падежа § усечена, а гласная i сохранилась: **jekdašmi** <

⁴² ცხუმარული მეტყველება მ. ქალდანს სპეციალურად არ შეუსწავლია, რადგანაც 1958 წელს უკვე იყო გამოქვეყნებული თ. შარაძენიძის შესაბამისი სტატია „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების“ IX-X ტომში (მ. ქალდანს ცხუმარული ხან ეცერულის თქმად მიაჩნდა და ხან – დამოუკიდებელ კილოკავად; ამის შესახებ იხ. ჩანტლაძე, სვანური ენის ზოგადი დახასიათება, „კავკასიის მაცნე“, №1, თბილისი, 2000, გვ. 111).

jekdaš-em-iš ("обоих" – нижнебаль. 84: 18), **šimi < ši-em-iš** (нижнебаль. 74: 37).
Никак нельзя допустить, что к окончанию эргативного падежа сначала присоединился гласный элемент родительного **i**, а затем согласный **-š**. Следовательно, **имеется усечение, а не наращение суффикса -iš** (Шарадзенидзе 1983: 77).

„იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების“ VIII ტომში გამოქვეყნებულ სტატიაში მ. ქალდანი ყველაზე ვრცლად სახელთა ბრუნებას და მსაზღვრელ-საზღვრულის სხვადასხვა ტიპში მსაზღვრელის ფორმაცვალების გამარტივებისა თუ მოშლის პროცესებს განიხილავს. საგანგებოდაა ხაზგასმული, რომ მეტადრე ახალგაზრდების მეტყველებაში აშკარაა ორფუძიანი სისტემიდან ერთფუძიანი ბრუნების სისტემაზე გადასვლის, ანუ რთულის მარტივით შეცვლის ტენდენციები ქვემოსვანურის მსგავსად. ეს განსაკუთრებით ეხება **-ე** ბოლო თუ შიგნიხმოვნის სახელებს და **-ჟიან** ბრუნებას (**თხერე „მგელი“ – თხერე-ს** და არა **თხერა „მგელს“, მეგემ „ხე“ – მეგემ-ს** და არა **მეგამ „ხეს“, ჭაშ „ქმარი“ – ჭაშ-ს** და არა **ჭაშ-ჟი „ქმარს“** და ა. შ. ...იგივე სიტუაციაა ვითარებით ბრუნვაშიც, ოღონდ შედარებით იშვიათად: **ლგგრე-დ** და არა **ლგგრა-დ** „კვერცხად“, ... – გვ. 161-164).

სამაგიეროდ, როგორც ლახამულური, ისე ეცერული (და ბალსქვემოურის სხვა) კილოკავები დღემდე ინარჩუნებენ არქაულ ვითარებას ე. წ. ადილური ტიპის ბრუნების **-ემ** მორფემის წარმოდგენის თვალსაზრისით ერგატივში – ძალზე იშვიათად თუ წავაწყდებით **ჟედ-დ** („ძალმა“) ან **ლიც-დ** („წყალმა“) ფორმებს **ჟად-ჟი-ემ** ან **ლგც-ემ** მონაცემთა ნაცვლად (გვ. 165-166).

იმ დროისათვის ჯერ კიდევ არ იყო გამოთქმული „საკუთრივ სვანური ბრუნების“ (ნ. მარი) წარმომადგენლის მიცემითი ბრუნვის მორფემად ჩათვლის საწინააღმდეგო თვალსაზრისები, ამიტომ დღეისათვისაც კი ძალზე მნიშვნელოვნად გვეჩვენება ძველი სვანური ხალხური სიმღერების არქაულ ფორმათა (**ზოგ-ნ-ო-ზოგ-ა-ს „ხიდდა-ხიდ“, ზაჩ-ნ-ო-ზაჩ-წრ-ს „ქვადაქვა“**) ჭეშმარიტი გაანალიზების საფუძველზე გამოტანილი ფრიად მნიშვნელოვანი დასკვნა: **-ნ** და **-ს** სუფიქსების მსგავსი მონაცვლეობა იმაზე მიუთითებს, რომ **ამ ვითარებაში ნახმარი -ნ, მართლაც, მიცემითი ბრუნვის ნიშანია** (გვ. 166). რაც შეეხება ვითარებითი ბრუნვის მორფემად **-ნ** თანხმოვნის გამოყენების შემთხვევებს, მ. ქალდანს

მოჰყავს შემდეგი ლახამულური მაგალითები: **თხუმ-ნ-ო-თხუმ-ნ** || **თხუმ-დ-ო-თხუმ-დ** „თავდაპირველად“ (სიტყვასიტყვით „თავადდა-თავად < თხემადდათხემად“), **ჩი-ნ** || **ჩი-დ** მაჩენ „ყველაზე უკეთესი“, **სგებ-ნ** || **სგებ-დ** „წინისკენ < წინად“, ... – გვ. 166-167).

ჩუბხეური მეტყველების გრამატიკული ანალიზის შემდეგ მ. ქალდანი დაახლოებით იმავეს დაასკვნის: „**დღევანდელი სვანური დიდ ცვლილებებს განიცდის სახელთა ბრუნების თვალსაზრისით** (ხაზი ჩვენია – **ო. ჩ.**). ცვლილება პირველ რიგში თავს იჩენს -ე ბოლო-ხმოვნის ფუძის ფლექსიის მქონე სახელებთან. იმ დიალექტებში, სადაც ეს მოვლენა თვალსაჩინოდ არის ფეხმოკიდებული, უკვე ქრება სვანურის დამახასიათებელი თვისება და მის ადგილს იკავებს ბრუნების ქართველური სისტემა“ (ქალდანი 1959: 227-229). მიუხედავად იმისა, რომ ჩუბხეური მეტყველება საკმაოდ კონსერვატულ დამოკიდებულებას იჩენს ამ თვალსაზრისით, მაინც მ. ქალდანს ეს დროებით მოვლენად მიაჩნია – ადრე თუ გვიან ჩუბხევეშიც მოიკიდებს ფეხს ქართული ენის ძლიერი გავლენა და საბოლოოდ აქაც გაბატონდება ბრუნების ქართველური სისტემა (ქალდანი 1959: 229).

1958 წელს „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების“ IX-X ტომში დაიბეჭდა მ. ქალდანის გამოკვლევა „სვანური ენის ბალსქვემოური კილოს ეგერული თავისებურებანი“, რომელშიც სახელთა მორფოლოგია შედარებით მოკლედაა წარმოდგენილი, რადგანაც უკვე გამოქვეყნებული იყო იმავე მკვლევრის დაკვირვებანი ბალსქვემოური დიალექტის სხვა კილოკავთა შესახებ ენათმეცნიერების ინსტიტუტის ძირითადი ორგანოს წინა ტომებში.

მეტად მნიშვნელოვანია მ. ქალდანის საველე მუშაობის შედეგები: „ბალსქვემოურ დიალექტში ამჟამად ერთმანეთს უპირისპირდება ორი მიდრეკილება: ერთი ბრუნების ქართველურ სისტემას ანიჭებს უპირატესობას, მეორე – ადიღეურსა და ნარევს. სახელთა ბრუნების ქართველური სისტემა ახლა იკიდებს ფეხს. მას აბატონებს ახალი თაობა და აიხსნება თანამედროვე ქართული ენის დიდი გავლენით, რომელსაც სკოლის, წიგნის, ჟურნალ-გაზეთებისა და სხვა გზით აღწევს იგი. ბალსქვემოური კილოს ლახამულურ კილოკავში აქტიურად მოქმედებს ბრუნების ადიღეური და ნარევი სისტემის ქართველური სისტემით შეცვლის პროცესი. პროცესს კიდევ უფრო აქტიური ხასიათი

აქვს ბეჩოურ მეტყველებაში, ძველი ვითარება კი ყველაზე სრულად დღემდე ფარულ-ჩუბეხეურშია დაცული. ეცერული ამ თვალსაზრისით შუა გზაზე დგას ლახამულურსა და ფარულ-ჩუბეხეურს შორის“ (ქალდანი 1958: 212, ხაზი ჩვენია – **ო. ჩ.**).

წინამდებარე წიგნის ერთ-ერთი რედაქტორის ქ. მარგიანი-სუბარის ცნობით, უკვე ჩუბეხეურშიც (მის მშობლიურ მეტყველებაში) ასეთი სიტუაციაა.

მეტად საყურადღებოა, რომ სპორადულად, მაგრამ მაინც ეცერულ მეტყველებაში შესაძლოა -ემ მორფემა -**ოშ**-ით შეიცვალოს ნათესაობით ბრუნვაში (**ფხულ-ემ „თითის“, ჯან-ოშ „ხარის“, ლიგ-ოშ „წყლის“...**, შდრ. ჩბხ. **ფხულ-ემ, ჯან-ჟ-ემ, ლგვ-ემ...**).

რაც შეეხება ბეჩოურ კილოკავს, იგი უშუალოდ ემეზობლება ბალსზემოურ დიალექტს – „მდებარეობს მდინარე დოღრას ხეობაში და აღმოსავლეთის მხრიდან ზედ ეკვრის ზემოსვანური მეტყველების ორ ერთეულად გამყოფ ბალის მთას. ახლო მეზობლობით გამოწვეულ ყოველდღიურ ურთიერთობას უშედეგოდ არ ჩაუვლია ბეჩოურისთვის. მას გააჩნია მთელი რიგი თავისებურებანი, რომლებიც ბალსზემოურის გავლენის შედეგი ჩანს“ (ქალდანი 1962: 191). განსაკუთრებით თვალში საცემია ბეჩოს სასოფლო საბჭოს შემადგენლობაში შემავალ მცხოვრებთა მეტყველებაში ნათესაობითი ბრუნვის მორფემის თანხმონითი ელემენტის მოკვეცის შემთხვევები, რაც ბალსქვემოური დიალექტის დანარჩენ კილოკავებს თითქმის არ ახასიათებს, სამაგიეროდ, ბალსზემოურში, როგორც წესი, ყველა პრეპოზიციურ მსაზღვრელს ეკვეცება ნათესაობითის -**შ**.

გასაოცარია, რომ არქაულობით გამორჩეული ლექსემებიც მოექცნენ უნიფორმაციის ტენდენციის გავლენის ქვეშ. მ. ქალდანის აზრით, თვით **მჷა** („რა“) ნაცვალსახელმაც კი აუბა მხარი თანამედროვე სვანურში ფართოდ გავრცელებულ მორფოლოგიურ მოვლენას – ბრუნების ორფუძიანი სისტემის გამარტივებას, მის ერთფუძიანობამდე დაყვანისაკენ სწრაფვას (ქალდანი 1956: 164), ეს ფუძე კი სწორედ სახელობითისეულია, ოღონდ პროცესი მიმდინარეობს ლახამულურ კილოკავში, სადაც ჩვეულებრივია -**ჷა** > -**ა**, ამიტომაც გვაქვს:

მიც. **მჷ-ს < მჷ-ჷ-ს < *მჷ-ო-ს** (შდრ. ბზ. **ო-მ-ს**) „რას“

ვით. **მჷ-დ < მჷ-ჷ-დ < *მჷ-ო-დ** (შდრ. ბზ. **ო-მ-ნ-ჷრ-დ**) „რად“

ანალოგიური ვითარება ჩვენ დავადასტურებთ განსაზღვრებით ნაცვალსახელებთანაც ლენტეხურ დიალექტში. სპეციალურ ლიტერატურაში (მარტიროსოვი 1964: 368) აღნიშნულია, რომ სვანური ნაცვალსახელი მზგ (ზს., ლნტ.) / მაგ (ლშხ.) მხოლოდ სახელობითში გამოიყენება, ხოლო ყველა სხვა ბრუნვაში მას მეორე ფუძე (ჩნ/ჩი) ენაცვლება. თუ ლენტეხურ მონაცემებსაც გავითვალისწინებთ, შეიძლება გვთქვას, რომ სუპლექტურობის შემთხვევაშიც კი ენა ცდილობს, თავიდან აიცილოს სირთულე და მაინც სახელობითის ფუძე გააბატონოს.

მზგ-დ ლაჲყულებ – „ყველამ დაიყვირეს“ (სვან. პროზ. ტ., III, 1967: 314, 20);

მაგ-დ (|| ჩ-ემ-ემ-დ <*ჩი-ემ-ემ-დ) ქა ლახოქაბეხ – „ყველამ გვერდი აუარეს“ (იქვე: 121, 31);

ხემარალდახ მზგ-შჷ (|| ჩი-მ-შჷ <*ჩი-ემ-შჷ) – „ემზადებოდნენ ყველაფრით“ (იქვე: 46, 33).

განსაკუთრებით საყურადღებოა ჩი-მ-შჷ ფორმა, სადაც მოქმედებითი -'ე'მ'იან ერგატის ემყარება, რაც აქამდე სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნული არ ყოფილა.⁴³

მ. ქალდანის აზრით, არქაიზაციისკენ მიდრეკილებას ჩუბეხურ მეტყველებაში ჯერ კიდევ ინარჩუნებენ მსაზღვრელად გამოყენებული ზედსართავები, რიცხვითები და ნაცვალსახელები იმ დროს, როდესაც ბერძურში მთელი პარადიგმები იქმნება სახელობითი ბრუნვის ფორმის მიხედვით (ქალდანი 1959: 228-229):

	ჩ ბ ხ.		ბ ე ჩ.
სახ.	ალ მარე	„ეს კაცი“	ალი მარე
მიც.	ამ მარა	„ამ კაცს“	ალი მარეს
მოთხ.	ამ მარემ	„ამ კაცმა“	ალი მარედ/მარემ
ნათ.	ამ მარემ	„ამ კაცის“	ალი მარემ
მოქ.	ამ მაროშჷ	„ამ კაცით“	ალი მაროშ
ვით.	ამ მარად	„ამ კაცად“	ალი მარედ

⁴³ დეტალურად ნაცვალსახელთა სუპლექტივიზმის მომლის შესახებ თანამედროვე სვანურ მეტყველებაში იხ. ჩვენი მონოგრაფია „ქართველოლოგიური მიეზანი“ (1998: 74-75).

§ 3. გივი მაჭავარიანი

მოგვიანებით გამოქვეყნდა ბესარიონ კიკვიძისა (1959 წ.) და გივი მაჭავარიანის (1960 წ.) ნაშრომები თბილისში, ხოლო 1961 წელს – გიორგი კლიმოვის სტატია "Реконструкция склонения общекартвельского языка-основы" ("Вопросы языкознания", №6), 1962 წელს კი – მონოგრაფია "Склонение в картвельских языках в сравнительно-историческом аспекте" მოსკოვში.

სამივე მათგანის თვალსაზრისით, სვანური ერგატივის -'ე'მ მორფემა საერთოქართველური წარმომავლობისაა და მომდინარეობს ნაწევრისგან (ე. წ. არტიკლ-ართრონისგან) ძველი ქართული ბრუნების სისტემის მსგავსად. საანალიზო ფორმანტის ადილური გენეზისი, უპირველეს ყოვლისა, უარყოფილ იქნა იმის გამო, რომ მკვლევართა (განსაკუთრებით გ. მაჭავარიანის) მიერ დაზუსტდა არა მხოლოდ ფუნქციური განსხვავებანი სვანურ და ადილურ ენათა ერგატიული ბრუნვის მორფემის გამოყენებისას, არამედ მატერიალურიც.

ნაშრომში „ბრუნების ერთი ტიპის გენეზისისათვის სვანურში“ ავტორი ეყრდნობა ჰუგო შუხარდტის მოსაზრებას და **მოთხრობითი ბრუნვის** როგორც ქართულ, ისე სვანურ მორფემებს მიიჩნევს ქართული ნაცვალსახელური ძირიდან მომდინარედ (გვ. 97). გ. მაჭავარიანი სვანური ენის უძველეს დონეზე აღადგენს სინტაგმის ენკლიტიკური ბრუნების მორფონოლოგიურ პროცესთა განვითარების შემდეგ საფეხურებს **მხოლოდ ოთხი ბრუნვის** მიხედვით:

სახ. (<*შარა-მ ალა „კაცი ესე“) > მარე

ერგ. *შარა-დ ა-მა-ნ(ა) > *შარამან > *შარამ > მარემ

მიც. *შარა-ს ა-მა-ს > *შარამას > *შარამ (ლენტ. მარამ)

ნათ. *შარემ (<*შარა-მშ) ა-მიშ || ა-მ-შა > მარემიშ (ან: *შარამიშ)⁴⁴

მოხდა ორი პარადიგმის კონტამინაცია: ერგატივში გავრცელდა -ე ხმოვნის ვარიანტი, ხოლო მიცემითში – ა ხმოვნისი.

ამ ვარაუდს მაინცადამაინც დიდი მხარდაჭერა არ ჰქონია ქართველოლოგთა შორის, რადგანაც მას არაერთი სუსტი მხარე აქვს. თ. შარაძენიძის აზრით, გაუგებარია, რატომ აღადგინა გ. მაჭავარიანმა ჩვენებითი ნაცვალსახელის ერგატივში -ნ(ა), ის ხომ ე. წ. „საკუთრივ სვანურ ბრუნებაში“ მიცემითის ნიშანია, რომელსაც ნათესაობითში -ინ უპირისპირდება? რატომ ივარაუდება არსებითი სახელის მოთხრობით ბრუნვაში -დ, ხოლო ნაცვალსახელისაში -ნ(ა)? გარდა ამისა, არაა დამა-

⁴⁴ ლენტ. მარამ ფორმის შესახებ იხ. ჩვენი მსჯელობა ზემოთ (გვ. 58).

ჯერებელი ერგატივისა და მიცემითის ფორმათა მექანიკური გამიჯვნა ალა („ეს“) და ეჯა („ის“) ნაცვალსახელთაგან ამოსვლით. თავად სვანურ ენაში არსად გვხვდება არანაირი გადმონაშთი არსებითი სახელის ამგვარი შერწყმა-შეზრდისა ენკლიტიკურ ნაცვალსახელთან (Шарадзеშიძე 1983: 71-72).

მოგვიანებით (2002 წ.) ბატონი გივის სტუდენტებმა: ზურაბ სარჯველაძემ, რუსუდან ჯანაშიამ, დამანა მელიქიშვილმა და ამ სტრიქონების ავტორმა, ჩვენი სალექციო ჩანაწერების (1959-1961 წ.წ.) მიხედვით, გამოვეცით „ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა“, სადაც აღნიშნულია: „**გივი მაჰავარიანის ნაშრომები მის ავტორს გამორჩეულ ადგილს უმკვიდრებენ ქართველურ ენათა შესწავლის ისტორიაში**“ (გვ. 5) და ეს მართლაც ასეა!

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ბატონმა გივიმ ერთ-ერთ ლექციაზე კატეგორიულად გამოგვიცხადა: „**ცოცხალ ენაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მასში ერთი რომელიმე კონკრეტული წესი ბოლომდე არ არის გატარებული**“ (გვ. 77) – ჩვენი ნახევარსაუკუნოვანი გამოცდილება სვანურ სტრუქტურებზე მუშაობისა უდავოდ ადასტურებს ამ თვალსაზრისს.

ქართულ-ზანურში ბრუნების ერთი ტიპია, სვანურში კი მრავალფეროვნება გვაქვს. გ. მაჰავარიანის აზრით, სვანურშიც ბრუნვათა იგივე რიგია (წოდებითის გამოკლებით!), რაც დანარჩენ ქართველურ ენებში.

„**სვანურ სახელობითს დღეს ნიშანი არა აქვს, ჩვეულებრივ, თუმცა იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს -ი/-ე, ამათგან უკანასკნელი, ძირითადად, მრავლობითი რიცხვისთვისაა დამახასიათებელიო**“ (გვ. 78) – აღნიშნულია წიგნში, რაც მხოლოდ სტუდენტის ლაფსუსი გვგონია, ლექციის ჩაწერის დროს დაშვებული; შეუძლებელია ფენომენალურად განათლებულ ლექტორს ეს ეთქვა ჩვენთვის – ამგვარი რამ მხოლოდ ძველ სვანურ ხალხურ სიმღერებშია შემონახული, როგორც არქაიზმი; -ე დიდი ხანია უკვე აღარ გამოიყენება სახელობითის ფუნქციით სვანურ მეტყველებაში.

მეტად მნიშვნელოვანია გ. მაჰავარიანის დაკვირვება იმის შესახებ, რომ ქართველურ ენათა დიფერენციაციის პერიოდში მოთხრობითი ბრუნვა გაფორმებული არ იყო (საკუთარ სახელებს იგი არც მერე ჰქონიათ ძველ ქართულში). სხვადასხვა ენაში მას ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული მაწარმოებელი აქვს, მაგრამ წარმოების პრინციპი მაინც ერთია – ისინი ნაცვალსახელური წარმოშობის ელემენტებს იყენებენ (გვ. 79).

სვანური მიცემითის -ს საერთოქართველური წარმომავლობისაა, -ჟ კი შეიძლება იყოს რაღაც სხვა ფორმანტი, რომლის პარალელი იქნებოდა ძველ ქართულ **კულავ**, **ფიცხლავ**, **ძლივ** ლექსემებში დადასტურებული -ავ/-ივ სუფიქსი (გვ. 80).⁴⁵

სვანური ნათესაობითი ბრუნვის -ეშ მორფემის მიხედვით, გ. მაჭავარიანს შესაძლებლად მიაჩნია -ეს (< საერთოქართველური -ეს₁) მაწარმოებლის აღდგენა ქართულშიც. არ არის გამორიცხული, რომ გვექონოდა, აგრეთვე, * -ას, რადგანაც ე/ა ხშირად მონაცვლეობენ – ამით აიხსნებაო სვანური **კოჯაშ** („კლდის“), მაგრამ, ვფიქრობთ, ვ. თოფურიას მიერ ჩამოყალიბებული კანონი, რომლის შესახებაც ზემოთ გვექონდა მსჯელობა (იხ. გვ. 59), უფრო მართებულია.

ვითარებითი სვანურში უმთავრესად ლოკატიური მნიშვნელობისაა, მაგრამ გამოყენებულია გარდაქვევითის ფუნქციითაც. ქართულ-ზანურ მორფემათა (-ა'ღ'/'-ო'თ') მიხედვით, გ. მაჭავარიანი სვანურშიც აღადგენს ხმოვნიან ვარიანტს, რაც ჩვენ თავის დროზე (1969 წ.) ძველი ხალხური სიმღერების ენის მიხედვით თითქოს დავადასტურეთ კიდევ საკანდიდატო დისერტაციაში, თუმცა საილუსტრაციო მასალა საეჭვო იყო.

გ. მაჭავარიანს მოქმედებითი ბრუნვის -შჟ/-ჟშ მორფემაზე მსჯელობისას მოჰყავს თ. შარაძენიძის (აჯობებდა, ეთქვა ჰ. შუხარდტის)⁴⁶ აზრი იმის შესახებ, რომ მასში შედის მიცემითი ბრუნვის ფუნქციით გამოყენებული -ჟ, თუმცა არ იზიარებს ამას და ეს არცაა გასაკვირი – სამფუძიანი ბრუნების პრინციპი კი არა, ორფუძიანიც არასდროს გაუზიარებია მკვლევარს. სწორედ ამიტომ მიმოიხილავდა ხოლმე იგი სვანურ -ემ'იან ერგატივთან დაკავშირებულ ურთულეს საკითხებს ყველაზე ვრცლად თავის ლექციებზე. ალბათ ისიცაა ყურადსაღები, რომ სწორედ მაშინ (1960 წ.) გამოქვეყნდა „ბრუნების ერთი ტიპის გენეზისისათვის სვანურში“, როცა ამ სტატიის ავტორი ლექციებს გვიკითხავდა „ქართველურ ენათა შედარებით გრამატიკაში“.

გ. მაჭავარიანის აზრით, სვანურს გაუჭირდებოდა ადიღურისა და თავისი მოთხრობითის იდენტიფიკაცია, რადგანაც ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან არა მხოლოდ მატერიალურად (სვანურში -ემ გვაქვს და არა -მ!), არამედ გამოყენების თვალსაზრისითაც.⁴⁷ გარდა

⁴⁵ მაშინ უკვე იყო დასტამბული თ. შარაძენიძის კვლევები.

⁴⁶ იხ. აქვე გვ. 31.

⁴⁷ შდრ. ს. ჯანაშიას მსჯელობა (რომელსაც იზიარებდნენ არნ. ჩიქობავაც და ვ. თოფურიაც): სვანური -მ ბოლოსართი ფუნქციითაც და მატერიალურადაც საესვებით ემთხვევა ჩერქეზული (ადიღური) ენების სათანადო მექანიზმის ფორმანტს. იგი დამახასიათებელია ბრუნების ჩერქეზული სისტემისათვის სვანურში. ჩერქეზული ერთ-ერთი მძლავრი ფენაა სვანურისა (ჯანაშია 1942: 254-262).

ამისა, სვანურში გაცილებით უფროა ჩამოყალიბებული ბრუნება, ვიდრე ადიღეურში, ამიტომ არ იყო ამ უკანასკნელიდან მორფემის სესხების აუცილებლობა.

საანალიზო წიგნში კვლავ მეორდება აზრი -ემ'ის ქართველური, ნაცვალსახელური წარმომავლობის შესახებ ბრუნვადი სახელისა და მასზე დართული განსაზღვრული ნაწევრის შერწყმის შედეგად. სწორედ ამიტომ, რომ -მ არ გვაქვს ანთროპონიმებთან, რადგანაც მათ ართრონიზაცია არ სჭირდებათ, თუმცა ჩვენს უსაყვარლეს ლექტორს (ის ჩემი სადიპლომო ნაშრომის ხელმძღვანელიც იყო!) ვერ დავეთანხმებით იმაში, რომ იგივე მორფემა მრავლობით რიცხვში იმით არ გვხვდება, რომ მრავლობითის სუფიქსი ბოლოთანხმოვნიანია და მ'იანი ბრუნება დასტურდება ფუძეხმოვნიან სახელებთან (იხ. გვ. 81). ჯერ ერთი, მრავლობითობის სუფიქსებად ხმოვნებიც (-ა, -უ, არუ, -ალუ, ლა- -ა, -ედუ/-იადუ) გვაქვს და, მეორეც, -ემ'იანი ბრუნება თანხმოვანფუძიან სახელებსაც ახასიათებს (რამ-ემ „რამმა“, ჩაჭუ-ემ „ცხენმა“, ქუნ-ემ „სულმა“, დაჭ-ემ „დევა“, ზოზმ-ემ „ბავშვმა“ და ა. შ. - დაწვრილებით იხ. ჩვენი „ქართველოლოგიური ძიებანი“); აგრეთვე, თითო-ოროლა მაგალითი -ემ'ის მრავლობით რიცხვში გამოყენებისა სწორედ თანხმოვანფუძიან ფორმებთან (უღულ-ემ-იმ „უღელების“) დავადასტურეთ (იხ. ჩანტლაძე 1998: 112-114).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომების 93-ე ტომში (გვ. 93-104) 1960 წელს დაიბეჭდა გივი მაჭავარიანის წერილი „ბრუნების ერთი ტიპის გენეზისისათვის სვანურში“, რომელშიც გაზიარებულია ჰუგო შუხარდტის მოსაზრება ქართული და სვანური ერგატივის -მან-მა-მ და -ემ (>-მ) მორფემათა ურთიერთკავშირის შესახებ და ხაზგასმულია, რომ ისინი ერთი და იმავე ნაცვალსახელური ფუძიდან მომდინარე ელემენტებია. სვანურის მან'იანი (-ემ'იანი სჯობს!) ბრუნება, გ. მაჭავარიანის აზრით, ძველი ქართულის ტიპის განსაზღვრული სისტემიდან უნდა მომდინარეობდეს: პოსტპოზიციური ნაწევარი შეერწყა ბრუნვადი სახელის ფუძეს, რომლის დროსაც სახელმა დაკარგა საკუთარი მორფემები სხვადასხვა ბრუნვაში.

1967 წელს გ. მაჭავარიანმა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXIII სამეცნიერო სესიაზე წაიკითხა მოხსენება თემაზე „ბრუნების საერთოქართველური სისტემის რეკონსტრუქციისათვის“, რომლის მხოლოდ თეზისებია გამოქვეყნებული, მაგრამ მასში აღდგენილი ოთხბრუნვიანი სისტემის მოდელი დეტალურადაა განხილული „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების“ XXIII ტომში, ავტორის გარდაცვალებიდან 17 წლის შემდეგ (1985 წ.) გამოქვეყნებულ სტატიაში „ბრუნების ზოგიერთი საკითხი სვანურში“.

გ. მაჭავარიანის აზრით, ბრუნების საერთოქართველური პარადიგმა **მხოლოდით რიცხვში** შეიცავს **ოთხ გრამემას**:

1. სახელობითი („განსაზღვრული“ და „განუსაზღვრელი“);
2. მოთხრობით-ვითარებითი;
3. მიცემითი;
4. ნათესაობითი.

რაც შეეხება **მრავლობით რიცხვს**, აქ საქმე გვაქვს ბრუნების უმარტივეს (**ბინარულ**) მოდელთან:

1. პირდაპირი ბრუნვა (სახელობითი);
2. ირიბი ბრუნვა (მოთხრობით-ვითარებითის, მიცემითისა და ნათესაობითის ფუნქციით).

ბრუნების საერთოქართველური სისტემა ტიპოლოგიურ პარალელებს ამჟღავნებს მთის კავკასიურ (ნაწილობრივ, აგრეთვე, ინდოევროპულ) სისტემებთან (ხაზი ჩვენია – **ო. ჩ.**): კერძოდ, ოთხბრუნვიანი ქართველური მოდელი ტიპოლოგიურად იზომორფულია ნახურ-დაღესტნურ ენებში ფართოდ გავრცელებული მოდელისა (შდრ. მაგალითად, ხუნძურის ოთხი ძირითადი ბრუნვა), ხოლო ბინარული მოდელი **ტიპოლოგიურად** შეესაბამება ადიღურ ენათა სათანადო მოდელს.

1963 წელს შექმნილ (და 1985 წელს გამოქვეყნებულ) ნაშრომში გ. მაჭავარიანი ავითარებს შემდეგ აზრს: **-ნ** ფლექსია **თანამედროვე სვანურში** ასრულებს საგარემოებო ელემენტის, ადვერბიალური ბრუნვის ნიშნის ფუნქციას. სწორედ ამიტომ არის, რომ მას ხშირად ენაცვლება ვითარებითი ბრუნვა და მიცემითი თავისი არაძირითადი, ადვერბიალური ფუნქციით, ისევე, როგორც წმინდა ფუძე. **-ნ** მორფი არ შეიძლება გავეერთიანოთ ვითარებითი ბრუნვის მორფემაში. იგი თავისი კოალომორფებით (**-გნ**, **-უნ**) დამოუკიდებელ მორფემას ქმნის, რომელსაც I ვითარებითისგან (**-დ** || **-არ⁴⁸** ალომორფებიანისგან) განსხვავებით შეიძლება ვუწოდოთ II ვითარებითი, თუმცა გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ისტორიულად **-ნ** ფლექსია ვითარებითი ბრუნვის მორფემის ერთ-ერთი ალომორფი იყო (იხ. გვ 237).

ახალი, სრულიად ორიგინალური ვარაუდის საილუსტრაციოდ გ. მაჭავარიანს მოჰყავს **ალა** („ეს“) ნაცვალსახელის პარადიგმატული სისტემა, რომელიც შვიდი ბრუნვისაგან შედგება:

⁴⁸ ტექსტში კორექტურული შეცდომა (დაბეჭდილია **-ი**) – მაჭავარიანი 1985: 237.

სახ.	ალა	(„ეს“)
მიც.	ალა-ს ამი-ს ამა-ს	(„ამას“)
ნათ.	ამნშ	(„ამის“)
მოთხ.	ამნ-ნმ ⁴⁹	(„ამან“)
მოქ.	ამნ-ოშ ⁵⁰	(„ამით“)
I ვით.	ამნ-არ	(„ამისთვის“)
II ვით.	ამ-გნ	(„ამად“)

სვანური ენის მონაცემთა შინაგანი რეკონსტრუქციის მეთოდი სტატიის ავტორს აღადგენინებს ოთხბრუნვიან სისტემას:

სახ.	ალა
მიც.	ამა-ს
ნათ.	ამ-ნშ
მოთხ.-ვით.	*ამა-ნ(ა)

ვფიქრობთ, რომ არც ისე ადვილია იბერიულ-კავკასიურ ენათა ძირითადი კონსტრუქციის (ერგატიულის) გამომხატველი ბრუნვის მორფემის გაერთიანება ადვერბიალური ფუნქციის (თუნდაც ფართო გაგებით!) გადმოცემი ბრუნვის მორფემასთან ან -ნ(ა) და -დ მორფემის ერთი და იმავე მორფემის ალომორფებად წარმოდგენა თუნდაც ისტორიულ დონეზე.

თუ საზოგადო სახელებში სავარაუდოა როგორც განსაზღვრული (*ჯან-ო), ისე განუსაზღვრელი (*ჯან „ხარი“) ფორმები, საკუთარ სახელებთან ეს გამორიცხულია, ამიტომაც საერთოქართველურში გ. მაჭავარიანი აღადგენს მხოლოდ სამ (სახ.-მოთხ., მიც., ნათ.) ბრუნვას, ითვალისწინებს რა სახელობითისა და მოთხრობითის ფუმის სახით წარმოდგენას და მოქმ.-ვითარებითის ფორმათა უქონლობას ანთროპონიმთა მიერ.

დასკვნა ასეთია: ადრინდელი სვანური ენის დეკლინაციური მოდელი, მიღებული შინაგანი რეკონსტრუქციის გზით, გვიანდელი პერიოდის საერთოქართველურის ერთ-ერთ პროდუქტიულ მოდელს უნდა ასახავდეს (მაჭავარიანი 1985: 237-241).

⁴⁹ ვფიქრობთ, მეთოდოლოგიურად არაა გამართლებული სემანტაგია გრძელი ხმოვნისა, რადგანაც ის თავის თავში ორ ელემენტს შეიცავს (უნდა დაიშალოს ამოსავალი ფორმა; ამიტომაც სტატიაში განსხვავებულადაა წარმოდგენილი ამნშ, ერთი მხრივ, და ამნ-ნმ, მეორე მხრივ).

⁵⁰ უნდა ყოფილიყო ამნშ.

გ. მაჭავარიანი ბევრს ფიქრობდა ბრუნების საერთოქართველური მოდელის აგებაზე. სწორედ ამის დასტურია მისი ბოლო ნაშრომი "Общекартвельская система склонения в сопоставлении с системами горских кавказских и индоевропейских языков", რომლის მოხსენებად წარდგენა მას აღარ დასცალდა ლინგვისტთა საერთაშორისო სიმპოზიუმზე „ტიპოლოგია“ 1968 წელს ქალაქ სეგედში (უნგრეთი), თუმცა მოხსენება მაინც იქნა წაკითხული პროფესორ ირინე მელიქიშვილის მიერ და დაიბეჭდა სამეცნიერო კრებულში "Theoretical Problems of Typology and the Northern Eurasian Languages" (Budapest, 1970), რომელიც მიეძღვნა პროფესორ გივი მაჭავარიანის ნათელ ხსოვნას.

გ. მაჭავარიანი მიზნად ისახავდა ქართველური ტომების ეთნოგენეზისა და სოციალური ყოფის საკითხების ლინგვისტური თვალსაზრისით შესწავლას. სამწუხაროდ, ამ მიზნის ხორცშესხმა, რომელსაც, ცნობილი ნორვეგიელი ქართველოლოგის ჰანს ფოგტის აზრით, ათი სიცოცხლე დასჭირდებოდა, გივი მაჭავარიანმა თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე (41 წლისა გარდაიცვალა) ვერ მოასწრო (გიგინეიშვილი ბ.1978: 128-129).

§ 4. გიორგი კლიმოვი

არც გიორგი კლიმოვი, არც გივი მაჭავარიანი და არც ალექსანდრე ონიანი არ იკვლევდნენ მთის კავკასიურ ენათა მორფოლოგიის საკითხებს, ამიტომაც გაუჭირდათ ალბათ ორფუმიანიობის პრინციპის დაშვება სვანური ბრუნების სისტემაში, რაც სრულიად ბუნებრივი აღმოჩნდა ხუნძურის, ლაკურისა და ადიღეურ ენათა მკვლევართათვის – არნოლდ ჩიქობავასთვის, ვარლამ თოფურიასა და სიმონ ჯანაშიასთვის.

თავისთავად ცხადია, როცა 1962 წელს მოსკოვში დაიბეჭდა რუსი აკადემიკოსის გიორგი კლიმოვის მონოგრაფია ქართველური ენების სახელთა ბრუნების საკითხებზე, ეს მისასალმებელი ფაქტი იყო, მაგრამ ბუნებრივია, რომ უცხოენოვანმა მეცნიერმა, რომელმაც პრაქტიკულად არ იცოდა არც ერთი უმწერლობო ქართველური ენა, არაერთი შეცდომა დაუშვა. ბატონ არნოლდს არც მისი ეტიმოლოგიები მოსწონდა მაინცადამაინც; იგი ცდილობს „ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ დაუპირისპიროს ისტორიულ-შედარებით ლექსიკონსო – ამბობდა ხოლმე (ჩიქობავა 1979: 22). ამიტომაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიურ ენათა განყოფილების კურსდამთავრებულმა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის პირველი კურსის ასპირანტმა იმავე 1962 წელს მეცნიერხელმძღვანელის – აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავასგან მივიღე დავალება, საკანდიდატო დისერტაციის თემად დამემუშავებინა სვანურ სახელთა ბრუნება კომპარატივისტული თვალსაზრისით. ცხადია, 22 წლის ასაკში ამოდენა ტვირთისა და პასუხისმგებლობისა ძალიან შემეშინდა, ამიტომაც პირველ დისერტაციად ჩემივე შერჩეული პრობლემა („სვანური ხალხური პოეზიის ენა“ – არანაკლები სირთულისა!) წარვადგინე. ხოლო ბატონი არნოლდის დავალება მხოლოდ 50 წლის (ძალზე სერიოზულ) ასაკში შევასრულე სადოქტორო დისერტაციის დაცვის დღეს – მომიტევოს ჩემი უსაყვარლესი⁵¹ მოძღვართმოდვრის სულმა, რომ უფრო ადრე ვერ შევძელი ამის გაკეთება „ორგემაგე“ წუთისოფლის ათასგვარი უკულმართობის გამო.

⁵¹ ყველა მასწავლებელი მიყვარდა პირველი კლასიდან ასპირანტურის დამთავრების ჩათვლით (ამ მხრივ ცხოვრებამ ძალიან გამიმართლა – შესანიშნავი პედაგოგები მყავდნენ!), მაგრამ არნოლდ ჩიქობავა და ვარლამ თოფურია ჩემს სამყაროში გამორჩეულნი იყვნენ (როცა ისინი მესიზმრებთან – და ეს ხდება ძალიან ხშირად – მეორე დღე ჩემთვის „აღსავსეა ყოვლითა სიკეთითა“).

რასაკვირველია, მეცნიერხელმძღვანელი აბსოლუტურად მართალი იყო! – გიორგი კლიმოვისგან განსხვავებული არაერთი თვალსაზრისი გვაქვს, რომელთა შესახებ სხვადასხვა დროს იყო მსჯელობა ჩვენს მონოგრაფიებსა თუ ცალკეულ სტატიებში, ამიტომ ამჯერად მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე შევაჩერებთ სპეციალისტთა ყურადღებას:

1. უპირველეს ყოვლისა, რუსი ენათმეცნიერის წიგნში დაშვებულია მეთოდოლოგიური ხასიათის შეცდომა – ძველი სვანური ხალხური სიმღერებისა და თანამედროვე ცოცხალი მეტყველების არქაული (დღეს რომ აღარსად გვხვდება!) და ინოვაციური ფორმები წარმოდგენილია ერთ პარადიგმაში:

სუბ.-ობიექტ.	დეც	„ცა“
სუბ.	დეც-დ	„ცამ“
ობიექტ.	დეცა-ხ	„ცას“
გარემოებ.	დეცა-დ	„ცად“
ნათეს.	დეცა-შ	„ცის“
მიზნობრ.	დეცე-შდ	„ცისთვის“
მოქმ.	დეცა-შჟ	„ცით“
ადგილობ. I	დეც-ჟი	„ცაზე“
ადგილობ. II	დეც-ისგა	„ცაში“
მიმართულ.	დეც-თე	„ცისკენ“
ადგილობით-მიმართულ.	დეც-თე-ჟი	„ცაზე“
	დეც-თე-სგა	„ცაში“

იგივე ვითარებაა 1985 წელს ნიუ-იორკში გამოცემული სვანურ-ინგლისური ლექსიკონის წინასიტყვაობაში, სადაც ჯორჯ ჰიუიტს სვანურ სახელთა ბრუნების VII ტიპში შეაქვს ქორ(ა)ს – „სახლს“, ქორ(ა)დ – „სახლად“ (მიცემითისა და ერგატივ-გარდაქცევითის ფორმები), რომლებიც არ წარმოადგენენ თანამედროვე დეკლინაციურ სისტემას (Svan-Englisch Dictionary 1985: III). ამ შეცდომას იმეორებს კ. ტუიტცი (1997: 15), რაც ძალზე დასანანია უნიჭიერესი ეთნოლინგვისტიკისგან.

2. მონოგრაფიის ავტორს სრულიადაც არ აწუხებდა ის, რომ 11 პარადიგმატულ ერთეულთაგან ზოგი ძირითადი ბრუნვაა, ზოგიც – ლოკალური, რომელთაც უამრავი ცალ თუ წყვილთანდებულებიანი ფორმა ქმნის ერთი და იმავე ქართული თარგმანით (ყველა მათგანი რომ შევი-

ტანოთ ამა თუ იმ სახელის ბრუნების პარადიგმატულ სისტემაში, მაშინ ალბათ 40-50 ერთეულს მივიღებთ; ან რა კრიტერიუმით უნდა ავარჯიოთ რომელიმე მათგანი, გაუგებარია). არც ის აღელვებდა გ. კლიმოვს, რომ ერთი და იმავე სახელის 11 სხვადასხვა გრამატიკულ ფორმაში ფუძე ხან **დეც** გვაქვს, ხანაც – **დეცა**. ამას ხომ ახსნა სჭირდებოდა?!

3. ჩვენი აზრით, მეტი დასაბუთებაა საჭირო მიცემითი (ობიექტური) ბრუნვის -**ჟ** მორფემის დაკავშირებისას საერთოქართველურ **ლ** (ფუძისეულ) თანხმოვანთან (**ჟად-ჟ/მად-ლ-ს** – გვ. 75), ისევე, როგორც გ. დეეტერსის თეორიისთვის სვანური ერგატივის -**მს** მომდინარეობის შესახებ იმავე **ლ** სგან (**ჟახემიშ < ჟახე-ემ-იშ/სახ-ელ-ის** – იხ. Das Kharthwelische Verbum, 1930: 96). ვფიქრობთ, გაცილებით სარწმუნოა თ. შარაძენიძისეული დაკავშირება სვანური მიცემითის -**ჟ** მორფემისა ძველ ქართულ ზმნისართებში (**ფიცხლ-ავ, ძლ-ივ**) შემონახულ სუფიქსებთან (შარაძენიძე 1955: 127), თუმცა **ზაჟ** („წელს“) ფორმაში -**ჟ** ფუძის კუთვნილებაა თუ ბრუნვის ნიშანი, ვ. თოფურიასთვის მთლად ნათელი არ იყო (თოფურია 1979: 86). ჩვენ შევეცადეთ, დამატებითი მასალები მოგვეპოვებინა ამ მიმართულებით (იხ. ჩანტლაძე 1998: 89, 119).

4. გ. კლიმოვი (1962: 120), ეყრდნობა რა ბ. კიკვიძის ნაშრომს (1959 წ.), ცდილობს ზედსართავი სახელის **ხოშა** („უფროსი, „დიდი“) ბრუნებისას ფუძეში წარმოშობილი გრძელი ხმოვანი ა ახსნას იმით, რომ ფორმაში რაღაც ელემენტია (კონკრეტულად – ბრუნვის -**მ** ნიშანი) დაკარგული. მისი პარადიგმა შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

(სუბ.-ობიექტ.)	სახ.	ხოშა
(ობიექტ.)	მიც.	ხოშამ < *ხოშამ+მ
(გარემოებ.)	ვით.	ხოშამდ < *ხოშად+მდ
	მოქმ.	ხოშამშჟ < *ხოშამშჟ+მშჟ
(სუბიექტ.)	ერგ.	ხოშემნემ < *ხოშენ+მენ
	ნათ.	ხოშემიშ < ხოშემ+მიშ

მართლაც წარმოუდგენელი რეკონსტრუქციაა მხოლოდ იმისთვის, რომ როგორმე უარყვოთ ორფუძიანი ბრუნების სისტემა, ალვადგინოთ არტიკლი და ფუძისეული ხმოვნის (ზედსართავი სახელის ხარისხის მაწარმოებლის) სიგრძე ავხსნათ მისი დაკარგვით იმ დროს, როდესაც ყველა ქართველოლოგი ძალიან მარტივად ხსნის შესაბამის ბრუნვებში წარმოდგენილ -**ჟ** თუ -**ა** ხმოვნებს: **ხოშემ** („უფროსმა, დიდმა“) < ***ხოშა+ემ** (ერგ.) და **ხოშამ** („უფროსს, დიდს) < ***ხოშა+ამ** (მიც.).

5. ვერც იმაში დავეთანხმებით მოსკოველ ქართველოლოგს, რომ საეჭვო იყოს -ნ მორფემის მიერ რომელიმე კონკრეტული ბრუნვის ფუნქციის გამოხატვა, რაკილა ის ყველა ფორმაში გამოიყენება, გარდა სახელობითისა (გვ. 76, 84). ამგვარი რამ ჩვეულებრივი (თუმცა ძალზე რთული!) მოვლენაა სვანურ სახელთა ბრუნების სისტემაში, რასაც საფუძვლად უდევს ორფუძიანობის პრინციპი.

6. გ. კლიმოვს მიაჩნდა, რომ სახელობითი ბრუნვის -ო მორფემა არა მხოლოდ რიცხვით სახელებში (მორ-ო „ორი“, სემ-ო „სამი“) შემოგვრჩა დღესაც სვანურში, რასაც ყველა სვანოლოგი აღიარებს⁵², არამედ ანალოგიური მაგალითია ჭიშხ-ო („ფეხი“)ც (იხ. გვ. 40). კი, მაგრამ ეს ფორმა ხომ არ იხმარება თანამედროვე ცოცხალ მეტყველებაში (ის ძველ ხალხურ სიმღერებშია დადასტურებული სხვა მრავალ ე. წ. უტყვებმონიან მონაცემთან ერთად – ტერმინი აკაკი შანიძისეულია: იხ. მისი „უმლაუტი სვანურში“)?!

⁵² თუმცა მ. სალლიანი ამ ფაქტს რატომღაც თავისი დაკვირვების შედეგად თვლის (იხ. სალლიანი 2005: 67-69 და 2016: 685). კარგი იყო, ახალგაზრდა მკვლევარს გახსენებოდა მისი სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერბელმძღვანელის სტატია „-ო ხმოვანზე დაბოლოებულ სახელთა ბრუნება სვანურში“, რომელიც ჯერ კიდევ 1974 წელს დაიბეჭდა „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხების“ IV ტომში. მასში გამოწვლილვითაა განხილული -ო (> o) აუსლაუტიან სახელთა წარმოება და ბრუნება სვანური ენის ყველა დიალექტში, რაც მანამდე არ გაკეთებულა სპეციალურ ლიტერატურაში. სწორედ ამიტომ საგანგებოდ იმსჯელა ამ კვლევის შედეგებზე თ. შარაძენიძემ სვანური ენის ბრუნებისადმი მიძღვნილ შემაჯამებელ ნაშრომში 1983 წელს. გარდა ამისა, ჩვენს ამ სტატიას არაერთხელ იმონებენ როგორც ქართველი, ისე უცხოელი ქართველოლოგები.

§ 5. არამ მარტიროსოვი

სახელთა ფორმარმოების კვლევას იბერიულ-კავკასიურ ენებში არაერთი სადოქტორო დისერტაცია მიეძღვნა. მათ შორის გახლდათ არამ მარტიროსოვის ნაშრომიც, რომლის საფუძველზე 1964 წელს თბილისში დაისტამბა მონოგრაფია „ნაცვალსახელი ქართველურ ენებში“. მასში ამ ურთულესი და უძველესი მეტყველების ნაწილის სემანტიკის, გენეზისის, მის შესახებ არსებული მეცნიერული თეორიების, სხვადასხვა გჯუფების, ზმნისართთან ნაცვალსახელის მიმართებისა და შესწავლის ისტორიისადმი მიძღვნილი საკითხების გვერდით ცალკე თავში მოცემულია მორფოლოგიური ანალიზიც ყველა ქართველური ენის მიხედვით, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სვანურს (გვ. 288-390). ნაჩვენებია პირის, კუთვნილებითი, ჩვენებითი, კითხვითი, კითხვით-კუთვნილებითი, მიმართებითი, ურთიერთობითი, განსაზღვრებითი, განუსაზღვრელობითი და უარყოფითი ნაცვალსახელების (ძირითადად, დეფექტური) პარადიგმატიკა.

საგანგებო მსჯელობაა არსებითი სახელის (**თხუიმ**) უკუქცევით ნაცვალსახელად გამოყენების შესახებ და მოყვანილია ორი მაგალითი ძველ სვანურ ხალხურ სიმღერათა ტექსტებიდან:

თხუიმ უწურად ნომ'ა' ამცურნა! – „თავი სისხლაუდებლად არ დამატოვებინო“ (სვ. პოეზ. 1939: 8, 39; სოფ. კალა); აშდარხანს **თხუიმ** ლახსისგენ – „აშდარხანს თავი შესძულდა“ (იქვე: 162, 36; სოფ. მულახი).

არ. მარტიროსოვის აზრით, „ქართული თავი-ს შესაფერისი უკუქცევითი ნაცვალსახელი სხვა ქართველური ენებისათვის დამახასიათებელი არ არის. მართალია, ზოგან იგი სპორადულად გვხვდება, მაგრამ ახალჩასახული ჩანს ქართულის უშუალო გავლენით და მას ჯერ კიდევ განვითარების შესაფერისი დონისათვის ვერ მიუღწევია“ (გვ. 109). ეს შეიძლებოდა გვეთქვა თანამედროვე ცოცხალი მეტყველების შესახებ, მაგრამ უძველეს სიმღერებში უკუქცევითი ნაცვალსახელის არსებობა, თავისთავად ცხადია, ნეოლოგიზმად ვერ ჩაითვლება.

მონოგრაფიაში გამოთქმულია ერთი მეტად საინტერესო მოსაზრება: „შთაბეჭდილება ისეთია, რომ თითქოს უკუქცევითი ნაცვალსახელები **თავი**, **თავადი**, **თჯთ**, **თჯსი** პირველად ლიტერატურულ ენაში უნდა ჩასახულიყო და აქედან ქართული ენის კილოებშიც გავრცელებულიყო“ (გვ. 126). იმავეს ვფიქრობთ ჩვენ ემფატიკურ -ა/-ო ხმოვანთა შესახებ, რადგანაც ისინი უმწერლობო ქართველურ ენებში არ დასტურდება (არც არასდროს უნდა ყოფილიყო).

პირის ნაცვალსახელთა ანალიზის საფუძველზე არ. მარტიროსოვი დაასკვნის:

„მოთხრობითისა და ირიბ ბრუნვათა ფორმები ენაში უფრო ადრეა ჩამოყალიბებული, ვიდრე სახელობითისა – ბრუნვის ერთ პარადიგმაში მათი მოქცევა გვიანდელი მოვლენა“ (გვ. 134). კარგი იქნებოდა, გ. თოფურიას გახსენებოდა ეს მსჯელობა, როდესაც „პალეო-ერგატივის“ თეორიას აყალიბებდა 1977 წელს (იხ. მისი „Эргатив самостоятельный и эргатив совмещающий, их функции в иберийско-кавказских языках“).

მეტად საყურადღებოა, რომ არ. მარტიროსოვი აანალიზებს რთულ ჩვენებით ნაცვალსახელთა წყებას, რომელშიც ნათესაობითის მორფემის არა მხოლოდ თანხმონითი ელემენტი იკარგება, არამედ ზოგჯერ მას -ო ხმოვანიც მიჰყვება, რის შედეგადაც -შს ნაცვლად -ჩს ვლდებულობთ (გვ. 162):

ე-ჩ-იშ-თან („იმისთანა“) > ე-ჩ-ო-თან || ე-ჩ-თან > ე-შ-თან, ანუ ძირისეული -ჩ-, რომელიც -ჯშ-თანხმოვანთა კომპლექსის შერწყმის შედეგია (<*ე-ჯ-ა-შა), სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, საერთოდ აღარ რჩება ფორმაში.

არ. მარტიროსოვი ერთმანეთს უპირისპირებს ქართულ და სვანურ ურთიერთობით ნაცვალსახელთა წარმოების სრულიად განსხვავებულ წესებს (გვ. 218-219). პირველ შემთხვევაში მთავარი როლი ფუძის რედუქლიკაციას ენიჭება, თუმცა კომპოზიტის შემადგენელი ელემენტები სხვადასხვა ბრუნვის ფორმებში გვევლინებიან (ერთ-მან-ერთ-ო), სვანურ ენაში კი შესაბამისი ლექსემის საწარმოებლად ისევ მორფოლოგიაა გადამწყვეტი, ოღონდ ამჯერად მრავლობითი რიცხვის მორფემა და არა ბრუნვის ნიშანი, რაც სრულიად ბუნებრივია – ურთიერთობის ცნება ხომ სწორედ ერთზე მეტ ადამიანს გულისხმობს? ე. ი. სვანური უშხჷ-არ <*ემშუ-არ („ერთები“?). საინტერესოა, რომ ლაშხურ დიალექტში ანლაუტის ხმოვანი იგივეა, რაც რაოდენობითი რიცხვითი სახელისა, ესაა ეშხჷ-არ („ერთმანეთს“), შდრ. ეშხუ („ერთი“). სწორადაა შენიშნული, რომ ურთიერთობით ნაცვალსახელს სვანურში სახელობითი ბრუნვის ფორმა არ გააჩნია. იგი, ჩვეულებრივ, მიცემითსა (უშხჷ-არ) და ნათესაობითში (უშხჷ-არემ/უშხჷ-რე, უშხჷ-არიშ) იხმარება, იშვიათად – ვითარებითშიც (უშხჷ-არდ – „ერთმანეთად = ერთმანეთისად“).

ვფიქრობთ, მონოგრაფიის ავტორს მხედველობიდან გამორჩა, რომ გრძელ ხმოვნებს, ჩვეულებრივ, რედუქცია არ მოსდით. ამიტომ უნდა ახსნილიყო, საიდან მივიღეთ ლაზამულური უშხჷ-რე („ერთმანე-

თის“) მაშინ, როდესაც მას ბალსზემოურ და ლაშხურ დიალექტებში უმხჭარემ შეესაბამება? (იხ. გვ. 361). გარდა ამისა, უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ უმხჭარ ფორმასაც, რომელიც გვხვდება როგორც ზემოსვანურში, ისე ლენტეხურში. „სვანური პროზაული ტექსტების“ I ტომში, რომელიც 1939 წელს გამოსცეს აკაკი შანიძემ და ვარლამ თოფურიამ, ის შვიდეჯერ (89: 11; 107: 25, 118: 8, 123: 88, 155: 31, 181: 10, 398: 27) დასტურდება და, ვფიქრობთ, სახელობითი ბრუნვის ფორმაა 102-ჯერ გამოყენებული უშმაუტო უმხჭარ (მიც. ბრ.)-ის საპირისპიროდ⁵³.

რაც შეეხება „სვანური ენის ქრესტომათიის“ ბალსზემოურ ნაწილს, აქ უმხჭარ სამჯერ (28: 9, 62: 40, 134: 24) გვხვდება 149 უმხჭარ-ის საპირისპიროდ. გარდა ამისა, ერთ ტექსტში აღმოჩნდა მიცემითის ს'იანი ფორმაც (მთქმელი მესტიელი ალექსი ჯაფარიძე – 90 წლისა):

სგაჭ ესერ ლახნახნახ უმხჭარს ნამგროთგუილაჟინ (სვ. ენ. ქრესტ., 62: 39) – „შეფვიცოთო ერთმანეთს ერთგულება“ (სიტყვასიტყვით – „შეეფვიცნენო ერთმანეთს ნაერთგულეზე“).

ნათესაობითისთვის არ. მარტიროსოვი ასახელებს უმხჭარიშ || უმხჭარიშ || უმხჭარემ, უმხჭარე ფორმებს, მაგრამ აკაკი შანიძის მიერ 1923 წელს ჩაწერილ ერთ იფარულ ტექსტში გვხვდება -ემ'იან ერგატივზე დამყარებული ნათესაობითიც პოსტპოზიციური მსაზღვრელის შემთხვევაში:

ყუელიწერი ლიტჰმწლ ლეთ ხოხალხ ლიწრალ უმხჭარემიშ (სვ. პროზ. ტ., I, 18: 24) – „ყველიერის მარხვი'ს' ღამეს იციან ლანძღვა-გინება ერთმანეთის'ა“.

ქრესტომათიაშივეა დადასტურებული რთული უმხჭარემდ (66: 34 – „ერთმანეთისად“) მარტივი უმხჭარდ/უმხჭარდ ფორმების გვერდით დესტინატივის ფუნქციით.

არამ მარტიროსოვი საგანგებოდ მსჯელობს კუთვნილებით ნაცვალსახელთა შესახებ, რომლებიც, ჩვეულებრივ, მსაზღვრელებად გამოიყენება და ფორმაცვალების მხოლოდ ორი ვარიანტი აქვთ: მიშგჷი („ჩემი“), ისგჷი („შენი“) სახელობითი ბრუნვისთვის, ხოლო ყველა დანარჩენ ბრუნვაში გვხვდება მიცემითის მიშგჷა („ჩემს“), ისგჷა („შენს“) ფორმა.

⁵³ ვსარგებლობთ რუსუდან იოსელიანის მიერ დამუშავებული ბალსზემოური ტექსტების ელექტრონული ვარიანტის საფუძველზე შექმნილი სიტყვათა ინდექსით, რომელიც ეკუთვნის პროფესორ იოსტ გიპერტს (1995 წ.).

სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ქართული ჩვენებითი ნაცვალსახელების პარადიგმაში გამოვლენილი სუპლექტივიზმი სვანურში არ დასტურდება (სახ. **ეჯა/ეჯი** „იმან“ – მიც. **ეჯა-ს/ ეჯი-ს**, მოთხ. **ეჯნემ...**), მაგრამ **ალა** („ეს“) – **ამნემ** („ამან“) სუპლექტივიზმი არ არის?!

მონოგრაფიაში მოყვანილია ერგატივის -მ⁵⁴ მორფემის გენეზისის კვლევის ორი ურთიერთსაწინააღმდეგო შედეგი (გვ. 325-326):

1. -მ ადიღური წარმომავლობის სუფიქსია (ს. ჯანაშია, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, გ. როგავა, მ. ქალდანი, ზ. ჭუმბურიძე,...);

2. -მ განსაზღვრული ნაწევარია, ქართული ჩვენებითი ნაცვალსახელისგან მომდინარე (პ. შუხარდტი, კ. დონდუა, ბ. კიკვიძე, გ. მაჭავარიანი, გ. კლიმოვი, ლ. პალმაიტი, ალ. ონიანი⁵⁵).

რომელ თეორიას უჭერს მხარს ავტორი, მის ნაშრომში მთლად გამოკვეთილი არ არის, თუმცა, ქვეტექსტების გააზრების მიხედვით, უპირატესობა ეძლევა ერგატივის მორფემის ადიღურ წარმომავლობას. ქართველურ ენებში ისეთი ბრუნვის ფორმანტის შესხება სხვა ენიდან, რომელზედაც დაფუძნებულია ჩვენი მეტყველების მამოძრავებელი ღერძი – ერგატიული კონსტრუქცია, მთლად სარწმუნო არ უნდა იყოს⁵⁶.

არ. მარტიროსოვი ასახელებს ლენტეხური ჩვენებითი ნაცვალსახელის რამდენადმე უცნაურ წარმოებას მრავლობით რიცხვში (**ეჯმინ** „ისინი“, **ეჯმინდ** „იმეებმა“, **ეჯმინს** „იმეებს“, **ეჯმინემ** „იმეების“), მაგრამ, სამწუხაროდ, არ აანალიზებს მას, ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ თავის დროზე დიდმა ივანე ჯავახიშვილმა შესანიშნავად ახსნა მსგავს მონაცემთა შედეგნილობა (1937: 442). ამ შემთხვევებში საქმე უნდა გვქონდეს ჩვენებითი ნაცვალსახელის რეფლექსური ბუნების გამოვლენასთან: **ეჯმინდ** <‘**ე-ე-მინ-დ** „თვითონ იმეებმა“.

მონოგრაფიაში „ნაცვალსახელი ქართველურ ენებში“ (გვ. 346) შენიშნულია ერთი საყურადღებო წესი **ხედა/ხედი/ხადა** („რომელი?“) კითხვითი ნაცვალსახელის ბრუნებასთან დაკავშირებით, სადაც თავს

⁵⁴ სადაც ერგატივის მორფემად მითითებულია -მ, ყველგან შეცდომა! შესაბამისად, **მანთან ერგატივს** კი არ უნდა ვიყენებდეთ გარკვეულ ტერმინად, არამედ – **-ემ** იანს, რადგანაც სვანურ ენაში მოთხრობითი ბრუნვის მორფემაა -**ემ** და არა -**მ** (ეს უკანასკნელი ადიღურ ენათა კუთვნილებაა)!

⁵⁵ მოგვიანებით (1989 წ.) ეს თეორია კარლ ჰორსტ შმიდტმაც გაიზიარა (იხ. მისი „Относительная хронология и картвельские языки“).

⁵⁶ მოკრძალებით ვიხრი საბოდიშო ქედს ჩემი მასწავლებლების ნათელი სულის წინაშე ამ შეხედულებების გამო...

იჩენს როგორც ქართველური, ისე უცხოური თუ შერეული მორფემები, თანაც ისე, რომ ბალსზემოურ დიალექტში ქართველური წინ უსწრებს ნასესხებს (**ხედჷშნჷმ** < **ხედა-იშ-ნა-ემ** „რომელმა“) და არა პირუკუ, როგორც ეს სხვა შემთხვევებში გვაქვს (**ეჯნჷმდ** < **ე-ჯ-ე-ნა-ემ-დ** „იმან“, **მარნჷმდ** < **მარა-ემ-დ** „კაცმა“). სამაგიეროდ, ბალსქვემოურში შებრუნებული ვითარებაა: ჯერ ადიღური მორფემაა, მერე კი ქართველური (ნათ. **ხადჷმი** < **ხადა-ემ-იშ**, „რომლის“, **ხადამშჷ** < **ხადა-ამ-შჷ** „რომლით“).

მიმართებით ნაცვალსახელებზე მსჯელობისას (გვ. 356-357) კარგი იყო მონოგრაფიის ავტორს გახსენებოდა ბალსქვემოური **ერდჷჷმ** – „ვინც“ (სვ. პროზ. ტ., II, 33: 37) ბალსზემოური **მერჷჷმდ** ფორმის გვერდით. მორფოლოგიურად ორივე ერთი და იგივე მონაცემია, მაგრამ ნაწილაკი სხვადასხვა დიალექტში სხვადასხვა ადგილასაა გაფორმებული. პირველ შემთხვევაში ჯერ მოთხრობითი ბრუნვის -დ მორფემა წარმოდგენილი, რომელსაც მოსდევს ნაწილაკი, ხოლო **მერჷჷმდ** ფორმაში ნაწილაკი ჩაზრდილია ფუძეში. დღეს სვანური ენის ყველა დიალექტში უკანასკნელი ვარიანტი უფროა გავრცელებული.

ერთსა და იმავე (1962) წელს არამ მარტიროსოვმა თბილისში და გიორგი კლიმოვმა მოსკოვში დაუშვეს ერთი და იმავე ხასიათის შეცდომა – თანამედროვე ცოცხალი მეტყველების დამახასიათებელ პარადიგმატულ ფორმად ჩაითვალა ძველ სვანურ ხალხურ სიმღერათა ტექსტებისთვის ჩვეულებრივი მონაცემი -ას (**ჴან-ას** „ხარს“ – მარტიროსოვი: 359 და **დეცა-ს** „ცას“ – Климов: 16).

§ 6. ეკატერინე ოსიძე

მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა მ. ქალდანის სადოქტორო დისერტაცია „უმლაუტის სისტემა სვანურში“, რომელმაც დიდი გარდატეხა მოახდინა სვანური ენის მორფონოლოგიური შესწავლის საქმეში, მასში წამოყენებული ახალი დებულებები საფუძვლად დაედო ქართველოლოგთა ახალ ნაშრომებს ფონოლოგიაში, მორფოლოგიასა თუ ეტიმოლოგიაში. ამ მხრივ გამოირჩევა ეკატერინე ოსიძის გამოკვლევა „ნამყო უსრულის -ა სუფიქსისა და მიცემითი ბრუნვის -ა ნიშნის წარმოშობისათვის სვანურში“, რომელიც დაიბეჭდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომების 142-ე ტომში 1972 წელს. მასში -ე ბოლო და შიგნიხმოვნთან (მარა - „კაცს“, ღერბათჷ - „ღმერთს“,...) სახელთა მიცემითი ბრუნვის ფორმებში დადასტურებული -ა ითვლება -ე ხმოვნისგან მიღებულად -ჷს წინა პოზიციაში უკანა მიმართულების უმლაუტის საფუძველზე, ანუ -ა პირველადი კი არაა, როგორც მანამდე ივარაუდებოდა სპეციალურ ლიტერატურაში, არამედ მეორეული - ე+ჷ პოზიციაში მიღებული მორფემა და არა ფუძისეული ხმოვანი. შემდგომში ეს ვარაუდი ზ. ჭუმბურიძემაც გაიზიარა და -ე შიგნიხმოვნისა და ხელები გამოყო ცალკე (III) ტიპად ბალსქვემოურ დიალექტში გავრცელებული ორფუძიანი ბრუნების (სახ. ჟედ „ძალი“, მიც. ჟად-ჷ, მოთხ./ნათ. ჟად-ჷ-ემ, მოქ. ჟად-ჷ-შჷ, ვით. ჟად-ჷ-დ) სისტემის მიხედვით.

ზოგადი თვალსაზრისისათვის მეტად საყურადღებოა ეკ. ოსიძის სტატია „ქართველურ ენათა ისტორიული ურთიერთმიმართების ზოგი საკითხი“ (1988 წ.). ძალზე საინტერესო ენობრივი ფაქტების გაანალიზების საფუძველზე ავტორი დაასკვნის, რომ სვანურში ამჟამად დადასტურებული მორფონოლოგიური სხვაობა, რითაც იგი უპირისპირდება ქართულსა და ზანურს, მეორეულია - ამოსავალში ერთიანობაა სავარაუდებელი. სხვაობა სვანური ენის სიახლეს წარმოადგენს (გვ. 58).

განსაკუთრებით მრავლადაა სვანურში ე/ა და ი/გ ტიპის ხმოვანთა ფუნქციონალური მონაცვლეობა როგორც სახელის, ისე ზმნის სისტემაში. აბლაუტურ ხმოვანთმონაცვლეობათა შესწავლის საფუძველზე გაირკვა, რომ სვანური ენის მორფონოლოგიური სისტემა წარმოადგენს უფრო ადრინდელი აგლუტინაციური ტიპის მორფოლოგიური სტრუქტურის ტრანსფორმაციას და, მამსადაამე, აქაც სვანური ახლოს აღმოჩნდა ქართულთან და ზანურთან.

ეკ. ოსიძის აზრით, ქართველურ ენათა ისტორიული ურთიერთმიმართების კვლევა დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული; მიუხედავად ამისა, მათი გადაწყვეტა აუცილებელია მომავალ სპეციალისტთა მიერ.

§ 7. კარლ ჰორსტ შმიდტი

გამორჩეულია ბონის უნივერსიტეტის შედარებითი და ინდო-გერმანული ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ კარლ ჰორსტ შმიდტის მოღვაწეობა ქართველოლოგიაში, განსაკუთრებით დიაქრონიულ ლინგვისტიკაში, რითაც იგი აგრძელებს თავისი არაჩვეულებრივი მასწავლებლის (*Doktorvater*-ის), ბრწყინვალე ქართველოლოგის გერჰარდტ დეეტერსის ტრადიციებს. უკვე ძალზე პოპულარულია მისი: *Studien zur Rekonstruktion des Lautstandes der südkaukasischen Grundsprache* (1962 – რომელიც ფაქტობრივ ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონია); *On the reconstruction of Proto-Kartvelian* („ბედი ქართლისა“, 1978); *Casus indefinitus bei Eigennamen* („ბედი ქართლისა“, 1980); *Miscellanea Svanica* („იკეწ“, 1982); *Kartvelisch und indogermanisch* (1984); *Svan*, in: A. C. Harris (ed.): „The Indigenous Languages of the Caucasus“, Volume 1: The Kartvelian Languages Delmar, New York: Caravan, 1991: 473-556; *Problems of diachronic typology* (1996); *Место сванского в семье картвельских языков*, „Вопросы языкознания“, №2, Москва, 1991; *Относительная хронология и картвельские языки*, „Вопросы языкознания“, №4, Москва, 1989... ცხადია, აღნიშნულ შრომებში გერმანელი ენათმეცნიერი ეხება საერთოქართველური ბრუნების საკითხებსაც, რადგანაც კავკასიურ ენათა მორფოლოგიურსა თუ სინტაქსურ (შედარებით იშვიათად!) პრობლემებზე მსჯელობა მას სჭირდება ამა თუ იმ ზოგადლინგვისტური თეორიის საილუსტრაციოდ.

გამოკვლევაში „*Kasus, Präverb und Postposition in den kaukasischen Sprachen*“ („აღმოსავლური ფილოლოგია“, ტ. IV, თბილისი, 1976), ჩვენს კავკასიოლოგთა შრომებზე დაყრდნობით, ნაჩვენებია, რომ ორი ჩრდილოკავკასიური ჯგუფი ქმნის ორ ერთმანეთისგან უკიდურესად დაშორებულ ტიპს: აფხაზურ-ადიღურში განვითარებულია ზმნის მორფოლოგია, ნახურ-დაღესტნურში – სახელური, ხოლო სამხრულკავკასიური ყველაზე ახლოს დგას ინდოევროპულ მოდელთან. **ქართველური ტიპოლოგიურად გარდამავალ საფეხურს ქმნის ჩრდილოკავკასიურ პოლისინთეტურ ზმნასა და აღმოსავლეთკავკასიურ მრავალწევროვან ბრუნებას შორის** (იხ. გვ. 147).

საერთოქართველურში კ. შმიდტი აღადგენს ოთხბრუნვიან სისტემას, რომელიც ფუძეენის განვითარების ადრეულ საფეხურზე შეიძლება ორ ბრუნვამდეც კი დავიყვანოთ, თუმცა ჯერჯერობით შინაგანი

რეკონსტრუქციის მეთოდი ამის საშუალებას არ გვაძლევს (Schmidt 1978: 255).⁵⁷

სახ.	Ø, - ^o ან - ^ე
ერგ.	- ^{ად} , - ^დ , - ^ნ
მიც.	- ^ს
ნათ.	- ^{ეს} , - ^{ის} ; - ^ს

1989 წელს "Вопросы языкознания"-ს მე-4 ნომერში დაიბეჭდა კ. შმიდტის სტატია "Относительная хронология и картвельские языки", რომელშიც ავტორი იზიარებს გ. მაჭავარიანის ვარაუდს სვანური ერგატივის -**მ** (ანლაუტური ხმოვნითურთ) მორფემის ქართული მან ნაცვალსახელისგან მომდინარეობის შესახებ, თუმცა მსჯელობს რამდენიმე ბრუნვის ფუნქციათა შემთავსებელ (გ. თოფურიას ტერმინოლოგიით, **совмещающих**) ერგატივზე მთის კავკასიურ ენებსა და სვანურში. კ. შმიდტი დეტალურად განიხილავს კ. დონდუას მოსაზრებებს (1967: 193) -**მ** მორფემის გამოყენების შემთხვევათა შესახებ სვანურში:

1. -**მ** იხმარება მარტოოდენ მხოლოდით რიცხვში (თუმცა ჩვენ ის დავადასტურეთ მრავლობით რიცხვშიც პეტრე უსლარის მასალებში და შტო-გვარის აღმნიშვნელ სახელებში – იხ. ჩანტლაძე 1998: 112-114); იხ., აგრეთვე, 1970 წელს თ. შარაძენიძის მიერ ლატალურ მეტყველებაში დაფიქსირებული **აღმარმი** <^ალი-არ-/ე-ემ-იმ „ამეები ს“^ა) და მხოლოდ საკუთარ სახელებთან;

2. ერთადერთი მაწარმოებელია ჩვენებით ნაცვალსახელებში: **ამნემ**, **ამნემდ** (ორმაგი სუფიქსაციით) „ამან“;

3. რიცხვით სახელთა მახასიათებელია (**აშხუმ** „ერთმა“, **მარუმ** „ორმა“);

4. გამოიყენება შედარებითსა და აღმატებით ხარისხებში (**ხოშემ/ხოშემნემ**, **ხოხურემ**).

⁵⁷ მიუხედავად ასეთი ფრთხილი განცხადებისა, ერთი წლის შემდეგ, საერთო-ქართველურ ენაში ბრუნვის სისტემის სავარაუდო ბინარულ მოდელზე დაყრდნობით ააგო ჩვენმა ლიტველმა კოლეგამ ლეტა პალმაიტმა თავისი თეორია. უფრო მეტიც! ორბრუნვიანი სისტემა გვიანდელი პერიოდის ფუძენაში უნდა ყოფილიყო, თორემ ამოსავალში ბრუნება საერთოდ არ არსებობდაო – განაცხადა მან (პალმაიტი 1979: 122-123). გასაოცარია ამგვარი ვარაუდი! თუ საერთოქართველური ენის ადრინდელ საფეხურზე არ იყო სახელთა ბრუნება, მაშ, თანამედროვე ქართველურ ენებში როგორღა მივიღეთ ეტიმოლოგიურად ერთმანეთთან დაკავშირებულ მორფემათა მწყობრი პარადიგმატული სისტემა?!

სტატიის ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პრაქარტველური-დან ყველა ქართველურ ენაში შენარჩუნებულია ექვსი ბრუნვა:

აბსოლუტივი (casus indefinitus) - *Ø

სახელობითი *-ო

ერგატივ-მიმართულებითი *-(ა)დ

მიცემითი *-ს

ნათესაობითი *-(ი)შ

მოქმედებითი *-თ⁵⁸ (გვ. 74).

კ. შმიდტის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სტატია გამოქვეყნდა "Вопросы языкознания"-ს 1991 წლის მეორე ნომერში. ესაა "Место сванского в семье картвельских языков".

ქართველურ ენათა ოჯახში სვანურის ადგილის განსაზღვრის-თვის მკვლევარი იშველიებს როგორც ლექსიკურ, ისე ფონოლოგიურ და გრამატიკულ მასალას. ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესო აღმოჩნდა მისი მსჯელობა -შ'იანი (აჯობებდა, ეთქვა -ემ'იანი!) ერგატი-ვის შესახებ. მართალია, ის იშველიებს კ. დონდუას (1946 წ.) თვალსაზ-რისს საანალიზო მორფემის ადილური ენიდან ნასესხობის შესახებ, მაგ-რამ იმასაც აღნიშნავს, რომ გ. კლიმოვი (1962 წ.) მას ქართული მოთხრო-ბითის -მა მაწარმოებელს უკავშირებს და, მაშასადამე, სვანური -მ'ს ისტორიული საფუძვლის ახსნა კვლავ პრობლემატურად რჩება⁵⁹.

კ. შმიდტი, ეყრდნობა რა ი. მეშჩანინოვის ტერმინებს "эргатив самостоятельный" და "эргатив совмещающий", საგანგებოდ გახაზავს: ქართულ-ზანურ მორფემათა სრულიად განსხვავებული სახეები (-მა და -ქ) მიუთითებენ იმაზე, რომ საქმე გვაქვს გვიანდელ პროცესებთან, ხოლო სვანური ერგატივის -დ'ს ფორმალური დამთხვევა საერთოქარ-თველური ვითარებითი (адвербиальный) ბრუნვის -დ მორფემასთან იმას უნდა ნიშნავდეს, რომ იგი შედარებით ძველი წარმომავლობისაა. ისტორიულად „კომპლექსური“ ბრუნვის ფუნქციათა დაყოფა, როგორც ჩანს, გამოიწვია ერგატივის, როგორც აგენსის გამომხატველი ბრუნვის, დიფერენცირების საჭიროებამ. ყველა სხვა ძირითადი ქართველური

⁵⁸ კ. შმიდტი იზიარებს თ. შარაძენიძის ვარაუდს საერთოქართველური ფუძეენიდან სვანური მოქმედებითი ბრუნვის მორფემის (-ჟშ < -ჟ-შდ, კომპლექსის გამარტივებით!) მიღების შესახებ (1989: 74).

⁵⁹ სამწუხაროდ, 1991 წლისათვის ბატონი კარლი არ იცნობდა ჩვენს ნაშრომებს სვანური ენის სახელთა პარადიგმატული სისტემის სპეციფიკის შესახებ – დროზე ვერ მივაწოდეთ (ო. ჩ.).

ბრუნვა – ე. წ. განუსაზღვრელობითი, სახელობითი, მიცემითი, ნათესაობითი (Machavariani G. 1970), რომელთაც გ. თოფურია მოქმედებითიგ მიათვალა (თოფურია 1977, №3), სრულად შემოგვრჩა.

პროფესორმა ალისა ჰარისმა 1991 წელს ნიუ-იორკში გამოცა კავკასიოლოგათვის მეტად საჭირო კრებულის "The Indigenous Languages of the Caucasus" პირველი ტომი, რომელიც ეძღვნება ქართველურ ენათა კვლევებს. მასში სხვა მნიშვნელოვან სტატიებთან ერთად დაბეჭდილია კარლ ჰორსტ შმიდტის საკმაოდ ვრცელი გამოკვლევა **Svan** (გვ. 473-556); იგი ემყარება იმდროინდელ სპეციალურ ლიტერატურას (მათ შორის ჩვენს ღვაწლსაც!). ნაშრომში უდიდესი კეთილსინდისიერებითაა გამოხატული ჭეშმარიტი მეცნიერის დამოკიდებულება უცხოელი თუ ქართველი კოლეგებისადმი. მასში მოცემულია შედარებით მოკლე, მაგრამ ზუსტი (რამდენადაც ეს შესაძლებელია ლინგვისტიკაში!) აღწერა ფონოლოგიურ-გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ისტორიის წარმოსადგენად გამოყენებულია დიაქრონიული მეთოდი.

კ. შმიდტი მსჯელობს: რიცხვის, ბრუნვის, ხარისხის, პირის, ინკლუზივ-ექსკლუზივის, ქცევის, გვარის (დიათეზა), ასპექტის, დროისა თუ კილოს შესახებ და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, გრამატიკულ კატეგორიათა რიგში ის განიხილავს **დეიქსისსაც** (გვ. 490), რასაც ქართველი მეცნიერები მაინცადამაინც ჯეროვან ყურადღებას არ ვაქცევთ.

საანალიზო მასალად გამოყენებულია თანამედროვე სვანური ენის დიალექტთა ილუსტრაციები, მაგრამ ყველაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბალსზემოურ მონაცემებს.

კ. შმიდტის აზრით, სვანურში მრავლობითობას გადმოსცემს -პრსუფიქსი, რომელიც ნაირ-ნაირი ალომორფითაა (-აღ, -ირ, -არუ, -იანღუ, ლა- - ა, -ერ'ა', -შა, -უ) დიფერენცირებული სხვადასხვა კონტექსტსა თუ დიალექტში.

Svan-ის ავტორი ეყრდნობა სახელის ბრუნების თ. შარაძენიძისა და ვ. თოფურიას კლასიფიკაციებს, გამოყოფს ექვს ბრუნვას [სახელობითი, მიცემითი, ერგატივი, ვითარებითი (ადვერბიალური), მოქმედებითი (ინსტრუმენტალისი), ნათესაობითი] და 4 ან 5 ტიპს (კლასს). რატომღაც კ. შმიდტს მიაჩნია, რომ ბრუნვა ყველაზე კარგადაა შემონახული ბალსზემოურ კილოში, ბალსქვემოურში კი მისი უადვილესი (**sic!**) სისტემა გვაქვსო (გვ. 494). თ. შარაძენიძის კლასიფიკაციაზე დაყრდნობით, რომლის ამოსავალი წერტილია მიცემითის ფორმა, სტატიის ავტორი დაასკვნის: ესაა ერთადერთი ბრუნვა, რომე-

ლიც აღინიშნება სხვადასხვა მორფემით თითოეულ ტიპში (I ტ. -ს, II ტ. -ჟ, III ტ. -წა', IV ტ. -ა, V ტ. -ამ). გარდა პირველისა, ყველა ტიპში ერგატივი, მოქმედებითი და ვითარებითი ეფუძნება მიცემითის ფორმას, ხოლო ნათესაობითი – სახელობითს (I, III ტ.) ან ერგატივს (დანარჩენ ტიპებში).

495-497-ე გვერდებზე კ. შმიდტი მკითხველს უჩვენებს არსებით განსხვავებებს თ. შარაძენიძისა და ვ. თოფურიას კლასიფიკაციებს შორის სხვადასხვა დიალექტის მიხედვით: მოყვანილია ბრუნების ერთფუძიანი და ორფუძიანი სისტემით ცვალებად ლექსემათა (ხაშ „ღორი“, მარე „კაცი“, ყელ „ძალი“) პარადიგმატული ერთეულები, ნაბრუნებია, აგრეთვე, ზედსართავი სახელი ხოშა („დიდი, უფროსი“).

მკვლევარი საგანგებოდ მსჯელობს ხმოვანთმონაცვლეობაზე („ინფლექსიაზე“) და მის გადამწყვეტ როლზე ბრუნების პროცესში, წინდებულთა (მარტივი, რთული; დროისა და სივრცის აღმნიშვნელი ზმნისართები) მიმართებაზე სახელის მიცემით და ნათესაობით ბრუნვათა ფორმებთან, სუბსტანტიურ და ატრიბუტულ მსაზღვრელთა ბრუნებაზე, ნათესაობითის სრულ (დაჟაშ „დევის“) და შემოკლებულ – (დაჟა „დევი[ს]“) დაბოლოებაზე, ზედსართავთა ხარისხებზე და ა. შ.

იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სვანურ ენაში არ არის არტიკლი, მაგრამ უმლაუტი (სახელთა ბრუნების პროცესში) აშკარად მიუთითებს იმაზე, ოდესღაც სახელს განუსაზღვრელობითი ნაწევარი დაერთოდა თუ განსაზღვრებითი (გვ. 497). აქ კ. შმიდტი ემყარება ზ. ჭუმბურიძის სტატიას საკუთარ სახელთა ბრუნების შესახებ სვანურში (1964 წ.), აგრეთვე, ქართველურ ენათა ბრუნებისადმი მიძღვნილ მონოგრაფიას გ. კლიმოვისა, მაგრამ, სამწუხაროდ, მას აღარ გახსენებია არნ. ჩიქობავა, ვის თეორიასაც თავად გ. კლიმოვი ეყრდნობა (იხ. Климов 1962: 42).

კ. შმიდტი კარგად იცნობს არ. მარტიროსოვის მონოგრაფიას „ნაცვალსახელი ქართველურ ენებში“ (1964 წ.), რაც მას ხელს უწყობს ამ მეტყველების ნაწილის ყველა ჯგუფის წარმოებისა და ბრუნების ნათლად გააზრებაში (იხ. გვ. 500-504). ავტორი ეხება: პირის, ჩვენებით, კუთვნილებით, კითხვით, განუსაზღვრელობით, უკუქცევით (რეფლექსურ), ურთიერთობით, მიმართებითსა თუ განსაზღვრებით ნაცვალსახელებს და წარმოგვიდგენს: მი („მე“), სი („შენ“), ალა („ეს“), ეჯა („ის“), მიშგუ („ჩემი“), ისგუ („შენი“), ნიშგჟეი (ექსკლუზიური „ჩვენი“), ისგჟეი (ინკლუზიური „თქვენი“), იარ? („ვინ?“), მამ? („რა?“), ხედა? („რომელი?“),

მერჟალე („ვიდაც“), **ხედჟალე** („ვინც“, „რომელიც“), **მოლე** („რადაც“), **მერხი** („რამდენიმე“) ნაცვალსახელთა პარადიგმებს როგორც მხოლოდობით, ისე მრავლობით რიცხვში.

რაკი ჩვენ თავის ადგილას დეტალურად განვიხილეთ არ. მარტივოსოვის მონოგრაფია, რომელსაც ემყარება კ. შმიდტი, ამიტომ აქ მეტს აღარ შევჩერდებით, ოღონდ ერთს კი აღვნიშნავთ: **Svan**-ში ნათქვამია, რომ ეტიმოლოგიურად **ეჯა** („ის“) სგან მომდინარე **ჯი. ჯა. ჯეი** („თვით, თვითონ, თავად“) უკუქცევითი ნაცვალსახელი, როგორც ჩანს, განსაკუთრებული ემოციური გამომხატველობით (ემფატიკურობით) გამოირჩევაო (იხ. გვ. 503) – მსგავსი რამ არ. მარტივოსოვის წიგნში არ ფიქსირდება. მეტად საინტერესოა კ. შმიდტის მიერ მოყვანილი ბალსქვემოური ფრაზა: **ო აჩანდხ ჯია ო მიჩა მერმე მუხუბე**, რომელშიც ალბათ დეიქსისი ივარაუდება: **ო აჩანდხ ჯი, ა, ო მიჩა მერმე მუხუბე** („და წავიდნენ თვითონ, აი, და მისი მეორე მმა“)]. შესაძლოა დეიქსური გამონათქვამის სწორედ ამ ექსპესიულობაში გულისხმობს კ. შმიდტი „ინფლექსიურობას“? ეს წინადადება ბალსზემოური რომ ყოფილიყო, მაშინ უკუქცევითი ნაცვალსახელის ფონოლოგიური ტრანსკრიფცია ასეთ სახეს მიიღებდა: **ჯა < *ჯა+ა**.

§ 8. ლეტა პალმაიტი

გამოკვლევაში „ემფატიკური -ა სახელთა მორფოლოგიის ძირითად საკითხებთან დაკავშირებით“ (1978 წ.) ლეტა პალმაიტს ჰქონდა პრეტენზია პრობლემის ახლებური გააზრებისა (გვ. 113). მისი აზრით, ძველ ქართულში -ა'ს ხმარება თანამედროვე ქართულთან შედარებით უფრო რეგულარულია, სისტემის თვალსაზრისით კი – განუპირობებელი.

ლ. პალმაიტი საკმაოდ მკაცრად აკრიტიკებს გ. კლიმოვის (1962: 146) იმის გამო, რომ მან ვითარებითი ბრუნვისთვის საერთოქართველურ დონეზე დაუშვა -დ||-ად ალომორფები და საყვედურობს: მონოგრაფიის (იგულისხმება "Склонение в каргвельских языках в сравнительно-историческом аспекте") ავტორი არ ითვალისწინებს ნ. მარის, არნ. ჩიქობავას, ვ. თოფურიას და სხვა ქართველოლოგთა მოსაზრებებს (იხ. გვ. 115). ამ შემთხვევაში ჩვენც მხარს ვუჭერთ ლ. პალმაიტს, რადგანაც სვანურში ვერანაირად ვერ აღდგება ხმოვნიათი მორფემა ვითარებით ბრუნვაში. ძალზე გულუბრყვილოდ გვეჩვენება გ. კლიმოვის თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ -ად'ის -ა მეორეულია, რადგანაც ქართული მასდარები ვითარებითი ხშირად იხმარებოდა, რის გამოც ფუძის ბოლოკიდური -ა ხმოვანი დონ'ს შეეზარდაო (იქვე: 76).

მიცემითის -სა/-ას და ვითარებითის -და/-ად მონაცვლეობაში ლ. პალმაიტი ემფატიკური -ა'ს კვალს ხედავს – მთავარი დაბრკოლება გ. კლიმოვისა სწორედ იმაშია, რომ მან ეს ხმოვანი ვერ შეამჩნია საანალიზო ფორმებში. ამ შემთხვევაში კი სწორედ გ. კლიმოვის მხარესაა ჰემმარიტება, ჩვენი აზრით, რადგანაც ტუბა-ს „ტბას“, ჭანა-ს „ხარს“ ან ტუბა-დ „ტბად/ტბამდე“, ჭანა-დ „ხარად/ხარამდე“ ფორმებში მიცემითის -ს და ვითარებითის -დ ნიშანთა წინა პოზიციაში მყოფი -ა სწორედ ფუძისეულია და არა ემფატიკური ან სხვა რამ. გარდა ამისა, ამგვარი მონაცემები მხოლოდ სვანურ ხალხურ სიმღერებში გვხვდება, სხვაგან – არსად!

ვერაფრით დავეთანხმებით ლ. პალმაიტს იმაში, რომ ემფატიკური -ა'ს არსებობა წინარეენის მორფემათა ფონეტიკურ სტრუქტურას შეიძლება დაუკავშირდეს: $-C_1a + -C_2 = -C_1 + -C_2a$ (იხ. გვ. 116), რადგანაც დასავლური ქართულის არც ერთ დიალექტში, მეგრულ-ლაზურსა და სვანურში ემფატიკური ხმოვნები არ არის, ხოლო იქ, სადაც ზეპირ მეტყველებაში (ვთქვათ, ქართულის აღმოსავლურ დიალექტებში) დადასტურებულია ამგვარი მონაცემები (-ა თუ -ო), ვფიქრობთ, რომ ყველგან შედარებით გვიანდელ მოვლენასთან – სალიტერატურო ენის გავლენასთან გვაქვს საქმე. ფუძეთა გავრცობა გარკვეულ ხმოვანთა საშუალებით სამწერლობო ენის სტილი ჩანს.

რატომ აქვს ლ. პალმაიტს „ღორის“ აღმნიშვნელი ლექსემის ვითარებითი ბრუნვა **ჭ** გრაფემით წარმოდგენილი ბალსქვემოურში (**ჭამ-დ** „ღორად“), გაუგებარია! – ყველა დიალექტში დღეს (და ალბათ ადრეც!) **ხამ-დ** ან (სახელობითის ფორმაზე გასწორებული პარადიგმის მიხედვით) **ხამ-დ** დასტურდება.

საანალიზო სტატიაში ლ. პალმაიტი, ძირითადად, ქართული ენის ბრუნვათა სისტემას განიხილავს, მაგრამ დროდადრო მოაქვს საკმაოდ მწირი მასალა ზანურ-სვანურიდან და დაასკვნის, რომ **საერთოქართველურში მხოლოდ ორი (პირდაპირი და ირიბი) ბრუნვა უნდა ყოფილიყო: ST (წმინდაფუმიანი) და ST+ი (-ი სონანტიანი)**. მისი მსჯელობა საკმაოდ რთულია და ზოგჯერ ბუნდოვანიც დეტერმინანტთა, სინტაქსურ კონსტრუქციათა (ერგატიული, ნომინატიური), ფიენტურ (აქტიურ) და ინერტულ (ინაქტიურ, სტატიკურ) სახელთა მიმართებისა თუ ნართანიანი მრავლობითის პრაქტიკულად ორბრუნვიანი სისტემის შესახებ, ამიტომ სტუდენტ-დოქტორანტთა წინამდებარე დამხმარე სახელმძღვანელოში ამ საკითხებს არ განვიხილავთ.

თბილისში, ჟურნალ „მაცნეს“ ენისა და ლიტერატურის სერიის მე-3 ნომერში, 1979 წელს გამოქვეყნდა ლეტა პალმაიტის სტატია „შენიშვნები სვანური ენის ბრუნების შესახებ“, ხოლო ვილნიუსში იმავე ავტორმა ჩათო გუჯეჯიანის თანავტორობით 1986 წელს გამოსცა გრამატიკული ნაშრომი "Upper Svan: Grammar and Texts". ორივე პუბლიკაციაში ლ. პალმაიტი იწუნებს მანამდე არსებულ კლასიფიკაციებს და სვანურ ენაში გამოყოფს ბრუნების რვა ტიპს, რომელთა საკლასიფიკაციო ნიშანია ნათესაობითი ბრუნვის წარმოება. ხშირ შემთხვევაში ნათესაობითში სხვა ბრუნვის ფუძეცაა წარმოდგენილი (ვთქვათ, ბზ. მარემიშ <მარა-ემ-იშ „კაცის“, ჟად-ჟ-ემ-იშ-დ „ძაღლისად“, ბქ. ხორემნემ <ზორჩა-ემ-ნა-ემ-იშ „კარგის“, ბზ. ხედჷშნემ <ხედა-იშ-ნა-ემ || ხედჷშდ⁶⁰ <ხედ-იშ-დ „რომელმა“...), ამიტომაც ლ. პალმაიტის მიდგომა გაცილებით რთულად და წინააღმდეგობრივად ავლენს სვანურ სახელთა ბრუნების პროცესს. თ. შარაპენიძის კლასიფიკაციის მიმართ მკვლევარი იმავე შენიშვნას აკეთებს, რისთვისაც ჩვენ ვსაყვედურობთ მას: „ყველა 5 ტიპის განხილვისას თვალში გვეცემა ქართველური ტიპის -'ი'შ, -შჟ, -დ დაბოლოებათა დართვა სხვა ფორმანტებით გართულებულ ფუძეებზე“ (1979: 113).

⁶⁰ გასაგებია, რატომ უკვირს ლ. პალმაიტს ა ხმოვნის სიგრძე (1979: 117)! – მისთვის რატომღაც ხედში ფორმაა ამოსავალი და არა ხედა-იშ-დ (ეს უკანასკნელი შესაძლოა ლენტეხურ დიალექტში, როგორც შენელებული რედუქციის მქონე მეტყველებაში, დღესაც კი დასტურდებოდეს – შემოწმებაა საჭირო!).

ვფიქრობთ, რომ პრაენაში სავარაუდო ბინარული პარადიგმატული სისტემა როგორც კ. შმიდტისა, ისე ლ. პალმაიტისა სერიოზულ წინააღმდეგობებს აწყდება, რადგანაც მათი პოსტულატი (მრავლობითის წარმოება) შედარებით ახალია და მარტივი, განსაკუთრებით სვანურში – აქ სახელები მხოლოდ ქართველური სისტემის მიხედვით იბრუნვებიან (იშვიათი გამონაკლისის გარდა!), განსხვავებით მხოლოდით რიცხვში დადასტურებული რთული (ორფუძიანი) სისტემებისაგან! გ. მაჭავარიანი იმასაც კი ფიქრობდა, რომ „უძველეს დროს მრავლობით რიცხვში ბრუნება არ არსებობდა და სახელი მარტოოდენ მხოლოდითში იბრუნებოდა“ (მაჭავარიანი 2002: 83-84). როგორც ჩანს, ამ მოსაზრებამ გარკვეული გავლენა იქონია ლ. პალმაიტზეც. იგი ძალზე კეთილსინდისიერად განიხილავს სვანური ენის ბრუნების შესახებ იმ დროისათვის არსებულ სპეციალურ ლიტერატურას, თუმცა ზოგჯერ იმასაც აღნიშნავს, რომ მკვლევართა მიერ დიაქრონიულად წარმოდგენილი სურათი ძალზე ჰიპოთეტურიაო (1979: 115), მაგრამ, თუ პირადად მის მსჯელობას გავიმეორებთ, მაშინ ბევრი რამ უფრო რთულად მოგვეჩვენება:

საერთოქართველური უნდა ხასიათდებოდეს ორბრუნვიანი სქემით: **I ბრუნვა – წმინდა ფუძე, II ბრუნვა – წმინდა ფუძე + -ი სონანტი**. I ბრუნვა იყო პირდაპირი და ასრულებდა ერგატივის, აბსოლუტივის, ზოგჯერ კი დატივისა და ტრანსფორმატივის ფუნქციებს, ხოლო II ბრუნვა იყო ირიბი და გამოხატავდა გენეტივისა (განსაკუთრებით სვანურში) თუ ინსტრუმენტატივის ფუნქციებს (1979: 113).

კარგია, რომ ლ. პალმაიტმა შენიშნა ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: „რატომ გვაქვს ზოგ ა-ზე დაბოლოებულ სახელში შეკვეცილი ფუძე (ქორ<ქორა-) და სხვაგან ორნაირი სახელობითის (მარე<მარაი „კაცი“ და ხოჩა „კარგი“) ფორმები (1979: 117)? თუმცა თ. შარაძენიძის ბრუნებათა ტიპების კრიტიკისას, არათუ რამე ნათელი მოეფინა რომელიმე საკითხს, არამედ, პირიქით – კიდევ უფრო დამძიმდა სიტუაცია. საგულისხმოა, რომ უცხოელი კოლეგის მასწავლებელი ალ. ონიანი თავის ცნობილ ნაშრომში „სვანური ენა“ 281 გვერდის მანძილზე მხოლოდ სამჯერ იმოწმებს მოწაფის საანალიზო სტატიასა (ონიანი 1998: 85) თუ გრამატიკას (იქვე: 159, 177), რაც ერთობ დამაფიქრებელია.

ლ. პალმაიტი გვთავაზობს ბრუნების სხვადასხვა სისტემის რეკონსტრუქციის საფეხურებს – მართალია, საინტერესოს, თუმცა საკმაოდ სადავოს (1979: 114, 117, 121).

ლ. პალმაიტის გრამატიკა რამდენადმე უცნაურადაა აგებული (წინასიტყვაობა, აბრევიატურა, ძირითადი შენიშვნები, ფონეტიკა, სინტაქსი, მორფოლოგია, დერივაცია, ლექსიკა, ტექსტები, ბიბლიოგრაფია).

სახელები განხილულია მხოლოდ რვა (45-52) გვერდზე, მაგრამ ცალკეული ბრუნვები და მათი მაწარმოებლები მაინც კარგადაა წარმოდგენილი. ავტორი, ძირითადად, ემყარება ნ. მარისა და ქართველენათმეცნიერთა შრომებს (მათ შორის ჩვენსასაც, ოლონდ, სამწუხაროდ, ზოგჯერ მიუთითებლად)⁶¹, გამოყოფს ბრუნების რვა ტიპს და ექვს (სახელობითი/აბსოლუტივი, მიცემითი, ერგატივი, ტრანსფორმატივი, მოქმედებითი, ნათესაობითი) ბრუნვას:

I ტიპი – **ნაცვალსახელები** (ალა „ეს“, ეჯა „ის“, ჯა „თვითონ“, მამ „რა“, მარ „ვინ“, მან „ყველა“,...), რომელთაც ბრუნების პროცესში სუპლექტივიზმი ახასიათებთ;

II ტიპი – **-ა ხმოვანზე დაბოლოებული ზედსართავი** (ხოჩა „კარგი“, ხოლა „ცუდი“,...) და რიცხვითი სახელები (არა „რვა“, ჩხარა „ცხრა“,...);

III ტიპი – **-ე და -ო ხმოვნებზე დაბოლოებული არსებითი** (მარე „კაცი“, ნაგზი „კვირა“) და ზედსართავი სახელები (თჷეთნე „თეთრი“);

IV ტიპი – **თანხმოვანფუძიანი არსებითი** (ჲედ „ძალი“, ჳან „ხარი“) და ზოგი რიცხვითი (მერუ „ორი“) სახელი, რომელთაგან რამდენიმეს ხმოვანთმონაცვლეობა (ე/ა) ახასიათებს ბრუნების პროცესში;

V ტიპი – **თანხმოვანფუძიანი არსებითი** (თხჷიმ „თავი“, მიე „მზე“, მტ „მატილი“) და რიცხვითი (სემი „სამი“) სახელები;

VI ტიპი – **თანხმოვანფუძიანი** (ჳან „ხარი“⁶², ჴისგჷ „ვაშლი“, ლადედ „დედ“) და **-უ/-ო** ხმოვნებზე დაბოლოებული (ნაპუ „ლუკმა“, ნათი „ნათესავი; ნაწილი“) სახელები;

VII ტიპი – **-ა აუსლაუტიანი** (ჯიპრა „მუხა“) და ისტორიულადაც **-ა ხმოვანზე დაბოლოებული** (ქორ < *ქორა „სახლი“) სახელები;

VIII ტიპი – **-ო ხმოვანზე დაბოლოებული ერთმარცვლიანი სახელები** (დი „დედა“, ში „ხელი“), რომლებიც ერგატივში ორივე მორფემას (დი-დ || დი-მ-ემ „დედამ“, ში-დ || ში-მ-ემ „ხელმა“,...) მიიღებენ⁶³.

⁶¹ თუმცა თავად საყვედურობს კოლეგებს, მიციმითის ნიშნად -ჷ ელემენტს რომ თვლიან, ეს ფაქტიურად ნ. მარის მოსაზრებაა, რომლის იდეა (ჷ < ლ) დავიწყებულია (1979: 121).

⁶² ე. ი. ჳან იბრუნება ორი სხვადასხვა ტიპის (IV და VI) მიხედვით.

⁶³ რამდენადმე განსხვავებულია ვითარება ბრუნვათა რაოდენობის ჩვენების თვალსაზრისით „მაცნეში“ (1979 წლის III ნომერი) გამოქვეყნებულ სტატიაში „შენიშვნები სვანური ბრუნების შესახებ“:

I – ნაცვალსახელური ტიპი;

II – ზედსართავი სახელის ბოლონაწევრიანი ტიპი;

III – არსებითი სახელის უნაწევრო ტიპი;

IV – ნარევი (ლ- ფუძიანებისა და მათი ნიშნის მიხედვით გაფორმებული სახელების) ტიპი;

V – ნარევი ა- ფუძიანი ტიპი.

ლ. პალმაიტის აზრით, სვანური ბრუნების სირთულეებს ქმნიან მიცემითის ალომორფები (1986 წ.).

ყველა ტიპი გამოყოფილია იმის მიხედვით, თუ ნათესაობით ბრუნვაში რომელი სახელი რომელი მორფემით (-'წ'მიშ, -'წ'მი, -შ, -წშ, -წშ > -წ, -წ, -წ, -შა) ფორმდება; ცხადია, არსებობს გამონაკლისებიც, რომელთა შესახებ ლ. პალმაიტის გრამატიკაში გარკვეული მსჯელობა წარმოდგენილი.

ტიპების განხილვის შემდეგ თითქმის ყველა მაგალითი ნაბრუნებია მრავლობით რიცხვში (გვ. 50) არა ექვსი (ნომინატივი/აბსოლუტივი, დატივი, ერგატივი, გენიტივი, ინსტრუმენტალისი, ტრანსფორმატივი), არამედ ხუთი ბრუნვის მიხედვით – მრავლობით რიცხვში მხოლოდ დონიანი ფორმა წარმოდგენილი, რადგანაც -ემ'იანი არ გვხვდება ერგატივში, ამიტომაც **კან-პრ-დ** და მისთანები გაერთიანებული არიან **ERG/TFM**ში. რა თქმა უნდა, არასწორია მიდგომა – ერგატიული კონსტრუქციის შემქმნელი ფორმა ძირითადია იბერიულ-კავკასიურ ენებში და, თავისთავად ცხადია, ის ე. წ. ირიბი ბრუნვის მონაცემთან არ უნდა გაერთიანდეს!

გრამატიკას ახლავს საკმაოდ ვრცელი **ტექსტების** (გვ. 105-144) **გლოსირებულ-ანოტირებული ანალიზი** (ტრადიციული ევროპასა და ამერიკაში, საქართველოში კი მხოლოდ ფრაგმენტულად შესრულებული!). მასალა ბალსზემოურია და მოყვანილია არა მარტო სვანური პროზაული ტექსტების I ტომიდან და სვანური ენის ქრესტომათიიდან, არამედ განათლებით კავკასიოლოგ ჩათო გუჯეჯიანის მიერ სხვადასხვა მთქმელისგან შეგროვილი ხელნაწერებიდანაც. წიგნში გამოყენებულია ა. შანიძის, ვ. თოფურიას და მ. გუჯეჯიანის გამოცემული „სვანური პოეზიის“ I ტომის ხალხურ სიმღერათა ტექსტებიც, ოღონდ ანალიზის გარეშე (როგორც ჩანს, გაუჭირდათ).

ცხადია, შენიშვნები გვაქვს გრამატიკის როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ნაწილის მიმართ, განსაკუთრებით -ემ'იან ნათესაობითთან დაკავშირებით, მხოლოდ ბალსქვემოურ დიალექტში რომ იხმარება და სხვაგან არსად სვანეთში, ნიკო მარის „საკუთრივ სვანური ბრუნების“ ტიპის წარმომქმნელ -ნ, -გნ, -ან, -ინ ფორმანტთა ქართულ-მეგრულ-ლაზურ პირისა თუ კითხვით ნაცვალსახელებში (მე-ნა, შე-ნა,... მა-ნ, ვი-ნ,... მი-ნ-ეგ-ი, თე-ნა,...; სი-'ნ', ჩქუ-'ნ',...) წარმოდგენილ -ნ- დეტერმინანტთან გათანაბრებისა და არაერთი საკითხის, ჩვენი აზრით, არასწორად გააზრების გამო, მაგრამ მთავარი ეს არ არის! – არსებითია ის, რომ ევროპაში დაიბეჭდა წიგნი სვანური გრამატიკის შესახებ, რომელიც შეიქმნა ლიტველი ენათმეცნიერისა და მესტიის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმის მეცნიერთანამშრომლის, წინამ-

დებარე წიგნის რევენუენტის ჩათო გუჯეჯიანის კოლეგიალური ურთიერთობის შედეგად.

კარგია, რომ მსჯელობისას ლ. პალმაიტი ითვალისწინებს როგორც მთქმელთა ასაკობრივ, ისე ფოლკლორულ (სხვადასხვა ქანრისა) თავისებურებებს, ბილინგვიზმის სპეციფიკას, მაგრამ ბრუნების ტიპების გამოყოფისას იგი არც ბოლომდე თანმიმდევრულია და არც მკაცრი სიზუსტით გამორჩეული:

ა) ფუძეში ხმოვანმონაცვლე (ვ/ა) ზედსართავი სახელები, რომლებიც, ჩვეულებრივ, III ტიპის მიხედვით იბრუნვიან, ხშირად II ტიპსაც მიჰყვებიან მიცემითსა და მოქმედებითში, ზოგჯერ კი ერგატივშიც (გვ. 48).

ბ) ერგატივისა და ნათესაობითის მორფემის (-ემ) დამთხვევა შესაძლებელია IV და V ტიპებში, ხოლო ნათესაობითის -მიშ VI ტიპშიც შეიძლება შეგვხვდეს (გვ. 49);

გ) V ტიპი ნათესაობით ბრუნვაში მიიღებს -ემიშ დაბოლოებას; ამასთანავე, მას მოეპოვება ყველა წინა ტიპის ბრუნების შესაბამისი მორფემაც, ოღონდ არ გვხვდება -ჟ ბირისეული ფონემის შემდეგ⁶⁴.

რასაკვირველია, -ემიშ და -მიშ ერთი და იგივე მორფემაა, ოღონდ მეორე პირველის რედუცირებული ვარიანტია შესაბამის პოზიციაში და მხოლოდ იმიტომ, რომ ავტორი არ ითვალისწინებს ფორმათა წინა საფეხურებს (ა ლ ბ ა თ შ ი შ ო ბ ს დ ი ა ქ რ ო ნ ი ს ტ ო ბ ა ა რ დ ა ს წ ა - მ ო ნ !), ისინი სხვადასხვა ტიპებში მოხვდნენ. საოცარია, რატომ არის -ემიშ დიაქრონიულად უწინარესი, როცა ის დღესაც გვხვდება სვანური ენის ლენტეხურ დიალექტში რედუცირებული -მიშ ალომორფის გვერდით? იგივე კითხვა უნდა დავუსვათ ალ. ონიანსაც – ლ. პალმაიტის

⁶⁴ შდრ. საღლიანის მიერ ფიქსირებული რიცხვითი სახელები – ეშბ-ჟ-მ-ემ „ერთმა“, იწრჟ-მ-ემ „ორმა“, უსგჟე-მ-წემ „ექვსმა“, ჩხარა-მ-წემ „ცხრამ“, იორი-მ-იშ „ორის“, საშ-ჟ-ემ-იშ „სამის“ (2016: 101-114), რომლებიც ხელოვნურობის შთაბეჭდილებას ტოვებენ – ე. ი. ლ. პალმაიტის წესი -ემიშ მორფემის მიუღებლობის შესახებ -ჟს მომდევნო პოზიციაში, ანგარიშგასაწევია. ალბათ ამის შემდეგ არცაა გასაკვირი თავად მ. საღლიანის განცხადება: „ბრუნების ის ტიპები, რომლებიც ჩვენ სხვადასხვა დიალექტში დავაფიქსირეთ, საენათმეცნიერო ლიტერატურაში დადასტურებულ ვერც ერთ ტიპს ვერ მოერგო“ (2016: 114). ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ნახევარი საუკუნის მანძილზე მ. საღლიანის მიერ ზემოაღნიშნულ ფორმათა მსგავსი რამ მოთხრობითსა და ნათესაობით ბრუნვებში სვანური ტექსტების არც ერთ პუბლიკაციაში არ შეგვხვედრია. მკითხველს ანალოგიური ეჭვები რომ არ გაუჩნდეს, მხოლოდ პარადიგმებით არ უნდა დავკმაყოფილდეთ – უმწერლობა ენათა ყველა მასალა (მითუმეტეს ახალი!) ილუსტრირებული უნდა იყოს ფრაზების შემცველი კონტექსტებით, სადაც მითითებული იქნება მთქმელთა სრული პასპორტი!

სვანური ენის მასწავლებელსაც, რომლის თეორიათა გავლენა ძალიან ეტყობა მოწაფეს (იხ. მისი მონოგრაფია „სვანური ენა“).

დ) ფორმალურად **დი** („დედა“) და **ში** („ხელი“) მიეკუთვნება **VII** ან **VIII** ტიპს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მიიღებენ ბრუნების **V** ტიპის -**ემ** დაბოლოებას ერგატივში (გვ. 50) – აღნიშნავს ლ. პალმაიტი და ამ ორ ლექსემას ამის გამო „უწესო ბრუნების“ მაგალითებში განიხილავს. როცა სახელთა გარკვეული ჯგუფის ფორმაცვალება წარიმართება ორი ან მეტი ტიპის მორფემათა მიხედვით, მაშინ ამ ჯგუფს ვეღარც „უწესო ბრუნებისად“ მიჩნევა შემატებს რამეს კლასიფიკაციის თვალსაზრისით. იმავეს ვიტყვით **ზამ** („წელიწადი“)⁶⁵ს შესახებაც, რომელიც, ლ. პალმაიტის აზრით, **IV** ტიპის მიხედვით იბრუნვის, თუმცა ნათესაობითი ეწარმოება **VI** ან **VIII** ტიპის შესაბამისად.

ანალოგიური არასისტემური და ამოსავალი საკლასიფიკაციო ნიშნის ცვალებადობით შექმნილი ტიპების გამოყოფა, თავისთავად ცხადია, ძნელად დასაჯერებელია.

ლ. პალმაიტი და ა ა ს კ ვ ნ ის:

სვანური ბრუნების ყველა (ე. ი. რვა) **ტიპი ქართველური ჩანს** და არა **აფხაზურ-ადიღურთან** ნარევი, როგორც ამას ნიკო მარი ფიქრობდა. მისი აზრით, თანამედროვე მეტყველებაში ყველაზე პროდუქტულია **VI**, **VII** და **VIII** ტიპები.

ლ. პალმაიტს მიაჩნია, რომ სვანური ბრუნების შესახებ არსებობს ფართო ლიტერატურა, რომელშიც ყველაზე ავტორიტეტულია ვ. თოფურიას და თ. შარაძენიძის ნაშრომები (1979: 113), თუმცა გ. მაჭავარიანისა და ბ. კიკვიძის თეორიებიდან ამოსვლით ის თვლის, რომ თანამედროვე სვანური მორფემები (-**ნ**, -**მ**, -**ჟ**-**ლ**) არქაული დეტერმინანტი სუფიქსებისგან (< ნაწევრებისგან) მომდინარეობენ (იქვე: 113-116), რასაც ჩვენც ვიზიარებთ (იხ. „ქართველოლოგიური ძიებანის“ სახელთა პარადიგმატული სისტემის რეკონსტრუქციები – გვ. 25-183), ხოლო -**ს₁**, -**ს₂**, -**დ** ისტორიულად თანდებულებია (იქვე: 113)⁶⁶. მკვლევრის აზრით, თანდებულთა მორფოლოგიზაცია სვანურში ქართულ-ზანურზე გვიანდელი იყო და ბოლომდე არ მისულა... ბრუნების ტიპთა დიდი არაერთგვარობა მიუთითებს სვანურში სახელთა პარადიგმატიკის შედარებით გვიან ჩამოყალიბებაზე (იქვე: 115, 117), რაშიც ვერ დავეთანხმებით ჩვენს უცხოელ კოლეგას. **ქართველურ ენათა შორის სვანური საგრძნობლად გამოირჩევა თავისი არქაულობით, რაც ბრუნების ტიპებსაც ეხება.**

⁶⁵ გაუგებარია, რატომ ასახელებს ლ. პალმაიტი ამგვარ სავარაუდო თანდებულთა შორის **ჟ**-საც სხვა ადგილას (1979: 118)?

§ 9. გიორგი როგავა

„იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეულის“ XV ტომში (1988 წ.) დაიბეჭდა გიორგი როგავას გამოკვლევა „Эргатив двух формации в картвельских и абхазско-адыгских языках“, რომელშიც რამდენადმე თავისებურადაა განვითარებული არნ. ჩიქობავას თეორია ქართული მოთხრობითის ორგანული (ძირითადი) -ნ და არაორგანული (ნაცვალსახელური) -მა მორფემების შესახებ; გამოთქმულია ვარაუდი პირველადი ფორმაციის ერგატივის -ნ მორფემის გაქვავებული სახით არსებობის თაობაზე სვანურ ფორმაში ეჯნემ <“ე-ჯა-ნ-ემ“ „იმან“, სადაც -ე ჩვენებითი ნაცვალსახელური ელემენტია, ჯა ქართული გას შესატყვისია (< ე-გა), -მ კი ნასესხებია ადიღური ენებიდან.

გ. როგავას აზრით, სვანურში მეორე ფორმაციის (ნაწევ-როვანი ნაცვალსახელიდან მომდინარე) მოთხრობითი არ დასტურდება, ხოლო საერთოქართველური წარმომავლობის -დ (ჭაშ-დ „ქმარმა“) ისტორიულად ნივთის გრამატიკული კლასის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო (გვ. 48).

სტატიის ავტორი საფუძვლიანად მსჯელობს ორი ფორმაციის ერგატივის არსებობა-არარსებობის თაობაზე ქართულში, ზანურში, სვანურში, აფხაზურში, ადიღურსა თუ უბიხურში და სვამს ამ ენათა მორფოლოგიის ისტორიასთან დაკავშირებულ გარკვეულ კითხვებს:

1. თავდაპირველად ერგატივის ჩამოყალიბების აუცილებლობა რატომ გაუჩნდა მესამე პირის ჩვენებით ნაცვალსახელს?

2. რამ შეუწყო ხელი მეორე ფორმაციის ერგატივის ჩამოყალიბებას თუ ჩამოუყალიბებლობას იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში შემავალ ცალკეულ ენებში?

დიახ, ძალზე რთული კითხვებია! – მათზე პასუხის გაცემას შეეცადნენ მომდევნო მკვლევრები. თუმცა არც თუ ისე წარმატებულად...

უფრო ადრინდელ (1964 წ.) ნაშრომში ადიღურ ენათა ნაცვალსახელური ერგატივის -შ || -ს⁶⁶ მორფემებს გ. როგავა უკავშირებდა აფხაზური ენის ვითარებითობის გადმომცემ -ს || -ს სუფიქსს (იხ. გვ. 243), ხოლო შემდეგ იყო მცდელობა მათი დაკავშირებისა საერთოქართველური მიცემითის -ს ნიშნითან (შენგელია 2009: 231-234).

ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია გ. როგავას თვალსაზრისი იმის შესახებაც, რომ ადიღურ და უბიხურ ენათა ერგატივი ქრონოლოგიურად უფრო ახალია, ვიდრე დაღესტნისა და ჩაჩური ენების ერგატივი, მაგრამ სისტემის მიხედვით, როგორც ახალი წარმონაქმნი, ძველ ვითარებას ასახავს (1964: 244).

⁶⁶ არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ რამ გამოიწვია ე ხმოვნის სიგრძე ეჯნემ ფორმაში.

§ 10. გურამ თოფურია

იმავე კრებულში გამოქვეყნებულია გურამ თოფურიას სტატია "Эргатив, инструменталис и эргативная конструкция" (გვ. 259-265), რომელშიც ბრუნვათა მორფემების ისტორიის გ. როგავასეული ახსნა უფრო ფართოდაა წარმოდგენილი. ცნობილია, რომ სვანურში მოთხრობითი და ვითარებითი ბრუნვების მაწარმოებლები მატერიალურად ერთი და იმავე -დ თანხმონითაა გამოხატული. ამასთანავე, მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში ერგატივი ე. წ. ირიბ ბრუნვათა ფუნქციების შემთავსებელია. ამ სტატიაშიც და შემდგომში თავის სადოქტორო დისერტაციაშიც ("Морфология склонения в дагестанских языках", 1995), უამრავი საილუსტრაციო მასალის მიხედვით, გ. თოფურია ცდილობს, დაადგინოს ე. წ. პალეოერგატივის გენეზისი, რომლის საფუძველზე გამოაქვს შემდეგი დასკვნა: „ის ინსტრუმენტალისი, რომელიც ფორმალურად და ფუნქციურად ერგატივთანაა შეთავსებული, დიაქრონიული თვალსაზრისით განხილულ უნდა იქნეს როგორც რეალური სუბიექტის ისეთივე ბრუნვა, რაც ერგატივია, ოღონდ მხოლოდ არაადამიანის (ნივთის) კლასის სახელებისთვის დამახასიათებელი, ანუ ერგატივი და ინსტრუმენტალისი ერთი და იმავე ბრუნვის სხვადასხვა მორფოლოგიური ვარიანტია, გრამატიკული კლასებით დიფერენცირებული (ხაზი ჩვენია – ი. ჩ., იხ. Топуриа Г. 1988: 264).

დადესტური ენების სპეციალისტი სრულიად ბუნებრივია, რომ შეეხო სვანურ ორფუძიან ბრუნებასაც და ხაზგასმით აღნიშნა, რომ „სვანური ორფუძიანობა არსებითად განსხვავდება დადესტური თუ ადილური ორფუძიანობისაგან – სხვაობა, უპირველეს ყოვლისა, ბრუნების პარადიგმის საყრდენ ფუძეში ვლინდება: სვანურში საყრდენი ფუძეა მიცემითის ფორმა ყველა (!) სახის ორფუძიანობისათვის. არც ერთმა მთის კავკასიურმა ენამ ასეთი სისტემა არ იცის (ხაზი ჩვენია – ი. ჩ.). პასუხს მოითხოვს კითხვა – რატომ იყენებს ერგატიული ტიპოლოგიის სვანური ენის ბრუნება საწარმოებელ ფუძედ მიცემითს და რა გენეზისისაა ასეთი მიცემითი?! სანამ ამ კითხვებზე არ გვექნება დამაკმაყოფილებელი პასუხი გაცემული, სვანური ორფუძიანობის საკითხს ვერ მოვევლება“ (თოფურია 1999: 23-24).

დიახ, ასეა! – მომავალ თაობას ვუტოვებთ ურთულეს პრობლემას გადასაწყვეტად და ღრმად გეწამს, რომ ჩვენი ახალგაზრდობა იმედებს გაგვიმართლებს არამხოლოდ ამ თვალსაზრისით.

ჩვენ ზემოთ (იხ. გვ. 48) უკვე აღვნიშნეთ, რომ პირველი იყო არნ. ჩიქობავა, ვინც თავისი თეორია სვანურ სახელთა ბრუნების სისტემაში ორფუძიანობის პრინციპის არსებობის შესახებ სწორედ ერგატის ფორმაზე დამყარებით შექმნა, ანუ ზუსტად ისეთივე ორფუძიანობა შეამჩნია, როგორც ნახურ-დაღესტნურ ენებში იყო და არის დღესაც. ესაა მწარემიშ < მწარა-ემ (მოთხრ.) + იშ (ნათეს.) „კაცის“ ანალოგიური უამრავი მონაცემი – აქ არ არის ორფუძიანობა? – პირველი ფუძე მოთხრობითისაა (მარემ „კაცმა“) და მეორე (მწარემიშ „კაცმაის“) – ნათესაობითისა! რაც შეეხება ჟალ-ჟ-ემ-იშ („მალსმამის“) მონაცემს, აქ უკვე მიცემითის ფორმაზე დამყარებულ ნაერგატივალ ნათესაობითთან (ე. ი. უფრო რთულ სისტემასთან) გვაქვს საქმე. რატომ არ შეიძლება სვანური მთის იბერიულ-კავკასიურ ენათაგან დამოუკიდებლად განვითარებულიყო ბრუნების ორფუძიანი პარადიგმატიკიდან სამფუძიანობამდე? თუმცა კონკრეტულად ამ მაგალითში -ჟ ქართული დეტერმინანტი სუფიქსის (მალ-ლ) მორფოლოგიურ (არნ. ჩიქობავა) ან ფონემატურ (გ. კლიმოვი) შესატყვისადაც შეიძლება წარმოვიდგინოთ.

გ. თოფურია საგანგებოდ შეეხო ე. წ. „საკუთრივ სვანურ ბრუნებას“ (ნ. მარი), ქართველურ-კავკასიურ სისტემას (ვ. თოფურია), რომელიც სახელური მორფოლოგიის უძველეს ფენას განეკუთვნება. დღეს ეს სისტემა არსებითად მკვდარია, მაგრამ მრავალი სახელური, ნაცვალსახელური თუ ზმნისართული ფორმის (გადმონაშთის) ანალიზის შედეგად ხერხდება გამოიყოს -ნ (-ინ-, -უნ-, -გნ) ფორმანტი, რომელიც, უპირველესად ყოვლისა, პოლიფუნქციურობის თვალსაზრისით არის საყურადღებო. „მართალნი არიან ის მკვლევრები, რომლებიც უარყოფენ -ნ-ს, როგორც რომელიმე კონკრეტული ბრუნვის ფორმანტს; იგი განხილულ უნდა იქნეს პოლიფუნქციურ მორფემად, რომელიც ენაში შეიძლება და რეალიზებული ყოფილიყო ხან როგორც მიცემით/ვითარებითი, ხან როგორც ნათესაობითი და ხან როგორც ერგატივ/მოქმედებითი ბრუნვის ნიშანი, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, ისტორიულად ეს იყო რაღაც ზოგადი მორფოლოგიური ერთეულის აღმნიშვნელი მორფემა, რომელიც თავის თავში აერთიანებდა ყველა ირიბი ბრუნვის ფუნქციას, რითაც უპირისპირდებოდა სახელობითს, უფრო ზუსტად, წმინდა ფუძეს – ეს იყო სუბიექტის ძველი სახელური მარკერი“ (ხაზი ჩვენია – ო. ზ.).

„თუ შეიძლება რაიმე ტიპოლოგიური პარალელები დაიძებნოს მთის კავკასიურ ენათა ბრუნებასთან, ამისათვის ყველაზე უფრო სვანური ბრუნების სწორედ ეს სახეობა გამოდგება – იგი გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს დადესტნურ ენათა ორფუმიან, ე. წ. ჩანართიან ბრუნებასთან“ (თოფურია გ. 1999: 85). ეს ვარაუდი, ვფიქრობთ, გაცილებით დამაჯერებელია, ვიდრე სხვა მკვლევართა (გ. მაჭავარიანი, გ. კლიმოვი, ბ. კიკვიძე, ალ. ონიანი, კ. გაბუნია) მოსაზრებანი ე. წ. „საკუთრივ სვანური ბრუნების“ წარმომადგენელ -ნ/-ვნ/-უნ, -ან, -ინ მორფემასთან დაკავშირებით, მითუმეტეს არ შეიძლება მისი გაერთიანება რიცხვით სახელებში წარმოდგენილ ჯერობით -ინ (აემდ-ინ „ათჯერ“) ნაწილაკთან და არც *ზოგრემინ-იმ > *ზოგრემ-ინ-ი > ზოგრემ-ინ („ზოგრემის“ – ტოპ.) საფეხურთა დაშვება (იხ. გაბუნია 2007: 132). ანალოგიისთვის მოყვანილი „ეკონომიურობის პრინციპი“ (იხ. ჩანტლაძე 1998: 25-39) ამ შემთხვევაში სრულიად უადგილოა, რადგანაც საქმე სულ სხვა ფორმაცვალებას ეხება (ფეჟ < ფეჟ-იმ ლაქდათე „ფეკილ“ის⁷ მოსატანად⁸), ხოლო ზოგრემინ < *ზოგ-არ-ემ-ინ („ხიდების < ზოგ-ებ-ის“) აშკარად ნათესაობითი ბრუნვის ფორმაა, რომელშიც -ემ უკვე ქცეულია დერივაციულ აფიქსად.

გ. თოფურია კრიტიკულად აფასებს ჩვენს მოსაზრებას -ემ⁹ იან ერგატივზე დამყარებული ნათესაობითი ბრუნვის მორფემის თანდათანობითი ცვეთის შესახებ (-ემ-იმ > -ემ-ი> -ემ): „ი. ჩანტლაძეს მოაქვს დიდძალი საიდუსტრაციო მასალა, მაგრამ ყველა მაგალითი ან ატრიბუტულ სინტაგმამია წარმოდგენილი და მსაზღვრელ-საზღვრულის ჩვეულებრივ ურთიერთობას გულისხმობს ან კიდევ ნათესაობითის ფორმა რაიმე შესიტყვების წევრია; ამ პირობებში კი, ცხადია, მსაზღვრელის თანხმონითი (და ხანდახან ხმოვნითი) კომპონენტი მართლა შეიძლება დაიკარგოს, მაგრამ ასეთ ცვლილებებს ვერ ვივარაუდებთ სახელის იმ ფორმისათვის, რომელიც ბრუნების პარადიგმის ცალკე, დამოუკიდებელი წევრია“ (თოფურია გ. 2001: 62-63).

გასაგებია, მაგრამ სხვა კონტექსტები რომ არ არსებობს ამგვარი ნაერგატივალის ნათესაობითისთვის?!

გ. თოფურიას აზრით, სვანურ ენაში დღეს ორგვარი ნათესაობითი გვაქვს: ერთი – ერგატივთან შეთავსებული (ბგელი) და მეორე – ნათესაობითის ფორმანტმოკვეცილი (ახალი); ორივე შემთხვევაში გვექნება მარწმ („კაცმა“). ვფიქრობთ, ძალზე ორიგინალური გააზრებაა (მსგავსი ვარაუდი სვანური

პარადიგმატიკის არც ერთ მკვლევარს ჯერ არ გამოუთქვამს!), მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ ბალსქვემოური მარემ (1. „კაცმა“; 2. „კაცის“) მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა მსგავს პალეოერგატივის ფუნქციით გამოყენებულ რამდენიმე ბრუნვის საზიარო ძველ ფორმად წარმოვიდგინოთ, საკითხის ასე გართულება და ერთი და იმავე (მარემ) ფორმის ორგვარად (ხან არქაულად და ხან ინოვაციად!) გააზრება მიზანშეწონილად არ გვეჩვენება.

სვანური ორფუძიანობა – დაასკვნის გ. თოფურია – ფრიად განსხვავებული, თავისებური მორფოლოგიური მოვლენაა, რომელსაც მეორე ფუძის წარმოების პრინციპის თვალსაზრისით ვერც დადესტნურ, ვერც ადილურ და ვერც საერთოდ მთის კავკასიურ ენებში ზუსტი ანალოგი, ტიპოლოგიური პარალელი ვერ ეძებნება. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მოვლენა ქართველურ ნიადაგზე აიხსნება, რისი ცდებიც უკვე იყო სპეციალურ ლიტერატურაში (იქვე: 65).

§ 11. ვაჟა შენგელია

როცა ენათმეცნიერმა პრაქტიკულადაც იცის ის ენა, რომელსაც იკვლევს, მაშინ, თავისთავად ცხადია, უკეთესი ეთნოლინგვისტური შედეგები გვაქვს, რაც კარგად ჩანს იმ შემთხვევაში, თუ ქართველოლოგი რიგიანად იცნობს მთის კავკასიურ ენათა სამყაროს და პირუკუ – კავკასიოლოგი (განსაკუთრებით სტუდენტ-ასპირანტობის დროს ქართველებთან ერთად განსწავლული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არნოლდ ჩიქობავასა და ვარლამ თოფურიას სამეცნიერო სკოლების ხელმძღვანელობით!) სისტემატურად ეცნობა სპეციალურ ლიტერატურას ქართულ ენაზე. ამის ერთ-ერთი შესანიშნავი მაგალითია პროფესორ ვაჟა შენგელიას მოღვაწეობა. მან იბერიულ-კავკასიურ ენათა სისტემისა და ისტორიისადმი მიძღვნილ მერვე რეგიონალურ სამეცნიერო სესიაზე, ქ. ჩერკესკში, 1979 წელს წაიკითხა მოხსენება თემაზე "К истории послелогов в картвельских языках", რომელიც საფუძვლად დაედო მომდევნო (IX) რეგიონალურ სესიაზე წარდგენილ მოხსენებას ქ. მაიკოპში 1981 წელს ("К истории дательного падежа в картвельских языках"). ეს უკანასკნელი სტატიის სახითაც დაიბეჭდა ქართულ ენაზე „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების“ XXXVII ტომში სათაურით „ქართველურ და აფხაზურ-ჩერქეზულ ენათა აღწერითი და ისტორიულ-შედარებითი ანალიზის საკითხები – I. ქართველური მიცემითის ფორმანტი -ს და ჩერქეზული ერგატივის -შ“ (გვ. 232-234).

მიუხედავად იმისა, რომ ვერ დავეთანხმებით ბატონი ვაჟას მოსაზრებას ქართველურ ენებში თანდებულთა რთული (ქართული) და მარტივი (ზანურ-სვანური) სისტემების შესახებ (პირიქით: სპეციალური ლიტერატურიდან დიდი ხანია ცნობილია მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა სტრუქტურისთვის დამახასიათებელ რთულ თანდებულთა მსგავსი სვანური წყვილთანდებულნი მონაცემები – იხ. თოფურია ვ., ბრუნების სისტემისათვის ლაკურ ენაში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, X-B, თბილისი, 1940, გვ. 327-336), სრულიად უდავოა მისი ერთი დებულება: **"Дательный падеж с послелогами в картвельских языках, видимо, наиболее позднее образование"** (1979: 17) ან **"Сочетание послелогов с дательным падежом в новогрузинском языке следует считать инновацией"** (1981: 16). ეს რომ ასეა, ძალზე კარგად ჩანს როგორც ქართული, ისე მეგრულ-ლაზური და სვანური ენებიდან (დეტალურად იხ. ჩვენი „ლოკალურ მიმართებათა

გრამატიკული გამოსახვისათვის სვანურში“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, B 6-7, 1974).

ვ. შენგელია აგრძელებს კავკასიოლოგიაში არნოდდ ჩიქობავას მიერ დამკვიდრებულ თეორიას ორგვარი (მონოფუნქციური, თავისთავადი, დამოუკიდებელი, ერთი მხრივ, და პოლიფუნქციური, საზიარო, შემთავსებელი, მეორე მხრივ) ერგატივის შესახებ და წარმოგვიდგენს სრულიად ორიგინალურ თვალსაზრისს ერთ ტიპოლოგიურ პარალელთან დაკავშირებით:

სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ სვანურ ენაში მიცემითი ის ძირითადი ბრუნვაა, რომელსაც თანდებული დაერთვის, ხოლო ჩერქეზულში ერთადერთი ბრუნვა, რომელთანაც თანდებული გვხვდება, არის ერგატივი, მიცემითის გამოხატვის ფუნქციაც რომ აკისრია (2009: 232). გ. როგავას მიერ დადგენილი ერთი ფონემათფარდობიდან (ქართველური ს: ჩერქეზული შ – 1955: 13) ამოსვლით, ვ. შენგელია სვამს საკითხს ქართველური მიცემითი ბრუნვის -ს ნიშნისა და ჩერქეზული ერგატივის -შ|-ს სუფიქსის გენეტიკური ერთიანობის შესახებ. მამასადმე, პრობლემის ჩაღრმავებულმა შესწავლამ შესაძლოა ენათა ტიპოლოგიური პარალელები გენეტიკურ ჭრილშიც კი წარმოგვიდგინოს.

სტატიის ბოლოს გამოტანილია მნიშვნელოვანი თეორიული დასკვნა: **ერგატივისა და მიცემითის ნიშნების დაკავშირებას მხარს უჭერს მოსაზრება იბერიულ-კავკასიურ ენათა თავდაპირველ დონეზე ბრუნვათა ბინარული სისტემის (არამარკირებული სახელობითისა და სათანადო სუფიქსით გაფორმებული პოლიფუნქციური ბრუნვის) არსებობის შესახებ. ეს თვალსაზრისი პირველად გამოთქვა გ. მაჭავარიანმა, ხოლო დადესტნურ ენათა მასალაზე საკითხი სპეციალურად შეისწავლა გ. თოფურიამ, რომელმაც ბრუნების ამოსავალი ორწევრა სისტემის პოლიფუნქციურ ერგატივს პალეოერგატივი უწოდა.**

მონოფუნქციურ და პოლიფუნქციურ ერგატივზე მსჯელობდა ვ. შენგელია საერთაშორისო საენათმეცნიერო კონფერენციაზეც „ერგატივი და ერგატიული კონსტრუქციები მსოფლიოს ენებში“ (2009: 80-81).

§ 12. იან ბრაუნი

1988 წელს ოსლოში, ნორვეგიის უნივერსიტეტის შრომებში "Studia Caucasologica, I" გამოქვეყნდა იან ბრაუნის "The Grammatical Category of Article in Kartvelian and Basque A Comparative Study", რომელშიც ქართველ მეცნიერთა (მათ შორის ჩვენს) შრომებზე დაყრდნობით, იგი დაასკვნის, რომ ქართველურ ენებში -ი ხმოვანზე დაბოლოებულ სახელთა უმრავლესობაში -ო სახელობითი ბრუნვის ფუნქციის მქონეა და მომდინარეობს განსაზღვრებითი (ფინიტური) არტიკლისაგან, იგივე სიტუაციაა ბასკურშიც (იხ. გვ. 38-41).

რამდენიმე წლის შემდეგ (1991-1992) იან ბრაუნი კვლავ ეხება არტიკლსა და ნაწევრიან ბრუნებას – მან პოზნანის XXXIV საენათმეცნიერო კონფერენციაზე წაიკითხა მოხსენება თემაზე "Articles de Fond, Protokartvelian Declension and its Development", რომელშიც აღნიშნავს, რომ პროტოქართველურში (სადაც ის ქართულ-ზანურ-სვანურის გვერდით ბასკურსაც მოიაზრებს) უნდა გვეჩინოდა 7 ბრუნვა შემდეგი მახასიათებლებით:

აბსოლუტივი (Ø)

ნომინატივი განსაზღვრებითი ფორმით (-ი)

ერგატივი განსაზღვრებითი ფორმით (-მან, -ქ, -მ)

გენეტივი (-ის, -ინ)

დატივ-ლოკატივი (-ას/ს, -ან/ნ)

ინსტრუმენტალისი (-ით)

ალატივი (-ად/დ)

თითქმის ყველგან შედის სვანურიც, განსაკუთრებით ნარიანი ბრუნება (იხ. გვ. 8). საყურადღებოა, რომ ავტორს მოჰყავს მეტად საინტერესო სინტაგმა მურ-ინ ხოგ – „მურის (ტოპ.) ხიდი“, რომელშიც წარმოდგენილია -ინ მორფემიანი ნათესაობითი⁶⁷, დღეს ფაქტიურად რომ აღარ იხმარება სვანურში (სამწუხაროდ, სტატიაში არაა აღნიშნული, რომელი ტექსტიდან დაიმოწმა იან ბრაუნმა ეს ფორმა). ბასკურ ენაშიც პროტოქართველურის თითქმის იდენტური ბრუნვები და მორფემები აღდგებაო – გახაზავს ავტორი:

აბსოლუტივი – Ø, ნომინატივი (განსაზღვრებითი ფორმით) – ი, ერგატივი – ექ, გენეტივი – ენ, დატივ-ლოკატივი – ან/ნ, ინსტრუმენტალისი – ექ, -ეს, ალატივი – ად, -ათ.

მოგვიანებით (1998 წ.) ეს ნაშრომი გამოქვეყნდა, აგრეთვე, ცნობილ კრებულში "Euscaro-Caucasica".

⁶⁷ შდრ. მურ-ი (< მურ-იშ) მურყჷამ „მურის ციხევე!“ („კოშკო!“) – სვ. პოეზ. 1939: 4, 9. ძველისძველი სიმღერის ტექსტშიც კი, რომელიც სოფელ ევერშია ჩაწერილი, მოკვეცილია ნათესაობითის მორფემის თანხმობითი ელემენტი -შ, რაც საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ „თამარ დედფალ“ შეიქმნა ბალს ზემოთ, საიდანაც გავრცელდა სვანეთის დანარჩენ ტერიტორიაზე.

§ 13. ლამარა ნოზაძე

„ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში გაბატონებული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ზოგ კავკასიურ ენასა და ქართველურ ენათაგან სვანურში ერგატივისნიშნის ფორმა, ზოგჯერ მიცემითნიშნისიცი, გამოიყენება ფუძედ სხვა ბრუნვებში (უმართებულო და მცდარი თეორიული თვალსაზრისით) შედეგია არასწორ მეთოდოლოგიურ პრინციპებზე დამყარებული ლინგვისტური ანალიზისა“ (ნოზაძე 1995: 55; ხაზი ჩვენია – ი. ჩ.) – გასაოცარია, რომ ამ საშინლად მკაცრ და მართლაც უმართებულო(!!!) გამონათქვამში მოიაზრება დიდებულ აკადემიკოსთა (ს. ჯანაშია, არნ. ჩიქოვავა, ვ. თოფურია, თ. შარაძენიძე,...) თეორია სვანურ სახელთა ორფუძიანი პარადიგმატული სისტემის შესახებ!

ლამარა ნოზაძე ეყრდნობა ალ. ონიანისა (1989: 158-163) და მისი მოწაფის ლ. პალმაიტის (1979: 121) შეხედულებებს, რომელთა მიხედვით ე. წ. „ორფუძიანი“ ბრუნება არ არის დამახასიათებელი სვანურისათვის და არც ნახურ-დაღესტნური ჯგუფის ენებისათვის. ნათესაობითის ფორმაში წარმოდგენილი -მის (ყელ-მის „ძალის“) ამ ბრუნვის განუყოფელი ფორმანტია, ხოლო ტრადიციულად მიცემითის ნიშნად მიჩნეული -ჟ (ყად-ჟ „ძალს“) სათანადო სახელთა ძირეული მორფემის ერთ-ერთი ალომორფის შემადგენელი ნაწილი (ყელ/ყადჟ). ჯერ ერთი, -მის არ არის ნათესაობითი ბრუნვის განუყოფელი ფორმანტი (ის ემ-ის რთული მორფემის რედუცირებული ვარიანტია, რომელიც დღესაც ძალზე გავრცელებულია ბალსზემოურსა თუ კოდორულ მეტყველებაში, ხოლო შედარებით იშვიათად ბალსქვემოურსა და ქვემოსვანურ დიალექტებში, სადაც -მ სწორედ -ემ იანი ერგატივიდან გადაყოლილი ფუძის შემადგენელი ელემენტია!) და მეორეც, სახ. ყელ < „ძალ+ი – მიც. ყადჟ ფორმათა ოპოზიცია განა ორფუძიან (ისტორიულად ერთფუძიან) პარადიგმატიკაზე არ მიუთითებს?! ნუ თუ, ასე ძნელია ამის დანახვა?! განა, იმაზე დავა შეიძლება, რომ ყელ-მ-ის ლექსემისთვის „ძალ-მა-ის“ ზედმიწევნითი თარგმანია მხოლოდ?! არც არავის გაუაზრებია არასდროს ანალოგიური ფორმები სხვაგვარად. – ყოველთვის გახაზავდნენ სვანური ბრუნების პროცესში სახელთა ერთი (ჰყინტ-ის „ბიკის“), ორი (მარნემის < „მარა-ემ-ის“) ან სამფუძიანი (ყად-ჟ-ემ-ის „ძალის“) სისტემის მიხედვით ფორმაცვალებას და არა ერთი, ორი ან სამმორფემიანი (მც!) დაპირისპირების პრინციპს!!! ისე კი გასაოცარია, მკვლევრები, რომელთაც თეორიულად არასდროს უმუშავიათ არც მთისა და არც ბარის კავკასიურ ენათა სტრუქტურაზე და არც პრაქტიკულად იციან ეს ენები (ქართულის გარდა!), როგორ ახერხებენ ასეთი მკაცრი გამონათქვამების პუბლიკაციას?! უნებლიეთ გვახსენდება ჰ. შუხარდტის ერთი შენიშვნა: როგორ შეიძლება ქართული ენის არმცოდნე დადასტუროს მსგავსება ქართულისა და ვანურისა?! (Schuchardt 1895: 7).

§ 14. კევინ ტუიტი

1997 წელს მიუნხენში გამოქვეყნდა კევინ ტუიტის მონოგრაფია **Svan**, რომელიც სულ 57 გვერდს მოიცავს, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანია ეთნოლინგვისტური თვალსაზრისით. იგი ოთხი განყოფილებისაგან შედგება: სოციოგეოლინგვისტური სიტუაცია, ფონოლოგია, მორფოლოგია, სინტაქსი, რომელთაც ახლავს: ტექსტები, აბრევიატურა, ბიბლიოგრაფია, კავკასიისა და სვანური ენის დიალექტთა ვერცხვების მაჩვენებელი რუკები.

კ. ტუიტი საკმაოდ კარგად იცნობს საქართველოს და ქართველოლოგიურ ლიტერატურას როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ. არ შეიძლება გულგრილად აღვიქვათ მისი გამონათქვამი: „ხშირად ვფიქრობ, რომ ვცხოვრობ საქართველში, მაგრამ სამსახურში დავდივარ მონრეალში“.

მორფოლოგიაში ცალ-ცალკეა განხილული სახელისა და ზმნის ფორმაცვალება.

კ. ტუიტი გამოყოფს სვანურ საზოგადო სახელთა ბრუნების სისტემის 7 ტიპს მხოლოდითი რიცხვის ფორმებში და ერთს (ანუ VIII-ს) – მრავლობით რიცხვში. ცალკე ჯგუფშია საკუთარი სახელები (იხ. გვ. 15).

ბრუნვათა I ტიპში რატომღაც ჩვენებითი ნაცვალსახელები შედის (ლ. პალმაიტის მსგავსად), მეორეში – რაოდენობითი რიცხვითი სახელები, ხოლო ყველა დანარჩენში – არსებითები. წიგნში მოცემულია პარადიგმები ყველა ტიპისა და ექვსი ბრუნვის (ნომინატივი, დატივი, ინსტრუმენტალისი, ადვერბიალური, ერგატივი, გენეტივი) მიხედვით:

I ტიპი (ნაცვალსახელები)

II ტიპი (ადიექტივები)

სახ.	ალა „ეს“	არა „რვა“
მიც.	ამ-ი-ს, ალა-ს, ამ-გნ	არა-ამ ⁶⁸
გარდაქც.	ამ-ნ-ომ ← *ამ-ნა-ჟმ	არა-ამ-შჟ
გარემოებ.	ამ-ნ-არ-დ	არა-ამ-დ
მოთხ.	ამ-ნ-ემ- ^რ დ ⁶⁹	არ-ემ < არა-ამ-ნ-ემ
ნათ.	ამ-ნ-ემ-ომ, ამ-შა, ამ-ომ	არ-ემ-ომ

⁶⁸ გაუგებარია, რატომ არაა დაფიქსირებული არამ, არამშუ, არამდ! – სხვა ფორმებში ხომ გვაქვს გრძელი ხმოვნები?

⁶⁹ ბატონი კევინის ორთოგრაფიით am-n-e:m-[d].

III ტიპი

IV ტიპი

სახ.	მწრე ← *მწრა-ი „კაცი“	ჩწე ← *ჩწე-ი „ცხენი“
მიც.	მწრ-ა	ჩწე-ჟ
გარდაქც.	მწრ-ოშ ← მწრა-ჟშ	ჩწე-ჟ-შ
გარემოებ.	მწრ-ად	ჩწე-ჟ-დ
მოთხ.	მწრ-ემ	ჩწე-ჟ-ემ
ნათ.	მწრ-ემ-იშ	ჩწე-ჟ-ე ¹ მ-იშ

V ტიპი

VI ტიპი

სახ.	თხჟიმ ← *თხუმ-ი „თავი“	წწთი „წილი“	წან ← *წან-ი „ხარი“
მიც.	თხუმ ← თხუმ-ჟ	წწთი-ს	წან-ს, არქ. წან- ¹ ა ¹ ს
გარდაქც.	თხუმ-შჟ	წწთი-შჟ	წან-შჟ
გარემოებ.	თხუმ-დ	წწთი-დ	წან-დ; არქ. წან- ¹ ა ¹ დ
მოთხ.	თხუმ-ემ	წწთი-დ	წან-დ, არქ. წან- ¹ ა ¹ დ
ნათ.	თხუმ-ემ, თხუმ-მ-ემ	წწთი-იშ	წან-იშ

VII ტიპი

VIII ტიპი

სახ.	ქორ „სახლი“	თხუმ-წრ „თავები“
მიც.	ქორ- ¹ ა ¹ -ს	თხუმ-წრ-ს
გარდაქც.	ქორ-შჟ	თხუმ-წრ-შჟ
გარემოებ.	ქორ- ¹ ა ¹ -დ	თხუმ-წრ-დ
მოთხ.	ქორ- ¹ ა ¹ -დ	თხუმ-წრ-დ
ნათ.	ქორ-აშ ← *ქორა-იშ	თხუმ-რ-ემ

საკუთარი სახელის ფორმაცვალების საილუსტრაციოდ მოყვანილია შემდეგი პარადიგმები: სახ. ამირან („ამირანი“), მიც. ამირან-ს, გარდ. ამირან-შჟ, გარემ. ამირან-დ, მოთხ. ამირან-დ, ნათ. ამირან-იშ.

როგორც პარადიგმებიდან ჩანს, ბრუნვათა განლაგება რამდენადმე ორიგინალურია – მოთხრობითი მოქცეულია გარემოებითის (ვითარებითის) შემდეგ იმიტომ, რომ სახელთა გარკვეულ ჯგუფებში მათ ერთი და იგივე (-დ) მორფემა აქვთ. ამასთანავე, მოთხრობითი უსწრებს ნათესაობითს, რადგანაც სახელთა სხვა ჯგუფებში ეს უკანასკნელი მას ემყარება.

კ. ტუიტსაც „გადასდებია“ გ. კლიმოვისა და არ. მარტიროსოვის „სენი“ – პარადიგმებში თანამედროვე ფორმათა გვერდით ზოგჯერ ამოსავალ (ისტორიულად სავარაუდო) მონაცემებსაც ვხედავთ, თუმცა არქ. აბრევიატურით.

ვფიქრობთ, მრავლობითი რიცხვის ფორმები ცალკე (VIII) ტიპად არ უნდა გამოყოფილიყო, რადგანაც აქაც ზუსტად ისეთივე წარმოება გვაქვს, როგორც ე. წ. ქართველურ სისტემაში (მხოლოდით რიცხვში) ან საკუთარ სახელებთან.

კ. ტუიტი ფიქრობს (ალ. ონიანის მოსაზრებაზე დაყრდნობით), რომ სვანურში ბრუნვათა მორფემების ალომორფები გაცილებით მრავალრიცხოვანია, ვიდრე შესაბამის ქართულ თუ ზანურ სისტემებში (გვ. 15); და ეს მართლაც ასეა! მას მოაქვს ა. შანიძისა (1925/1957) და ჩვენ მიერ (1973: 111) დამოწმებული მაგალითები ძველი სვანური ხალხური სიმღერების ენიდან (გეზალ-ე „შვილი“, თოფ-არ-ე „თოფები“), განიხილავს ორივე მკვლევრის მოსაზრებას სახელობითის არქაული -ე ფორმანტის შესახებ და იქვე გვთავაზობს ალ. ონიანის (1989: 94-106) საპირისპირო თვალსაზრისს -ე ხმოვნის ინოვაციის, ანუ რვამარცვლოვანი ლექსის ზომის შემვსები ელემენტის თაობაზე.

კ. ტუიტი საგანგებოდ მსჯელობს თ. შარაძენიძისეული 5 ტიპის ბრუნების სისტემისა და ორ თუ სამფუძიანობის შესახებ (1955 წ.), აგრეთვე, მიუთითებს მათ კავშირზე ჩრდილოაღმოსავლურ კავკასიურ ენებთან. ავტორს მოჰყავს ლ. პალმაიტის აზრი, რომლის მიხედვითაც მიცემითის -ჟ ისტორიულად არსებით სახელთა გარკვეული ჯგუფის ფუძისეული ელემენტია, რომელმაც შემდგომში ფუნქცია შეიცვალა და სხვა ჯგუფებში (მათ შორის რამდენიმე ნაცვალსახელშიც) გავრცელდა: ჟალ-ჟ < ჟალ-ლ (შდრ. ქართული ძალლ-). ამავე აზრისაა ზოგი სხვა მეცნიერიც (გ. დეეტერსი, გ. კლიმოვი,...). როგორც ჩანს, კ. ტუიტიც მათ უჭერს მხარს.

მონოგრაფიის მე-16 გვერდზე წარმოდგენილია მსჯელობა წარიანი ბრუნების შესახებ ჩვენს გამოკვლევაზე (1974 წ.) დაყრდნობით, მაგრამ ისიცაა აღნიშნული, რომ გ. მაჭავარიანის მიხედვით, -წ შეიძლება სულაც არ იყოს მიცემითი ბრუნვის ნიშანი, რადგანაც ის შეზღუდულია ლოკატივების გამოხატვით და მხოლოდ რამდენიმე მყარი გამონათქვამითო (ყორ-წ ო ყორ-წ „კარდაკარ“).

უცხოელი კოლეგა დეტალურად განიხილავს გ. მაჭავარიანის მიერ (1985 წ.) პროტოქართველურისთვის აღდგენილ ოთხბრუნვიან (სახელობითი, მიცემითი, ნათესაობითი, ერგატივ-გარემოებითი) სისტე-

მას, როგორც არტიკლად გამოყენებული ჩვენებითი ნაცვალსახელიდან მომდინარეს.

კ. ტუიტის დაკვირვებით, თანამედროვე ცოცხალ მეტყველებაში მიცემითი ბრუნვის ალომორფთაგან ბატონდება -ს, რაც **გამოწვეულია სვანების მიერ ქართული ენის უნივერსალური ცოდნით (სვანურთან ერთად!)**.

მონოგრაფიის ავტორი განიხილავს ლ. პალმაიტისა (1974 წ.) და ჩვენს (1971, 1974 წ.წ.) შრომებს. ლოკატიურ მიმართებათა გრამატიკული გამოხატვის ჩვენეული კვალიფიკაციის (ო დ ე ნ ფ უ ძ ე , მი ც ე - მ ი თ ი ს მ ო რ ფ ე მ ი ა ნ ი , ც ა ლ და წყვილთან დებულიანი მონაცემები) საფუძველზე მას მიაჩნია, რომ ადგილობითი (ტერიტორიული) სემანტიკა სვანურ ენაში უფროა გამოხატული, ვიდრე ქართულში.

კანადელი მკვლევარი გვეთანხმება იმაში, რომ დროისა თუ სივრცისეული სემანტიკა ზოგჯერ სვანურში მიცემითის ფორმის ნაცვალად შეიძლება გადმოიცეს ოდენ ფუძის (**ჭუზერ ხუიზე** – „ჭუზერში“ ცვხოვრობ – გვ. 17) სახით და არა მიცემითის მორფემის (-ს) მოკვეცილი ვარიანტით.

კ. ტუიტი იზიარებს სვანური ორფუძიანი ბრუნების განსაზღვრულარტიკლიანი ბრუნებისაგან მომდინარეობის მაჭავარიანისეულ თეორიას, მაგრამ უჭირს თ. შარაძენიძის გააზრების დაკერება მოქმედებით ბრუნვასთან დაკავშირებით – სემანტიკურად ძნელი აღსაქმელია -**შჟ** („-ით“) მორფემაში ნათესაობითის -**შ** და მიცემითის -**ჟ** ელემენტების დანახვა (თუმცა ზემოთ უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ ეს გააზრება ჰ. შუხარდტს ეკუთვნის – იხ. Schuchardt 1895: 14).

ადვერბიალურს (ანუ გარემოებითს) უწოდებს ავტორი ვითარებით ბრუნვას, რომელიც, თუ -დ მორფემით იწარმოება, მაშინ ქართულ-ზანურ ჰომოლოგიათა მსგავსია, ხოლო, როცა -ნ გვაქვს, მაშინ ის მიცემით ბრუნვას კი არ გამოხატავს, როგორც ეს ზოგიერთ მკვლევარს ჰგონია, არამედ – ადვერბიალურს.

კ. ტუიტი დადებით მოვლენად მიიჩნევს იმას, რომ **მკვლევრებმა (რატომღაც „ექსპერტებად“ წოდებულებმა საანალიზო მონოგრაფიაში) კონსენსუსს მიაღწიეს იმაში, რომ ერგატივისა და ვითარებითის ფუნქციით გამოყენებული -დ მორფემა (ორივე!) საერთო წარმომავლობისაა (გვ. 17), რასაც ჩვენ ვერ გავიზიარებთ.**

§ 15. იოსტ გიპერტი

თანამედროვე უცხოელ ქართველოლოგთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევიან გერმანული სკოლის წარმომადგენლები, რომლებიც ღირსეულად აგრძელებენ ბრწყინვალე კავკასიოლოგების გერჰარდტ დეეტერსისა და კარლ ჰორსტ შმიდტის დიდებულ ტრადიციებს. მათ შორის არიან: პროფესორები ვინფრიდ ბოედერი (სინტაქსისტი), ჰაინც ფენრიხი (ეტიმოლოგისტი) და იოსტ გიპერტი (ეთნოლინგვისტი).

1986 წელს იოსტ გიპერტმა ვენაში (Anzeiger der phil-hist. Klasse der Österreichischen Akademie der Wissenschaften, 123) გამოაქვეყნა 234 გვერდის შემცველი ძალზე მნიშვნელოვანი ნაშრომი "Drei svanische Phonogramme". ჩვენ ვფიქრობთ, რომ ის აუცილებლად უნდა ითარგმნოს ქართულ ენაზე, რათა მისი გაცნობა ყველა ქართველმა შეძლოს (იგივე უნდა ითქვას გ. დეეტერსის "Das kharthwelische Verbum"-ისა და კ. შმიდტის "Studien zur Rekonstruktion des Lautstandes der südkaukasischen Grundsprache"-ს შესახებაც!).

ულრმეს მადლობას მოვასხენებთ ბატონ იოსტს ჩვენი საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფარატის ("Сопоставительный анализ языка древних сванских народных песен и современной живой речи") გამოყენების გამო, რომელიც მას ძალიან გამოადგებოდა, და უშუალოდ ბესარიონ ნიჟარაძის („თავისუფალი სვანის“) მიერ 1878 წელს სოფელ კალაში თაისავ მარგველანისაგან ჩაწერილი სიმღერის („ნუარსალა“) ტექსტის ეთნოლინგვისტური და გლოსარულ-ანოტირებული ანალიზისთვის, აგრეთვე ტრანსკრიფციისა და ქართული თარგმანისთვისაც. იმავეს ვიტყვოდით ისტორიული სიმღერის „ყანსავ ყიფიანესა“ და სახუმარო ტექსტის „ბილებას“ შესახებაც. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით საგანგებო მსჯელობა გვაქვს გამოკვლევაში „სვანეთი და დიდი გალაკტიონი“, რომელიც დაიბეჭდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კრებულში „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში“ (2009: 40-44). კარგი იქნება თუ მომავალში ი. გიპერტი გაითვალისწინებს ამ სტატია-საც და არაერთ სხვა ნაშრომსაც, რომელიც ჩვენ 1969-1986 წლებში გამოვაქვეყნეთ ძველი სვანური ხალხური სიმღერების ეთნოლინგვისტური კვლევის თვალსაზრისით.

საანალიზო გამოკვლევაში ი. გიპერტი მოკლედ მსჯელობს სვანური ენის შესწავლის ისტორიის საკითხებზე – ი. გიულდენშტედტიდან მოყოლებული ნ. მარის ჩათვლით, ფონოლოგიურ სისტემაზე,

სახელურ და ზმნურ (შედარებით ვრცლად) ფორმათა პარადიგმებზე, ე. წ. წინ დებულ - თან დებულ ებზე (ვ. თოფურიას ტერმინოლოგიით), სინტაქსის საკითხებზე და სვანური ხალხური პოეზიის პუბლიკაციასთან დაკავშირებულ პრინციპებზე (გვ. 189-225).

ჩვენ ამჯერად შევხებით მხოლოდ სახელის პარადიგმატულ სისტემას, რომელიც განხილულია 194-195 გვერდებზე:

მსჯელობა იწყება ბრუნვათა რიგით, რომელიც რატომღაც ქართულისებურია: სახელობითი, ერგატივი, მიცემითი, ნათესაობითი, ინსტრუმენტალისი და გარემოებითი (ცალკე დგას წარიანი ბრუნვა, რომელიც ადრევე იქნა შენიშნული, მაგალითად, ადოლფ დირის⁷⁰ მიერ - იხ. მისი "Einführung in das Studium der kaukasischen Sprachen, Leipzig, 1928: 115, ბოლოს კი გ. მაჭავარიანმა განიხილაო).⁷¹

ი. გიპერტი გამოყოფს ბრუნების ხუთ ტიპს და არსებით სახელთა (ჭაშ - ქმარი, ყორ - კარი, ჩაშ⁷² - ცხენი, ჭიშხ - ფეხი, მარე - კაცი) პარადიგმები მოჰყავს (როგორც მხოლოდით, ისე მრავლობით რიცხვში) თ. შარაძენიძის ნაშრომებზე დაყრდნობით:

Sg.	1.	2.	3.	4.	5.
Nom.	čäš	qör	čäž	čäx	märe
Erg.	čäšd	qörd	čäžem	čäxem	märad/märemd
Dat.	čäšs	qörs	čäžw	čäxs	mära
Gen.	čäši(š)	qörä(š)	čäžmi(š)	čäxvi(š)	märemi(š)
Instr.	čäšw/čäswš	qöršw	čäžwš	čäxšw	märoš
Adv.	čäšd	qörd	čäžd	čäxad	märad
Pl.	1.	2.	3.	4.	5.
Nom.	čäšär	qöräl	čäžär	čäxär	märal
Erg.	čäšärd	qöräld	čäžärd	čäxärd	märäld
Dat.	čäšärs	qöräls	čäžärs	čäxärs	märäls
Gen.	čäšret(š)	qörle(š)	čäžre(š)	čäxvret(š)	märale(š)
Instr.	čäšäršw	qörälšw	čäžäršw	čäxäršw	märalšw
Adv.	čäšärd	qöräld	čäžärd	čäxärd	märäld

⁷⁰ ცხადია, წარიანი ბრუნვა ა. დირზე ადრე იქნა შენიშნული, რაზედაც ჩვენ უკვე არაერთხელ ვიმსჯელებთ წინამდებარე წიგნში და სხვაგანაც.

⁷¹ ე. ი. როგორც ჩანს, ბატონ იოსტს არც შე და არც ალ. ონიანი არ ვახსოვართ წარიან ბრუნვაზე მსჯელობისას. ჩვენ ხომ გ. მაჭავარიანის შემდეგ განვიხილეთ ეს ტიპი სვანური ბრუნებისა.

⁷² ი. გიპერტი ყველა თავის ნაშრომში, ერთდროულად გრძელხმოვნიან და უმლაუტან ფონემაში, სრულიად სამართლიანად აღნიშნავს ჯერ უმლაუტს, მერე კი სოგრძეს (ჩვენგან განსხვავებით!), რადგანაც მიაჩნია, რომ ასეთ შემთხვევებში ფორმაში ჯერ პალატალიზაცია ხდება, მერე კი ხმოვნის დაგრძელება.

ორიოდე ფრაზაა ნათქვამი ზედსართავ და რიცხვით სახელთა ბრუნებაზე, ხოლო ნაცვალსახელებს თავისებურებანი ახასიათებთო. ი. გიპერტი საგანგებოდ მსჯელობს სამ ფონოგრამაში არსებულ ხალხურ სიმღერათა ტექსტების შესახებ დეტალურ კომენტარებში (გვ. 213-225).

2000 წელს „ქართველური მემკვიდრეობის“ IV ნომერში დაიბეჭდა იოსტ გიპერტის გამოკვლევა "Towards An Electronic Analysis of Svan Dialectal Divergences". მასში ცნობილი ქართველოლოგი სვამს საკითხს სვანური ენის მონაცემთა ბაზის შექმნის შესახებ, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სიტყვათა (როგორც ბრუნებადი, ისე უღლებადი) სრული პარადიგმები და მათი დიალექტური ვარიანტები. იმისათვის, რომ ტექსტის კომპიუტერული ანალიზი გამარტივდეს, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მისი სტრუქტურირება, შემდგომ კი მორფოლოგიური და სინტაქსური მახასიათებლების შეტანა ინდექსირებისათვის. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია მრავალწლიანი მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება, რადგანაც დღემდე გამოცემულ ლექსიკონებში სვანური ენის დიალექტები არ არის თანაბრად წარმოდგენილიო – გვსაყვედურობს ბატონი იოსტი⁷³.

2000 წელს გამოცემულ სტატიაში ი. გიპერტი სვანებისა თუ სვანური ენის შესახებ ზოგადეთნოლოგიური და ზოგადლინგვისტური მსჯელობის შემდეგ წარმოგვიდგენს ე. წ. ირაციონალური თუ ანაპტიქსური გ ხმოვნის გამოყენების შემთხვევებს მეტყველების ყველა ნაწილის მიხედვით და გარკვეულ ეტიმოლოგიათა მოშველიებით ცდილობს, დაადგინოს სპეციფიკური სვანური ფონემის წარმომავლობაც. ცხადია, საანალიზოდ აქაც მოშველიებულია ბრუნვათა სხვადასხვა პარადიგმები.

⁷³ თუმცა ამ საყვედურს ჩვენი ინსტიტუტი ნამდვილად არ იმსახურებს, რადგანაც სწორედ იმავე (2000) წელს დაიბეჭდა ვ. თოყურიას და მ. ქალდანის „სვანური ლექსიკონი“, რომელზედაც ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომლები თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე მუშაობდნენ. მიუხედავად საოცარი მუხლჩაუხრელი შრომისა, ვერც ბატონმა ვარლამმა და ვერც ბატონმა მაქსიმემ თავიანთ სიცოცხლეში ვერ მოასწრეს მისი პუბლიკაცია. ამიტომაც ინსტიტუტის დირექციამ მე და ჩემს მოწაფეებს დაგვავალა, ბოლომდე მიგვეყვანა იმ ლექსიკონის გამოცემის საქმე, რომელშიც ჩვენმა მასწავლებლებმა სწორედ რომ თანაბრად (ხაზი ჩვენია – ი. ჩ.) წარმოადგინეს სვანური ენის დიალექტები. არც მოწაფეებს დაგვიზოგავს თავი, უდიდესი პასუხისმგებლობით ვიშრომეთ და შედეგად მივიღეთ 908 გვერდის შემცველი მაღალაკადემიური ფუნდამენტური ლექსიკონი, მართალია, მხოლოდ ერთტომეული (სამტომეულის ნაცვლად!), მაგრამ ეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის კვლევითი ინსტიტუტების შექირვებული ფინანსური ცხოვრების ბრალია და არა თავად მეცნიერებისა.

გარდა პუბლიკაციებისა, ი. გიპერტის კალამს ეკუთვნის, აგრეთვე, ა. შანიძისა და ვ. თოფურისა მიერ გამოცემული „სვანური პოეზიის“ (თბილისი, 1939 წ.) სიტყვაფორმათა საძიებელი, რომლის კომპიუტერული ვარიანტი შეიქმნა 1995 წ. მაინის ფრანკფურტის ი. გოეთეს უნივერსიტეტის კომპარატივისტული ენათმეცნიერების ინსტიტუტში. იმდენად მნიშვნელოვანი ნაშრომი იყო "Wortformenindex zu den svanischen Liedtexten", რომ პროფ. ვ. ბოედერი აღფრთოვანებით შეეგება მას.

„დიდად დამეხმარა Iost Gippert-ი თავისი „სვანური პოეზიის ფორმათა საძიებლის“ მოწოდებით; ამ დახმარების გარეშე ზოგიერთ დამოწმებას ვერც მივაგნებდი“ – წერდა იგი თავის სტატიაში „ანაფორა სვანურში“ (იხ. „ენათმეცნიერების საკითხები“, №2, თბილისი, 2001).

§ 16. ალექსანდრე ონიანი

1998 წელს გამოქვეყნდა ორი მონოგრაფია სვანური ენის გრამატიკული სტრუქტურის შესახებ – პირველი ალექსანდრე ონიანისა („სვანური ენა“), ხოლო მეორე – იზა ჩანტლაძისა („ქართველოლოგიური ძიებანი“). ორივე ნაშრომი ერთდროულად იბეჭდებოდა სხვადასხვა გამომცემლობაში და, თავისთავად ცხადია, ავტორებმა აღნიშნულ წიგნებში წარმოდგენილი თეორიები ვერ გაითვალისწინეს, თუმცა ადრინდელი დისერტაციების, მოხსენებებისა და სტატიების სახით ისინი იცნობდნენ ერთმანეთის ნააზრევს.

ალ. ონიანი ლაშხეთში იყო დაბადებულ-გაზრდილი და ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ მნიშვნელოვანი მონოგრაფია დაგვიტოვა სვანური ენის გრამატიკულ პრობლემებზე მომუშავეთ, მაინც, ვფიქრობთ, ის ვერ ასცდა თავისი მშობლიური დიალექტის გავლენას, სადაც, ქართულ ენასთან მჭიდრო ინტერფერენციის გამო, დღეისათვის ძალზე გამარტივებულია ბრუნების ურთულესი სისტემა, თუმცა იმის თქმა მაინც არ შეიძლება, რომ „თანამედროვე სვანურში შეინიშნება სახელთა ბრუნების ორი ძირითადი ტიპი, რომლებიც გამოიყოფა ზემოსვანურ დიალექტებში, ხოლო ქვემოსვანურში II ტიპის ბრუნება არ არსებობს“ (ხაზი ჩვენია – ი. ჩ.).

ასეთი კატეგორიული დასკვნა რომ ძალზე უხერხულია ლინგვისტურ ნაშრომში (გვ. 58-99), აშკარად გამოჩნდება 1979 წელს „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების“ XXI ტომში დასტამბული ჩვენი სტატიის („ორფუმიანობის საკითხისათვის ქვემოსვანურში“) გაცნობისთანავე.

ალ. ონიანისთვის ბრუნებათა ტიპების საკლასიფიკაციოდ ამოსავალია ნათესაობითი ბრუნვა (მდრ. ლ. პალმაიტი). თუ მისი ფორმა განსხვავებულია სხვა ბრუნვათა მონაცემებისაგან, მაშინ სახელი იბრუნვის I ტიპის შესაბამისად, ხოლო თუ იგი ემთხვევა მოთხრობითის -ემ'იან ფორმას, რასაც მხოლოდ ბალსქვემოურ დიალექტში აქვს ადგილი, საქმე გვაქვს II ტიპის ბრუნებასთან (ყაღჷ-ემ „ძალმა, ძალის“).

მაგრამ ასე ადვილი რომ არ აღმოჩნდა სვანურ სახელთა პარადიგმატიკის მოთავსება ბრუნების მხოლოდ ორ ტიპში, ეს ამ კლასიფიკაციის ავტორმაც იგრძნო, უარყო ორფუმიანობის პრინციპი, სპეციალურ ლიტერატურაში პირველად შემოიტანა ერთვარიანტიანი და ორვარიანტიანი ფუძეები და გაჩნდა არაერთი ქვეგვარული ბრუნების

ორივე ტიპთან, რამაც, ვფიქრობთ, კიდევ უფრო გაართულა საკითხის კვლევა, ორფუძიანი სისტემის წარმომქმნელი -**ემ>მ** მორფემა კი სხვადასხვა ბრუნვის ნიშანში აღმოჩნდა ჩართული.

რაკი ალ. ონიანს ჰქონდა პრეტენზია პრობლემის მხოლოდ სინქრონიული ანალიზისა, ამიტომაც მან **მარე** („კაცი“) ს ტიპის სახელები გამოაცხადა -**ე** ხმოვანზე დაბოლოებულებად – თავისთავად ცხადია, გართულდა ამგვარ „სახელთა მიცემითი და ვითარებითი ბრუნვების (**მარა-ს** „კაცს“, **მარა-დ** „კაცად“) ფორმათა ახსნა, რაც ძალზე იოლად იყო წარმოდგენილი ადრინდელ სპეციალურ ლიტერატურაში (-ა ისტორიულად ფუძისეული ხმოვანია **მარე** ს ტიპის წარმოებაში).

წინამდებარე წიგნში სხვა მკვლევართა თეორიების განხილვასთან დაკავშირებით არაერთხელ შევხვებთ ალ. ონიანის მოსაზრებებსაც, ამიტომ აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ... თუმცა ერთი შენიშვნა მაინც უნდა გავაკეთოთ დიდი გულისტკივილით:

ვინ მოთვლის, რამდენ „არასვან“ მეცნიერს უმუშავია სვანეთისა და სვანური ენის ფუნდამენტურ პრობლემებზე! – მარტო აკაკი შანიძის, ნიკო მარის, ივანე ჯავახიშვილის, არნოლდ ჩიქობავას, ვარლამ თოფურისას, სიმონ ჯანაშიას, ნიკო კეცხოველის, გივი მაჭავარიანის, ვერა ბარდაველიძის, თინათინ შარაძენიძისა თუ რუსუდან ხარაძის დასახელება რად ღირს! მხოლოდ იმიტომ, რომ რატომღაც არ მოსწონთ აკადემიკოს ნიკო მარის ერთ-ერთი თეორია ენათა ნარეგობის შესახებ (ეს მხოლოდ სვანურს ხომ არ ეხება!) და სვანური ბრუნების ორფუძიანი პრინციპის დაკავშირება მთის კავკასიური ენების ანალოგიურ მონაცემებთან, „სვანმა“ ენათმეცნიერმა რად უნდა თქვას შემდეგი რამ:

„სვანური ენის ნარეგობის მცდარი თეზისის გაზიარებას სახელთა ბრუნებაში სხვადასხვა ენათა „სისტემების“ მექანიკური გამოყოფა მოჰყვა. ეს ასაზრდოებს სვანურის მისტიკურ სამოსელში გახვევის ცდებსაც, რასაც ხშირად ამ ენის შესწავლაში უმწეობის დასაფარავად მიმართავენ“ (ონიანი 1998: 57). ვისაც დაგჭირდა თუ დაგვევალა ამ ურთულესი ენის კვლევა, ყველამ მოვახერხეთ მისი შესწავლა, ამიტომ ირონიულ საყვედურს ვერავითარ შემთხვევაში ვერ მივიღებთ!...

§ 17. ვინფრიდ ზოედერი

სტატიაში „ანაფორა სვანურში“ (2001: 7-19), რომელიც 1995 წელს მოხსენების სახით იქნა წაკითხული ოლდენბურგის უნივერსიტეტის სიმპოზიუმზე "Kaukasische Sprachprobleme, VI", ვინფრიდ ზოედერი განიხილავს **ჯა/ჯი** უკუქცევით („თვით, თვითონ“) და **ეჯა/ეჯი** („ის, იგი“) პირის ნაცვალსახელთა ურთიერთმიმართების, დეიქსისა და პარადიგმატულ ერთეულებთან დაკავშირებულ საკითხებს. მსგელობს, აგრეთვე, სვანური სხვისი ნათქვამის („ციტირებული პირდაპირი ნათქვამის“ – მისი ტერმინოლოგიით) სპეციფიკური კონსტრუქციის შესახებ.

მიჯნემ ყორქა ქა ლამსკინე – „თვითონ კარში გახტა“ (სვ. პოეზ., 1939: 92, 74; სოფ. მულახი)⁷⁴,

შდრ. **ჯინემ** ქა ოხჰენ კაუხენქა – „თვითონ გამოზრუნდა კალოდან“ (იქვე, 41: 34, სოფ. ლახამულა).

ერგატივის ფორმა **მიჯნემ** ბალსზემოური დიალექტის მონაცემია, ხოლო **ჯინემ** – ბალსქვემოურისა, რომელთა მონაცვლეობის შესახებ ვ. ზოედერი აღნიშნავს, რომ ამგვარი რამ პროზაულ ტექსტებში ვერ დავადასტურეთო (იხ. გვ. 13). არათუ ტექსტებში, არამედ დღესაც, თანამედროვე ცოცხალ მეტყველებაში, ჩვეულებრივი მოვლენაა მათი ურთიერთშენაცვლება უკუქცევითი მნიშვნელობით. ანალოგიურ შემთხვევებში მკვლევარი გვთავაზობს, ტრადიციული გრამატიკის მეთოდოლოგიის საფუძველზე, უკუქცევითობა განისაზღვროს რეფერენტის იდენტურობით ერთი და იმავე წინადადების ფარგლებში.

ვ. ზოედერი იზიარებს ივანე ჯავახიშვილის თვალსაზრისს პირის ნაცვალსახელ **ე-ჯა**'ს („ის“) უკუქცევითი **ჯა**'სგან („თვითონ“) მომდინარეობის შესახებ გავრცობის გზით (1937: 442), ანუ, მისი აზრითაც, **ეჯა** არის „ეს თვითონ“, რითაც ჩვენი გერმანელი კოლეგა უპირისპირდება არამ მარტიროსოვის შეხედულებას ივანე ჯავახიშვილის პოზიციის გამო: „ჯერ ერთი, **ჯა** არ არის მკაცრი გაგებით უკუქცევითი, ის უბრალო ანაფორული ნაცვალსახელია, და მეორეც, **ე**-ს პრეფიქსაციით ეს ფენომენი ახალ მნიშვნელობას (ილლე დეიქსისი) იძენს (იხ. გვ. 17).

⁷⁴ ზედმიწევნით იქნებოდა: „თვით მან კარიდან ისკუპა“.

პროფესორი ვინფრიდ ბოედერი, დიდებული ინდოევროპისტი და ქართველოლოგი, ძირითადად, იკვლევს სვანურ მორფოსინტაქსსა და ლექსიკას; ბრუნების საკითხებზე მას სპეციალურად არ უმუშავია, თუმცა მის ნაშრომებში მეტად საყურადღებო მოსაზრებანია გამოთქმული სვანურ სახელთა პარადიგმატიკული სისტემის ცალკეული ერთეულების სტრუქტურასთან დაკავშირებით. ასე მაგალითად:

სტატიაში „Notwendigkeit im Swanischen“, რომელიც 2015 წელს გამოქვეყნდა პროფესორ ჰაინც ფენრიხისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში „Kaukasiologie heute“ (გვ. 27-47), ავტორი განიხილავს სვანურ მწარ („მაქვს/მყავს“) ზმნასთან დაკავშირებულ ლოგიკურ არაპირდაპირ ობიექტებს, მათ შორის -**ჩ'დ** („თვის“) მორფემით გამოხატულსაც:

ბზ. **დინა-შდ**⁷⁵ ლეჰვედი მწარ – „ქალიშვილისთვის (ქალიშვილ-ის-ა'დ) მისაცემი მაქვს“;⁷⁶

ეჟ ლადელ **მუე-შდ**⁷⁷ მრდ ოხსგიდნენს მიშგუ დაგრა – „იმ დღეს მამისათვის (მამ-ის-ა'დ) არ შეეხედვინოს (ე. ი. მამაჩემს არ დაანახვოს) ჩემი მოკვლა“ (სვ. პოეზ., 68, 32-33, მესტია).

გარდა ამისა, ასეთ შემთხვევებში ვითარებითის („ადვერბიალური“) -**დ'ც** არის ხოლმე გამოყენებულიო – აღნიშნავს ბატონი ვინფრიდი (იხ. გვ. 38), კარპეზ დონდუასა (1946 წ.) და ჩ. გუჯეჯიანი – ლ. პალმაიტის (1986 წ.) ნაშრომებზე დაყრდნობით: **გლებ-წრ-დ** („გლებებისთვის<გლებებად“), **უშხჷწარ'დ¹/უშხჷწარშდ** („ერთმანეთად/ერთმანეთისთვის< ერთმანეთის'ა'დ“),... როგორც ჩანს, სტატიის ავტორს შემთხვევით გამორჩა სხვა სპეციალური ლიტერატურა (მათ შორის ჩვენი მონოგრაფიაც „ქართველოლოგიური ძიებანი“ – 1998 წ., სადაც საგანგებო მსჯელობაა ბზ., ლშხ. – **იშ-დ/ეშ-დ/-წშდ<ა-იშ-დ**, ბქ. **იშ-ჷ-დ** რთულ, ე. ი. ნაგენეტივარი ვითარებითის ფორმათა მონაცვლეობის შესახებ მარტივ, დონიან ვითარებითთან).

⁷⁵ ალბათ კორექტურული შეცდომაა – ბალსზემოურ დიალექტში **დინაშდ** („ქალიშვილისად“) უნდა ყოფილიყო!

⁷⁶ ქართული თარგმანები ვ. ბოედერს არა აქვს, მაგრამ გერმანულს ჩვენ ქართული ვარჩიეთ, რადგანაც მასში უფრო ნათელია ნანათესაობითარი ვითარებითის ფორმათა გამოყენება დესტინატივის ფუნქციით.

⁷⁷ სეგმენტაცია არასწორია: უნდა ყოფილიყო **მუ** (ძირი) -**ეშ** (ნათ. ბრ.) – **დ** (ვით. ბრ.).

§ 18. ჰაინც ფენრიხი

დიდია პროფესორ ჰაინც ფენრიხის ღვაწლი ქართველოლოგიის წინაშე. მარტო „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონის“ ორენოვანი (ქართულ-გერმანული) გამოცემები რად ღირს საქართველოსა და გერმანიაში?! მათ გვირგვინს კი წარმოადგენს "Kartwelisches Etymologisches Wörterbuch" (Leiden/Boston, 2007). იმავე წელს მან ტურისტებისთვის გამოაქვეყნა წიგნი "Kulturland Georgien", რომელიც ვისბადენში გამოვიდა. მასში სვანეთის 138 სოფელია აღწერილი, რომელთა უმრავლესობა ბატონ ჰაინცს ფეხით აქვს შემოვლილი. ის ერთადერთი უცხოელი ქართველოლოგია, ვინც ორჯერ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია – ერთხელ სამშობლოში, გერმანულ ენაზე, მეორედ კი – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ქართულ ენაზე. მისი ხელმძღვანელები იყვნენ უბადლო მეცნიერები: პროფესორი გერტრუდ პეტრი და აკადემიკოსი აკაკი შანიძე.

ჰაინც ფენრიხის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კრებულის ("Kaukasiologie heute", Iena, 2015) გამოცემელთაგან ერთი ქართველია, მეორე – გერმანელი. მის ყდას ბოლნისის სიონის უძველესი ასომთავრული ქართული წარწერა ამშვენებს. „პოეტი რომ ვიყო, ლექსს მოგიძღვნიდით“, აღნიშნულია წიგნის დასაწყისში – ამ სიტყვების ავტორია ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტში მოღვაწე ქართველი ნათია რაინიკი (გერმანელების რძალი). მეც სიამოვნებით გავიმეორებდი მის ნათქვამს და, რაკი პოეტი არა ვარ, შევეცდები, მოკლედ განვიხილო სრულიად ახალი გამოკვლევა "Das kartwelische Dualzeichen", რომელიც მალე დაიბეჭდება ჟურნალ "Georgica"-ს 38-ე ნომერში და რომლითაც ისევ ახალ სიტყვას ამბობს 76 წლის ჰაინც ფენრიხი ქართველოლოგიაში.

თავის დროზე (1967 წ., თსუ შრომები, ტ. 121, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, 7, გვ. 23-27) აკაკი შანიძემ გამოკვლევაში „ორობითი რიცხვის საკითხისათვის ხევსურულში“ ამ დიალექტის გამონათქვამები „გამარჯობათ, ოჟ-ეზ-ო“, ერთი მხრივ, და „გამარჯობათ, ოჟ-ნ-ო“, მეორე მხრივ, ერთმანეთისგან დიფერენცირებულად განიხილა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ნარი'ანი ფორმა ზოგადად მრავლობით რიცხვზე კი არ მიუთითებს (ამ ფუნქციას -ეზ სუფიქსი ასრულებს!), არამედ მხოლოდ ორ პიროვნებაზე. მეგრულ-ლაზურში სახელის მრავლობითობა გამოიხატება, ჩვეულებრივ, -ეფ სუფიქსით, რომელიც ქართული -ეზ- მორფემის კანონზომიერი ფონემატური შესატყვისია, მაგრამ ჯერ

კიდევ ალ. ცაგარელი (1872: 37-38) მიუთითებდა, რომ რამდენიმე ნაცვალსახელში მის ნაცვლად -ნ გვაქვს (ჰა-ნ-ო „ესენი“, ჰი-ნ-ო „ისინი“, ნა-ნ-ო „რომლებიც“). ეს კი, ჰ. ფენრიხის აზრით, ბუნებრივად სვამს საკითხს, ხომ არ შეიძლება მისი დადასტურება სვანურ ენაშიც, სადაც მრავლობითობის მორფემათა საკმაოდ დიდ რაოდენობაში საანალიზო თანხმობიანი დღეს არსად არაა წარმოდგენილი?

„დუალისი“ გაქცევებული ფორმით სხვადასხვა ენათა თანამედროვე ოჯახის ისეთ ლექსიკაშია შემონახული, რომელიც მხოლოდ მრავლობითი რიცხვის ფორმით გვხვდება, თუმცა ისტორიულად ორობითზე მიუთითებს. თუ ასეთი კვალი დღეს შეინიშნება სვანურში, მაშინ ის უნდა ვეძებოთ წყვილების გამოხატველ (თვალები, წარბები, ყურები, ხელები, მკლავები, ცხვირის ნესტოები,...) საკმაოდ მცირერიცხოვან მასალაში სწორედ -ნ- სუფიქსის სახით.

სვანურ ენაში ორობითის ფუნქციის ძიება ადრეც იყო ლა- - ა აფიქსთან დაკავშირებით (ლახუბა „ორი ძმა“, ლაჩუა „ორი სიძე“, ლაჟდილა „ორი და“) – ჰ. უსლარმა ამგვარ ფორმებს „მრავლობითი რიცხვის უწესო წარმოება“ უწოდა (Устар 1887: 107), ხოლო მათში წარმოდგენილ -ა სუფიქსს ბ. ნიჟარაძემ (1911 წ.) მიანიჭა როგორც ორობითის, ისე მრავლობითის გამოხატვის ფუნქცია. ცხადია, ეს ასე არ არის! – ჯერ ერთი, ნათესაობის აღმნიშვნელ ლექსემებში დღეს წარმოდგენილი -ა ხმოვანი ლა- — -ა კონფიქსის ნაწილია და არა დამოუკიდებელი მორფემა, ხოლო, მეორე მხრივ, ლა- - -ა ისტორიულად დანიშნულების მაწარმოებელია (ლა-ფან-ა „სულის მოსახსენიებელი საკურთხი“, ლა-ფრ-ა „გასახმობი რამ ან ადგილი“, ლა-ჟუ-ა „დასაძინებელი“, ლა-ხამ-ულ-ა „სადორე“,...) და არა მრავლობითისა თუ ორობითის ნიშანი.

ორობითი რიცხვი რამდენიმე კავკასიურ და მათ მონათესავე (აფხაზური, ადიღური, ბასკური, ბურუშასკი,...) ენაშია შენიშნული სპეციალურ ლიტერატურაში. ამიტომ ჰ. ფენრიხი საკითხს ამ თვალსაზრისით სვანურშიც განიხილავს ჯერჯერობით მხოლოდ ორი ძირის მაგალითზე:

1. სვანურ ნე-ფხჷ-ნ-ა'ს („ცხვირი“) სტატიის ავტორი უდარებს ქართულ ფხუ-ილ – („შეშინებული კატის, კურდღლის და სხვა პატარა ცხოველის მიერ გამოცემულ ხმა“)ს. კარგი იქნება, თუ აქვე გაგვასხენდება სვანური ლი-ფხგლ-იგლ („უბეში საუბარი“ ← „ღრენა“) და გურული ფხ-უკ-ნ-ა („ცხვირის ჩიჩქანა“)ც, რომელიც სვანურში ლი-ფხ-ტ-გნ-ე მას-

დარისებული -ფხ- ძირითაა წარმოდგენილი. ჰ. ფენრიხისა და ზ. სარჯვე-
ლაძის „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ-ლექსიკონში“ (2000: 482)
ნე-ფხჟ-ნ-ა („ცხვირი“) ლექსემის ფხჟ- ძირს ახლავს როგორც პრეფიქსი,
ისე სუფიქსები, მაგრამ მათი ფუნქციის შესახებ არაფერია ნათქვამი,
ამჯერად კი -ნ- ჰ. ფენრიხისთვის ორობითი რიცხვის კატეგორიის გა-
მომხატველია (ცხვირი ორი ნესტოსგან შედგება!).

2. სვანურ ყურ-ნ-წ-მ („ყვერი“)ს ძირიდან არაერთი ლექსემა იწარ-
მოება (ლი-ყრ-ოჟ-ი, ა-ყრ-ეჟ-ი, ლე-ყრ-აჟ-ე, უ-ყრ-ოჟ-ა), მაგრამ
-ნ- სუფიქსი მხოლოდ ყურწმს აქვს, რომელშიც ბატონი ჰაინცი, ძირი-
თადად, სემანტიკიდან ამოსვლით, აგრეთვე, ორობითი რიცხვის
მაწარმოებელს ხედავს და აღადგენს ამ მორფემას საერთოქართველურ
დონეზე.

თუ უფრო სარწმუნო მაგალითებს მოვიპოვებთ მომავალში, მა-
შინ, ცხადია, ჰ. ფენრიხის ჩვენ მიერ გაანალიზებულ ჰიპოთეზას მხარს
დაუჭერენ ქართველოლოგები.

§ 19. ზურაბ ჭუმბურიძე

2007 წელს გამოვიდა კიდევ ერთი „სვანური ენა“ (გრამატიკული მიმოხილვა, ტექსტები, ლექსიკონი), რომლის შემდგენლები არიან: ზურაბ ჭუმბურიძე, ლელა ნიჟარაძე და რამაზ ქურდაძე. „შემდგენელი“, როგორც ჩანს, თავმდაბლურად მოხმობილი ტერმინია, რადგანაც დასახელებული პირები სწორედ რომ ავტორები არიან საანალიზო წიგნისა, რომლის გრამატიკული მიმოხილვა ეკუთვნის ზ. ჭუმბურიძეს. მასში სახელური ფორმები შედარებით სრულყოფილადაა წარმოდგენილი, ზმნა კი უფრო მოკლედ, ეგზემპლარულად (Boeder 2009-2010: 136). თავის მოკლე რეცენზიაში, რომელიც *Georgica*-ს 32-ე ნომერში გამოქვეყნდა, ვინფრიდ ბოედერი საყვედურობს ბიბლიოგრაფიის შემდგენლებს, რატომ გამოგრჩათ იოსტ გიპერტის (1887 წ.), კარლ ჰორსტ შმიდტისა (1991 წ.) და კევინ ტუიტის (1997 წ.) ნაშრომები.

ბატონი ზურაბის (რომელიც, აგრეთვე, ჩვენი მასწავლებელიცაა) მისამართით გვინდა არაერთი საქებარი სიტყვა ვთქვათ:

1) უპირველეს ყოვლისა, წიგნი, მიუხედავად იმისა, რომ შემდგენელთა მიერ არ არის მიჩნეული სახელმძღვანელოდ (ის მხოლოდ „სვანური ენის სახელმძღვანელოს შესაქმნელ ნიადაგად“ წარმოუდგენია ზ. ჭუმბურიძეს – იხ. გვ. 6), გამოირჩევა სწორედ მეთოდური ლიტერატურისათვის დამახასიათებელი მარტივი და ახალგაზრდობისათვის შედარებით ადვილად გასაგები ენით. ალბათ ამიტომ არ უნდა იყოს მოულოდნელი 83-ე გვერდზე წარმოდგენილი ერთი განცხადება:

„ჩვენ ვიცავთ ტრადიციას, რომელიც უკვე დიდი ხანია დამკვიდრდა სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურაში (ხაზი ჩვენია – ი. ჩ.). ამ ტრადიციის მიხედვით, ბრუნვათა სახელები და რიგი ბრუნვის ნიშნებთან ერთად სვანურში ასე წარმოგვიდგება“:

სახელობითი	-∅
მიცემითი	-ს, -ჟ, -ნ(ა), -ა, -ამ
მოთხოვითი	-დ, -ჟ-ემ, -ნ-ემ, -ა-დ, -ემ(-ემ)
ნათესაობითი	-იშ, -აშ, -ემ, -ჟ-ემ-იშ, -იან
მოქმედებითი	-შჟ/-ჟშ, -ოშ, -ამ-შჟ
ვითარებითი	-დ, -ჟ-დ, -ნ-არ-დ ¹ , -ა-დ, -ამ-დ

ანალიზი როგორაა წარმოდგენილი, ამაზე მსჯელობას აღარ გავგრძელებთ, რადგანაც წიგნში ძირითადად განმეორებულია თ. შარაძენიძისეული კლასიფიკაცია, რომელიც ჩვენ ზემოთ უკვე, განვიხილეთ (იხ. აქვე გვ. 60-69).

მიუხედავად იმისა, რომ 1998 წელს გამოცემული „სვანური ენის“ თავფურცელი გვაუწყებს, წიგნი სტუდენტებისთვისაცაა განკუთვნილი, მათ ძალიან უჭირთ ალექსანდრე ონიანის მონოგრაფიის გაგება, იმდენად რთულია ავტორის სტილი (აღსავსე ქართველოლოგიაში ჯერაც დაუმკვიდრებელი უცხოური ტერმინოლოგიით), განსხვავებით ზ. ჭუმბურიძის, ლ. ნიჟარაძისა და რ. ქურდაძის ნაშრომისაგან, რომელიც იმიტაც გამოირჩევა, რომ მას ახლავს სვანის შედგენილი სასაუბრო ტექსტები და სავარჯიშოები ქართული თარგმანითურთ.

2) ზ. ჭუმბურიძემ აღმოაჩინა ერთი მეტად საინტერესო ფაქტი: სოფელ კალაში (მესტიის რაიონი), ყველაზე სახელგანთქმული წმინდა კვირიკეს ეკლესიის (1111 წ.) კტიტორულ წარწერაში, ქართული ენის ვითარებითი ბრუნვის ფორმებში გვხვდება სვანური მორფემა -დ (სადიდებლდ, სალოცველდ), რაც ვფიქრობთ, გამოძახილი უნდა იყოს უფრო სერიოზული ექსტრალინგვისტური ფაქტორისა (დიგლოსიური მოვლენების არსებობისა) სვანეთში, კერძოდ: აკაკი შანიძის მიერ 1925 წელს სოფელ იელში (იფარის თემი) ჩაწერილ ზღაპარს ახლავს ასეთი შენიშვნა: „მოქმელი პეტრე ხუბლიანი (65 წლისა) ქართულად ლაპარაკისას ხმარობდა: უნახავ-ხ, გაგიმარჯო-ხ, გამყოფო-ხ, გემტვრევა-ხ“ (სვ. პროზ. ტ. 1939: 474). სვანები ქართულ მეტყველებაში სვანური გრამატიკული თუ ლექსიკური ინვენტარის გამოყენებას დღესაც მიმართავენ (ასე მაგალითად: ხშირად გაგვიგონია „ის ხელად გაქრა“ ნაცვლად შესიტყვებისა „ის უცებ გაქრა“. პირველი მათგანი წარმოადგენს სიტყვასიტყვით თარგმანს სვანური წინადადებისა ეჯა შიშდ ჩჷად-ქარუჷნ).

3) ზ. ჭუმბურიძეს მოჰყავს მეტად მნიშვნელოვანი დამატებითი არგუმენტები სახელობითის -ი (და არა -ე) მორფემის პირველადობის ვარაუდისთვის და ამ ფორმას საერთოქართველური დონის მონაცემად თვლის (იხ. გვ. 86-90).

4) ნ. მარის ე. წ. „საკუთრივ სვანურად“ მიჩნეული და მომდევნო მკვლევართა მიერ გაზიარებული ნარიანი (მიგ. -ნ, ნათ. -ინ) ბრუნების ცალკე ტიპად ან ქვეტიპად გამოყოფას ზ. ჭუმბურიძე ძალზე საეჭვოდ მიიჩნევს (ამაზე საუბარიც კი ძნელიაო – გვ. 91).

5) მოთხრობითი ბრუნვის -ემ ნიშნის წარმომავლობის შესახებ საბოლოო დასკვნისაგან „სვანური ენის“ შემდგენელ-რედაქტორი თავს იკავებს – ჩვენს ხელთ არსებული მასალა ამის შესაძლებლობას არ იძლევაო (გვ. 93). მასალის მეტი რა გვაქვს? – ი. გიულდენშტედტიდან (1768 წ.) მოყოლებული აგერ უკვე მესამე საუკუნეა იკვლევენ ურთუ-

ლეს სვანურ ენას და უნდა ითქვას, რომ სახელისადმი მიძღვნილი შრომები გაცილებით მეტია, ვიდრე ზმნისადმი⁷⁸, მაგრამ თავად ერგატის პრობლემა ძალიან რთული იბერიულ-კავკასიურ ენებში.

6) ზ. ჭუმბურიძე იზიარებს ჰუგო შუხარდტისა (Über das Georgische, Wien, 1895: 14) და თინათინ შარაძენიძის (Шарадениძე 1983: 66) აზრს იმის შესახებ, რომ სვანური მოქმედებითის მორფემა -შჷ/-ჷშ შესაძლოა იყოს მიღებული მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვების მაწარმოებელთა შერწყმით (გვ. 94). ჩვენც ვეთანხმებით ამ მოსაზრებას. უკანასკნელ ხანებში იგივე გაიმეორა ე. გაზდელიანმა (2012 წ.), ოღონდ, სამწუხაროდ, წინამორბედ მკვლევრებზე მიუთითებლად.

7) საყურადღებოა, რომ არაერთ ალომორფთაგან ზ. ჭუმბურიძემ გამოყო ძირითადი მორფემები სვანური არსებითი სახელების სხვადასხვა ბრუნვისა (სახ. -ო და Ø, მიც. -ს, მოთხ. -დ და -ემ, ნათ. -იშ, მოქმ. -შჷ, ვით. -დ), რაც ნაჩვენებია პარადიგმათა უამრავ ილუსტრაციაში.

8) „სვანურ ენაში“ მეტად საინტერესოა მსჯელობა ზედსართავ სახელთა ხარისხებზე, თვლის სისტემასა და ნაცვალსახელთა ჯგუფებზე.

ჯერ კიდევ 1964 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის შრომების IX ტომში დაიბეჭდა ზურაბ ჭუმბურიძის სტატია „საკუთარ სახელთა ბრუნება სვანურში“. მასში წამოყენებული მთავარი დებულება იმის შესახებ, რომ ისევე, როგორც ძველ ქართულში, სვანურშიც საკუთარი სახელები არ ღებულობდნენ სახელობითი ბრუნვის მორფემას (რაც შესანიშნავად ჩანს ფუძისეულ ხმოვანთა უმულაუტობაში), დღემდე არ შეცვლილა ქართველოლოგიაში. თავისთავად ცხადია, იგივე ანალიზი უცვლელად შედის „სვანურ ენაში“.

⁷⁸ ეს ალბათ იმითაგაა განპირობებული, რომ 1931 წლიდან ყველა ქართველოლოგს საწერ მაგიდაზე უდევს ვარლამ თოფურიას ფუნდამენტური მონოგრაფია „სვანური ენა, I, ზმნა“, რომლის შემდეგ მართლაც ძალიან ძნელია ორიგინალური ნაშრომის შექმნა სვანური ზმნის შესახებ.

§ 20. „სვანური ენის სახელმძღვანელო“

ერთი წლის შემდეგ, ანუ 2008 წელს, ვარლამ თოფურიას მოწაფეებმა და მოწაფეთა მოწაფეებმა გამოვეცით ჩვენი უძვირფასესი მასწავლებლის „სვანური ენის სახელმძღვანელო“, რომელიც 1957-1965 წლებში მომზადდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართველურ და კავკასიურ ენათა განყოფილებების სტუდენტ-ასპირანტებისათვის და უნდა დაბეჭდილიყო ქართული ენის კათედრის შრომების მე-7 ტომის სახით, მაგრამ, სამწუხაროდ, ბატონი ვარლამის მიმღე ავადმყოფობამ ხელი შეუშალა კიდევ ერთი მამულიშვილური საქმის დაგვირგვინებას. მიუხედავად იმისა, რომ მამის წამოწყებული სახელმძღვანელოს დასრულება და სასტამბოდ გამზადება ითავა გურამ თოფურიამ და ბევრი რამ კარგიც გააკეთა ამ მიმართულებით, ვერც მან მოახერხა საქმის ბოლომდე მიყვანა, ამიტომ მისი გარდაცვალების შემდეგ იძულებული გავხდით, ხელი მოგვეკიდა წიგნის პუბლიკაციისთვის.

„სვანური ენის სახელმძღვანელოში“, ძირითადად (ოღონდ გარკვეული კორექტივებით), განმეორებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბის V ტომში (№3, 1944) დაბეჭდილ სტატიამში („ბრუნების სისტემისათვის სვანურში სხვა ქართველურ ენათა ბრუნებასთან შედარებით“) წარმოდგენილი მსჯელობა, თუმცა უფრო შემოკლებით (გვ. 24-28):

1. კვლავ ძალაში რჩება ნ. მარის დებულება (რომელსაც შემდგომში არნ. ჩიქობავაც იზიარებდა) იმის შესახებ, რომ წინარე ქართველურში იყო ორი ძირითადი ბრუნვა: მიცემით-მიმართულებითი და ნათესაობით-მოქმედებითი. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ ხმოვნითი ელემენტებით, თანხმოვნები კი საზიარო ჰქონდათ (Mapp 1925: § 21);

2. სვანური ბრუნება მეტად რთულია. იგი განსხვავდება ქართულ-ზანურისაგან ორფუძიანობითა და ბრუნვათა დაბოლოების მრავალფეროვნებით, რასაც განსაზღვრავენ დიალექტები;

3. სვანური ბრუნების სისტემაში გამოიყოფა ოთხი (ზოგი მკვლევრის⁷⁹ მიხედვით – ხუთი) ტიპი: ქართველური, ადიღური, სვანური (ძველი ქართველური) და ნარევი (ჰიბრიდული).⁸⁰

⁷⁹ ალბათ, თ. შარაძენიძე იგულისხმება.

⁸⁰ ვ. თოფურიას „სვანური ენის სახელმძღვანელოში“ ბრუნების ტიპების აღსანიშნავად სხვა ტერმინებიც გვხვდება (ადიღურის ნაცვლად „ჩერქეზულ-დაღესტნური“, ხოლო სვანურის ნაცვლად – „ძველქართულ-კავკასიური“).

4. ბრუნების სისტემა ყველაზე მარტივია ქვემოსვანურში (გამარტივების ტენდენციას, უნიფიკაციის გამო, ავლენს ბალსზემოურიც); იგი უკეთაა შემონახული ზემოსვანურ მეტყველებაში, განსაკუთრებით – ბალსქვემოურ დიალექტში.

5) ქართველური სისტემის მიხედვით იბრუნვიან:

- ა) ბოლოთანხმოვნიან სახელთა უმეტესობა;
- ბ) -ა, -ო, -ო და -უ ბოლოხმოვნიანი სახელები;
- გ) საკუთარი სახელები;
- დ) ყველა სახელი მრავლობით რიცხვში.

6) ადიღური სისტემის მიხედვით (რომელიც ყველაზე კარგადაა შემონახული ბალსქვემოური დიალექტის ეცერულ-ლახამულურ კილოკავებში, რიგიანადაა ბალსზემოელ მოხუცთა მეტყველებაში და სუსტადაა ქვემოსვანურში) იბრუნვიან -ე ბოლო ან შიგნიხმოვნიანი არსებითები და -ა ხმოვანზე დაბლოებული ზედსართავი თუ რიცხვითი სახელები.

ამ სისტემას სხვადასხვა ქვეტიპი აქვს, რომელთაც ერთ ტიპში აერთიანებს მიცემითის არსებული ან სავარაუდო -ა მორფემა. აქ ვ. თოფურია გამოთქვამს ჩვენი თვალსაზრისისთვის მეტად მნიშვნელოვან დებულებას (იხ. გვ. 26), რომლის მსგავსი მის ადრინდელ ნაშრომებში⁸¹ არ ყოფილა: მარე's ტიპის სახელებში -ე წარმოდგარია ფუძის -ა-ს ასიმილაციით სახ. **ო**-სთან: -ა+ი>-ეი>-ე. ამდენად, **ორფუძიანობა ისტორიულად არაა გამართლებული**; შდრ. **"Склонение по принципу двух основ исторически восходит к склонению одной основой и тем самым соблюдена общность картвельских языков; -ш определенный артикль, он не окончание падежа; формант -w, считающийся показателем датива, в некоторых именах принадлежит основе"** (Топуриа В. 1985: 113).

დიახ, ჩვენც ვფიქრობთ, რომ სვანური ბრუნების ზოგ სისტემაში ორფუძიანობა მეორეული მოვლენაა ზოგადად, წარმოქმნილი ბრუნებადი სახელის -ემ, -ეჟ, -ინ დეტერმინანტთა ცვეთის შედეგად (იხ. ჩვენი „ქართველოლოგიური ძიებანი“, გვ. 105-125).

⁸¹ ცხადია, ეს დებულება წარმოდგენილია „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწადულის“ XII ტომში (1985 წ.) გამოქვეყნებულ სტატიაში „Сванский язык“ (გვ. 100-148) და ვ. თოფურიას შრომების II ტომში (2002 წ.) დასტაბულ „სვანურ ენაში“ (გვ. 165), რადგანაც „სვანური ენის სახელმძღვანელოში“ იგივე ტექსტი შედის.

7) სვანურს (ძველ ქართველურ) სისტემას ვ. თოფურია უწოდებს ნ. მარის „საკუთრივ სვანური“ ბრუნების არაპროდუქტულ პარადიგმებს, -ნ (მიც.) და -ინ (ნათეს.) მორფემათაგან მიღებულს. მიუხედავად იმისა, რომ 1944 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „ბრუნების სისტემისათვის სვანურში სხვა ქართველურ ენათა ბრუნებასთან შედარებით“ ხაზგასმულია, რომ „სვანური (ქართველურ-კავკასიური) სისტემა მკვდარიაო“, მასში მოყვანილია ისეთი მასალა ძველი ხალხური სიმღერებიდან, როგორც ნ. მარს არ ჰქონია. ესაა ჭოლაშის ჩუბენ (სვ. პოეზ. 1939: 224, 103) – „ჭოლაშს ქვემოთ“, არცხელის ჩუბენ (იქვე: 222, 85) – „არცხელს ქვემოთ“, სადაც მიცემითის მორფემებად ერთსა და იმავე კონტექსტში (თანდებულისან სახელებთან) შესაძლებელია როგორც -ს, ისე -ნ, რაც კატეგორიულადაა გამორიცხული გივი მაჭავარიანისა და ალექსანდრე ონიანისთვის, თუმცა „სვანური ენის სახელმძღვანელოში“ მოყვანილი მაგალითები მათთვის ცნობილი იყო. ერთ-ერთი საბუთი მათ მიერ ნარის მიცემითობის უარსაყოფად სწორედ ისაა, რომ ის არ ენაცვლება იმავე ბრუნვის სხვა მორფემებს. ალ. ონიანის აზრით, -ნ სუფიქსს თანამედროვე სვანურში არაფერი აქვს საერთო მიცემითი ბრუნვის მორფემასთან არც ფუნქციურად და არც რომელიმე სხვა ნიშნის მიხედვით (1998: 72). ამასვე ამბობდა გ. მაჭავარიანიც (-ნ, თავისთავად ცხადია, არც არის მიცემითი ბრუნვის მორფემის კუთვნილება – 1985: 232-239), მაგრამ ხომ ფაქტია, რომ არა მხოლოდ ნ. მარისა და ვ. თოფურიას მიერ ხალხური პოეზიიდან მოყვანილი მაგალითებიდან, არამედ დღესაც სვანურში ერთმანეთს ენაცვლება იჟა-ნ-გნ-ღო და იჟა-ს-გნ-ღო („ევადან, ევას დროიდან = აღრიდან“) სხვადასხვა თაობის მეტყველებაში (ერთსა და იმავე დიალექტში ან სხვადასხვა კილოში!). იგივე შეიძლებოდა გვეთქვა: ზოგ-ნ-ი-ზოგა-ს („ხიდ-ს“-და-ხიდ-ს“, შდრ. ზოგ-ნ-ი-ზოგ „ხიდ-ს“-და-ხიდ“),⁸² ზაჟ-ნ-ი-ზაჟ-ნ („წელ-ს“-და-წელ-ს“ – „წლიდან წლამდე/წლითიწლობით“) და სხვა ადვერბიალურ კომპოზიციტა შესახებაც, აგრეთვე, ნათესაობითი ბრუნვის ფუნქციით ნარის გამოყენების შემთხვევებზეც (ლშხ. ზა-ინ მაკადდ „წლის მოსავლით/ მოსავლად“, წელ-ინ ნასანს – ბზ., სვ. პროზ. ტ. 1939: 469, 9 || წელ-ი < წელ-იმ ნასანს, იქვე: 89, 29 „სახედრის შარდს“, ლგ-ქაფ-ინ მარა-ნ გოშია⁸³ – „ტვირთიანი თ“ კაცებით სავსეა“, სვ. პოეზ. 1939: 194, 6-9).

⁸² დეტალური მსჯელობა „საკუთრივ სვანური“ (ნ. მარის ტერმინოლოგიით!) ბრუნების შესახებ იხ. ჩვენს „ქართველოლოგიურ მიუზანში“ (1998: 53-60, 76, 123).

⁸³ რაკი კონტექსტში გოშია („სავსეა“)ც არის, აქ -ინ და -ნ შესაძლოა ვითარებითი ბრუნვის ფუნქციით იყოს წარმოდგენილი.

„სვანური ენის სახელმძღვანელოში“, შესაბამისად 1965 წლის სტატიასა (რომელიც გამოიცა ავტორის გარდაცვალების შემდეგ – თოფურია 2002: 150-219) და მის რუსულ ვარიანტში (იკეწ, XII, 1985: 100-148), მალზე ფრაგმენტული მსჯელობაა მოცემული ბრუნების ნარევი (ჰიბრიდული) ტიპის შესახებ, თუმცა გარკვეული დეტალები უფროა დაზუსტებული. მაგალითად, 1944 წელს დასტამბულ გამოკვლევაში აღნიშნულია, რომ ეს ტიპი ყველაზე ახალია და უფრო გავრცელებულია ბალსზემოურსა და ქვემოსვანურშიო (2002: 52), ხოლო „სვანური ენის სახელმძღვანელოს“ მიხედვით, „ნარევი სისტემა უფრო გავრცელებულია ბალსზემოურში, ნაკლებ ქვემოსვანურში“ (2008: 28). როგორც ჩანს, 1944 წელს ვ. თოფურიას არ ჰქონდა მაინცადამაინც ხელსაყრელი ქვემოსვანური მასალა, ხოლო მოგვიანებით ლაშხური დიალექტის საილუსტრაციოდ მაგალითიც (ღერბათს) კი აქვს მოყვანილი.

შესაძლოა მკითხველს გაუკვირდეს კიდევ, ღერბათს („ღმერთს“ – მიც. ბრ.) და მარენენმ („კაცმა“ – ერგატ. ბრ.) როგორ მოხვდა ერთად, მაგრამ მათი ერთ სისტემაში მოქცევა განაპირობა ორი ან მეტი მორფემისა (*მარა+ემ+ნ+ენმ) თუ აბლაუტისა და ბრუნვის მორფემის (< ღერბათ-ს < ღერბათ < ღერბეთ) შერწყმამ. ვ. თოფურიას სახელმძღვანელოში (შესაბამისად 1965 წელს შექმნილ გამოკვლევაში და შედარებით გვიან გამოქვეყნებულ მის ქართულსა და რუსულ მოკლე ვარიანტებში – 1985 წ., 2002 წ.) მარე ლექსემის მოთხრობითის სეგმენტირებული ფორმა აჯობებდა, წარმოდგენილი ყოფილიყო *მარა+ემ+ნა+ემ სახით (ეს ასევე არის 2002 წლის რუსულ გამოცემაში "Сванский язык" – გვ. 73), სხვაგვარად მარენენმ ფორმის ბოლო მარცვლისეული -ე ხმოვნის სიგრძე აუხსნელი დაგვრჩებოდა. 1944 წლის პუბლიკაციაში „ბრუნების სისტემისათვის სვანურში...“ ვ. თოფურიას „ორგზის გაფორმებული“-ენმ + -ნ-ენმ-ის ბოლო სეგმენტები (-ნ-ენმ), ს. ჯანაშიას ნაშრომზე (1942 წ.) დაყრდნობით, ამ-ნენმ-ისაგან მომდინარედ მიაჩნია (2002: 52), რაც მას მომდევნო შრომებში აღარ გაუმეორებია. მამასადამე, ე. წ. ჰიბრიდულ ფორმებში მაინც მიაჩნდათ შესაძლებლად ს. ჯანაშიას, ვ. თოფურიასა და კ. დონდუას ნაცვალსახელური (შემდგომში ბ. კიკვიძის, გ. მაჭავარიანისა და გ. კლიმოვის ართრონიზებული, არტიკლიანი თუ ნაწევრიანი) ბრუნების კვალის დანახვა.

ვარლამ თოფურიას ბოლოდროინდელი შრომებიდან აშკარად ჩანს, რომ „სვანურში ბრუნება თითქოს მალზე დაშორებულია ქართულ-ზანურს, მაგრამ ისტორიულად იგი ძალიან ახლოს დგას მათთან

და ერთ საერთო სისტემას ქმნის" (თოფურია 2002: 167; 2008: 28). ეს დასკვნა რამდენადმე სხვაგვარადაა ჩამოყალიბებული დამოწმებულ ნაშრომთა რუსულ ვარიანტში, რომელიც დაბეჭდილია „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეულის“ XII ტომში (1985 წ.) და ვ. თოფურიას შრომების მეორე ტომში (2002: 105): **“В сванском языке надо считать основным, господствующим, склонение картвельской системы, а параллельным в нижнебалкарском наречии – склонение адыгейской системы”**.

„იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეულის“ XII ტომში (1985: 100-148) “Сванский язык” შედარებით სრული ვარიანტითაა დაცული, ვიდრე 1967 წელს დაბეჭდილ საიუბილეო კრებულში “Языки народов СССР” (გვ. 77-94); იგი მიჰყვება ვ. თოფურიას არქივში დაცულ ერთ-ერთ ხელნაწერს და მის მანქანურ ამონაბეჭდს, რომელიც ჩასწორებები შეტანილია თავად სტატიის ავტორის მიერ. არსებობს რუსული ტექსტის ამოსავალი ვრცელი ქართული გამოკვლევაც, რომელიც 1965 წელსაა შესრულებული, მაგრამ გამოქვეყნებულია ვ. თოფურიას გარდაცვალების შემდეგ. აღნიშნული სტატიების შედარებიდან 1944 წელს დაბეჭდილ ნაშრომთან („ბრუნების სისტემისათვის სვანურში სხვა ქართველურ ენათა ბრუნებასთან შედარებით“ – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. V, №3, თბილისი, 1944: 339-348) ირკვევა, რომ ზოგი დებულება შეცვლილია ან საერთოდაა ამოღებული (ეს განსაკუთრებით ეხება სვანურ ბრუნვათა მორფემების სესხების (sic!) საკითხს ქართულ-ზანური ბრუნების სისტემიდან), ამიტომ ჩვენი მსჯელობისთვის ვარჩიეთ ვ. თოფურიას შედარებით გვიან (სიცოცხლის ბოლოს) შექმნილი ნაშრომის გადამუშავებული ვარიანტი, მით უფრო, რომ ამ დროისათვის უკვე არსებობდა ვ. დონდუას და თ. შარაძენიძის გამოკვლევები სვანური ბრუნების შესახებ; მათ აშკარად ანგარიშს უწევდა ბატონი ვარლამი, თუმცა არათუ ბრუნების ტიპები არ შეუცვლია, არამედ მათი საილუსტრაციო პარადიგმებიც კი არ გამოუყენებია და არც სამფუძიანობის პრინციპი გაუზიარებია, ოღონდ ის კი საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსულენოვან სტატიებში ვ. თოფურიას ბრუნვათა რიგი (Именительный, дательный, эргативный, обстоятельственный, творительный, родительный) თითქმის მიჰყვება თ. შარაძენიძისეულ რიგს (შდრ. სახელობითი, მიცემითი, ერგატივი, მოქმედებითი, გარდაქცევითი, ნათესაობითი).

სვანური ენის შესწავლის თანამედროვე დონეზე ყურადღებამისაქცევია 1944 წლის პუბლიკაციაში წარმოდგენილი დებულება: „სახელობითის -ი სვანურში ქართულ-მეგრულიდანაა შესული. მისი ბველი

ვარიანტია -ე... ფუძის მხრივ ზანურისებური მდგომარეობა: სახელო-ბითის ფორმა (უმლაუტიანი!) უცვლელი რჩება თითქმის ყველგან... ნათესაობითის -იშ და უფრო ძველი -ემ ზანური წარმოშობისაა (ზაზი ჩვენია - ი. ჩ.), 1965 წელს შექმნილ და ავტორის გარდაცვალების შემდგომ გამოქვეყნებულ სტატიაში „სვანური ენა“ კი ნათქვამია: „სვანური ბრუნება მეტად რთულია. იგი განსხვავდება ქართულ-ზანურისაგან ორფუძიანობით და ბრუნვის დაბოლოებათა მრავალფეროვნებით... განარჩევენ ბრუნების ოთხ სისტემას... ქართველური სისტემის დამახასიათებელია ერთფუძიანობა, ქართული და ზანური სუფიქსები“ (თოფურია 2002: 163-165), შდრ. "Сванское склонение весьма сложно. Оно отличается от грузинского и занского наличием двух основ и разнообразием падежных показателей... Характерными признаками их (იგულისხმება ე. წ. ქართველური სისტემის მიხედვით ფორმაცვალებადი სახელები) являются: одноосновность, общехартвельские окончания именительного падежа - *ot* или реже - *et*, дательного - *it*, обстоятельного - *it*, занские показатели родительного падежа - *it* или реже - *et*" (Топуриа 1985: 110-111).

მაშასადამე, გვიანდელ ნაშრომებში ძალზე შერბილებულია სვანური ბრუნების მორფემათა ქართულ-ზანური წარმომავლობის ვარაუდი, ამიტომაც ალბათ, რომ მათ როგორც ქართულ, ისე რუსულ ვარიანტში სვანური ბრუნების ქართველურ სისტემას „ქართულ-ზანური“ აღარ ეწოდება, განსხვავებით 1944 წლის კუბლიკაციისგან.

ვ. თოფურიას კლასიფიკაციის IV ტიპია ე. წ. ნარევი (ჰიბრიდული) ბრუნების სისტემა, რომელშიც შედის მარნემშ (<მარა-ემ-ნა-ემ) „კაცმა“ და მარა-ს „კაცს“ ფორმათა ანალოგიური მონაცემები, მაგრამ იგივე ვარიანტები წარმოდგენილია ბრუნების სისტემის II (ე. წ. ადილეურ) ტიპში პარალელური ფორმების სახით (ზსვ. მნ/მარა, ქსვ. მნ/მარა-ს „კაცს“; ბქ. მარ-ემ⁸⁴, ბზ., ლშხ. მარა-დ || მარნ-მ || მარნ-მ-ნ-ემ⁸⁵ „კაცმა“). ალბათ მსგავსი მასალა ან II ტიპში უნდა შესულიყო, ან IV-ში, უფრო კი ამ უკანასკნელში.

1944 წელს ვ. თოფურია საგანგებოდ აღნიშნავდა: „ბრუნების მხრივ სვანურ კილოთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ზემოსვანური, კერძოდ, ბალსქვემოური, სადაც კარგადაა წარმოდგენილი ჩერქეზული სისტემა. ამას ადასტურებს თავის გადმონაშთებით ბალსქემო-

⁸⁴ ალბათ ლახამულური ფორმა!

⁸⁵ არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ გრძელხმოვნიან სემანტა დაშლა გარკვეულ პრობლემებთანაა დაკავშირებული, მაგრამ ამაზე სხვაგან.

ური. ქვემოსვანური გამარტივების გზას ადგას: ადგილი აქვს უნიფორმაციას – ბრუნების დაყვანას ერთ სისტემამდის (ჰიბრიდები აქაც ჩანს)“.

დაახლოებით იგივე მსჯელობაა 1965 წელს შექმნილ ნაშრომში „სვანური ენა“ (და მის რუსულ ვარიანტში): „კილოთა მიხედვით ბრუნების სისტემა ყველაზე მარტივია ქვემოსვანურში, გამარტივების ტენდენციას, უნიფიკაციის გამო, ავლენს ბალსზემოური, ყველაზე უკეთ შემონახულია ზემოსვანურში, განსაკუთრებით ბალსქვემოურში (თოფურია 2002: 164).

ალ. ონიანის „სვანური ენა“ გამოვიდა 33 წლის შემდეგ, ანუ 1998 წელს. მასში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნათქვამია: „ქვემოსვანურ დიალექტებში II ტიპის ბრუნება არ არსებობს“⁸⁶ (ხაზი ჩვენია – ი. ჩ.). ყოველგვარი სახელი I ტიპის შესაბამისად იბრუნვის და ბრუნების სხვადასხვა ტიპები ამიტომ აქ არც გამოიყოფა“ (ონიანი 1998: 58). მონოგრაფიის 90-ე გვერდზე განსხვავებული აზრია წარმოდგენილი, თანაც ჩვენს გამოკვლევაზე („ორფუმიანობის საკითხისათვის ქვემოსვანურში“, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XXI, თბილისი, 1979) დაყრდნობით: „ლენტეხურში -ე“ზე დაბოლოებულ სახელთა მოთხრობით ბრუნვაში დასტურდება -დ სთან -ემ სუფიქსის თავისუფალი მონაცვლეობის იშვიათი შემთხვევები: მარ-ემ „კაცმა“, მუხჷმ-ემ „მამა“, მაგრამ ასეთი ჩანაცვლება იმდენად იშვიათია, რომ მას არსებითად ნაშთის (თუ ჩანასახის)⁸⁷ ხასიათი აქვს“. იმავე სტატიაში ჩვენ არაერთი მაგალითი მოგვყავს -ემ მორფემიანი ერგატივისა და მასზე დამყარებული ნათესაობითისა თუ ნანათესაობითარი ვითარებითისა ქვემოსვანურის ორივე დიალექტიდან (იხ. ჩანტლაძე 1979: 115-129):

ლ ე ნ ტ ე ხ უ რ ი: მარ-ემ (სვ. პროზ. ტ., III: 131, 38), მარ-ემ-დ || მარა-დ (იქვე: 177, 11) „კაცმა“;

მუხჷმ-ემ (იქვე: 132, 8) „მამა“, თხერ-ემ (იქვე: 168, 25) – „მგელმა“;

ღერთ-ემ (იქვე: 296, 9), ღერთ-ემ-დ (იქვე: 296, 32), ღერბეთ-ემ (იქვე: 165, 14), ღერბეთ-დ (იქვე: 277: 11) „ღმერთმა“...

⁸⁶ საოცარია ასეთი კატეგორიული დასკვნა უმწერლობო ენის ნებისმიერი გრამატიკული კატეგორიის მიმართ! ვინ დაიჯერებს, რომ თუნდაც სოფელ ჟახუნდერში დაბადებულ-გაზრდილ ალ. ონიანს ყველა სოფელი კარდაკარ შემოუვლია ქვემო სვანეთში?!

⁸⁷ ნაშთი არქაიზმია, ჩანასახი კი – ინოვაცია; ამგვარი კვალიფიკაციით როგორ გავიგოთ, -ემ-იანი ერგატივი ქვემოსვანურის დიალექტებს გარკვეული ეპოქიდან შემორჩა თუ მხოლოდ ახლა იმყოფება ჩანასახობრივ მდგომარეობაში?!

ლაშხური: მუხუბ-ემ-დ (სვ. პროზ. ტ., IV: 53, 17), მუხუბა-დ (იქვე: 51, 23) „მამა“; ასევე: რაშ-ემ („რაშმა“), ჩაჟ-ემ („ცხენმა“), ეხუბ-ემ („ცოლმა“), დაჟ-ემ („დევმა“), ზოზმ-ემ || ზოზმ-დ („ბავშვმა“), ღერთ-ემ („ღმერთმა“) და სხვები.

ერთი სიტყვით, უფრო მეტი ყურადღება სჭირდება კოლეგების ნაშრომებს⁸⁸ (თავისთავად ცხადია, აქ მთელ გამოკვლევას ვერ დავიმოწმებთ)!..

ჩვენი უბრწყინვალესი მოძღვართმოძღვარი ჯერ კიდევ 1944 წელს წერდა: სტატიაში გაანალიზებულა ბრუნებასთან დაკავშირებული ყველა სახელიო, ამიტომაც მის ანალიზს უფრო ვენდობით.

იმავე გამოკვლევაში (იგულისხმება „ბრუნების სისტემისათვის სვანურში სხვა ქართველურ ენათა ბრუნებასთან შედარებით“) ხაზგასმულია, რომ ე. წ. ნარიანი ბრუნების სისტემა („საკუთრივ სვანური“, ნ. მარის ტერმინოლოგიით), რომელსაც ვ. თოფურია მაშინ „სვანურ (ქართველურ-კავკასიურ) ბრუნებას“ უწოდებდა, მკვდარიაო, ხოლო 1965 წელს შექმნილ ნაშრომში (და მისგან მომდინარე რუსულ ვარიანტებში) ეს მოსაზრება რამდენადმე შერბილებულია: სვანური (ძველი ქართველური)⁸⁹ სისტემა არაა პროდუქტიული (თოფურია 2002: 167).

ვ. თოფურიას როგორც 1944, ისე 1985 წელს ქართულ და რუსულ ენებზე გამოქვეყნებულ სტატიებში სვანური ბრუნების ოთხი ტიპია გამოყოფილი, რომელთაგან მეოთხეში [ნარევი (ჰიბრიდული), Смешанная (гибридная)] შედის მარნეშნე (< 'მარა-ემ-ნა-ემ) „კაცმა“ სტრუქტურის მონაცემები, მაგრამ რუსულ გამოცემაში მათ გვერდით რატომღაც შეტანილია ფორმალურად ნაგენეტივარი წარმოების მსგავსი ნაცვალსახელის ბრუნებაც, თუმცა ამ პარადიგმატულ ერთეულებს, გარდა ერთი შემთხვევისა, ნანათესაობითარ ფორმათა ანალოგიური შინაარსი არა აქვთ. შდრ.:

⁸⁸ იგივე შენიშვნა ეხება მ. სალიანსაც, რომელსაც უფრო გულდასმით რომ განეხილა ჩვენი „ორფუმიანობის საკითხისათვის ქვემოსვანურში“, თავის წიგნში „სვანური ენის სტრუქტურის საკითხები“ წინააღმდეგობრივ მოსაზრებებს აღარ წარმოადგენდა (შდრ. ერთი მხრივ, „სვანური ენის თითქმის ყველა დიალექტში დასტურდება მოთხრობითი ბრუნვის ნიშნად ფორმანტი-ემ, რომელიც თავს იჩენს ხოლმე ნათესაობითი და ვითარებითი ბრუნვების ნიშანთა წინააღმდეგ – 2016: 109; და, მეორე მხრივ, „ზემოსვანური დიალექტები ჯერ კიდევ ინარჩუნებენ სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილ ბრუნების რამდენიმე ტიპს, ქვემოსვანურ დიალექტებში კი აღნიშნული ბრუნების ტიპები მხოლოდ რელიქტის სახით არის შემორჩენილი“ – იქვე: 114).

⁸⁹ ტერმინიც შევცვლილი!

სახ.	ხედა	„რომელი“
მიც.	ხედაშ < *ხედა-იშ	„რომლის“ ან „რომელს“
ერგ.	ხედაშნემ < *ხედა-იშ-ნა-ემ	„რომელმა“
ნათ.	ხედაშიშ < *ხედა-იშ-იშ	„რომლის“
მოქმ.	ხედაშუჟ < *ხედა-იშ-შუჟ	„რომლით“
ვით.	ხედაშ-დ < *ხედა-იშ-დ	„რომელად“, „რომლისთვის < რომლისად“

რაც შეეხება თ. შარაპენიძეს, მის ბრუნვათა სისტემაში საანალიზო ფორმები კლასიფიკაციის გარეშე დარჩნენ, რადგანაც მორფემათა გაორმაგება-გასამმაგების შემთხვევები ბრუნების ტიპოლოგიას არაფერს მატებენ. „შარას, მარემდ, მარემნემ ანალოგიის გზით წარმოქმნილი უახლესი ფაქტებია, ხოლო ხედა („რომელი“)ს და იერქჯდა („ორივე“)ს მექანიზმი მთლად ნათელი არაა“ (შარაპენიძე 1955: 132).

ქართველოლოგთა საშუალო თაობა

§ 1. ნელი ჩართოლანი

როგორც ცნობილია, მეტყველების ნაწილებს შორის ნაცვალსახელი იმითაც გამოირჩევა, რომ სწორედ აქ იგრძნობა „ყველაზე მეტი მგავსება სულ სხვადასხვა სისტემის ენათა შორის არა მარტო სტრუქტურის მხრივ, არამედ მატერიალურ ნაწილშიც“ (თოფურია ვ. 1979: 219). „Почти все языки земного шара обнаруживают удивительное внешнее сходство между собою, но оно никак не может служить ещё доказательством их родства (Цагарели 1872: 9).

ჯერ კიდევ 1945 წელს წუხდა ვ. თოფურია: „ქართველურ ენათა ნაცვალსახელების შედარებითი შესწავლა მოცემული აქვთ ნ. მარს, ა. ცაგარელსა და ა. ჩიქობავას, მაგრამ სვანური ნაწილი საკმაოდ ღარიბადაა წარმოდგენილი; მას კი ამ მხრივ გადამწყვეტი მნიშვნელობა თუ არა აქვს, სხვებზე ნაკლები მასალების მოცემა არ შეუძლია (თოფურია 1979⁹⁰: 221).

მიუხედავად იმისა, რომ 1964 წელს მონოგრაფიის სახით უკვე გამოქვეყნებული იყო არამ მარტიროსოვის სადოქტორო ნაშრომი „ნაცვალსახელი ქართველურ ენებში“, მაინც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ საჭიროდ მიიჩნია, შექმნილიყო სხვა დისერტაციაც, საგანგებოდ მიძღვნილი ჩვენებით ნაცვალსახელთა სისტემების ისტორიისადმი, რადგანაც იმ დროისათვის სპეციალურ ლიტერატურაში არსებობდა ორი ურთიერთგამომრიცხველი თვალსაზრისი ამ მიმართულებით. მკვლევართა ერთი ნაწილი მიიჩნევდა, რომ ქართველურ ენებში ამოსავალია ჩვენებით ნაცვალსახელთა (შესაბამისად დეიქსისის) სამწევროვანი სისტემა, ხოლო სხვები მხარს უჭერდნენ ორწევროვან სისტემას. ნელი ჩართოლანმა სპეციალურად დაამუშავა ეს საკითხი („ჩვენებით ნაცვალსახელთა სისტემები ქართულში სხვა ქართველურ ენებთან მიმართებით“). ბიძინა ფოჩხუას სოლიდურ გამოკვლევაზე („ხმოვანთავსართული ზმნისართები“, 1959) დაყრდნობითა და ქართულ-

⁹⁰ ვ. თოფურიას ეს გამოკვლევა დაიბეჭდა მისი შექმნიდან საკმაოდ დიდი ხნის შემდეგ.

სვანურ-მეგრულ-ლაზური დიალექტური მასალების სკრუპულოზური ანალიზის საფუძველზე მან დაასკვნა (გვ. 136-147):

1. ქართულ ჩვენებით ნაცვალსახელთა სამწევროვანი სისტემები არ არის პირველადი, ისინი მომდინარეობენ ორწევროვანი სისტემებისაგან, რომელთათვისაც დამახასიათებელი იყო **სივრცეში ორიენტაცია**, სიახლოვე-სიშორის ოპოზიციის გამოხატვა; გარკვეული პირებისკენ მიმართების ჩვენება მეორეული მოვლენაა;

2. ორწევროვანი სისტემისაგან წარმოშობილი უნდა იყოს არამხოლოდ ძველი სალიტერატურო ენის სახელობით ბრუნვაში დადასტურებული სამწევროვანი სისტემა, არამედ ქართული ენის ყველა დანარჩენი სისტემებიც; ე. წ. ირიბ ბრუნვებში გამოვლენილ ამა – მაგა – იმა ფუძეებიდან ორწევროვან დაპირისპირებას ქმნიდა ამა – იმა, ხოლო მაგა ნასესხებია სხვა სისტემიდან, რომელიც ამჟამად მოშლილია, მაგრამ ხერხდება მისი რეკონსტრუქცია (<“ამაგა – იმაგა || მაგა, ამა – იმა || მა, სადაც მაგა/მა ნაცვალსახელები ნეიტრალური წევრებია!);

3. ზანურსა და სვანურში ამჟამადაც ორწევროვანი სისტემები გვაქვს, ამასთანავე, ისინი არ ამჟღავნებენ სამწევროვანი სისტემებისაგან წარმოშობის რაიმე ნიშნებს მაშინ, როდესაც ქართულ სისტემებში აშკარად ჩანს ძველი კვალი;

4. სვანურ ენაში სიახლოვეს გამოხატავს **ალა, ალი, ალე** („ეს“) ნაცვალსახელი, ხოლო სიშორეს – განსხვავებული ძირის **ეჯა, ეჯი, აჯა** („ის“). სავარაუდოა, რომ ხმოვნური დაპირისპირებები უკვე არსებობდა პრაენაში, როგორც დიალექტური ვარიანტები;

5. ჩვენებით ნაცვალსახელთა ირიბ ბრუნვებში რომ მეტი საერთო გვაქვს ქართველურ ენებში, ვიდრე სახელობითში, ეს არაა მოულოდნელი, ვინაიდან ქართველოლოგიაში აღიარებულია, რომ სახელობითი, როგორც ბრუნვის ფორმა, სხვა ბრუნვებზე გვიანაა ჩამოყალიბებული.

შედარებით ვრცლად შევჩერდით ნ. ჩართიოლანის მონოგრაფიის (1985 წ.) დასკვნით ნაწილზე იმიტომ, რომ იგი, ძირითადად, ქართველური ენების სახელთა პარადიგმატული სისტემის მორფონოლოგიურ ანალიზს ემყარება.

ავტორი საგანგებოდ მსჯელობს ბალსზემოური დიალექტის ორ განაპირა კილოკავში – უშგულურსა თუ ლატალურში – შენიშნულ **აჯა** და **აჯი** („ის“) ჩვენებით ნაცვალსახელებზე და ისინი მეორეულ ფორმებად მიაჩნია, თუმცა ვ. თოფურია, რომელიც ამოსავლად ნაცვალსახელთა

სამწევროვან სისტემას აღადგენდა ქართველურ ფუძეენაში, ვარაუდობდა: „ეგების აჯა ნიშნავდა „ამას“ და ეჯა „იმას“-ო (თოფურია 1979: 233), სხვა ადგილას კი (იხ. გვ. 240), იმავე სტატიაში, მკვლევარი წერს: „ნაცვალსახელებში **ნ** საერთოა ქართველურ ენებში, ოღონდ ის ყველგან დაკარგულია და სვანურში ქცეულია **ლ**‘დ. **გ** ქართულ-სვანურია, ოღონდ სვანურში → **ჯ**“. **აჯი** (ეჯა‘ს ნაცვლად) 1946 წელს დაადასტურათ. შარაძენიძემ ლატალელ მოხუცთა მეტყველებებაში (იხ. შარაძენიძე 1970: 57). ჩვენი აზრით, ის დასავლურ ქართულში (გურული, აჭარული, ქვემოიმერული, ლეჩხუმური) გავრცელებული **აჯი** ნაცვალსახელის პალატალიზებული (**გ > ჯ**) ვარიანტია.

ნ. ჩართოლანი იმოწმებს აღნიშნულ რეგიონებში სახელობით ბრუნვაში გავრცელებულ **მაგი** || **მაგ** ფორმას, რომელიც, ჩვეულებრივ, ირიბი ბრუნვების მონაცემია თითქმის ყველა ქართულ დიალექტში (იხ. გვ. 70). კარგი იქნებოდა, რომ მას გახსენებოდა ძველი სვანური ხალხური სიმღერების იშვიათი ბალსზემოური მონაცემებიც [რომელთა შესახებ ჩვენს მონოგრაფიაში (ჩანტლაძე 1998: 89) საგანგებო მსჯელობაა და რომლებიც არ დავიწყებია კ. გაბუნიას (იხ. მისი „ბრუნვათა სისტემები ქართველურ ენებში“ 2007: 158)]:

ამ ზიზუარუ სუმაილა – „ეს ბრუციანი სუმაილა“ (სვ. პოეზ., 1939: 120გ; 122ჟ. მულახი);

მი ამ საბრელო დაშდულდა – „მე ეს საბრელო დათუნა“ (იქვე: 236ი, უშგული);

ჟოხჟიშდამ გეზალ სიჟუ ჯერდოლე – „ხუთი შვილი შენ გყოლია“ (იქვე: 100ა, მულახი); „სვანურ პოეზიაზე“ დართული შენიშვნების მიხედვით, მოხუც მთქმელს, მუჟალელ დავით მარგიანს, უთქვამს: **ჟოხშჟედ ამ გეზალ** (იხ. იქვე: 416ბ) – „ხუთი ეს შვილი“.⁹¹

შდრ. თანამედროვე ლენტეხური მონაცემები:

ამ (|| **ალ**) **მეჩი მარე** – „ეს მოხუცი კაცი“ (სვ. პროზ. ტ., III: 149ი);

ამ (|| **ალ**) **ლეშტმარალ** – „ეს საყურეები“ (იქვე: 149იზ).

ალა („ეს“) ნაცვალსახელს ბრუნებისას სუპლექტივიზში ახასიათებს (შდრ. მოთხ. **ამნემ**, ნათ. **ამნემიშ**,...) მარტოოდენ მხოლოდით რიცხვში, მრავლობითში კი ყველგან **ლას**‘ის შემცველი ფუძეა დაცული (**ალმარ** „ესენი“, **ალმარს** „ამათ“, **ალმარ** „ამათმა“,...), **ეჯა** („ის“) კი ორსავე რიცხვში **-ჯ-** ძირის შემცველ მონაცემებს წარმოგვიდგენს (მიც.

⁹¹ როგორც ჩანს, მსაზღვრელად გამოყენებული ნაცვალსახელები რიცხვითი სახელების შემდეგ იხმარებოდა ძველ სვანურში. განსხვავებით ქართულისაგან (**მხარა ისეუ** ლელხუტერ კანარ – **ცხრა შენი** სანადიმო ხარი“, სვ. პოეზ.: 236ჟ).

ეჯას, მოთხ. ეჯნემ..., ეჯაძარ „ისინი“, ეჯაძარს „იმათ“...), თუმცა ბალს-ქვემოური დიალექტის მრავლობით რიცხვში მას სუპლექტივიზმი (და არა ორფუძიანობა – იხ. ჩართოლანი 1985: 124) ახასიათებს (სახ. ეჯაძარ, მიც. ამაძარს, მოთხ. ამაძარდ,...)

ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ტერმინი **ორფუძიანობა**, როცა სვანური ენის სახელთა პარადიგმატულ სისტემას ეხება საქმე, უნდა ვიხმაროთ მხოლოდ მოთხრობითის (-ემ'იანი) ან მიცემითის (-ჭ'იანი) მორფემებზე დამყარებულ ფუძეთა გამოყენებისას სხვა ბრუნვებში, რომლის მსგავსი დანარჩენმა ქართველურმა ენებმა არ იცის (მთის კავკასიურ ენებში შეიძლება დაიძებნოს პარალელები). რაც შეეხება პირისა თუ ჩვენებით ნაცვალსახელებს, ამ შემთხვევაში უნდა მივმართოთ ტერმინს **სუპლექტივიზმი**, ყველა ქართველურ ენაში (და სხვაგანაც) ორი სრულიად სხვადასხვა ძირის გამოყენებას რომ გულისხმობს ბრუნვის პროცესში (სახელობითის ფუძეს უპირისპირდება ე. წ. ირიბ ბრუნვებში წარმოდგენილი მეორე ფუძე!).

ნ. ჩართოლანს შედარებით ახალ მოვლენად მიაჩნია **ალ** ნაცვალსახელის მსაზღვრელად გამოყენებისას ირიბი ბრუნვებისთვის **ამ**-ფუძის პარალელურად სახელობითის კანონზომიერი **ალ** ვარიანტის ხმარება (იხ. გვ. 126), მაგრამ, თუ ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილ ბალსქემოურ (ძველი სვანური ხალხური სიმღერებიდან) და ლენტეხურ (თანამედროვე ცოცხალი მეტყველებიდან) მონაცემებსაც გავიხსენებთ, სადაც პირუკუ პროცესთან გვაქვს საქმე (სახელობით ბრუნვაშივე გამოიყენება **ამ** ძირი **ალ**'ის პარალელურად!), მაშინ ალბათ აქ უფრო ღრმა ანალიზის ჩატარება დაგვჭირდება, რასაც მომავლისთვის გადავდებთ პრობლემის სირთულის გამო.

სვანურ ენაში, კითხვითი მწ-მ („რა“?) ნაცვალსახელის პარადიგმებში, თითქოს ისეთი ვითარება ჩანს, რომელიც ისტორიულად შესაძლოა მიუთითებდეს **ეჯა** („ის“) ნაცვალსახელის სუპლექტივიზმზე. პირველ პირთან სიახლოვის გადმომცემ ვითარებითის **ამწარ'დ** < ***ა-მა-ნაირ-დ** („ამად, ამისად, ამისთვის“) ფორმას, რომელსაც დღეს **დესტინატივის** ფუნქცია აქვს (ვ. თოფურია თავის დროზე ამ ბრუნვას **მიზნობრივს** უწოდებდა – იხ. მისი „პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელები ქართველურ ენებში“, 1979), ალბათ დეიქსისის თვალსაზრისით უპირისპირდება **იმწარდ** < ***ი-მა-ნაირ-დ**, მაგრამ ის სემანტიკურად არასუპლექტური **ეჯანარდ** („იმად, იმისად, იმისთვის“) ფორმის ტოლფარდი კი არ არის დღეს, არამედ კითხვითი ნაცვალსახელია („რად? რისად? რისთვის? რატომ?“), თუმცა სპეციალურ ლიტერატურაში (მ. ქალდანია,

გ. მაჭავარიანი) არის მცდელობა მათი ერთმანეთთან დაკავშირებისა არამხოლოდ ფორმის თვალსაზრისით. საგულისხმოა, რომ 1965 წელს შექმნილ გამოკვლევაში „სვანური ენა“, ვ. თოფურიას იმწარდ კითხვითი იწარ („ვინ?“) ნაცვალსახელის პარადიგმებში შეაქვს ვითარებითი ბრუნვის ფორმად (2002: 175)⁹², ხოლო პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელებისადმი მიძღვნილ უფრო ადრინდელ (1945 წ.) ნაშრომში იგი წარმოდგენილია ბალსზემოურ მასალაში, ბალსქვემოურსა და ლაშხურ-ლენტეხურში კი მას ცვლის არასუპლექტური ეჯწარ/ეჯ-დ („იმად, იმისად, იმისთვის“) ფორმა (თოფურია 1979: 232).⁹³ როგორც ჩანს, ვ. თოფურიამ თავადვე დაადასტურა რომელიმე მოხუცი მთქმელის მეტყველებაში მიზნობრივი (= ვითარებითი) ბრუნვის სუპლექტური ფუძე სწორედ ეჯა („ის“) (და არა რომელიღაც სხვა!) ნაცვალსახელის პარადიგმატულ სისტემაში. ამიტომ ნ. ჩართოლანის კატეგორიული ტონი („იმა ფუძე იხმარება სვანურში, მაგრამ იგი მხოლოდ შამ „რა“ კითხვითი ნაცვალსახელის მოთხრობითსა და ირიბ ბრუნვებშია გამოყენებული და არსად არ ენაცვლება ეჯა ფუძეს, არ იმყოფება ოპოზიციაში ამა ფუძესთან“ – გვ. 137) ისევე უხერხულია, როგორც ალ. ონიანის შემთხვევაში გვქონდა (იხ. წინამდებარე წიგნი, გვ. 122, 138).

ნ. ჩართოლანი საფუძვლიანად მსჯელობს ეჯა („ის“) ნაცვალსახელის პარადიგმატული სისტემის გ. მაჭავარიანისეულ (1960 წ.) რეკონსტრუქციაზე (სახ. *ეჯე, შდრ. ძვ. ქ. ეეე, მოთხ. * σ -მა-ნ σ , მიც. * σ -მა-ს, ნათ. * σ -მიზ < σ -მა-იშ || σ -მ-შა < * σ -მა-მშ-ა⁹⁴), ძირითადად იზიარებს მას, როგორც მორფონოლოგიური შესატყვისობის ბქონეს დანარჩენ ქართველურ ენებთან, თუმცა მაინც ექვის ქვეშ აყენებს საკითხს ეჯა⁹⁵ ს სუპლექტური ბუნების შესახებ, თუნდაც ისტორიულ ასპექტში (იხ. გვ. 136-137), რადგანაც, მისი თეორიის მიხედვით, დეიქსისს თავსართული ხმოვნები მხოლოდ ქართულ-ზანურში გამოხატავენ, სვანურში კი ამისთვის ურთიერთგანსხვავებული ფუძეები არსებობს.

⁹² თუ წიგნის ბეჭდვისას დაშვებული ლაფსუსი არა!

⁹³ სპეციალურ ლიტერატურაში ამისთვის რატომღაც დღემდე არავის მიუქცევია ყურადღება, თუმცა ქართველურ ენათა ნაცვალსახელების წარმოებისა თუ ბრუნვის შესახებ რამდენიმე დისერტაცია იქნა დაცული.

⁹⁴ არა გვეონია, ნათესაობითის -შა მომდინარეობდეს -შა⁹⁶სგან, მაშინ -აი-კომბინაციისგან გრძელი ხმოვანი (ჲ ან ბ) უნდა მიგველო, რომელიც არ რედუცირდებოდა.

§ 2. მაია კვეზერელი-კოპაძე

მაია კვეზერელი-კოპაძის ქართველოლოგიური სტატიები, ძირითადად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებშია გამოქვეყნებული. მან მონოგრაფიულად (დისერტაბელურად!) შეისწავლა რიცხვითი სახელი, როგორც მეტყველების ნაწილი, ქართულ-სვანურ-მეგრულ-ლაზურ ენებში, ოღონდ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით შესაბამისი პუბლიკაცია (მონოგრაფიის სახით!) არ მოგვეპოვება. საშური კია, რადგანაც სხვა ლინგვისტთა შრომებში ჩვენი საანალიზო პრობლემა მონოგრაფიულად არ დამუშავებულა. თავისთავად ცხადია, ეს ეხება სვანურ ენასაც.

დისერტანტი საგანგებოდ მსჯელობს ქართველურ რიცხვით სახელთა წარმოშობა-წარმოებაზე, მათ შინაარსობრივ ჯგუფებზე, სხვა ენებთან ტიპოლოგიურ პარალელებზე, რიცხვისა თუ ბრუნვის კატეგორიებზე. „გრამატიკული რიცხვი სახელისა ან ზმნისა საპირისპირო ფორმათა თანაარსებობის ნიადაგზე შემუშავებული კატეგორიაა, არითმეტიკული რიცხვი კი სახელია, რომელიც გრამატიკული რიცხვის გაგებას მოკლებულია. მართალია, რიცხვით სახელს შეიძლება მრავლობითის ფორმაც ჰქონდეს (შვიდი/შვიდნი), მაგრამ ეს არის მხოლოდ ფორმალური მრავლობითი“ (შანიძე 1973: 47). ამ თვალსაზრისით მ. კვეზერელი-კოპაძე დეტალურად განიხილავს ძველი ქართული ენის, თანამედროვე ქართული დიალექტებისა თუ უმწერლობო ქართველურ ენათა მონაცემებს და დაასკვნის:

„რიცხვითი სახელის სემანტიკა გრამატიკული რიცხვის მნიშვნელობას არ საჭიროებს. იქ, სადაც რიცხვითი სახელი მრავლობითის ფორმით გვხვდება, დუბლირებულია რაოდენობის მნიშვნელობა, რასაც საბოლოოდ რიცხობრივი დაპირისპირების ნეიტრალიზაციამდე მივყავართ“ (კვეზერელი-კოპაძე 1984: 98), ოღონდ შევნიშავთ, რომ ლა- - ა კონფიქსით ნაწარმოები სახელები მხოლოდ რიცხვში რიცხვით სახელთან ჩვენ მიერ გაანალიზებულ მასალაში არ დადასტურდაო (იქვე: 97), რომ წერს მკვლევარი დიდი სიფრთხილით, ასეც უნდა ყოფილიყო, რადგანაც საანალიზო კონფიქსი თავისი სემანტიკით პლურალიზმის შინაარსის გადმომცემია. იმის აღნიშვნა, რომ „არსებითი სახელი მწრე „კაცი“ ყველა რიცხვით სახელთან ოდენ მხოლოდით რიცხვში შეგვხვდაო“ (იხ. გვ. 95), შეუძლებელია.

ლია, იმდენად ხშირად ენაცვლება ერთმანეთს სვანურ პუბლიკაციებშიც და თანამედროვე ცოცხალ მეტყველებაშიც ერთიც და მეორეც (სემი მარე || მარწლ აჩადხ – „სამი კაცი || კაცები წავიდნენ“).

ვალკეული სტატიები აქვს მიძღვნილი მ. კვეზერელ-კოპაძეს რაოდენობითი და რიგობითი რიცხვითი სახელების რეკონსტრუირებულ ფორმებისადმი პრექართველური ენის დონეზე (1985 წ.). მეტად საყურადღებოა დისერტანტის მოსაზრება სვანური მერმე („მეორე“) და ქართული მერმე („მომავალი, მომდევნო, შემდეგი, სხვა“) ლექსემათა ურთიერთკავშირის შესახებ (1985: 186), თუმცა საკმაოდ რთულად გვეჩვენება მე-ორ-ე („მერვე“) ს წარმომავლობა *მე-ორ-ე („მეორე“) ფუძისაგან (იხ. გვ. 189).

ორივე სტატიაში დეტალურადაა განხილული რიცხვით სახელთა მარტივი ფუძეები, რომელთა გენეზისზე მსჯელობისას ავტორი, ძირითადად, ეყრდნობა თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის სონანტთა თეორიას, მაგრამ ხშირად იშველიებს გ. კლიმოვის ეტიმოლოგიებსაც. მეტად საინტერესოა მ. კვეზერელი-კოპაძის დამოკიდებულება ლექსემა ჩხარა („ცხრა“) ს გააზრებისადმი სხვა მკვლევართა მიერ:

„ჩვენთვის არ არის მთლად ნათელი, რატომ არის აუცილებელი *ცხრა ფორმის გვერდით *ცხრა ს აღდგენა უმარცვლო [რ] ელემენტით და ზანურ-სვანური არეალისთვის პირველი ფორმის მიკუთვნება? ხომ ცნობილია, რომ ნებისმიერი მარცვლოვანი სონანტი ქართულში გაუმარცვლოებას განიცდიდა! – ასე უნდა მომხდარიყო ქართულის ცხრა ფორმაშიც. მიუხედავად იმისა, რომ თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი და გ. კლიმოვი სხვადასხვა ამოსავალ ფორმას აღადგენენ, არსებითად მათი ინტერპრეტაცია ერთმანეთისგან არ განსხვავდება. მეგრულ ჩხორო ს და სვანურ ჩხარა ში წარმოდგენილ ო და ა ხმოვნებს მივიჩნევთ სონანტთა ვოკალიზაციად თუ ანაპტიქსურ ხმოვნად, ფაქტია, რომ ეს ხმოვანი რ ს წინ ჩნდება; ამიტომ უფრო ბუნებრივია, იგი სონანტის ვოკალიზაციის რეზულტატად იქნეს მიჩნეული“ (1985: 85-86).

კიდევ უფრო დამაჯერებელია მკვლევრის მსჯელობა სვანურ აემდ („ათი“) რიცხვით სახელთან დაკავშირებით: ქართული ათისგან სვანური აემდ ფუძის მიღებაში მთავარ როლს თამაშობს სახელობითი ბრუნვის მორფემა, რომლის პალატალურმა ბუნებამ განსაზღვრა ძირისეულ ხმოვანთა შეცვლილი (ქართ. ა – სვან. ე) ვარიანტი. ასე რომ, მეზობელ წინაენისმიერ თანხმოვანთა მაპალატალეზი გავლენა

(იხ. მელიქიშვილი ი. 1981: 82, ქალდანი 1969: 141-142) „აქ არაფერ შუა-შია“, მ. კვეზერელი-კოპაძის აზრით (იქვე: 87). ეს რომ ასეა, კარგად ჩანს მწარე („კაცი“) ს ტიპის სიტყვათა მიცემითი, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვების ფორმებიდან (მწარა, მწაროშჷ < მწარაჷშ, მწარად) სადაც სწორედ იმიტომაც დაცული ამოსავალი ა- ხმოვანი, რომ შესაბამის ბრუნვათა მორფემები არ შეიცავენ პალატალურ ფონემას, ანუ არ იქმნება საუმლაუტო პოზიცია, იმედ („ათი“)ის შემთხვევაში კი, როგორც ჩანს, განხორციელდა პარადიგმატულ ერთეულთა გასწორება სახელობითში დადასტურებული ფუძის მიხედვით (კარგი იქნებოდა, რომ ამაზეც გაემახვილებინა ყურადღება დისერტანტს!).

რამდენადმე გულუბრყვილოდ გვეჩვენება ქართულ-ზანური ას-ი/ოშ-ი რიცხვითი სახელის შესაბამის სვანურ ეკვივალენტში წარმოდგენილი აუსლაუტის სონორის ახსნა: აშირ < *აშ-ირა⁹⁵ („ასი იქნება“) ან აშ-არი („ასი არის“). კი, მაგრამ უძველესი მარტივი ენობრივი ერთეულების ისტორიის ასახსნელად მეთოდოლოგიურად შესაძლებელია ამოსავალში მთელი წინადადების ვარაუდი თუნდაც ფრთხილი ჰიპოთეზის (იხ. გვ. 89) შემთხვევაში?

სპეციალისტთა ყურადღებას იქცევს, აგრეთვე, თსუ ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს შრომების XII ტომში (1986 წ.) გამოქვეყნებული სტატია „უძველესი ინდოევროპულ-ქართული კონტაქტებისათვის“, რომელიც საერთოქართველურ *ოთხო („ოთხი“) და საერთოინდოევროპულ *oktō'u* („რვა“) ფუძეთა სავარაუდო ურთიერთობის სიმწელებს ეხება. დისერტანტი დეტალურად გვიხსნის გარკვეულ სირთულეებს და გვთავაზობს, ინდოევროპული ძირი *oktō'u* („რვა“) დავუკავშიროთ ქართულ მ-ტკავ-ელ-, მეგრულ ტკოუ-, ლაზურ მ-ტკო- და სვანურ კამ-გლ ფუძეებს. მას შესაძლებლად მიაჩნია *ტკაჷ-/ტკოჷ-ძირის აღდგენა საერთოქართველურ (და არა მხოლოდ ქართულ-ზანური ერთიანობის – იხ. Климов 1964: 138) დონეზე (კვეზერელი-კოპაძე 1986: 172).

ერთი სიტყვით, მ. კვეზერელი-კოპაძის ნაშრომებში მეტად საყურადღებო კომპარატივისტული მიგნებები გვაქვს სვანური ენის რიცხვით სახელთა ძირებთან დაკავშირებით, მაგრამ, რაკი ჩვენი წინამდებარე წიგნისთვის ამჯერად უფრო მნიშვნელოვანია ამ მეტყველების ნაწილის პარადიგმატული ერთეულები სხვადასხვა ბრუნვაში, ამიტომ განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ 1987 წელს გამოქვეყნებულ

⁹⁵ აშ-ირა და *აშ-არი უღეფისოდ სჯობდა, რადგანაც საქმე სინტაგმასთან გვაქვს.

სტატიას „რიცხვითი სახელი კომპოზიტის ნაწილად საერთოქართველურ ენასა და ცალკეულ ქართველურ ენებში“:

სრულიად ვეთანხმებით ავტორს იმაში, რომ თითქმის შეუძლებელია ფუძემენის დონეზე ატრიბუტულ კომპლექსთან მომდინარე კომპოზიტების აღდგენა, მაგრამ, რაკი მის სადისერტაციო თემის ხელმძღვანელს ჰქონდა ამგვარი მცდელობა (იხ. Gigineishvili B., Die Reihenfolge der khartwelische Grundsprache, 5-th International Conference of historical linguistics, Galway 'Irland', 1981), თავად დისერტანტიც შეეცადა, გარკვეული კვლევა ეწარმოებინა ამ მიმართულებით. ის მხარს უჭერს სპეციალურ ლიტერატურაში გავრცელებულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ კომპოზიტებში ყველა ქართველურ ენაში ოდენ ფუძის სახით წარმოდგენილ რიცხვით სახელს პირველი ადგილი უკავია (თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა!). ასეთი მასალა ყველაზე მეტია ქართულში, შედარებით ცოტაა მეგრულ-ლაზურში, ხოლო სვანურ ტექსტებში საერთოდ არ დადასტურდაო. მ. კვეზერელ-კოპაძეს მოაქვს თანამედროვე ცოცხალი მეტყველების ნიმუშები (1987: 70): **სემილგჳიშხ** („სამფეხიანი“), **სემილგჳა** („სამფა“⁹⁶), **ჩხარალგთეი** („ცხრათვალისანი“), **ჩხარალგთხჳიშ** („ცხრათავიანი“), **ერდგჳილ** („ერთგული“). ავტორს მივუთითებთ, რომ თითოეული მათგანი გვხვდება ამა თუ იმ სვანურ პუბლიკაციაში. კარგი იქნებოდა, მ. კვეზერელ-კოპაძეს საგანგებოდ ემსჯელა **სემილგჳიშხ** ან **სემილგჳა**’ს შესახებ – მათი პირველი კომპონენტიც ოდენ ფუძე, ანუ წრფელობითი ბრუნვაა? მაშინ როგორი იქნებოდა ინლაუტური -ი- ხმოვნის კვალიფიკაცია?

გარდა ამისა, „სვანური ენის ქრესტომათიიდან“ მოყვანილ ლენტეხურ კომპოზიტს **მერზი-სემი** (1978: 303, 20 „ორი-სამი“) უკავშირო რო კომპოზიტს ვერ ვუწოდებთ, რადგანაც მისი ორთოგრაფიული სახე (დეფისი!) აუცილებლად მიანიშნებს **ი** („და“) კავშირის არსებობაზე. ბალსზემოური ან ლაშხური დიალექტის მასალა რომ ყოფილიყო, აუცილებლად გვექნებოდა **მორზი-სემი** („ორი და სამი“). ამ შემთხვევაში დეფისი შეიძლება არც გამოგვეყენებინა, რადგანაც ინლაუტური -ი გრძელი ხმოვანია (<^{*}**მორი**+**ი**... „ორი და...“).

⁹⁶ მ. კვეზერელი-კოპაძის თარგმანს („სამპირი“) ეს სჯობს (უფრო ზუსტი იქნებოდა „სამფიანი“!).

§ 3. კახა გაბუნია

1998 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის p. 10.02. CN#4 სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად კახა გაბუნია დაიცვა დისერტაცია თემაზე „ბრუნვათა სისტემები ქართველურ ენებში (დიაქრონიული ანალიზი)“, რომელსაც მთავარ ლაიტმოტივად გასდევს ერთ-ერთი ზოგადლინგვისტური დებულება იმის შესახებ, რომ „**მორფოლოგიური კატეგორიის განსაზღვრა სინტაქსურ კრიტერიუმზე დაყრდნობით დაუშვებელია**“ (გაბუნია 1998: 16), ამ კრიტერიუმთა აღრევას კი არაერთხელ ჰქონია ადგილი ქართველოლოგიაში, მათ შორის სვანური ენის ბრუნების სისტემის კვლევისას.

დისერტანტი პრეპარტველურ დონეზე გამოყოფს **შვიდ ძირითად ბრუნვას** (წრფელობითი, სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი, ვითარებითი), რომელთა მორფემებს ყოველთვის აქვთ ფონეტიკური შესატყვისობანი ქართულ-ზანურ-სვანურში. ამ მხრივ თითქოს ერთგვარ დისონანსს ქმნის მოქმედებითი ბრუნვა, სადაც ქართულ-მეგრულ-ლაზური მწყობრ სისტემად გვევლინება (ქართულ-მეგრული -**ით**, ლაზური -**თე**), სვანური კი განზე დგას, თუმცა გ. თოფურიას⁹⁷ მოსაზრებაზე დაყრდნობით (სვანური **ჟშ < ჟშდ**), მკვლევარს ჰგონია, რომ არც მოქმედებითი ბრუნვაა გამოწვეული ფონემატურ შესატყვისობათა მხრივ (იხ. გვ. 21). ვფიქრობთ, ეს თვალსაზრისი არ არის მარტივად მისაღები, რადგანაც, როგორც წესი, აუსლაუტში მოქცეული -**დ** თანხმოვანი სვანურში არ იკარგვის (**დ > თ > Ø** პროცესი ჩვეულებრივია მხოლოდ ქართულ-ზანურისათვის!) და, მეორეც, დავუშვათ, ენაში არსებული ვითარების გაუთვალისწინებლად (**ჩე!**) ავხსენით ქართ. **თ > სვან. შდ** ფონემათშესატყვისობა, ქართულ-ზანური -**ი** ხმოვნისა და სვანური -**ჟ** სონანტის ურთიერთიმართება დაბრკოლება არ არის?! მიუხედავად ზემოაღნიშნული მსჯელობისა, კ. გაბუნია აშკარად გრძნობს საკითხის სირთულეს და საკმაოდ ფრთხილ დასკვნას აკეთებს: „ბრუნვათა მორფემები უმეტეს შემთხვევაში ფონეტიკურად ერთიმეორეზე დაიყვანება, თუმცა ზოგჯერ ამგვარი დაკავშირება მეტად ჭირს; მაგალითად, სვანური მოქმედებითის, აგრეთვე, მოთხრობითი ბრუნვის შემთხვევაში სამსავე ქართველურ ენაში“ (იხ. გვ. 44).

⁹⁷ ეს მოსაზრება უფრო ადრე ჰქონდათ თ. შარაძენიძესა და კ. ჰ. შმიდტს.

მეტად საინტერესოა, აგრეთვე, კ. გაბუნია მსჯელობა მიცემით-ვითარებით (ე. წ. „წერტილოვან“ – „ხაზოვან“, ჰ. ფოგტი) ბრუნვათა მიერ **ლოკატივისა** (ზოგადად – ადგილის), როგორც ფართო ცნების, და **ლატივის** (მომრაობის სასრული პუნქტის), როგორც ვიწრო ცნების, სადემარკაციო სემანტიკის გამოხატვის თვალსაზრისით (იხ. გვ. 24).

კ. გაბუნია აზრით, მოქმედებითი, ვითარებითი და მიცემითი ბრუნვები სამწვერიან ოპოზიციურ სერიას ქმნიან, რომელშიც ყოველი წევრი მარკირებულია: მოქმედებითი ბრუნვა საწყისობის სემანტიკის მარკერია, ვითარებითი – სასრულობის სემანტიკისა, ხოლო მიცემითი ბრუნვა ამ თვალსაზრისით ნეიტრალურია; შდრ. **ჰ. ფოგტის ლოკალურ ფორმათა დაჯგუფების ბინარული პრინციპი**, რომლის პარადიგმატული რიგის გამაერთიანებელი ნიშანია „**დამოწმება ~ არდამოწმების**“ **სემანტიკური კრიტერიუმი**, ხოლო ოთხი ბრუნვა (ნათესაობით-მოქმედებითი, ერთი მხრივ, და მიცემით-ვითარებითი, მეორე მხრივ) ორ რიგშია განაწილებული (ფოგტი 1968).

კ. გაბუნია ნაშრომში მოცემულია ცდა, აღდგეს თითოეული ბრუნვის მორფოლოგიური ფუნქცია პრეპარტველურ დონეზე, რომელსაც სემანტიკური გადააზრიანებისა თუ სხვა ტიპის ცვლილებათა შედეგად მიღებული აქვს სრულიად განსხვავებული, ზოგჯერ ურთიერთდაპირისპირებული მნიშვნელობებიც კი სინქრონიულ დონეზე.

დიდ მადლობას მოვასხენებთ ახალგაზრდა კოლეგას, შესანიშნავი ქართველოლოგის, აკადემიკოს ბესარიონ ჯორბენაძის მოწაფეს კახა გაბუნიას ჩვენი ღვაწლის ესოდენ მაღალი შეფასებისთვის. მოვიყვანთ ვრცელ ამონარიდს მისი მონოგრაფიიდან არა მცოვან მასწავლებელთა მამებლური პოპულარიზაციისათვის, არამედ ახალგაზრდა მკვლევართა დიდაქტიკური საწყისების საჩვენებლად:

„სახელთა ბრუნების პროცესი ქართველურ ენებში მორფოლოგიის ერთ-ერთ ურთულეს უბნად რჩება. ამ საკითხისადმი მიძღვნილ ნაშრომთა სიმრავლის მიუხედავად, რომლებიც ზოგადად ბრუნვათა სისტემებს, ამა თუ იმ ბრუნვის გენეზისისა და ფუნქციონირების პრობლემებს ეხება, მხოლოდ რამდენიმე გამოკვლევა შეიძლება დავასახელოთ, რომლებშიც ბრუნვათა სისტემები სწორედ სისტემური თვალსაზრისით იქნებოდა განხილული... სვანური ენის ბრუნვათა სისტემის დიაქრონიული ანალიზი სრულყოფილად და წარმოდგენილი ი. ჩანტლაძის მონოგრაფიაში „ქართველოლოგიური ძიებანი“. აღვნიშნავთ, რომ მთელი რიგი საკითხების კვლევისას

ძირითადად ვეყრდნობოდი თ ი. ჩანტლაძის მიერ სვანური ენის მასალაზე გაკეთებულ დასკვნებს... ნაშრომში ორფუძიანი ბრუნების საფუძვლიანი ანალიზია წარმოდგენილი; მასში გაკეთებული ძირითადი დასკვნები და, შესაბამისად, ილუსტრირებული მასალა, მეტად გამოგვადგა ჩვენი გამოკვლევის სვანური ნაწილის ანალიზის პროცესში“ (გაბუნია 2007: 2, 33, 159).

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ჩემი (1990 წ.) და ვ. გაბუნიას (1998 წ.) დისერტაციები ეხებოდა ქართველურ ენათა ერთ-ერთი ფუნდამენტური პრობლემის სხვადასხვა ასპექტებს, ამიტომ, ბუნებრივია, რომ აღმოგვაჩნდა შემხები კვლევითი წერტილები. მხოლოდ ქება რომ არ გამოგვივიდეს, შენიშვნებითურთ მიმოვიხილავთ ახალგაზრდა კოლეგის მეტად საყურადღებო ნაშრომს:

მონოგრაფიაში „ბრუნვათა სისტემები ქართველურ ენებში“, უპირველეს ყოვლისა, მოცემულია ვრცელი მსჯელობა ბრუნვის, როგორც მორფოლოგიური (და არა – სინტაქსური!) კატეგორიის შესახებ და განხილულია როგორც ცნობილ ქართველოლოგთა (ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, გ. მაჭავარიანი, ვ. დანელია, ბ. ჯორბენაძე), ისე ზოგადი ენათმეცნიერების არანაკლებ ცნობილ სპეციალისტთა (ლ. იელმსლევი, ვ. შმიდტი, რ. იაკობსონი, დ. შტერლინგი, ე. ბენვენისტი, ლ. შჩერბა, ვ. ვინოგრადოვი, ა. სობოლევსკი, ვ. ბრონდალი, გ. გლისონი, მ. დოიჩბანი, ვ. იარცევა, ჯ. ლაიონზი,...) თეორიები ამ თვალსაზრისით, რის საფუძველზეც, მეთოდოლოგიური იმანენტის პრინციპიდან გამომდინარე, ვ. გაბუნია დაასკვნის:

ბრუნვა არის მორფოლოგიური კატეგორია, რომელიც სულ მცირე ორი განსხვავებული ფორმის შეპირისპირებას ეფუძნება; მისი პრინციპები (როგორც ფორმოზრივი, ასევე სემანტიკური) საერთოა ყველა შეპირისპირებული ფორმისათვის, სადაც სხვაობას ერთი გრამატიკული ნიშანი (ბრუნვის მორფოლოგიური ფუნქცია) ქმნის (გვ. 39)... ბრუნვის კონტექსტური მნიშვნელობების კონა იძლევა გარკვეულ სპექტრს, რომლიდანაც გამოირჩევა მხოლოდ ამ ბრუნვისათვის დამახასიათებელი გრამატიკული მნიშვნელობა, პარადიგმის სხვა წევრებთან რთულ პოლივალენტურ მიმართებებს რომ ქმნის (გვ. 184).

მეტად საინტერესოა ვ. გაბუნიას მსჯელობა სვანურ პირისა და ჩვენებით ნაცვალსახელთა სუპლექტივიზმის შესახებ (გვ. 147-149). კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ მან ყურადღება მიაქცია ვ. თოფურისა

მიერ დასახელებულ ბალსზემოურ ფორმას **იმნარდ**, რომელიც **ეჯა** („ის“) [და არა **მან** („რა“)?] ნაცვალსახელის პარადიგმატულ სისტემაში შედის სხვა დიალექტთა არასუპლექტური **ეჯნარდ**, **ეჯდ** („იმად, იმისთვის“)’ის ადგილას. როგორც აღვნიშნეთ, ეს მოვლენა თავის დროზე (1985 წ.) შენიშნა ნ. ჩართოლანმა (სხვას რატომღაც მანამდე ამის შესახებ არაფერი უთქვამს!), ამიტომაც მასზე დეტალურად აღარ შევჩერდებით.

კ. გაბუნია ეკამათება იმ მკვლევრებს, რომლებიც უარყოფენ უნიშნო ფორმის (განუსაზღვრელობითის/წრფელობითის), როგორც დამოუკიდებელი ბრუნვის, გამოყოფის შესაძლებლობას არათუ სინქრონიულ დონეზე, არამედ ძველ სალიტერატურო ქართულშიც კი. სხვადასხვა ტიპის პარადიგმათა ანალიზის შედეგად მონოგრაფიაში განუსაზღვრელობითი ბრუნვა სამსავე ქართველურ ენაში ბრუნვათა თანამედროვე სისტემის სრულუფლებიან წევრადაც კია გამოცხადებული პრივატული ოპოზიციის (უნიშნო-ნიშნიანი) არსებობის დაშვების საფუძველზე. „ცალკეულ ენებად საერთოქართველური ფუძემდის დიფერენცირებამდე უნდა მომხდარიყო განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის სემანტიკური კატეგორიის მარკირება: **ერთმანეთს დაუპირისპირდა**, ერთი მხრივ, რიცხვის მიხედვით განურჩეველი, სახელური მნიშვნელობის გამომხატველი (მთელი თავისი ზოგადობით), მინიმალურად გრამატიზებული (ფოგტი 1968: 253) **წრფელობითი** (resp. **განუსაზღვრელობითი**) და მადეტერმინებული (**განსაზღვრებითი** ფუნქციის მქონე), ამ ეტაპზე უკვე ჩვენებითობის ფუნქციადაკარგული -**ი** (||-ე) ხმოვნით გაფორმებული **სახელობითი ბრუნვები**“ (გვ. 186-187).

ვფიქრობთ, -**ი** და -**ე** მორფემათა ერთმანეთის პარალელურად წარმოდგენა არც ისტორიულ სვანურში და არც ლაზურში გამართლებული არ უნდა იყოს – ჯერ ერთი, ისინი სხვადასხვა ფუძეებთან იხმარებოდა, და, მეორეც, ივანე ჯავახიშვილისადმი მიძღვნილ კრებულში „არილი“ ა. შანიძე საუკუნის წინ აღნიშნავდა: „შეიძლება მართლაც აღმოჩნდეს, რომ **ი** ან **უფრო ე** გარკვეულ შემთხვევებში განსაზღვრული ნომინატივის ნიშანი იყოს... ასეა თუ ისე, ამ „უტყვი“ ხმოვნების ხმარებას ძველად თავისი საფუძველი უნდა ჰქონოდა. თუ მართალია, ვთქვათ, რომ სვანურსაც ერთ დროს ნომინატივის ფორმის განსაზღვრელი ნიშანი **ე**⁹⁸ ან **ი** მოეპოვებოდა, რომელიც შემდეგ დაეკარგა, მაშინ, რა თქმა უნდა, გასაგები გახდება უმლაუტი სახელთა ფუძეების

⁹⁸ აქედანაც ჩანს, რომ ა. შანიძე სახელობითი ბრუნვის მორფემებს შორის უპირატესობას სწორედ -**ე**-ს ანიჭებდა.

ბოლოკიდურ დახურულ მარცვლებში მხოლოდითი რიცხვის სახელობით ბრუნვასა და მრავლობითის -არ(-ალ) სუფიქსში, მაგრამ ჯერ, სამწუხაროდ, არ არის სვანური ხალხური სიმღერები საკმაოდ შეკრებილი და სპეციალურად შესწავლილ-გამოკვლეული, რაც გვავალებს ფრთხილად ვიყვნეთ და თავი შევიკავოთ ნაადრევი დასკვნებისაგან“ (1924/1981: 364).

ამის შემდეგ, 1927 წელს, „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბის“ VII ტომში დაიბეჭდა ვ. თოფურიას ძალზე მნიშვნელოვანი სტატია „სახელთა დაბოლოების ისტორიისათვის სვანურში“, სადაც მეტი მასალით გამდიდრდა ა. შანიძის ვარაუდი სახელობითი ბრუნვის -ო მორფემასთან (ლაშგარ-ი „ლაშქარი“, ჭიშჭიშდარ-ი „ჭიშჭიშდარი, გამომცხვარი ყველჩართული მჭადი ან მჭადისმჭადი-ფეტვი“, აბჯარ-ი „აბჯარი“, ატლას-ი „ატლასი“, ზაგარ-ი „მთა“, ტუბ-ი „ტბა“) დაკავშირებით, მაგრამ არც ერთი მათგანი -ე მორფემიანი არ ყოფილა სახელთა მხოლოდითი რიცხვის ფორმებში. რაც შეეხება ა. შანიძისეულ მრავლობითი რიცხვის -არე დაბოლოებიან მონაცემებს (ღვაჟ-არ-ე „კაცები“, თოფ-არ-ე „თოფები“, პილ-არ-ე „პირიანები“), მათ ვ. თოფურიამ დაუმატა ახალი მასალები (ფაყუ-არ-ე „ქულები“, ძლუდ-არ-ე „ზღუდეები“, ჯან-არ-ე „ხარები“, ყიფ-იან-არ-ე „ყიფიანები“, მახ-ამ-არ-ე „მახაშლები“), მაგრამ მხოლოდითი რიცხვის გეზალ-ე („შვილი“), მურყუამ-ე („კომკი“), ზურალ-ე („ქალი“), ხეშნაჟრ-ე („ბეგთარი“), ხანგარ-ე („იარაღი“), მგჟალ-ე („მუჟალი“), იფარ-ე („იფარი“), ნაჟერძან-ე („ნავერიანი“), დალ-ე („დალი“ – ნადირობის ქალღმერთის სახელწოდება)ს ანალოგიური მაგალითები გამოვლინდა მხოლოდ ჩვენს საკანდიდატო დისერტაციაში (Чантлаძე 1969: 6-13; იხ. აგრეთვე, ჩანტლაძე 1973: 267-272). ამ მხრივ საყურადღებოა ვ. თოფურიას ერთი შენიშვნა: „მრ. რ. სახ. ბრუნვაში -ეს გამოყენება ხალხური ლექსების მიხედვით, თუ მეტს არა, ყოველ შემთხვევაში არანაკლებ შესამღებლობას ჰხადებს, რომ სასწორი ესკენ გადავხაროთ და იგი გამოვაგზადოთ სახ. ბრ. დაბოლოებად მხოლ. რიცხვშიაც, – მაგრამ ესეც ერთის შეხედვით... დღევანდელი და დროით ცოტა ადრინდელი სვანურისათვის მხ. რ. სახელობითი ბრუნვის ფორმალ კუთვნილებად ჩვენი -ო მივიჩნიეთ, რაც დაგვიდასტურეს ნასესხებმა სიტყვებმა, სიტყვაწარმოებამ და ხალხურმა ლექსებმა. არნ. ჩიქობავა ცდილობდა მრ. რ.-ის -ე სვანურში ჭანურ -ესთან ერთად მხოლ. რიცხვშიაც გადმოეტანა და

ამით ქართ. -ო¹⁹სთვის მორფოლოგიური ექვივალენტი¹⁹ მოეპოვებინა: სვან. -არ-ე = ჭან. ეფ-ე. შეიძლება ეს მოსაზრება მართლაც ქართველური ენების ბრუნვათა დაბოლოების ისტორიულ-შედარებითი მეთოდით შესწავლამ გაამართლოს“ (თოფურია 2002: 22-23).

ბატონი ვარლამი ფიქრობდა, რომ სვანური ენის სახელთა მხ. რიცხვის აუსლაუტში გამოვლენილი -ე ძველი ხალხური ლექსებისა ფუძისეულია, ხოლო მრავლობითში დაცული -არ-ე დაბოლოების -ე სახელობითი ბრუნვის ნიშანია ისევე, როგორც ჭანურში, მაგრამ სწორედ ჭანურში რომაა დადასტურებული კუჩხ-ე („ფეხი“), ოსურ-ე („რძალი“), ხერ-ე („ბიჭი, ვაჟიშვილი, ბავშვი“) მხოლოდით რიცხვში? (შდრ. მეგრ. კუჩხ-ო, ოსურ-ო, თუთა-ხერ-ო „მთვარის შვილი“). დიაქრონიულად მაინც ხომ უდავოდ სახელობითის მორფემაა მხოლოდითი რიცხვის ფორმაში წარმოდგენილი -ე, რაც უნდა ფრთხილად ვთქვათ, ჭანურ-ი დიალექტის ბოლოკიდური -ე სახელობითის ო¹⁹ს ეპარალელეზაო? (ჩუხუა 2000-2003: 64). მოგვიანებით ვ. თოფურიამ მაინც დაუშვა -ე ხმოვნის არსებობის შესაძლებლობა სვანურ სახელთა ნომინატივში: „სახელობითის ძველი ვარიანტია -ე. -ო თუ -ე – ორივე მოკვეცილია და მათი კვალი ეტყობა სახელს უმლაუტიანობაში“ (თოფურია 1944/2002: 50), „სახელობითში -ო (თუ -ე) ნიშანი არა ჩანს“ (თოფურია 1954: 447), „სახელობითში -ეს გაჩენა უთუოდ შედეგია ფუძისეული -ა¹⁹ს ასიმილაციისა სახელობითის -ო, resp. -ე დაბოლოებასთან (მწარა+ო/-ე?) → მწრე „კაცი“ – იქვე: 450); ან: „ჯერ კიდევ დასაზუსტებელია, სახელობითში -ო სუფიქსი იმსგავსებს -ა¹⁹ს, თუ ოდინდელი -ე სუფიქსი“ (იქვე: 451).

თუმცა ჩვენ ვფიქრობთ, რომ მურყუამ-ე, გეზალ-ე, ზურალ-ე და მისთანა ფორმების გათანაბრება სვანურ მწრე¹⁹ს და ქვემოიმერულ-გურულ-ლეჩხუმურ ზადანე¹⁹ს ტიპის წარმოებასთან ძნელი დასაჯერებელია, რადგანაც თანამედროვე სვანურში ეს სახელები ერთმანეთისგან სრულიად განსხვავდებიან სწორედ ფორმაწარმოებისა და ბრუნების თვალსაზრისით.

ასე ვრცლად იმიტომ ვიმსჯელებთ სახელობითი ბრუნვის სავარაუდო -ე მორფემის შესახებ სვანურში, რომ კ. გაბუნიას მონოგრაფიაში „ბრუნვათა სისტემები ქართველურ ენებში“ გეზალ-ე, მურყუამ-ე, ზურალ-ე... ტიპის მასალის ანალიზი ა. შანიძეს მიეწერება (გვ. 163), ფაქ-

¹⁹ ცხადია, ძველ ციტატებში ყველგან უცვლელად ვტოვებთ ტერმინთა ადრინდელ ორთოგრაფიას („ექვივალენტი“ ეკვივალენტის ნაცვლად, „ადიდური“ ადიდურის ნაცვლად და ა. შ.).

ტობრივად კი ასე არ ყოფილა. რაც შეეხება სალექსო რიტმის მოთხოვნებით გამოწვეულ ე. წ. **უტყვ** ხმოვნებს (ა. შანიძის ტერმინოლოგიით), სადაც ყველა ხმოვანი (მათ შორის -ე'ც) შეიძლება შეგვხვდეს, ეს ინოვაცია კი არ არის, როგორც ამას ჩვენი ძვირფასი ახალგაზრდა კოლეგა მოგვაწერს, არამედ პროსოდიული მოვლენაა (და ეს მხოლოდ სვანურს არ ეხება!) – ყველა ძველ ხალხურ სიმღერაში განმსაზღვრელი სწორედ მუსიკალური მომენტი იყო, ჯერ ჰანგი იქმნებოდა, მერე კი – ტექსტი შესაბამისი რიტმის მიხედვით. ამიტომაცაა, რომ ამგვარ შემთხვევებში ყველა ხმოვანი და მარცვალიც კი შეიძლება იქნეს გამოყენებული, მათ შორის -ე'ც, რომელსაც სვანური სახელობითი ბრუნვის მორფემასთან არანაირი კავშირი არ ექნება.

ძალზე დეტალურად მსჯელობს კ. გაბუნია დეიქტურ ნაწილაკთა ისტორიის შესახებ ქართველურ ენებში (იხ. გვ. 163-171) და სპეციალური ლიტერატურისა თუ უხვი საილუსტრაციო მასალის ანალიზის საფუძველზე დაასკვნის:

„სახელობითი ბრუნვის ნიშნის -ო, -ე ალომორფები ქართველურ ენებში წარმოშობით დეიქტური ხმოვნებია და მომდინარეობენ ჩვენებით ნაცვალსახელთაგან. იგივე ელემენტები ფუნქციონირებენ ხმოვანთავსართულ ზმნისართთა და ზმნისწინთა სისტემებშიც. ე/ი ხმოვანთა ფუნქციური ჩანაცვლება ეს წარმოთქმის თავისებურებითაა განპირობებული: **დასავლურ ქართველურ ენებსა და დიალექტებში ე ვიწროა და ამიტომ გვევლინება ი ხმოვნის ფუნქციურ კორელატად**“ (გვ. 194) – ძალზე ორიგინალური და დამაფიქრებელი თვალსაზრისია!

მონოგრაფიაში „ბრუნვათა სისტემები ქართველურ ენებში“ დეტალურადაა განხილული ყველა ძირითადი თუ არაძირიადი (ე. წ. ლოკალური) ბრუნვა, სხვადასხვა კვლევებში წარმოდგენილი ბრუნვათა ნაირ-ნაირი რიგი, ყოველი მორფემისა თუ მრავალრიცხოვან ალომორფთა წარმოშობის ისტორია, თუმცა მაინც უხერხულად გვეჩვენება სვანური მიცემითისა და ერგატივის მაწარმოებლებს ვუწოდოთ „**ფსევდონიშნები**“ (იხ. გვ. 53), რაკილა მათ სხვა წარმომავლობა აქვთ.

რაც შეეხება მოთხრობითის -ემ მორფემის ძალზე იშვიათ გამოყენებას სახელთა მრავლობითი რიცხვის ფორმებში, ეს საკითხი პირველად ჩვენ დავსვით სპეციალურ ლიტერატურაში (იხ. ჩანტლაძე 1998: 111-114, 2009: 30-32) და არა კ. უსლარმა ან კ. დონდუამ (იხ. გაბუნია 2007: 158). ამასთანავე, კ. გაბუნიას აზრით, ერგატივ-მიცემითის -ე/-ამ ნიშნების ხმოვნითი ელემენტები სახელის

ფუძესთან ფონეტიკური ურთიერთმიმართების შედეგად ჩანს მიღებული (გვ. 159). თანხმობანფუძიან სახელებთან (რომელთა რაოდენობა გაცილებით ბევრია სვანურში ამ ენისთვის დამახასიათებელი ერთი ძლიერი ტენდენციის – ღიამარცვლიან სტრუქტურათა დახურულმარცვლიანებად გარდაქმნის გამო) რაღა უნდა ვთქვათ? არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ სვანური ერგატივის მორფემა არის -ემ, მიცემითისა კი -ამ (და არა -მ!), რომელიც სხვადასხვა ბრუნვის განსხვავებულ ფონეტიკურ გარემოცვაში შეიძლება წარმოგვიდგეს -ნემ (მარნემ ← *მარა+ემ „კაცმა“), -ამ (< ხოჩამ < *ხოჩა+ამ „კარგს“) ან -მ'ს (ჩაემიმ < *ჩაე-ემ-იმ „ცხენის“) სახით.

მთლად ნათელი არაა კ. გაბუნიას მსჯელობა (1998: 39-40) იმის შესახებ, რომ მან ფუძის შემადგენელმა -მ და -ნ სეგმენტებმა მოთხრობითი ბრუნვის ნიშნის ადგილი დაიკავეს: *მანა ნაცვალსახელური ფუძე სვანურ ერგატივში ხან -მ ნიშნითაა წარმოდგენილი (*მა-ნა > *-მა > -მ/-ემ/-ამ > ამ-დ), ხან -ნ'თი (*მა-ნა > *-ნა > *-ნა-ემ > -ნემ-დ) და ხანაც სავარაუდოდ -დ'თი (*მა-და > *-და > დ). ძალზე ძნელია ამგვარი ვარაუდის დაჯერება! – მეტი არგუმენტაციაა საჭირო!

დამაჯერებელია კ. გაბუნიას მსჯელობა იმის შესახებ, რომ ზედსართავ სახელს ვითარებითი ბრუნვა არ გააჩნია, რადგანაც თითქმის ყველა ასეთი ფორმა ზმნისართია და არა სახელი (2007: 42). საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ქართველურ ენათა ზმნისართებისადმი მიძღვნილი მონოგრაფიის (1993 წ.) ავტორმა ყურადღება მიაქცია ლენტეხურ პროზაულ ტექსტებში დადასტურებულ ერთ ფრაზას: გუსეინ გუინანდს აჩად (1967: 187³² 33) – „ჰუსეინი გვიან წავიდა“. მსგავსი ფორმები ჯერჯერობით არავის გაუანალიზებია სპეციალურ ლიტერატურაში, მაგრამ მაინცადამაინც დიდი ანალიზი არც კ. გაბუნიას მოუცია, ვფიქრობთ კი, რომ აუცილებელი იყო. აქ მხოლოდ ზმნისართულ ფუძესთან წარმოდგენილი მიცემითი კი არ გვაქვს, როგორც ამას გახაზავს სადოქტორო ნაშრომის (2007: 92-93) ავტორი, არამედ ზედსართავი სახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმაზე დართული მიცემითის სანი. შდრ. ძვ. ქ.: „გვან-ად ირწმუნე 'სიტყუამ', მალიად სარწმუნო იყავ“¹⁰⁰ (აბულაძე 1973: 103). თანამედროვე ქართულში ასეთ შესიტყვებებში -ად მორფემა საჭირო არ არის, ხოლო

¹⁰⁰ „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ საილუსტრაციო ციტატა მოყვანილია „მამათა ცხოვრებიდან“ (იხ. კ. კვეციანიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი A-1105: 35 რ.).

სვანურ ენაში გჷიან ზედსართავი სახელია („გვიანი“), გჷიან-დ/გჷიან-დ კი – ზმნისართი ბალსზემოურ და ბალსქვემოურ დიალექტებში; ქვე-მოსვანურში სწორედ ამ ფორმას დაერთვის მიცემითის ნიშანი (ლშხ. გჷიან-დ-ს, ლნტ. გჷიან-დ-ს „გვიან“). იგივე ვითარებაა ბალსქვემოურ-შიც (გჷიან-დ-ს).

რაკი ზმნისართის მორფოლოგიურ ანალიზს დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ნაცვალსახელის, ისე ბრუნვის ნიშანთა შედგენილობისა და ფუნქციების განვითარებისათვის სვანურ ენაში (გიგლემიანი 2014: 102), ამიტომ კარგი იქნება, თუ კვლევა მომავალშიც გაგრძელდება ამ მიმართულებით.

რაც შეეხება თანხმოვანფუძიან ან ნაგენეტივარ გეოგრაფიულ სახელთა ოდენ ფუძის გამოყენებას ლოკალური მნიშვნელობით (ლენჯარ ხუიზგე – „ლენჯერში ვცხოვრობ“), ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ არქაულ ვითარებასთან (და არა მიცემითის სანიხს დაკარგვასთან!) გვაქვს საქმე. ამგვარი მონაცემები დადასტურებულია როგორც ძველი ხალხური სიმღერების ტექსტებში, ისე თანამედროვე სვანურ (ძირითადად, უფროსი და საშუალო თაობის) მეტყველებამში, ხოლო ახალგაზრდობამ შეიძლება გამოიყენოს პარალელური (ოდენ ფუძე, უთანდებულო ან თანდებულიანი მიცემითი) ფორმები ალბათ ქართულის გავლენით. ასე რომ, ამ შემთხვევაში ქართული ენის აღმოსავლური დიალექტებისათვის დამახასიათებელ მეორეულ მოვლენასთან კი არ გვაქვს საქმე (კახეთს || კახეთ ცხოვრობს, გაზაფხულს || გაზაფხულზე || გაზაფხულ ჩადიან – იხ. უთურგაიძე 1986: 93-98), არამედ პირიქით – ისეთივე სიტუაციაა, როგორც იყო ძველ ქართულში, სადაც მიმართებანი დროსა და სივრცეში სწორედ ოდენ ფუძის სახით (და არა მარტივი ან თანდებულიანი მიცემითით!) გამოიხატებოდა. ჩვენს თვალსაზრისს ისიც ადასტურებს, რომ ამგვარ გეოგრაფიულ სახელთან ნაწილაკის წინაც კი არ აღდგება მიცემითი ბრუნვის მორფემა:

მი ჩაჟაში დემ ხვიგენი – „მი ჩაჟაშშიც ვერ დავდგები“ (სვ. პოეზ., 1939: 170¹⁷, უშგული);

დაბისგა კუბერი ჩიგჷაშუ აღაშის – „ყანაში კუბერშიც ყველაფერს თესავენ“ (სვ. პროზ. ტ., II, 1959: 227^ა, ბქვ.);

დღეობ ჴსამა ლი სასაშ-ი ქვიშ-ი, ამჟრ ხოხალ – „დღეობა თუ არის სასაშში და ქვიშშიც, ასე იციან (არს. ონ. 1917: 29^ა, ლშხ.);

თ. უთურგაიძისა და კ. გაბუნიას აზრით, უნიშნო (ფუძის სახით წარმოდგენილ) ფორმას ოდენ სახელდებითი ფუნქცია გააჩნია და სივრცული თუ დროითი მიმართებების ასახვის პროცესში მისი გამოყენება არ ხდება (2007: 93), ამიტომ მათ ზემოაღნიშნული შემთხვევებისთვის

ამოსავლად მიცემითის სუფიქსიანი ფორმები მიაჩნიათ. მაშ ძვ. ქ. **გაცისკროვნებულ** („განთიადისას“) ან „**მრავალ წელ ცხონდებიან**“ (კიმენი, I, 1918: 58, 25) რაღაა? იმასაც შევახსენებთ მკითხველს, რომ „**ლოკატივი და დროის აღნიშვნა ერთი ფუნქციის დიფერენციაციას წარმოადგენს: გადმოცემულია პუნქტი დროსა და სივრცეში**“ (შარაპენიძე 1956: 418).

როგორც თეორიული, ისე პრაგმატული თვალსაზრისით კ. გაბუნიას მონოგრაფიაში ყველაზე მნიშვნელოვანია მესამე თავი – „**ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა ქართველურ ენებში**“, მაგრამ, სამწუხაროდ, მასზე ვერ ვიმსჯელებთ არა მხოლოდ საკითხის სირთულის გამო (არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ სტუდენტ-დოქტორანტა სახელმძღვანელო შედარებით მარტივად უნდა იწერებოდეს!), არამედ იმიტომაც, რომ სვანურ სახელთა ბრუნებას ჩვენ ამჯერად მხოლოდ პარადიგმატიკის თვალსაზრისით განვიხილავთ. რაც შეეხება სინტაგმატიკას, ეს სინტაქსის საქმეა და სხვა წიგნის მსჯელობის საგანი. **ბრუნვა ჩვენთვის, უპირველეს ყოვლისა, მორფოლოგიური კატეგორიაა!..**

კ. გაბუნიას აზრით, **ბრუნვათა სისტემაში საერთოქართველური ფუძეების ცალკეულ ენებად დიფერენცირებამდევე უნდა მომხდარიყო განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის სემანტიკური კატეგორიის მარკირება**, რაც წარმართა გაცილებით ადრე, ვიდრე მოხდებოდა ე. წ. „**სინტაქსურ ბრუნვათა**“ (გ. კლიმოვი) ოპოზიციის ჩამოყალიბება. პრექართველურ დონეზევე ხდება მოთხრობითი ბრუნვის წარმოშობა, იმავდროულად სახელობითი „**იტვირთება**“ ახალი სინტაქსური ფუნქციით და ჩნდება **ერგატივ-ნომინატივის დაპირისპირება**, რამაც საბოლოო სახე მისცა ბრუნვათა თანამედროვე სისტემებს ყველა ქართველურ ენაში. უძველეს ეტაპზე უნდა არსებულებოდა სახელური ფუძე, რომელიც აბსოლუტურად დაცლილი იყო ყოველგვარი გრამატიკული მნიშვნელობისაგან და ერთადერთი ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული – გამოეხატა სახელის ლექსიკური შინაარსი. ოპოზიციურ წყვილთა არარსებობის პირობებში ეს უძველესი ფორმა უბრუნველი სიტყვა (უდეტრი) გახლდათ (ხაზი ჩვენია – ი. წ.).

კ. გაბუნიას ამ თვალსაზრისის გათვალისწინებით (რაც ჯერჯერობით არ მომხდარა სპეციალურ ლიტერატურაში!), აუცილებლად დეტალურად უნდა შევეხოთ წრფელობით და სახელობით ბრუნვათა ურთიერთმიმართების ასპექტებს სვანურ ენაში.

§ 4. წრფელობითი ბრუნვის პრობლემა სვანურ ენაში

„გვექნებოდა თუ არა სვანურ ნომინატივში *მურყჷმა-მ („კომკი“), *ფუსნა-მ („ბატონი“), ძველი ქართული ენისა და ზოგი ცოცხალი კილოს მამა-მ / დედა-მ-ს მსგავსად, სხვა საკითხია; იგი ჩვენ ამჟამად არც გვინტერესებს“ (ხაზი ჩვენია – ი. ჩ.) – განაცხადა ვარლამ თოფურამ 1926 წლის 28 დეკემბერს ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების საჯარო სხდომაზე. მას შემდეგ თითქმის საუკუნე გავიდა და, მიუხედავად ამისა, აღნიშნული საკითხით დაინტერესების სურვილი არც ერთ ქართველოლოგს არ გამოუთქვამს არც ჩვენში და არც საზღვარგარეთ. მოველოდით, რომ მასზე მსჯელობა იქნებოდა ბაქარ გინეიშვილის სტატიაში „ხმოვანთა სიგრძე და აუსლაუტის საკითხი სვანურში“ („მაცნე“, №2, 1973), მაგრამ აქაც არ გამართლდა მოლოდინი, რადგანაც ავტორმა მთელი თავისი ყურადღება გადაიტანა ხმოვანთა სიგრძეზე, თუმცა ერთი მეტად მნიშვნელოვანი მოსაზრება გამოთქვა: „საფიქრებელია, რომ სახელობით ბრუნვაში ხმოვანფუძიანი სახელები ბრუნვის მორფემის ნულოვანი ალომორფით იყვენენ წარმოდგენილნი“-ო (იქვე: 150).

იგივე მოლოდინი გვექონდა ეკატერინე ოსიძის ერთ-ერთ გამოკვლევასთან (*„Ауслаут в сванском и некоторые вопросы исторической морфологии сванского языка“*) დაკავშირებითაც, მაგრამ...

ამიტომაც გადაწყვიტეთ, გარკვეული მოსაზრებანი გაგვეზიარებინა კოლეგებისათვის:

„სვანური ბრუნების დღევანდელი სახე მეტისმეტად შეცვლილია იმასთან შედარებით, რაც ძველად უნდა ყოფილიყო. ამიტომ ძნელია, ნათლად გაერკვეს კაცი იმ არევ-დარეულ ფორმებში, რომელთაც იძლევა სვანური ბრუნება დღეს, ვინაიდან უმლაუტები გვაქვს და მათი გამომწვევი მიზეზები – აღარა... სვანური უმლაუტის საკითხში დაბრკოლებას ბოლოკიდური მარცვლები წარმოადგენენ, სადაც ანალოგიებს ძალიან უნდა დაებნელებინოს წარმოების პირვანდელი სახე“ (შანიძე 1924/1981: 362).

ქართულ-ზანურ ენებთან შეპირისპირებისას სვანურში აშკარადაა თვალში საცემი თანხმოვანფუძიან სახელთა სიჭარბე ხმოვან ფუნქციაზე დაბოლოებულებთან შედარებით, ამასთანავე, უკანასკნელ შემთხვევაში -ა, -ე და -ი ბოლოკიდურიანები უფროა გავრცელებული, ვიდრე -უ, -ო ან -გ აუსლაუტიანები.

უმლაუტი – უმთავრესი სპეციფიკური მორფოფონოლოგიური მოვლენა სვანური ენისა – ერთმანეთისაგან მიჯნავს ორ-ორ ჯგუფს როგორც თანხმოვანფუძიან, ისე ხმოვანფუძიან სახელებში – უუმლაუტოებსა და

უმლაუტიანებს, არადა ყველგან მხოლოდ ერთი (უმლაუტიანთა) ჯგუფი უნდა გვექონოდა, რადგანაც ისტორიულად, დანარჩენ ქართველურ ენათა მსგავსად, ყველა საზოგადო სახელს (გამონაკლისს ქმნიან ანთროპონიმები! – ჭუმბურიძე 1964) უსათუოდ უნდა ჰქონოდა სახელობითი ბრუნვის მორფემა -ე (არქაული) ან -ო (მედარებით გვიანდელი).

თანამედროვე სვანურ მეტყველებაში (როგორც ენგურის, ისე კოდორისა თუ ცხენისწყლის ხეობებში) თითო-ოროლა ფრაგმენტის სახითა და იმავდროულად ყველა დიალექტი აბსოლუტურად ერთგვარად (-ო!) შემოგვრჩა სახელობითის მორფემა [შდრ. **იორ-ო** „ორი“, **სემ-ო** „სამი“, რომელიც ამ ფუნქციით მხოლოდ ე. წ. ორფუძიანი ბრუნების სისტემაში გამოიყენება (სახ. **იორ-ო**, მიც. **იარ-ჟ**, ... სახ. **სემ-ო**, მიც. **სამ** <**სამ-ჟ**,...), სხვაგან კი ისიც სახელის ფუძესაა შეხორცებული ყველა ბრუნვაში (სახ. **იორი**, მიც. **იორი-ს**, ვით. **იორი-დ**, ... სახ. **სემი**, მიც. **სემი-ს**, ვით. **სემი-დ**,...), სამაგიეროდ, -ო მორფემის ბგერინაცვალი -ი დღესაც ძალზე გავრცელებულია ბალსზემოურსა და ლაშხურ დიალექტებში, აგრეთვე, კოდორის ხეობაში საუკუნუნახევრის წინ ჩასახლებულ ბალსზემოელთა მეტყველებაში (როგორც საერთოქართველურ, ისე საკუთრივ სვანურსა თუ ნასესებ ლექსიკაში: **ჭალა-ი** „მდინარე; ჭალა – მინდორი მდინარის პირას“, **ზა-ი** „წელიწადი“, ბჟ. **ზა** „ზაფხული“, **მეშა-ი** „მუშა“,...), ხოლო სხვაგან (ბალსქვემოურში, ლენტეხურში, კოდორის ხეობაში ჩასახლებულ ბალსქვემოელთა¹⁰¹ მეტყველებაში) იგი, ჩვეულებრივ, იკვეცება, მაგრამ სახელობითის ფორმაში რჩება მისი ერთ-ერთი დიფერენციალური ნიშნის (პალატალობის) მოქმედების შედეგი უმლაუტის სახით (**ჭალა**, **ზა**, **მეშა**).

ასეთ რთულ ვითარებაში, ბუნებრივია, ჩნდება კითხვები, თანაც საკმარის სერიოზული ხასიათისა:

1. რატომ არა გვაქვს უმლაუტი **დინა** („ქალიშვილი“), **დინა** („გაყინული თოვლი“), **კა** („ფიქალი ქვა“), **კენჭა** („ნეკი“), **კადა** („ნაჯახი“), **შინა** („წისკვილის ქვა“), **შდა** („თავთავი“), **ჩინშდა** („თითისტარი“),

¹⁰¹ კოდორის ხეობაში ჩვენი საენათმეცნიერო ექსპედიციის მუშაობის დროს, 2008 წელს, სოფელ გვანდრასა და საკენში ჩასახლებულ ბალსქვემოელთა მეტყველებაში მედეა სალიანმა -ი მოკვეცილი აუსლატების პარალელურად შენიშნა ბალსზემოური დიალექტის მსგავსი -ი დაბოლოება გარკვეული ჯგუფის სახელთა მხოლოდითი რიცხვის სახელობით ბრუნვაში, რასაც ის დიალექტთა ინტერფერენციით ხსნის (იხ. სალიანი 2016: 686). რასაკვირველია, ეს ვარაუდი სრულიად დასაშვებია, მაგრამ საჭიროა გადამოწმება ამ მოვლენისა – თუ მოხუცი ბალსქვემოელი მთქმელები ამბობდნენ **ზა-ი**, **ჭალა-ი**, **მეშა-ი** ფორმათა ანალოგიურ მონაცემებს, მაშინ მოსალოდნელია, სახელობითის დიფთონგიზებული დაბოლოება -ი მათ პირველსაცხოვრისიდან, ე. ი. ენგურის ხეობიდან გაჰყოლოდათ, ახალგაზრდების შემთხვევაში კი, რაღა თქმა უნდა, კოდორის ხეობაში მცხოვრებ ბალსზემოელთა მეტყველების გავლენის შედეგთან გვაქვს საქმე.

ტაფნელა („ცოცხა ბალახი“), **ჰეჰა** („მაჯა“)¹⁰² და სხვა ანალოგიურ ერთ, ორ თუ სამმარცვლიან სახელთა აუსლაუტში?! – არადა, ასეთი ლექსემები უამრავია სვანური ენის ყველა დიალექტში! მათ არ დაერთოდათ სახელობითი ბრუნვის -ე ან -ი მორფემა, თუ ისინი თავდაპირველი ფუძის (ანუ წრფელობითი ბრუნვის) სახით შემოგვრჩნენ დღემდე? ცხადია, რომ დართოდათ რომელიმე მათგანი, საანალიზო ფუძეებთან უმლაუტის მხრივ იგივე სიტუაცია გვექნებოდა, რაც დღეს ლენტეხურსა (სრული სახით) თუ სხვა დიალექტებშია (სინკრეტულად) დაცული (მდრ. ლნტ. დენა-იშ, ბქ. დინაშ, ბზ. დინაშ, ლშხ. დინაშ „ქალიშვილის“) ნათესაობითი ბრუნვის ფორმებში.

2. მეორე მხრივ, **ბალე** („ფოთოლი“), **გჷარე** („ტყავი“), **თე** („თვალი“), **ლარე** („სათიბი“), **მარე** („კაცი“), **ყახე** („სახელი“), **ფხულე** („თითი“), **ღჷესე** („ქონი, ბადექონი“), **ღალე** („ფრთა“), **ყჷიჷე** („ღვიძლი“), **წესხე** („ფესვი“) და ა. შ. ისტორიულად ბოლოვდებოდნენ -ე ხმოვანზე (როგორც ამას ზოგი ქართველოლოგი ფიქრობს! – ონიანი 1998: 62-68), თუ ისინიც ზემოაღნიშნულ -ა აუსლაუტიან სახელთა რიგში იყვნენ? (დღემდე ყველა დიალექტში აქვთ მათ ამოსავალი -ა ხმოვანი შენარჩუნებული არასაუმლაუტო პოზიციებში, ოღონდ, ცხადია, არა იქ, სადაც ქართულ-ზანურ ენათა გავლენით მიმდინარეობს შედარებით ახალი – სახელობითი ბრუნვის ფორმის მიხედვით პარადიგმატული გასწორების – პროცესი).

ვფიქრობთ, რომ -ე აუსლაუტიანი სახელები წარმოადგენენ პირველი ჯგუფის სახელთა ნაუმლაუტარ მონაცემებს, ანუ სახელობითი ბრუნვის ფორმებს, ხოლო თავად -ა აუსლაუტიანები დღემდე სვანურ ენაში შემოგვრჩნენ წრფელობითის ფუნქციით, ე. ი. ოდენ ფუძის სახით!¹⁰³

¹⁰² საილუსტრაციო მასალა მოგვეყვას ბალსზემოური დიალექტის მიხედვით, რადგანაც მასში ყველაზე უკეთაა შემონახული ჩვენი საკითხისათვის აუცილებელი საანალიზო მასალა.

¹⁰³ სპეციალურ ლიტერატურაში ზოგი ავტორი სკეპტიკურ დამოკიდებულებას იჩენს საანალიზო ტერმინისადმი: „უნიშნო ფორმის წრფელობითად სახელდება გაუმართლებელია: წრფელობითი, ტრადიციული გაგებით, ვერ მოიცავს იმ ბრუნვის ფუნქციონირების არეს, რომელსაც თანამედროვე სალიტერატურო ქართულში მკაცრად განსაზღვრული ადგილი უკავია. ვფიქრობთ, ტერმინი განუსაზღვრელობითი ბრუნვა უფრო შეეფერება აღსანიშნს“ (გაბუნია 2000: 69). სვანურ სახელთა პარადიგმატიკის აღსაწერად ჩვენთვის წრფელობითი შედარებით მოსახერხებელი ჩანს. მკვლევართა უმრავლესობა სწორედ მას ან „განუსაზღვრელობით ფორმას“ იყენებს (მდრ. casus indefinitus ან absolutivus – Schmidt 1991). ტერმინი „წრფელობითი“ პირველად (1753 წ.) ანტონ კათალიკოსმა იხმარა თავის „ქართულ ღრამმატიკაში“ სახელობითი ბრუნვის გამოსახატავად. მის კვალს მიჰყვნენ ჩვენი ცნობილი გრამატიკოსებიც (გაიოზ რექტორი, დავით ბატონიშვილი, დავით ჩუბინაშვილი, იოანე ქართველიშვილი, სოლომონ დოდაშვილი,...).

ამჯერად მხოლოდ -ა და -ე ბოლოკიდურიან და თანხმოვანფუძიან სახელთა ერთ ჯგუფზე ვმსჯელობთ, ხოლო მას შემდეგ, რაც სვანური ენის ლინგვისტური კორპუსისთვის აუცილებელი მასალა მთლიანად ხელთ გვექნება, დარწმუნებულნი ვართ, უფრო ფართო არეალის მომცველ ლექსებებსაც შეეხება ჩვენი ეს დასკვნა, ანუ ყველა თანხმოვანფუძიანი სახელი, რომელსაც ფუძის ბოლო მარცვალში დაცულ **ა, ო, უ, გ** ხმოვნებზე უმლაუტი არ მოუდით, ალბათ ისტორიული წრფელობითი ბრუნვის ამსახველი მონაცემი იქნება.

ბუნებრივია, გვეკითხავენ: -**ე** ხმოვანზე დაბოლოებული სახელები ისტორიულად არ არსებობდენო სვანურში? – შევეცდებით, ამ კითხვაზე მომავალში ვუპასუხოთ უმლაუტის მქონე ენებში არსებული ვითარების ზოგადლინგვისტური გააზრების გათვალისწინებით...

საგანგებოდ დავინტერესდით ბალსზემოურ-ლენტეხურ დიალექტებში შემონახული ერთი -ა აუსლაუტიანი კომპოზიტით, რომელიც სხვაგან -**ე** დაბოლოებით გვხვდება. ესაა „თიბვის დაწყების დღის“ აღმნიშვნელი ლექსემა **ახანახა/ახამახა** (მდრ. ბქ. **ახენახე, ლშხ. ახენახე**), რომელიც გამონაკლისს არ წარმოადგენს. სახელობით ბრუნვაშივეა დაცული -ა სოფელ ჩიხარემის (ლაშხეთი) უგუმბათო ეკლესიის სახელწოდებაში **მაშენა** (მდრ. შესაბამისი ზედსართავი სახელის აღმატებითი ხარისხის ფორმები: **ბზ./ლშხ. მაშენე < *მა-შ-ე-გნ-ა-ი-ე „უდიდესი“, ბქ./ლნტ. მაშენე**), ხოლო ლენტეხის რაიონში 1962 წელს პროფესორ მაქსიმე ქალდანის მიერ ჩაწერილ ზღაპარში (**ჩიჟე ი მაჭრენე სემუნ** – „სიძე და უმცროსი ცოლისძმა“) ერთმანეთის გვერდით გვხვდება -ა და -ე აუსლაუტიანი ფორმები:

აგის მენესკგრა მუხჷზე ლახეჭჷედდა ჭყინტს (სვ. პროზ. ტ., III, 1967, 226: 16) – „შინ შუათანა ძმა შეეკითხა ბიჭს“;

მდრ. **მერბა ნაგაზაისკა ჩიჟეს ხეწიან მენესკგრე მუხჷზე** (იქვე, 226: 18) – „მეორე კვირაში სიძეს ეწვია შუათანა ძმა“.

წიგნში გვხვდება შენიშვნა (გვ. 335): სოფელ მელურაში ჩაწერილი ტექსტი შეამოწმა ვარლამ თოფურია მლესემელ მაცვალა გაზდელიანთანო, რაც იმას ნიშნავს, რომ იმავე ხეობის მეორე სოფელშიც არ გაკვირვებია სხვა მთქმელს აღმატებით ხარისხთა -ა || -ე დაბოლოებანი ფორმები ერთმანეთის პარალელურად სახელობით ბრუნვაში.

იგივე შეიძლებოდა გვეთქვა: **ზომხა < *ზა-მახა, მდრ. ზა-‘ა’-მახე** („წელი ახალი“), **დერა/დერე** („ყინულოვანი თოვლი“), **ლარა/ლარე** („სათიბი, მინდორი“), **ათხა || ათხე** („ახლა“) ლექსემათა შესახებაც.

უფრო მეტიც, სხვადასხვა დიალექტშიც შეიძლება შეგვხვდეს ხან -ა, ხან -ე სუფიქსიანი ან სულაც მათი მოკვეციტ მიღებული მონაცემები: ბქ. ნათხჷრა / ლნტ. ნათხჷრა || ნათხჷიარ, ბზ. ნათხჷიარ, ლშხ. ნათხჷიარ^ე - „ნანადირევი“ (ლაშხეთში „გარეული ჩლიქოსანი ცხოველი - არჩვი, ჯიხვი,...“).

მესტიის რაიონში ერთ იალალს დომზაჲ^შ ლარა („დომზას მინდორი“), ხოლო ჩოლურში „სათიბს“ ლარა (ლიპარტელიანი 1994: 176) ჰქვია (შდრ. სხვა დიალექტების ლარე/ლარე).

რაც შეეხება ახანახა / ახენახე ლექსემას, ვფიქრობთ, მეტად საინტერესოა მისი ეტიმოლოგია:

სვანეთში (და ალბათ სხვაგანაც!) თიბვა იწყება ახალი მთვარის გამოჩენის შემდეგ. მის დანახვაზე სვანები პირჯვარს იწერენ, ლოცულობენ, პირში რკინას იღებენ და სთხოვენ მთვარეს, რომ რკინის სიმაგრე მისცეს (ეგნატე გაბლიანი 1925: 131). ამ ეთნოგრაფიული დეტალის გათვალისწინებით, საანალიზო კომპოზიტიში წარმოდგენილი ნახა თუ ნახე ალბათ იარალის აღმნიშვნელი სვანური სიტყვაა, ხოლო ახა/ახე ანლაუტში თანხმოვანმოკვეცილი მახე <^მახა-ო/ე („ახალი“) უნდა იყოს. მასასადამე, ახანახა არქაული (წრფელობითისა?) ფორმაა, ხოლო ახენახე <^მახა-ო/ე-ნახა-ო/ე - შედარებით გვიანდელი (ნაუმლაუტარი, ე. ი. სახელობითისა).

რაც შეეხება ლენტეხურ ახამახა (თოფურია/ქალდანი 2000: 95)^ს, ვფიქრობთ, რომ იმდენად შორსაა წასული ამ დიალექტში დიგლოსიური მოვლენები, მოსალოდნელია ის ქართული „ახალმახალის“ მიხედვითაც იყოს შექმნილი.

ჩოლურულ მეტყველებაში ახენახე არის „უნახავი, უცნობი, შესასწავლი“, ხოლო ახემახე - „ახალთახალი“ (ლიპარტელიანი 1994: 57).

საინტერესოა, რომ ძველ ქართულშიც შედის ცნება „ახალი“ „მთვარეულის“ სახელწოდებაში (შდრ. ახლ-ის-პირ-ოვ-ან-ი).

დასასრულს, უნდა ჩავასწოროთ „სვანურ პოეზიაში“ (1939: 118, 26-27) დაბეჭდილი თითქმის საუკუნის წინ ჩაწერილი ერთი ძველი სიმღერის ტექსტიც (მოგვიტევეონ ჩვენი დიდი მასწავლებლების ნათელმა სულებმა!), რომელიც იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ იგი წარმოადგენს რითმის ჩანასახს ურითმო სვანურ შაირში:

ახანახა, დომდულ მახე, „თიბვის დღე, მთვარე ახალი,
ქრისდედ ანკიდ ჟარგი ჟახე. ქრისტემ ამოაგდო აზნაუ-
რის („ვარგის“) სახელი!“

(და არა ისე, როგორც პუბლიკაციამია თარგმნილი – აქ ახანახა სა-
ხელდეების¹⁰⁴, ან უწრფელობითი ბრუნვის ფორმა და არა
მიცემითისა, წინააღმდეგ შემთხვევაში მის შემდეგ მიიმე სრულიად
უადგილო იქნებოდა შესაბამის სვანურ ტექსტში).

ბალსქვემო სვანეთში გვხვდება ტოპონიმი ლგ-ჰ-ა ფარის თემში
შემაველი ერთი სოფლის სახელწოდებად. ვფიქრობთ, რომ იგი ლი-ჰ-ე
(„მიღწევა, მისწრება; დამწიფება; წაღება“) მასდარისეული ვნებითი
გვარის ნამყო დროის მიმღეობაა, რომელიც სახელობით ბრუნვაში
დღეს ლგ-ჰ-ე (ზხ.), ლგ-ჰი-ე (ბქ.), ლგ-ი-ე (ქსვ.) ფორმათა სახით იხმა-
რება, მაგრამ გეოგრაფიულ სახელში შემოგვრჩა წრფელობითის ვარი-
ანტით.

ქართველურ ენებში „უუძველეს დროს ორი ბრუნვის ნაცვლად
ერთი (წრფელობითი, ე. ი. განუსაზღვრელი ნომინატივი) უნდა ყოფი-
ლიყო, მეორე კი (სახელობითი, ე. ი. განსაზღვრული ნომინატივი) შემ-
დეგ უნდა განვითარებულიყო. ერთი ბრუნვა (წრფელობითი) ადრინ-
დელი მოვლენაა, ორი კი (წრფელობითი და სახელობითი) – ნელა-
დი,¹⁰⁵ მაგრამ ეს „ნელადი“ შეიძლება იმ დროისა იყოს, როცა ქართულ-
მეგრულ-სვანური ჯერ კიდევ არ იყო ერთმანეთისაგან ენობრივად და-
შორებული... თანხმონიან ფუძეებში ახალ ქართულსა და მეგრულში
სახელობითის ფორმებმა მოიპოვა უპირატესობა, ხმონიანებში კი –
წრფელობითისამ“ (შანიძე 1924/1981: 362-363). ვფიქრობთ, რომ ჩვენ
მიერ განხილული ორი ჯგუფი სახელებისა სვანურ ენაშიც ნაწილობ-
რივ ადასტურებს დიდი მეცნიერის ამ ვარაუდს, ოღონდ მცირეოდენი
კორექტივით:

I. წრფელობითის ფორმები შემოგვრჩა როგორც თა-
ნამედროვე -ა აუსლაუტიან სახელებთან (დინა, კადა, შინა,...), ისე იმ
ლექსემებთან, რომლებსაც ისტორიულად ბოლოს -ა ხმოვანი ჰქონ-
დათ, მაგრამ დროთა ვითარებაში მოეკვეცათ, თუმცა ფუძემში არანაირი
კვალი არ დაუტოვებიათ (გეზალ < გეზალა „შვილი“, ბაპ < ბაპა
„მღვდელი < პაპა“, ქორ < ქორა „სახლი“, ფუსდ < ფუსდა „ბატონი,
უფალი“,...). მაშასადამე, თანამედროვე თუ ისტორიულად -ა აუსლაუ-
ტიანი სახელები მოიქცნენ ერთგვარად – წარმოგვიდგინენ

¹⁰⁴ „წრფელობითის უძველესი ფუნქცია სახელდებითობაა, რომლის მოდიფიკა-
ციითაც არის რეალიზებული წრფელობითი რქუმა-წოდების, ყოლა-ქონების ზმნებ-
თან, აგრეთვე შედგენილ შემასმენელთან და რთულ ზმნებთან“ (დანელია 1995: 39).

¹⁰⁵ მართალია, ტერმინები, ჩვეულებრივ, პირობითი ცნებებია, მაგრამ, არა
გვგონია ლინგვისტიკაში გამოგვადგეს „ნ ე ლ ა დ ი მ ო ვ ლ ე ნ ა“.

განუსაზღვრელობითი სახელობითის, ანუ წრფელობითი ბრუნვის სახით.

II. სახელობითმა უპირატესობა მოიპოვა:

1. იმ -ეზე დაბოლოებულ სახელებთან (მარე, წახე, ფხულე,...), რომლებიც ისტორიულად -ა უსლაუტიანები იყვნენ, თუმცა აქა-იქ დღემდე შემოგვენახა ამოსავალი (წრფელობითის!) ფორმები (ზს. ახანახა, ზზ. ლარა, ზზ./ლშზ. დერა, ათხა, ზომხა, ბქ. ლგჰა, ლშზ. მაშენა, ლნტ. მანესკვრა,... შდრ. იგივე ფუძეები სახელობით ბრუნვაში: ახენახე, დერე, ათხე, ზს¹⁰⁶ 'მ' მახე, ლგჰე, მაშენე, მანესკვრე, ლარე,...).

2. ჭალ-მ, ზს-მ, მგშ-მ, ზს., ლნტ. თჟე-¹⁰⁶ 'მ' (შდრ. ლშზ. თო-მ) და ა. შ. დიფთონგური ტიპის სახელებთან;

3. თანხმოვანფუძიან სახელებთან, სადაც დღეს სახელობითის მორფემა აღარსადაა (ორიოდე გამონაკლისის გარდა! – შდრ. მორ-ი, სემ-ი), მაგრამ მისი კვალი აშკარაა ფუძის ბოლო მარცვლისეული უმლაუტის სახით (თწრ <თარ-ე/ი „ჩირქი“, ჩწჟ * < ჩაჟ-ე/ი „ცხენი“, ხწმ * < ხამ-ე/ი „ღორი“, კწჰ < *კობ-ე/ი „ღილი < კობ-ი“, თხწმ < *თხუმ-ე/ი „თავი“ < თხემ-ი,...).

უკვე თითქმის საუკუნეა, რაც ვარლამ თოფურიას მიერ ჩამოყალიბებული ერთი შესანიშნავი (თითქმის ზუსტი!) წესი არსებობს, რომელსაც დღემდე ფართოდ იყენებენ სპეციალისტები:

1. უმლაუტიან სახელებს სახელობითი ბრუნვის (მზ. რ.) დაბოლოებად -ი უნდა ჰქონოდათ, ხოლო უუმლაუტოებს -ა. უკანასკნელი ფუძისეული ხმოვანია.

2. პირველს შემთხვევაში სახელებს ნათესაობით ბრუნვაში -ი-ში ევლინებათ, მეორისაში კი –-ს-ში.

მაგრამ ამ წესს გამონაკლისიც აქვს: „ა უმლაუტიანი სახელებიდან უნდა გამოვრიცხოთ ის ნომენები, რომელთა წ მიღებულია ე'საგან“ (თოფურია 1927/2002: 28¹⁰⁶). ამ შემთხვევაში ვარლამ თოფურია გულისხმობს ისეთ ლექსემებს, რომელთაც ქართულსა და ზემოსვანურში ა(ს) მოეპოვებათ, ხოლო ლაშხურში -ე (ძვ. ქ. დათუ-ი/ზსვ. დწმდჟ, ლშზ. დეშდჟ,...). მათ შორისაა დაბ („ყანა, ნათესი“, შდრ. ძვ. ქ. დაბა-მ „გარაკი, სოფელი, ყანა“; დაბა-დ-დაბა-დ „სოფლიდან სოფელში“, ახ. ქ. დაბა „ქალაქის ტიპის პატარა დასახლება“), რომელიც ლაშხურ

¹⁰⁶ ნაშრომთა გვერდებს, აქაც და აკაკი შანიძის („უმლაუტი სვანურში“) შემთხვევაშიც, ვიმოწმებთ ახალი გამოცემების მიხედვით, რადგანაც დიდებულ ქართველოლოგთა სიცოცხლეში დაბეჭდილი პუბლიკაციები უკვე კარგა ხანია ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა, ამიტომ მათი ისტორიის გასათვალისწინებლად ვუთითებთ ადრინდელ ქრონოლოგიასაც.

დიალექტშიც იმავე ხმოვნითაა წარმოდგენილი, როგორც ქართულსა თუ ზემოსვანურ-ლენტეხურში. სულხან-საბა ორბელიანის განმარტება („მომცრო ქალაქი მოზლუდვილი“) უფრო ახალი ქართულის სემანტიკას უჭერს მხარს, ვიდრე ძველი ქართულისას.

რა ვითარებაა ლექსიკონებში, ტექსტებსა თუ სპეციალურ ლიტერატურაში?

ზემოსვანური და ლენტეხური დიალექტებისთვის ვარლამ თოფურიას და მაქსიმე ქალდანის „სვანურ ლექსიკონში“ (2000 წ.) ერთმანეთის პარალელურადაა დასახელებული **დაბ** და **დაზ** ფორმები.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ სვანური **დაზ/დაზ** ეტიმოლოგიურად უკავშირდება ძველ ქართულ ლექსემას **დაბა** როგორც ფორმით, ისე შინაარსით, მაგრამ, თუ არ ჩავთვალეთ, რომ სწორედ **დაბ** შევიდა სვანურში და არა მისი -ა სუფიქსიანი (**დაბ-ა**) ვარიანტი, ფუძისეული ხმოვნის უმლაუტი მოულოდნელია ბალსზემოურ და ლენტეხურ დიალექტებში. რომ ეს ასეა, კარგად გამოჩნდა **ზემოსვანური მორფემული ლექსიკონის (მალე დაიბეჭდება!)** საილუსტრაციო პუბლიკაციებში: არც ბალსქემოურ პროზაულ ტექსტებსა (1959, 1978 წ.) და არც სოფელ ლახამულაში ჩაწერილ ანდაზებში (1973 წ.) არც ერთხელ არ შეგვხვდრია **დაზ**, სამაგიეროდ, სულ სხვა ვითარება დადასტურდა ბალსზემოურ პროზაულ ტექსტებში (1939, 1978 წ.წ.) და ლატალში, ლენჯერში, მესტია-მულახში, წვირმი-ადიში-იფარსა და კალა-უშგულის თემებში შემავალ სოფლებში ჩაწერილ ანდაზებში (2000 წ.) – არც ერთხელ არ შეგვხვდრია **დაბ**, ყველგან მისი უმლაუტირებული (**დაზ**) სახეა წარმოდგენილი.

რა ვითარებაა ძველ სვანურ ხალხურ სიმღერათა ტექსტებში, რომლებშიც ხშირად დაცულია ამოსავალი სახე? – **დაბ** დასტურდება ერთადერთხელ და ისიც კომპოზიტში (**დაზ-ლარემიშ „ყანა-სათიბის“** – სვანური პოეზია 1939, 12: 20), ძველისძველ სიმღერაში **ყიფიანას მახელჟაჟარე** („ყიფიანთ ახალგაზრდებო“), რომელიც ჩაწერილია ბესარიონ ნიჟარაძის მიერ სოფელ იფარში 1881 წელს (ტექსტის ქვემოთ შეცდომითაა მითითებული **კალა** – იხ. იქვე: 62). რაც შეეხება **დაზ** ვარიანტს, 400 გვერდის მოცულობის დიდტანიან წიგნში ის მხოლოდ სამჯერ გვხვდება (იხ. 110: 22, 256: 5, 258: 14) ხალდესა და ლენჯერში ჩაწერილ სიმღერებში. საგულისხმოა, რომ 1936 წელს ხალდეში ფიქსირებულ კომპოზიტში **დაზ-ლარემიშ „ყანა-სათიბის“** უკვე **დაზ** არის დადასტურებული (110: 22), განსხვავებით თითქმის საუკუნენახევრის წინ ჩაწერილი ტექსტისაგან (იხ. 12: 20), მაშასადამე, აქ **უმლაუტი შედარებით ახალია**.

ჯერ, რაც იმაზე მიუთითებს, რომ თანამედროვე სვანურ მეტყველებაში უმლაუტიანი ფორმა (ანუ სახელობითი ბრუნვა!) იკიდებს ფეხს – „სვანური ენის ქრესტომათიაში“ ხომ, ძირითადად, შედარებით ახალი ტექსტებია წარმოდგენილი, ვიდრე „სვანური პროზაული ტექსტების“ I ტომში (1939)?

დაბ ვარიანტი (ყოფილი წრფელობითი ბრუნვა!) საერთოდ არ შეგვხვდრია ბალსზემოურ პუბლიკაციებში, წინააღმდეგ ბალსქვემოურისა, სადაც, როგორც ჩანს, არქაული ვითარებაა დაცული. რაც შეეხება კოდორულ ბალსზემოურს, იქაც მხოლოდ **დაბ** ფუძე არის ფიქსირებული ყველა შემთხვევაში (მაგალითად, **დაბ-ი-სგა** „ყანაში“), ხოლო კოდორული ბალსქვემოური წარმოგვიდგენს **დაბ** ვარიანტს (**დაბ-ი-სგა**), ანუ იმას, რაც დღეს ენგურის ხეობაშია გავრცელებული¹⁰⁸.

გვეტყვიან, საკუთარ სახელებთან გასაგებია წრფელობითი ბრუნვის ვარაუდი (ჟუმბურიძე 1964), მაგრამ საზოგადო სახელებთან აუცილებელია წრფელობით-სახელობითის დაპირისპირების ჩვენება? ჯერ ერთი, ანთროპონიმებშიც გვხვდება -ა/-ე ოპოზიცია:

„სვანური პოეზიის“ პირველ ტომში დაბეჭდილია 1923 წელს ლენჯერელი სები გულედანის ჩაწერილი ცნობილი სიმღერის („ყანაჲ ყიფიანე“ – 1939: 6, 1-2) ტექსტი, რომელიც ბესარიონ ნიჟარაძის მიერ 1878 წელს უშგულში ფიქსირებული სიმღერისგან (№VIII) მხოლოდ ბოლოკიდური ხმოვნით განსხვავდება (ყანაჲ ყიფიანა).¹⁰⁹

¹⁰⁸ ყოველივე ზემოაღნიშნულის თქმის შესაძლებლობა მოგვეცა დიგიტალიზაციის მეთოდმა, რომელიც, სამწუხაროდ, ჩვენში ჯერჯერობით ისე არ არის დანერგილი, როგორც საჭიროა. რომ არა ფრანკფურტის უნივერსიტეტული კოლეგები, ამგვარი ფაქტების ზემოსვანურ მორფემულ ლექსიკონში წარმოსაჩენად წლები დაგვიკრძებოდა, ოღონდ ის მხოლოდ დამხმარე მეთოდია – ძალზე მოხერხებული და სწრაფი, ჩვენი კვლევებისთვის ფრიად გამოსადეგი, თუმცა მისი მნიშვნელობა არ უნდა გავაზვიადოთ – საკუთრივ ლინგვისტიკისგან, როგორც მეცნიერების ერთ-ერთი ძლიერი დარგისგან, ის საკმაოდ შორს დგას, მაგრამ ულტრათანამედროვეა და ენათმეცნიერებას აახლოებს ზუსტ მეცნიერებებთან.

¹⁰⁹ იხ.: ბ. ნიჟარაძის მიერ დაწერილი „სვანური სახალხო სიმღერების“ კრებული, რომელიც 1912 წლის 16 ნოემბერს, აკადემიკოს ნიკო მარის თხოვნით, მაშინდელი სვანეთის ეკლესიის ბლალღოჩინმა შესწირა სანკტპეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიას, რისთვისაც 34 სიმღერის ტექსტისაგან შედგენილი ხელნაწერისთვის ბ. ნიჟარაძეს 1913 წლის 15 იანვარს სამადლობელი დოკუმენტი (№112) გაუზღავნეს სოფელ უშგულში. აკადემიკოსი ვარლამ თოფურია გახლდათ ჩემი საკანდიდატო დისერტაციის („ძველი სვანური ხალხური სიმღერების ენისა და თანამედროვე ცოცხალი მეტყველების შეპირისპირებითი ანალიზი“) კონსულტანტი, ამიტომ 1963 წელს მან გადომეცა სხვანებული კრებული. ზოგი აქ წარმოდგენილი ტექსტი დაბეჭდილია „სვანურ პოეზიაში“, მაგრამ მათ უმრავლესობას ქართველოლოგები არ იცნობენ არც ჩვენში და არც საზღვარგარეთ. შევეცდებით, მალე გამოვაქვეყნოთ ბ. ნიჟარაძის საანალიზო ხელნაწერი.

სამაგიეროდ, 1926 წელს მესტიაში ვარლამ თოფურიას მიერ მუ-
ლახელი (ზარდლაშელი) გვედო მარგიანისაგან ჩაწერილ **დომდულ მა-
ხე** („მთვარე ახალი“)ში დადასტურებული **ახანახა** (1939: 118, 26) ბესა-
რიონ ნიჟარამის ხელნაწერში (№XXII) წარმოდგენილია **ახემახეს** სა-
ხით. ასე რომ, უშგულური მეტყველებისა და ბალსზემოური დიალექ-
ტის დანარჩენი კილოკავების ცნობილ -ა/-ე დაპირისპირებაში, რო-
მელსაც არაერთი მკვლევარი შეხებია, მოსალოდნელია, იყოს ანარეკ-
ლი წრფელობითისა და სახელობითის ფორმათა დაპირისპირების
(ვგულისხმობთ ლექსემათა მხოლოდ ბოლოკიდურ ხმოვნებს!).

ჩვენს საკანდიდატო დისერტაციაში **პირველად იქნა წარმოდგე-
ნილი მსჯელობა სახელობითის -ე მორფემიან მრავალმარცვლიან სა-
ხელებზე მხოლოდით რიცხვში ძველ სვანურ ხალხურ სიმღერათა ენის**
მიხედვით (**გეზალე** – შვილი, **მურყჷამე** –კომკი, **ზურალე** – ქალი,
აჷჯარე – აბჯარი, **ატლასე** – ატლასი, **ხეშნაჷრე** – ბეგთარი, **ხანგარე** –
იარალი („ხანჯალი“?), **დედჷფალე** – დედოფალი, **იფარე** – იფარი (ტო-
პონიმი), **დალე** – დალი (თეონიმი), **ნაჷერიაანე** – ნავერიანი (ანთროპო-
ნიმი) – იხ. ჩანტლაძე 1973: 267-272. მათი უმრავლესობა ნათესაობით
ბრუნვაში -აშ < *ა-იშ დაბოლოებიანია, რაც, ვ. თოფურიას მიერ შემუშა-
ვებული კანონის თანახმად (ზოგი გამონაკლისის გარდა!), იმაზე მიუ-
თითებს, რომ ისინი ოდესღაც სახელდებით წარმოებაში -ა
აუსლაუტიანები (ე. ი. წრფელობითი ბრუნვის მონაცე-
მები: **მურყჷამა** – სვ. პოეზია 1939: 116, 18, უშგული) იყვნენ, დღეს კი
არც ერთ მათგანს არც ეს დაბოლოება შერჩა და არც სახელობითის -ე
მორფემა (**მურყჷამე** – იქვე: 316, 10, ლაშხეთი) – ყველა იქცა თანხმო-
ვანფუმიან სახელად (**მურყჷამ**).

დაახლოებით იგივე სიტუაციაა ანთროპონიმებშიც (**დალა** – 292,
54 || **დალე** – 294, 104, მულახი; **დალი** – 276, 19, ლენჯერი; **დალი** – 270,
14, ლატალი, და თანამედროვე **დალ**), ოღონდ მათ უფრო შეინარჩუნეს
უშმლაუტო ა ლექსემათა ბოლო მარცვალში, ვიდრე საზოგადო სახე-
ლებმა, რადგანაც ჩვენებით ნაცვალსახელთაგან მომდინარე ნაწევარი
(**აჯა, ეჯა, *იჯა**) თუ დეიქტური ნაწილაკი (ა, ე, *ი) არ სჭირდებოდათ –
ისედაც განსაზღვრულები იყვნენ.

§ 5. მიხეილ ქურდიანი, ავთანდილ არაბული

მისასაღმებელია, რომ ენათმეცნიერთა საშუალო თაობა სტუდენტ-ასპირანტობის წლებიდანვე დაინტერესდა ქართველოლოგიური პრობლემებით. მათ შორის აშკარად გამოირჩევიან თანაკურსელი აკადემიკოსები მიხეილ ქურდიანი და ავთანდილ არაბული. მათი ქართველოლოგიური, ეტიმოლოგიური თუ ზოგადენათმეცნიერული ნაშრომების უბრალო ჩამოთვლაც კი ძალზე შორს წაგვიყვანს, ამიტომ ამჯერად სახელთა ბრუნებასთან დაკავშირებულ მხოლოდ ერთადერთ თემას შევხვებით. ესაა „ვიწ ნაცვალსახელი – ერგატივის უძველესი ინფორმაცია“. ავტორები, არნ. ჩიქობავას თეორიაზე დაყრდნობით, გახაზავენ, რომ ვი-წ, როგორც ნაცვალსახელი, უპირველესად რეალიზებული იყო ერგატივის სახით, ხოლო დანარჩენი ფორმები მასთან მიმართებით ქმნიდა შესაბამისი დონის გრამატიკულ-ფუნქციონალურ სისტემას:

ვი-წ – ერგატივი (ოდენ პირი – სუბიექტი);

ვი-ს – მიცემითი (პირი – ობიექტი);

ვი-დ – ვითარებითი (ადგილი პირთან მიმართებით, მიმართულება-მიწვევითობა, შდრ. ვი-დ-რე);

მამასადამე, ამ სისტემაში უკვე წარმოდგენილია სამი უძველესი მორფოლოგიური ელემენტი -წ, -ს, -დ, საერთო მონაცემები სახელისა და ზმნის ფორმაწარმოებაში.

ავტორთა ანალიზი საფუძველს გვაძლევს, აღვნიშნოთ, რომ ერგატიული ბრუნვისა თუ შესაბამისი კონსტრუქციის გამოხატვის თვალსაზრისით უძველეს ვითარებასთან ყველაზე ახლოსაა მეგრული, ხოლო ქართულ-სვანური და ლაზური ვარიანტები წარმოადგენენ თავისებურ ტრანსფორმაციას დრო-კილოთა ახალი სისტემის ჩამოყალიბების საფუძველზე.

რაც შეეხება ვი-დ ფორმას, ის იმავე სემანტიკას გამოხატავდა, რასაც სა-დ, ოღონდ ადამიანთან დაკავშირებით („ვინაა მოხუალ და ვიდრე ხუალ?“).

ნაშრომში გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ ვი-დ და სა-დ ფორმათა მიმართებაში შესაძლოა ივარაუდებოდეს ადამიანისა და ნივთის დაპირისპირება ნაცვალსახელოვან პირში (არაბული, ქურდიანი 2009: 75), რომელიც დღეს ქართულში მხოლოდ ზმნისართულ

ფორმებში შემოგვრჩა. აღნიშნული დებულება მოხსენდა საერთაშორისო კონფერენციას „ერგატივი და ერგატიული კონსტრუქცია მსოფლიოს ენებში“.

კარგი იქნება, თუ ქართველოლოგები მომავალშიც გააგრძელებენ ანალოგიურ კვლევებს ზანურ-სვანურის მიმართაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში. მართალია, სვანურში კითხვით ნაცვალსახელს სრულიად განსხვავებული ძირი გადმოსცემს (ძვრ „ვინ“), მაგრამ ამავე ენაში გვაქვს განსაზღვრებითი ნაცვალსახელი მინ („თვითონ“), რომელიც შეიძლება დავუკავშიროთ ქართულ ვინს.

§ 6. ტარელ ფუტკარამე

ტარელ ფუტკარამე არათუ თავად იკვლევს სისტემატურად ეთნოლინგვისტიკის საკვანძო საკითხებს, არამედ აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მან ქართველური დიალექტოლოგიის ინსტიტუტიც კი ჩამოაყალიბა, რომლის თანამშრომლები აგერ უკვე ოცი წელია სერიოზულად მუშაობენ მისი ხელმძღვანელობით, ზოგჯერ ჩვენგან დიამეტრულად განსხვავებული მეთოდოლოგიით, თუმცა ძალზე საინტერესოდ: შეკრებილი აქვთ და ფონოლოგიური ტრანსკრიფციით დიგიტალურად დამუშავებული უამრავი ახალი მასალა, უცხოელ მეცნიერებთან ერთად ყოველ წელს აწყობენ ლინგვისტთა, ეთნოლოგთა, ისტორიკოსთა, ფოლკლორისტთა, ხელოვნებათმცოდნეთა კომპლექსურ სამეცნიერო კონფერენციებს, სადაც წაკითხული საუკეთესო მოხსენებები იბეჭდება საერთაშორისო კრებულში „ქართველური მემკვიდრეობა“.

გამოკვლევაში „მოთხრობითი ბრუნვის ნიშნის ვარიანტთა ისტორიისათვის ქართული სამწიგნობრო ენისა და ქართველური დიალექტების მონაცემების მიხედვით“ ტ. ფუტკარამე მეცნიერული კეთილსინდისიერების ნორმათა სრული დაცვით დეტალურად და კრიტიკულად მიმოიხილავს უხვ სპეციალურ ლიტერატურას (მათ შორის ჩვენს ნაშრომებსაც), იზიარებს ერგატივის **ხივალენტურობის თეორიას** და თავისი მსჯელობისთვის ამოსავლად მიიჩნევს ცნობილ თვალსაზრისს: თავდაპირველად ერგატივი და სახელობითი იბერიულ-კავკასიურ ენებში გაუდიფერენცირებელი იყო და გაუფორმებელი ფუძით გამოიხატებოდა (ჩიქობავა 1948: 117; 1979: 140-146; მაქავარიანი 2002: 79,...).

მკვლევართა დიდი ნაწილი სამართლიანად მიიჩნევს, რომ **ქართველური ერგატივის ფორმირება დაკავშირებულია განსაზღვრულობის კატეგორიასთან** – გახაზავს ტ. ფუტკარამე და დაასკვნის (2008: 137):

1. **ფორმანტიანი ერგატივი საერთოქართველურ ენაში ვერ აღგება;**

2. **ფუძეენაში ერგატიულ კონსტრუქციას ქმნის წრფელობითი ბრუნვა ნულოვანი ალომორფით;**

3. **სვანური კილოები და არქაული ქართული ენა საშუალებას იძლევა, საერთოქართველურში ვივარაუდოთ სახელის ფუძეს დართული -მან/-ამან განსაზღვრებითი ნაწევრის არსებობა: ქართ. კაც-მან (> კაცმა), სვან. *მარე-ამან (> მარემ)¹¹⁰;**

¹¹⁰ ე უფრო ხშირად აე ხმოვანთა შერწყმის შედეგია, ვიდრე პირუკუ (აა).

4. სამწიგნობრო ქართულში, სვანურ და ე. წ. სისინა ქართველურ კილოებში *მან/*ამან ნაწევრის ცვეთით ვლებულობთ -მა/-მ-/-ემ ფორმანტებს;

5. სინქრონიულ დონეზე ერგატივის ნიშნის ალომორფებად (სხვა ვარიანტებთან ერთად) უნდა მივიჩნიოთ ფუძის მაწარმოებელი სუფიქსის გადააზრიანებით მიღებული -ან (< მაგ-ან), -ნ (< მა-ნ, შდრ. მა-ს).

მეტად ორიგინალურია ტ. ფუტკარაძის მოსაზრება ზედსართავ სახელთა -ამ ნიშნიანი მიცემითის შესახებ: „ა-ს არსებობა ცხადყოფს, რომ ან მომხდარია უკანა მიმართულების უმლაუტი (ხოჩმს < ხოჩემს), ან უფრო არქაული წარმოების მიცემითი ინარჩუნებს ფუძისეულ ა ხმოვანს (შდრ. სახ. ბრუნვა მარა-მ)“. ჯერ ერთი, მარამ დღეს სვანური ენის არც ერთ დიალექტში აღარ იხმარება („უვარსკვლავობა“ შესაძლოა კორექტურული შეცდომაცაა!) და მეორეც, ე. წ. ველარულ (თ. შარაძენიძე) უმლაუტს შესაბამისი პოზიცია (გამომწვევი პირობა!) ხომ უნდა ჰქონდეს?!¹¹¹

ტ. ფუტკარაძის აზრით, ზოგ შემთხვევაში სახელის ფუძეს მართულ ერგატივიზიანი მორეულ¹¹² ფუძედ შეიძლება მივიჩნიოთ სვანური ენის მიცემით და ნათესაობით ბრუნვებში გამოვლენილი ფორმები (მარამ-ს > მარამ > მარა; მარემ-იმ). მარამს ფორმა არ არსებობს თანამედროვე ცოცხალ მეტყველებაში და არც სვანურ პუბლიკაციებში, მარამ ფორმის რეალურობის შესახებ ჩვენ უკვე გამოვთქვით გარკვეული ეჭვი წინამდებარე წიგნშიც (იხ. გვ. 58, 75) და სხვაგანაც, ხოლო მარემში, რასაკვირველია ნაერგატივალი ნათესაობითია! – ამ უკანასკნელის შესახებ იმან შეიძლება იდავოს მხოლოდ, ვინც ორფუძიან ბრუნვებს, როგორც ასეთს, ვერ ამჩნევს სვანური ენის სახელთა პარადიგმატულ სისტემაში. საანალიზო სტატიის ავტორი მათ რიცხვს არ მიეკუთვნება!

სპეციალურ ლიტერატურაში ვითარებითი ბრუნვის ამწარდ („ამად=ამისთვის“) ფორმის შესახებ არაერთი ურთიერთგამომრიცხველი აზრი არსებობს. ტ. ფუტკარაძე მხარს უჭერს ლ. პალმაიტს, რომელიც სვანურის ამ მონაცემს ქართული ამწარად ფორმიდან მომდინარედ მიიჩნევს, ოღონდ ქართველი მკვლევარი ნასესხობას გამოორიხავს.

¹¹¹ კარგი იქნებოდა, ტ. ფუტკარაძეს გახსენებოდა ე. ოსიძის სტატია „ნამყო უსრულის -ა სუფიქსისა და მიცემითი ბრუნვის -ა ნიშნის წარმომავლობისათვის სვანურში“ (თსუ შრომები, №3/142, 1972) – ძალიან დასანანი კია, რადგან ტ. ფუტკარაძის ათგვერდიანი მეტად საინტერესო და საჭირო გამოკვლევა შეიქმნა სხვა ავტორთა 51 ნაშრომის ძირფესვიანად გაცნობისა თუ მათი ღირსეულად დაფასების საფუძველზე.

¹¹² მეორეული კი არა, მეორე ფუძე.

სწორია დებულება იმის შესახებ, რომ სვანურშიც (ძველი ქართულის ანალოგიურად!) ნაწევარი სახელის ფუძეს დაერთოდა: *ზარა/ე(ამ), მაგრამ აუსლაუტის *-ა+ი (სახ. ბრ. ნიშანი) > *-ეი > *-ე > -ე ხომ ქრონოლოგიურად ერთმანეთისაგან განსხვავდებიან?!

შენიშვნები სხვაც გვაქვს, მაგრამ წინამდებარე წიგნის სტილი (ის დამხმარე სახელმძღვანელოა!) არ ითვალისწინებს ფართო დისკუსიას, ამიტომ ამით შემოვიფარგლებით.

ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მადლიერების გამოხატვა ნებისმიერი ადამიანის მიმართ, თუმცა იმასაც საგანგებოდ გავხაზავთ, რომ ამ მხრივ ყოველი მოწაფის ცხოვრებისეული კრედოს აღფა-ომეგას უთუოდ უნდა წარმოადგენდეს საოცარი მოკრძალება ჭეშმარიტი მასწავლებლისადმი. აი, როგორი სქოლიო აქვს პირველივე გვერდზე ტ. ფუტკარაძის ქართველური ქვესისტემების ბრუნვის მორფემათა ისტორიისადმი მიძღვნილ სტატიას, რომელიც „ენათმეცნიერების საკითხების“ I-II ტომშია დაბეჭდილი 2009 წელს.

„პროფ. ზურაბ სარჯველაძისა და პროფ. ბაქარ გიგინეიშვილის მიერ 1978 წელს გამოქვეყნებული სტატია „ნანათესაობითარი მიმართულებითისა და ნანათესაობითარი დანიშნულებითის ადგილი ძველი ქართულისა და ქართველური ენების ბრუნვათა სისტემაში“ იყო ერთ-ერთი პირველი სამეცნიერო ნაშრომი, რომელმაც სტუდენტობის დროს სხვაგვარად დამანახვა სკოლაში მიღებული ცოდნის „სიმწყობრე“ და სტიმული მომცა, კრიტიკულად შემეხედა გაბატონებული კვალიფიკაციისათვის. დიდი მადლობა მათ ამისთვის“ (2009: 111).

რა დასანანია, რომ, როცა ეს წიგნი გამოვიდა, არც ბატონი ბაქარი და არც ბატონი ზურაბი ცოცხლები აღარ იყვნენ. პროფესორისთვის ყველაზე ძვირფასი ალბათ სტუდენტთა ანალოგიური შეფასებაა!

ახლა ვნახოთ, რისთვის უხდის თავად უკვე პროფესორი ასეთ გულის ამაჩუყებელ მადლობას ყოფილ მასწავლებლებს, თუმცა ნამდვილი პედაგოგი ყოფილი არასდროს იქნება!..

1. ნაშრომი სრულიად შეესაბამება მაღალმეცნიერულ დონეს, რადგანაც მასში დეტალურადაა წარმოდგენილი არა მხოლოდ ყველა ქართველური ენისა თუ ზოგი თანამედროვე დიალექტის მასალათა ილუსტრირებული ანალიზი, არამედ აშკარად იგრძნობა ქართველური პარადიგმატული სისტემის ისტორიის ზოგადლინგვისტური შეფასების მცდელობა;

2. გამოყენებულია უამრავი სპეციალური ლიტერატურა, რაც კი არსებობს პრობლემის ირგვლივ (მათ შორის ჩვენიც – მეთოდოლოგიურ საკითხებში დიამეტრული განსხვავებულობის მიუხედავად);

3. კარგი მიგნებაა, რომ „**არქაული სამწიგნობრო ენა ეფუძნება წელთაღრიცხვათა მიჯნაზე არსებულ საერთოქართველურ ენას**“ (იხ. გვ. 115).

4. ბ. გიგინეიშვილის, ზ. სარჯველაძისა და გ. კლიმოვის მოსაზრებათა მიხედვით, **ე. წ. ორმაგი (და არა ორფუძიანი! – ხაზი ჩვენია, ი. ჩ.)** ბრუნების **-ის-ა, -ის-ად** მორფემული ჯგუფების რეკონსტრუქცია მხოლოდ ზანურ-ქართული ერთიანობის ხანაშია შესაძლებელი, მაგრამ, რაკი **ტ. ფუტკარაძე** არ იზიარებს **გ. დეეტერსის** ცნობილ გენეალოგიურ სქემას ქართველური ენებისა (ნაკლებ სავარაუდოა ზანურ-ქართული ერთიანობის ეპოქის არსებობა) და იმავდროულად ითვალისწინებს სვანური დესტინატივის გამომხატველ **-იმდ/-ემდ/-აშდ>-დ** (როგორც რთულ, ისე მარტივ) მორფემას, თვლის, რომ **სახელის ფუძე+ის+ა/ფუძე+ის+ად/ფუძე+ის+დ** 'ა' მონაცემები უნდა არსებულიყო საერთოქართველურ ენაშივე. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის, რომ სვანურში ნანათესაობითარი ვითარებითის **-იმდ/-ემდ/-აშდ < -ა-იმდ,...** რთული მორფემა არასდროს გამოხატავს მიმართულების ფუნქციას (**-თე** თანდებულთან ვითარებითის **-დ**'ს დაკავშირება არც ფონოლოგიურადაა გამართლებული და არც სემანტიკურად!), მაგრამ **ტ. ფუტკარაძეს** წინააღმდეგობრივი ვითარების თავიდან ასაცილებლად დროულად ახსენდება **თ. შარაძენიძის** ერთი თვალსაზრისი, გამოთქმული ნაშრომში „მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვების წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში“: „მიმართულებითობა მომდინარეობს ადგილის გამოხატვიდან: თავის მხრივ, მიმართულებითობის განაა განვითარებული მიღწეულობა, გარდაქცევა, დანიშნულება, მიზანი“ (1956: 432-433). თითქოს ერთი შეხედვით ერთგვარად გამარტივდა რთული სიტუაციის ახსნის შესაძლებლობა, მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ გურული **კაციზა** და ქვემოიმერული **კაციზე** (< **კაც-ის-ად** „კაცისთვის“) შესაძლოა ერთმანეთის ფონეტიკურ ვარიანტებად წარმოვიდგინოთ; მაგრამ მეგრულში რომ სრულიად საპირისპიროა ვითარება? **-იშა** მიმართულებითის ფუნქციით გამოიყენება (მხოლოდ!), **-იშე** კი დაშორებითისა! „მიმართულებითი, დაწყებითი (დაშორებითი)

და დანიშნულებითი სპეციფიკური ბრუნვებია მეგრულ-ჭანურისა. ამიტომ ისინი, როგორც ბრუნვები, ქართულსა და სვანურში არ გვხვდება და ვერც წინარექართველურში ვივარაუდებთ მათ“ – ვ. თოფურიას ამ კატეგორიული განცხადების (2002: 143-144) გამო, რომელიც, რაღა თქმა უნდა, კიდევ უფრო ართულებს ე. წ. ორმაგი ბრუნვების ერთ-ერთი პარადიგმატული ერთეულის არსებობის ვარაუდს ფუძეენის დონეზე, ტ. ფუტკარაძეს -ისად მორფემა მხოლოდ დანიშნულებითი ფუნქციით შეაქვს თავის პარადიგმებში პრექართველური ეპოქისათვის:

ქართველური იდიომი	ვითარებითი	დანიშნულებითი	მიმართულებითი
საერთოქართველური ენა	-დ, -ად	-ისად	-ა, -დ, -ისა
არქაული სამწიგნობრო ქართული	-ად/-ათ	-ისად	-ა, -დ, -ისა
სვანური	-დ	-იმდ	-თე
მეგრული	-ოთ	-იმოთ	-იშა, -იმე
ხევსურული	-ად/-ათ	-ისად	-ისა
თუშური	-ად/-ათ	-ისად	-ისა
ფშაური	-ად/-ათ	-ისად	-ისა
გურული	-ად/-ათ	-იზა	-ისკე, ისკენ
ქართლური	-ად/-ათ	-ისთვინ	-ისკე, ისკენ
თანამედროვე სამწიგნობრო ქართული	-ად	-ისთვის	-ისკენ

გასაოცარია, საიდან გაჩნდა სპეციალურ ლიტერატურაში მოსაზრება იმის შესახებ, რომ სვანურ კილოებშიც კი ვითარებითის -დ მიღებულია -ად'ისაგან (ონიანი 1989: 211-218)?! სამართლიანად მსჯელობს ტ. ფუტკარაძე: „არალოგიკურად მიგვაჩნია *ზეფშე-ად > ბეფშე-დ და *მარემ-იმ-ად > მარემ-იმ-დ პროცესების დაშვებაო“;

სრულიად განსხვავებული მოსაზრება აქვს ჰ. ფოტს. მისი აზრით (1968: 274), „ნათესაობითის -ის, ინსტრუმენტალისის -ით და ვითარებითის -ად დერივაციული სუფიქსებია; ისინი ქმნიან ახალ ფუძეებს, რომლებიც, თავის მხრივ, ისევ შეიძლება ვაბრუნოთ“, თუმცა, მათი უპირველესი ფუნქცია სწორედ ფლექსიურობის გამოხატვაა.

ვერ დავეთანხმებით ტ. ფუტკარაძეს ალ. ონიანის სხვა თვალსაზრისის გაზიარებაში: „ვარაუდობენ, რომ სვანურ დიალექტებში მიცემითის ერთ-ერთი ალომორფია -ა; ვფიქრობთ, უფრო დამაჯერებელია მსჯელობა ალ. ონიანისა, რომელსაც მიაჩნია, რომ სვანურში გამოვლენილი ა არის ფუძისეული ე'ს ალოფონი (იხ. გვ. 114). ძველ ხალხურ სიმღერათა ტექსტებში დადასტურებულ ლექსემებთან: აწჯარე/აზჯარე („აზჯარი“), ატლასე („ატლასი“), ხეშნაწრე („ბეგთარი“), ხანგარე („მახვილი“), მგჟაღე („მუჟალი“ – ტოპ.), იფარე („იფარი“ – ტოპ.), დაღე („დალი-ნადირობის ქალღმერთი“), ნაწერიანე („ნავერიანი“), იოსელიანე („იოსელიანი“), საზრალე („საზრალო“), თამარე („თამარ“!), სოზარე („სოზარ“!), საღარე („საღარო – შუბლთეთრო ცხენო!“) აუსლაუტში -ა ხმოვანი რომ ვერ აღდგება (ყოველ შემთხვევაში, საზოგადო სახელებში მაინც!)?¹¹³

¹¹³ დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ჩვენი სტატია „სახელობითის -ე ფორმანტის შესახებ სვანურში“ (იკე, XVIII, 1973: 267-272).

§ 7. მერაბ ჩუხუას

მნიშვნელოვანია მერაბ ჩუხუას წვლილი კომპარატივის-ტულ ქართველოლოგიაში. საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ მისი ფუნდამენტური წიგნების („ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი“ – 2003 წ. და „იბერიულ-იჩქერიულ ენათა შედარებითი გრამატიკა“ – 2008 წ.) შესახებ, თუმცა სახელთა ბრუნების შესწავლის თვალსაზრისით მკვლევარი შედარებით მოკრძალებულად გამოიყურება. მიუხედავად ამისა, ძალზე საყურადღებოა მ. ჩუხუას ნაშრომი „საერთოკავკასიური ერგატივი“ (2009 წ.), რომელიც სახელთა კავკასიოლოგიური პარადიგმატიკის ფუნდამენტურ პრობლემებს ეძღვნება. მასში არაერთი ორიგინალური და დამაჯერებელი მოსაზრებაა გამოთქმული. მაგალითად:

1. საერთოკავკასიური ერგატიული ბრუნვის ნიშანი, რომელსაც პალეოერგატივის ვუწოდებთ, თანამედროვე კავკასიურ ენებში რეალიზებულია ხან ერგატივის, ხან დატივის, ხანაც ნათესაობითი ბრუნვის ფუნქციით, ანუ დღეს წარმოჩენილი მატერიალური ერთიანობა არ გულისხმობს ფუნქციურ იდენტურობას;

2. რეკონსტრუირებული პალეოერგატიული *-(ა)ს ფორმანტიანი სახეობა იმთავითვე შეთავსებითი ერგატივია, რომელიც სხვადასხვა კონტექსტის პირობებში ერგატივ/დატივის ფუნქციით იყო აღჭურვილი – გარდამავალ ზმნებთან გამოხატავდა ერგატიულ ბრუნვას, ხოლო გარდაუვლებთან დატივის ფუნქციით გვევლინებოდა, როგორც ბრუნვაუცვლელი ობიექტი (იხ. გვ. 69).

მეტად ანგარიშგასაწევია მ. ჩუხუას დაკვირვებანი ბრუნვათა მარკირების წესებთან დაკავშირებით პრექართველური ენის საგარაუდო პარადიგმატულ სისტემაში; მისი აზრით, ფუძენაში შესაძლებელია ერგატივისა და მიცემითის მორფემათა სამვარიანტიანი სახეობის რეკონსტრუქცია:

ერგატივი: *-(ა)მ¹¹⁴ (შდრ. ქართული ფიცილის ფორმულა **დე-დილამ**, ..., მეგრული **ღორუნთუმე** „ღმერთმანი“, ..., სვანური **ჰყინტემ** „ბიჰმა“, ...);

¹¹⁴ *-(ა)მ მორფემის ვარაუდს ერგატივის ნიშნად რომ არ ვიზიარებთ, ამის შესახებ უკვე რამდენიმეჯერ აღვნიშნეთ წინამდებარე წიგნში სხვადასხვა საკითხზე მსჯელობისას.

*-გ-ე (ქართ. მამაგე, თოლიგე, რომელსაც შეესატყვისება ზანური ერგატივის ნიშანი -ქ; შდრ. მეგრული ღორონდგე/ი „თუ ღმერთი გწამს“);

*-იჟ (ძვ. ქართ. ღმრთივ, ფრჟივ, ...).

მიცემითი: *-ან, *-(ა)ს, *-(ა)ჟ (შდრ. ოდნავ, კულავ, ფიცხლავ, რომლის შესატყვისი უნდა იყოს სვანური -ჟ < *-აჟ: ჯანჟ || ჯანს „ხარს“, ხამჟ || ხამს „ღორს“,...)

მეტად ორიგინალური რეკონსტრუქციის საფუძველზე მკვლევარი დაასკვნის:

სვანურ სახელთა პარადიგმატიკის თანამედროვე სურათი წარმოადგენს საერთოქართველური რთული სისტემის ანარეკლს, სადაც იმთავითვე ივარაუდება ბრუნების რამდენიმე ტიპი (2011: 91).

აქვე მ. ჩუხუა სვამს საკითხს ქართველურ ენათა ზმნისართის ისტორიულ-გენეზისური შესწავლის შესახებ, თუმცა ამ დროისათვის უკვე არსებობს კახა გაბუნიას მნიშვნელოვანი მონოგრაფია „ზმნისართის წარმოება და ფუნქციები ქართველურ ენებში“ (1993 წ.).

§ 8. ქეთევან მარგიანი-დადვანი, ქეთევან მარგიანი-სუბარი

2009 წლის საერთაშორისო საენათმეცნიერო კონფერენციაზე წაკითხულ იქნა კიდევ ერთი მოხსენება – ესაა „ერგატივი და ერგატიული კონსტრუქცია სვანურში“, რომლის ავტორები იყვნენ ქეთევან მარგიანი-დადვანი და ქეთევან მარგიანი-სუბარი. ნაშრომი იმითაცაა გამორჩეული, რომ იგი ეხება კოდორულ მეტყველებას, რომლის შესწავლის თვალსაზრისით მანამდე მხოლოდ თითო-ოროლა სტატია გახლდათ გამოქვეყნებული (მ. ქალდანის, ი. ჩანტლაძისა და ი. გიპერტის შესაბამისი ნაშრომები იხ. ბიბლიოგრაფიაში). გარდა ამისა, პირველი მომხსენებელი იყო კოდორის ხეობაში დაბადებული და აღზრდილი, ხოლო მეორე – ჭუბერელი, ვინც შეიფარა ლტოლვილი მოსახლეობა 2008 წლის ცნობილი სამხედრო ბატალიების შემდგომ, ანუ ის საილუსტრაციო მასალა, რაც მათ მსჯელობის საფუძვლად გამოიყენეს, აბსოლუტურად სანდო და ზუსტი გახლდათ.

დაკვირვებამ აჩვენა, რომ

1. ერგატივის ორმაგსუფიქსიანი (-ემ-დ) ფორმები დღეს გაცილებით მყარადაა შემონახული კოდორში, ვიდრე ენგურის ხეობაში;

2. საუკუნენახევრის წინ ზემო სვანეთიდან კოდორის ხეობაში საცხოვრებლად გადასულთა მემკვიდრეების მეტყველებაში ბრუნების I ტიპი ცდილობს გაბატონებას: -დ მორფემიანი ერგატივი გვხვდება თითქმის ყველა ტიპის არსებით სახელთან, ზედსართავთან, რიცხვითთან, სახელზმნებთან;

3. იშვიათად ჯერ კიდევ გამოიყენება -ემიანი მოთხრობითი, უფრო დალის ხეობაში არსებული ბალსქვემოური დიალექტის უფროსი თაობის წარმომადგენელთა მეტყველებაში და ნაცვალსახელებთან;

4. დონიანი ფორმების გაბატონების ტენდენციის მიუხედავად, -ემ ფორმანტი საკმაოდ მყარადაა შემონახული იდიომატურ გამონათქვამებში (ღერთ-ემ ჯასწრჭინას! – „ღმერთმა გაპატიოს!“, შდრ. ღწრხეთ-დ ეჯას ძალა ლახუემ – „ღმერთმა იმას ძალა მისცა“). დაახლოებით იგივე ვითარებაა ენგურის ხეობაში წარმოდგენილ ბალსქვემოურ დიალექტში (ღერთ-ემ ლოგჯჭწარ- „ღმერთმა მოგვცა“ < „მოგვიგდო“ ან ღერთ-ემ გჭწაპჯინას – „ღმერთმა გვალირსოს!“).

მოხსენება ეყრდნობოდა რუსთაველის ფონდის დაფინანსებით მოპოვებულ საგრანტო მასალებს 2006-2009 წლებში (ხელმძღვანელი პროფესორი იზა ჩანტლაძე). ამჟამად ახალი გრანტის (2016-2019) საფუძველზე შევეცდებით გავარკვიოთ კოდორული მეტყველების ადგილი სვანური ენის სისტემაში.

§ 9. ელისაბედ გაზდელიანი

ელისაბედ გაზდელიანი შედარებით მოგვიანებით (2010 წლიდან!) ჩაერთო სვანურ ბრუნებასთან დაკავშირებული ზოგი საკითხის დამუშავებაში. ის საკმაოდ საფუძვლიანად იკვლევდა ხმოვანთა საკომპენსაციო სიგრძეს, რამაც, ბუნებრივია, მკვლევარი მიიყვანა მორფემათა ზღვარზე (მათ შორის ბრუნებისაც!) წარმოქმნილი მორფოლოგიური პროცესების შესწავლამდე. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხების“ XI ტომში (2011 წ.) დაბეჭდილი სტატია „ნათესაობითი ბრუნვის მორფემები ხმოვანფუძიან სახელებთან სვანურში“, რომელშიც ნათქვამია: **„ძალზე ძნელია სვანური ბრუნების დიაქრონიაში გარკვევა. ბრუნვის ნიშანთა მრავალფეროვნება (განსაკუთრებით ზემოხმოვანურ დიალექტებში), მათი გამოყენება ერთსა და იმავე ბრუნვაში ერთად თუ ცალ-ცალკე, ხმოვანფუძიანი სახელის ფუძესა და ხმოვნით დაწყებულ ბრუნვის ნიშანს შორის მიმდინარე დიალექტური ფონეტიკური პროცესები გახდა მიზეზი მეცნიერთა განსხვავებული შეხედულებებისა“.** ეს რომ ასეა, ჩვენ არაერთხელ ვაჩვენეთ სვანურ სახელთა პარადიგმატული ანალიზისას.

ავტორი, ემყარება რა ჩვენს სტატიას -**ი** აუსლაუტიან სახელთა ბრუნების შესახებ სვანურში, საგანგებოდ მოიხმობს შემდეგ დებულებას: **„-ი ბოლოხმოვანი სახელები ბრუნების პროცესში არ მისდევნენ ერთ გარკვეულ სისტემას – შეინიშნება თანამედროვე სვანურში არსებული თითქმის ყველა ბრუნვის ნიშნის სხვადასხვა ვარიანტთა გამოყენების შემთხვევები“** (ჩანტლაძე 1998: 62). მეტად საინტერესოა, რომ ე. გაზდელიანს მოჰყავს -**ემ**¹⁵ იანი ერგატივიდან მომდინარე ნათესაობითი ბრუნვის ფორმები თავისი მშობლიური (ლაშხური) დიალექტიდან: **დ-ნიმ¹⁵** (<**დი+ემ+იშ**) „დედის“, **შ-ნიმ** (<**ში+ემ+ იშ**) „ხელის“, რომელთა გვერდით ჩვეულებრივად გავრცელებული **დი-ემ**, **ში-ემ** ფორმები მას გვიანდელ მოვლენად მიაჩნია (გაზდელიანი 2011: 71).

მაშასადამე, -**ემ**¹⁵ იანი ბრუნება ე. წ. ქართველურ სისტემაზე ძველია ქვემოსვანურში? ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბრუნების ამ ორი ტიპის გამოყენება ისტორიულად ერთმანეთის თანადროული უნდა ყოფილიყო სვანური ენის ყველა დიალექტში, განსხვავებულ ფუძეებთან თუ მეტყველების ნაწილებთან, მაგრამ, რაკი ქართულის გავლენა

¹⁵ რაღა თქმა უნდა, ვერ გავიზიარებთ ე. გაზდელიანის სტატიაში (და არამარტო!) წარმოდგენილ სეგმენტაციას (**დ-ნიმ/შ-ნიმ**), ამიტომაც ჩვენ იგი ჩავსაწორეთ.

უფრო ძლიერი აღმოჩნდა ქვემოსვანურში (მეტნაკლებად ბალსზემო-ურშიც), ამიტომ აქ ე. წ. ქართველურმა სისტემამ გაიმარჯვა, თუმცა ამის შესახებ ე. გაზდელიანი რატომღაც დელიკატურად დუმს.

ე. გაზდელიანის მეტად საინტერესო და საკმაოდ ვრცელი საილუსტრაციო მასალის ანალიზის საფუძველზე გამოტანილი დასკვნების შემცველი კიდევ ერთი სტატია „მოქმედებითი ბრუნვის ალომორფები სვანურში“ იმავე სამეცნიერო კრებულის მომდევნო ტომშია (XII, 2013) დაბეჭდილი. მთავარი ისაა, რომ მასში მოხმობილია არა მხოლოდ ყველა დიალექტის მასალა (თუმცა არ უნდა ვთქვათ: „ჩოლოურული ლენტეხური კილოს თქმაო“ – გვ. 83; ბოლოსდაბოლოს 1890 წლიდანაა ცნობილი ეს მეტყველება – იხ. ად. გრენის გრამატიკული შენიშვნები СМОНПК-ის X ტომში), არამედ ძველი სვანური ხალხური სიმღერების ტექსტებიც და მათი სრულხმოვნიანი ვარიანტები შედარებულია ლენტეხურის ურედუქციო მონაცემებთან. სტატიაში დეტალურადაა აღწერილი მოქმედებითი ბრუნვის ალომორფთა განაწილების წესები, ოღონდ ერთი შენიშვნა მაინც გვაქვს:

ფორმაში -შჷ გვექნება, -ჷშ თუ -ჷშ, იმაზე კი არაა დამოკიდებული, რა (ვითარების, დროის, მიზეზის ან ადგილის გარემოების) ფუნქციით (გვ. 88-90) იხმარება მოქმედებით ბრუნვაში ჩასმული სახელები, არამედ მთავარია – ფუძე თანხმოვანზე ბოლოვდება თუ ხმოვანზე, თანაც ეს უკანასკნელი წარმოდგენილია თუ არა ან თუ არ არის წარმოდგენილი, რომელი მათგანი (-ა, -ე, -ო, -ო, -ჷ, -გ) ივარაუდება გაუჩინარებულად. მაშასადამე, ამ შემთხვევაში ძირითადია ფონეტიკური პროცესები!

გარკვეული მნიშვნელობა იმასაც აქვს, საილუსტრაციო მასალა თანამედროვე ცოცხალი მეტყველებიდანაა მოყვანილი თუ ძველი სვანური ხალხური სიმღერების ენიდან. უკანასკნელ შემთხვევაში ზოგჯერ შესაძლოა ლექსის მელოდიკური სტრუქტურა თუ რიტმი განაპირობებდეს მოქმედებითი ბრუნვის სრულხმოვნის მორფემას (-ჷშ).

გამოკვლევაში გვხვდება ისეთი მასალაც (გვ. 85), რომელიც დღემდე სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნული არ ყოფილა. ესაა ცხუმარული კილოკავის ძულჷა-შ-შჷ („ზღვით“), ქემ-ა-შ-შჷ-ოღჷ („მატებითმცა“),... ფორმები, რომლებშიც, ე. გაზდელიანის აზრით, ჯერ დაიკარგა -ჷ სონანტი, შემდეგ კი ლექსემას კვლავ დაერთო -შჷ მორფემა¹¹⁶ (გვ. 86). მეორე მხრივ, -ა და -ე ბოლოხმოვნიან სახელებთან ქვემოსვანურში ჩნდება -ჷ ბრუნვის ნიშანსა და ფუძის ბოლო ხმოვანს შორის: ჷადა-ჷ-შჷ (ლშხ.) „ვადით“, კადა-ჷ-შჷ (ლნტ.) „ნაჯახით“,...

¹¹⁶ თუ ისევ უნდა გაჩენილიყო მოქმედებითის -შჷ მორფემა, მაშინ რალატომ დაიკარგა ძველი მაწარმოებლის ერთ-ერთი (-ჷ) ელემენტი!

მართლა ასე დიამეტრულად უპირისპირდება ერთმანეთს ბალსქვემოური და ქვემოსვანური დიალექტები?! გარდა ამისა, ცხუმარულის **ძუღღაშშჷ, ქემაშშჷოდღ** და მისთანა ფორმები ჰუმლიკაციებში არ არის დადასტურებული (ყოველ შემთხვევაში ჩვენ არ შეგვხვედრია!), ამიტომ მათი არსებობა გვეჭკვება.

რაც შეეხება **-უ** ბოლოხმოვნიან სახელებს, არა გვგონია, მართალი იყოს გამოკვლევის ავტორი. შეუძლებელია **-უ** და **-ჷშ** სემანტა ურთიერთმიმართებებს რაღაც ცვლილება არ გამოეწვია ფორმაში – რასაკვირველია, **-ჷშ** უნდა მიგვეღო! ე. გაზდელიანს ერთადერთ მაგალითში დაუდასტურებია გრძელი ხმოვანი (**ფა-ჷშ** < **ფაუ-ჷშ**, სვ. ქრესტ. 1978: 344, 15) და ისიც კორექტურული შეცდომის შემცველი (ლენტეხურ კილოში გრძელ ხმოვანს რა უნდა?! მითუმეტეს, რომ აკაკი შანიძის მიერაა ჩაწერილი ზღაპარი, რომელსაც, სამწუხაროდ, მთქმელის პასპორტი არ ახლავს. თუ ტექსტის ავტორი ჩოლურელი იყო, მაშინ, თავისთავად ცხადია, **ფაჷშ** მოსალოდნელია).

სინანულით გვინდა შევნიშნოთ, რომ, გარდა ერთი შემთხვევისა (**გუდრო-ჷშ** „გულით“ – ბზ. 1939: 432, 35), აჯობებდა ფორმა დაუშლელად ყოფილიყო წარმოდგენილი, რადგანაც **-ო**ში მხოლოდ ნაწილობრივ შედის ფუძის აუსლაუტი < **გუდ-რა-ჷშ**).

ზემოსვანური მასალა გაანალიზებულია მხოლოდ „სვანური ენის ქრესტომათიის“ მიხედვით, სადაც, როგორც ცნობილია, არაერთი კორექტურული შეცდომა გვხვდება. ე. გაზდელიანს თავისი მსჯელობის საყრდენად „სვანური პროზაული ტექსტების“ I და II ტომები რომ გამოეყენებინა, მაშინ ალბათ არ იტყოდა: „**-უ**ზე დაბოლოებული სახელები უმეტესად უცვლელად რჩება მოქმედებით ბრუნვაში“ (იხ. გვ. 88) – გამონათქვამიც რამდენადმე ორაზროვანია!

2014 წელს არნოლდ ჩიქობავას სხელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 73-ე სამეცნიერო სესიაზე ე. გაზდელიანმა წაიკითხა მოხსენება თემაზე „ვითარებითი ბრუნვისათვის სვანურში“. ნაშრომში მიმოხილულია სპეციალურ ლიტერატურაში სხვადასხვა მკვლევრის მიერ გამოთქმული მოსაზრებანი, რომელთა საფუძველზე გამოთქმულია ახალი თვალსაზრისი რიგობითი რიცხვითი სახელების წარიან ვითარებითთან დაკავშირებით: მოსალოდნელია **მესემა-ნ** (ლნტ.) „მესამედ“ მომდინარეობდეს ***მე-სემ-ა-ნ-დ** (შდრ. ლშხ. **მესმანდ**) ფორმისაგანო (იხ. გვ. 25). აუსლაუტში ბრუნვის მორფემისეული **დონი** არც ისე ხშირად იკარგვის სვანურში, განსხვავებით ქართულ-ზანურისაგან, მაგრამ **ავტორის მიერ გამოთქმული ვარაუდის დაშვება მაინც შესაძლებელია, თუ ლაშხური მესმანდ არ არის მესმამდ ვარიანტის დისიმილირებული სახეობა.**

§ 10. მედეა საღლიანი

ახლახან დაიბეჭდა მედეა საღლიანის მონოგრაფია „სვანური ენის სტრუქტურის საკითხები“.

მეტად მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდა მკვლევარი ქმნის ისეთი დიდი მოცულობის წიგნს (თეორიული ნაწილი: გვ. 13-696, რეზიუმე ინგლისურ ენაზე: გვ. 701-735, საძიებლები: გვ. 739-931, პირობითი ნიშნების განმარტება: გვ. 932, შემოკლებათა განმარტება: გვ. 933-935), როგორცაა „სვანური ენის სტრუქტურის საკითხები“. უპირველეს ღირსებად მ. საღლიანის მონოგრაფიისა ის მიგვაჩნია, რომ მასში სვანური ენის ტრადიციული დიალექტების (ბალსზემოური, ბალსქვემოური, ლაშხური, ლენტეხური) მასალათა გვერდით მოყვანილია ვრცელი ილუსტრაციები კოდორული¹¹⁷ და ჩოლურული მეტყველებისა, რაც აქამდე სპეციალურ ლიტერატურაში შედარებით ფრაგმენტულად იყო წარმოდგენილი. მათი ლინგვისტური ანალიზიც, ძირითადად, დამაჯერებელია, განსაკუთრებით ელიზიათა და უბველეს იდიომატურ გამოთქმათა შეფასებისას; მეტად ორიგინალურია ზოგი ფუძის ეტიმოლოგია (ვთქვათ ლჰხირ „ნიჩაბი“, სჰინოხსნაზ „სულის მონხსენება, ტეხშოზ „ტეხისოზა“...), თუმცა ბევრია სადავოც.

რატომ შემოიღო ზოგი ახალი ტერმინი ავტორმა, გაუგებარია (ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით მაინც). ვიდრე შესაბამისი მონაცემების ანალიზი მონოგრაფიულად არ დამუშავდება, ალბათ ძალზე უხერხული იქნება სამეცნიერო მიმოქცევაში დავენერგოთ: „კოდორული დიალექტები“ („კოდორის ხეობის ზემო წელში არსებული“¹¹⁸

¹¹⁷ საენათმეცნიერო ექსპედიცია კოდორის ხეობის ზემო წელში მუშაობდა 2007-2008 წლებში, ანუ რუსეთ-საქართველოს ცნობილ საზრძოლო ბატალიებამდე. სწორედ ჩვენი უამრავი ვიდეო-აუდიო ჩანაწერით გადარჩა ეს მეტყველება დაღუპვას, რისი შედეგიცაა ფუნდამენტური აკადემიური წიგნი „კოდორული ქრონიკები“ (საგრანტო პროექტი დაფინანსებული იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან არსებული რუსთაველის ფონდის მიერ – ხელმძღვანელი პროფესორი იზა ჩანტლაძე). ამ მნიშვნელოვანი ნაშრომის შესახებ არაერთი რეცენზია გამოქვეყნდა, მაგრამ მათ შორის ჩვენთვის ყველაზე ძვირფასია ოლდენბურგელი კოლეგის, პროფესორ ვინფრიდ ბოედერის შეფასება (იხ. „Georgica“, Heft 34, Jena-Tbilisi, 2011: 129-130).

¹¹⁸ აქ ბევრ ადგილას უნდა ყოფილიყო მოხმობილი ჩვენი მონოგრაფიები „ქართველური ლექსიკის ისტორიიდან“ და „სვანეთის ფლორა“, მაგრამ გამორჩეულია?!

დიალექტები“ სჯობს!), ჩოლურული კილოკავები (უკვე დავად-გინეთ, რომ ჩოლურის თემში შემავალი სოფლების მეტყველება დამო-უკიდებელ ქვემოსვანურ დიალექტს ქმნის?!) ან ლახამულური დი-ალექტი (იხ. გვ. 103 – თუ ნიკო მარის მოსაზრებას ვემზრობით, ხომ უნდა აღინიშნოს ამის შესახებ?! გარდა ამისა, 1911 წლიდან – მას შემ-დეგ, რაც გამოვიდა სტატია “Где сохранилось свайцское склонение” – ას წელზე მეტი გავიდა, მაგრამ არც ერთ სვანოლოგს ლახამულურისთვის დიალექტი არ უწოდებია, სპეციფიკურ კილოკავად მოიხსენიებენ მხო-ლოდ!).

წინამდებარე წიგნში, სხვა მკვლევართა თეორიების მიმოხილვი-სას, გზადაგზა ვეხებოდით მ. სალლიანის მონოგრაფიასაც, ამიტომ ამ-ჯერად მხოლოდ რამდენიმე შენიშვნით დავკმაყოფილდებით:

1. გაუგებარია, რატომ უნდა მივიჩნიოთ სამფუძიანი ბრუნების ტიპად ბალსზემოური **აშხ-ჟ-მ-ემ** („ერთმა“)’ის მსგავსი მაგალითები (იხ. გვ. 101)?! **სადაა აქ მესამე ფუძე?! და საერთოდ, მ. სალლიანის მიერ მოპოვებული ანალოგიური მასალა რომ ხელოვნურობის შთაბეჭდი-ლებას ტოვებს, ამის შესახებ ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ** (იხ. წინამ-დებარე წიგნის გვ. 103).

2. რატომ უნდა აღდგეს **უსგჟამ** („ექვსს“), **არამ** („რვას“), **ჩხარამ** („ცხრას“) ფორმებში მიცემითი ბრუნვის ნიშანი -ს, რომელიც „ბალსზე-მოურ დიალექტში მოკვეცილია, თუმცა იგულისხმებაო“ – წერს მო-ნოგრაფიის ავტორი (იხ. გვ. 102, სქოლიო 1). საიდან იგულისხმება? თუ ა ხმოვნის სიგრძეს ვბრალდებთ რამე, ის აქ არაფერ შუაშია, ყოველ შე-მთხვევაში სანი’ს დაკარგვასთან არაფერი კავშირი არა აქვს, რადგანაც **უსგჟამ <“უსგჟა+ამ, არამ <“არა+ამ, ჩხარამ <“ჩხარა+ამ.**

3. ხელოვნურობის შთაბეჭდილებას ტოვებენ, აგრეთვე, ბალსქვე-მოური **ემხუ-მ-იმ** („ერთის“), **იორი-მ-იმ** („ორის“), **ჟომთხჟ-მ-იმ** („ოთხის“), **ემდ-მ-იმ** („ათის“) ფორმები, რომლებიც მ. სალლიანს სამეც-ნიერო მიმოქცევაში არსებულ მასალებში არ შეუნიშნავს (იხ. გვ. 103) – **არარსებულს როგორ შენიშნავდა?!**

4. ვფიქრობთ, ძალზე საყურადღებოა საანალიზო მონოგრაფიის ავტორის მიერ ბრუნების მეხუთე ტიპად კვალიფიცირებული **ჩხა-რამნემ** („ცხრამ“) – რთული ფორმა ერგატივისა, რომელიც მოგვაგო-ნებს ბალსზემოურ და იშვიათად ლაშხურ დიალექტებში დადასტურე-ბულ **მარნემნემ** („კაცმა“) მონაცემს; ამიტომ **ჩხარამნემ** ცალკე ტიპად კი არ უნდა განგვეხილა, არამედ არსებით სახელთა ბრუნების ნარევი ტი-პის სისტემაში. იგივე ეხება მ. სალლიანის მიერ გამოყოფილ ახალ (?)

ტიპს (მერუ „ორი“, მერუს „ორს“, მერუდ „ორმა/ორად“, მერუმში „ორის“, მერუმში „ორით“), რომელიც თითქოს „საენათმეცნიერო ლიტერატურაში დადასტურებულ ბრუნების ვერც ერთ ტიპში ვერ განთავსდა“ (იხ. გვ. 102). მორისგან სახელობითში მივიღებდით მერუ <მერუ (<მორ+ი)ს, პალატალური უმლაუტის საფუძველზე, რომლის ფუძეც მერუ განზოგადდა დანარჩენ ბრუნებში. ამიტომ ამგვარი მონაცემები ცალკე ტიპად კი არ უნდა გამოვყოთ, არამედ იმ ტიპის ერთ-ერთ ქვეჯგუფში უნდა გავითვალისწინოთ, სადაც მიმდინარეობს სახელობითი ბრუნვის ფორმის მიხედვით პარადიგმატულ ერთეულთა გასწორების (ანუ შედარებით გვიანდელი!) პროცესი.

5. ჯერ კიდევ მ. ზავადსკის (1890: XXIX) ჰქონდა შენიშნული მუხვზ-ოშ („ძმით“) ფორმა, რომელიც შემდგომში არნ. ჩიქობავამაც (1941: 50) დაიმოწმა. ერთი შეხედვით თითქოს მოულოდნელია ამ ლექსემასთან მოქმედებით ბრუნვაში -ოშ (-ე აუსლაუტიან სახელებთან თანამედროვე სვანურში ამგვარი ასიმილაცია -ე-ში > -ოშ არ ხდება!), მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ „ძმის“ აღმნიშვნელი სახელი ისტორიულად -ა ხმოვანზე დაბოლოებულთა ანალოგიურად იბრუნებოდა, რაც დღეს მიცემით (მუხუზა-ს' „ძმას“) და მოქმედებით (მუხუზა-ში > მუხუზოშ'უ' „ძმით“) ბრუნებში შემოგვრჩა, მაშინ ყველაფერი ნათელი იქნება. ამ ფაქტიდან აშკარა ხდება, რომ დიაქრონიული მეთოდოლოგიის გამოყენების გარეშე ბევრი რამ აუხსნელი და გვრჩება არამხოლოდ სვანურში (ეს ნებისმიერ ენას ეხება!).

მ. სალლიანი თავის ახლად გამოცემულ მონოგრაფიაში სახელებიდან მსოლოდ რიცხვითებზე მსჯელობს, მაგრამ, რაკი დღევანდელი მე- – ე აფიქსით ნაწარმოები რიცხვითი რიცხვითი სახელები ისტორიულად მე- – ა აფიქსიანთა მსგავსად იბრუნებოდნენ, კარგი იქნებოდა, მას ემსჯელა იმის შესახებაც, ხომ არ გვხვდება თანამედროვე სვანურის რომელიმე დიალექტში, კილოკავსა თუ თქმაში მწრმოშ'უ' („მეორით“), მწსმოშ'უ' („მესამით“) ფორმათა მსგავსი მონაცემები? საყურადღებოა, რომ -ა აუსლაუტიან რიცხვით და ზედსართავ სახელებთან, თუ ისინი ბრუნებისას -ამ'იან მიცემითს ეყრდნობიან, დღეს მოქმედებით ბრუნვაში არანაირ ასიმილაციას არა აქვს ადგილი (შდრ. არამშუ <არა-ამ-ში „რვით“, ხოჩამშუ <ხოჩა-ამ-ში) ალბათ იმიტომ, რომ დისტანციურად განსხვავებული ვითარება – მოქმედებითი ბრუნვის -ში მორფემა უშუალოდ კი არ დაერთვის სახელის ფუძეს, არამედ ის მოსდევს მეორე ფუძის წარმომქმნელ მიცემითის -ამ მორფემას. მაშასადამე, ამ შემთხვევაში ფონოლოგიურ პროცესთა განსხვავე-

ბულ შედეგებს (ოშ < ა-შჷ: მუხჷბ-ოშ^რჷ < *მუხჷბა-შჷ „ძმით“, ერთი მხრივ, და ა-შჷ: არამშჷ < *არა+ამ+შჷ „რვით“, მეორე მხრივ) განსაზღვრავს ბრუნების ტიპი – ისტორიულად -ა აუსლაუტიანი მონაცემია ამოსავალი თუ მიცემითში ერგატის -მ თანხმოვანზე დამყარებული ფუძე?

6. ჩვენი ეს მსჯელობა, ბუნებრივია, აჩენს გარკვეულ კითხვებს მ. საღლიანის „სვანური ენის სტრუქტურის საკითხებში“ ასახული ზოგი პარადიგმატული სისტემის მიმართ. მოვიყვანთ 109-ე გვერდზე წარმოდგენილ პარადიგმებს რაოდენობითი რიცხვითი სახელებისა ბალსზემოური, ბალსქვემოური, ლაშხური, ლენტეხური დიალექტებიდან, აგრეთვე, ლახამულურ-უშგულური კილოკავებიდან და ჩოლურული მეტყველებიდან:

	ბზ.	ბქ.	ლშხ.
სახ.	მერმე მერჷე „მეორე“	მერმე	მერმე
მიც.	მერმე-ს მერჷე-ს „მეორე-ს“	მერმე-ს	მერმე-ს
მოთხ.	მერმე-დ მერჷე-დ „მეორე-მ“	მერმე-დ	მერმე-დ
ნათ.	მერმე-შ მერჷე-შ „მეორ-ის“	მერმე-შ	მერმე-შ
მოქმ.	მერმე-შჷ მერჷე-შჷ „მეორ-ით“	მერმე-შჷ	მერმე-შჷ
ვით.	მერმე-დ მერჷე-დ „მეორე-დ“	მერმა-დ	მერმე-დ

	ლნტ.	ჩოლ.	ლხმ.	უშგ.
სახ.	მერბე	მერმე	მერმე	მერმე
მიც.	მერბე-ს	მერმე-ს	მერმე-ს	მერმე-ს
მოთხ.	მერბე-დ	მერმე-დ	მერმე-დ	მერმე-დ
ნათ.	მერბე-შ	მერმე-შ	მერმე-შ	მერმე-შ
მოქმ.	მერბე-შჷ	მერმე-შჷ	მერმე-შჷ	მერმე-შჷ
ვით.	მერბე-დ	მერმე-დ	მერმა-დ	მერმე-დ

7. მ. საღლიანის აზრით, რიგობითი რიცხვითი სახელების ბრუნება სვანური ენის ყველა დიალექტში ერთ სისტემას მიჰყვება (გვ. 109). ვითომ ასე მარტივადაა საქმე?! სპეციალისტებისთვის ცნობილია, რომ ბაქარ გიგინეიშვილმა თავის დროზე ფილოლოგიის ფაკულტეტის ასპირანტურის კურსდამთავრებულს, მაია კვეზერელ-კოპაძეს საგანგებოდ დაავალა სადისერტაციო ნაშრომის შექმნა ქართველურ ენათა რიცხვითი სახელების შესახებ და, მართლაც, 1985 წლის 28 მარტს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საენათმეცნიერო საბჭოს სხდომაზე წარმატებით იქნა დაცული შესაბამისი დისერტაცია, რომელიც,

სამწუხაროდ, ერთადერთხელაა მოხსენიებული მ. საღლიანის მონოგრაფიაში, სადაც რიცხვითი სახელის აგებულებას, წარმოებას, შედგენილობასა თუ ბრუნებას 36 გვერდი (85-121) უკავია. უფრო მეტიც, წიგნის საკმაოდ დიდი მოცულობის (გვ. 85-246) ნაწილში, რომელსაც მორფოლოგია ეწოდება, და გამოყენებულ ლიტერატურაში თითქმის 100-მდე ნაშრომია მითითებული, ჩვენი ჭაჭანებაც კი არსადაა – მკვლევრისა, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე სვანური ენის მორფოლოგიის შესწავლას და სვანი ასპირანტების აღზრდას შესწირა. ავტორს რომ „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების“ XXI ტომში (1979 წ.) გამოქვეყნებული ჩვენი სტატია „ორფუძიანობის საკითხისათვის ქვემოსვანურში“ გააზრებულად წაეკითხა, მაშინ ის ბრუნვათა ზემოთ მოყვანილ პარადიგმატულ ერთეულებს ერთადერთად არ გამოაცხადებდა სვანური ენის ყველა დიალექტისთვის. საოცარია, რომ თავისი მშობლიური (ბალსქვემოური) მეტყველებისთვის სრულიად ბუნებრივი და მთელ სვანურში მეტ-ნაკლებად გავრცელებული მერმამ („მეორეს“), მერმემ („მეორემ, მეორესი“), ბზ./ლშხ. მერმემში („მეორესი“), მერმამდ („მეორედ“) ფორმათა ანალოგიური მონაცემები მ. საღლიანს საერთოდ არ გახსენებია.

კარგი იქნებოდა, იქ, სადაც ჰაინც ფენრიხთან ჩვენი თანაავტორობით იენაში 2003 წელს გერმანულ ენაზე გამოცემულ ჩოლურულ ზმნათა გრამატიკულ ფორმებზე მსჯელობს მ. საღლიანი, საგანგებოდ აღნიშნულიყო იმავე წელს დასტამბული სტატიის (Fähnrich H., Einige tscholarswanische Ergänzungen des kartwelischen Wortschatzes) შესახებაც, რომელიც გამოქვეყნდა ბატონი ჰაინცის "Kleine Schriften"-ში...

იმედია მოწაფეს მასწავლებლის შენიშვნები არ ეწყინება, მითუმეტეს, თუ იმასაც გაითვალისწინებს, რომ გერმანელები სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერხელმძღვანელ ქალბატონს **Doktormutter** („დოქტორი დედა“) ს უწოდებენ.

§ 11. ორფუძიანი ბრუნების რეკონსტრუქცია

ასეთია საკმაოდ ვრცელი¹¹⁹ ქრონოლოგიური მიმოხილვა სვანურ სახელთა ბრუნების შესწავლის ისტორიისა თითქმის ორი საუკუნის მანძილზე. კვლავაც გავიმეორებთ, რომ ყველა სვანოლოგი შეეხო ამ პრობლემას (გასაოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ გაცილებით ცოტა ნაშრომები ზმნის პარადიგმატულ ერთეულთა სპეციფიკასთან დაკავშირებით!).

ამასთანავე შევნიშნავთ, რომ გამოწვლილვითაა შესწავლილი ბრუნებათა ტიპები, პარადიგმატული ერთეულები, მორფმათა სტრუქტურა და ისტორია, თუმცა მხოლოდ ფრაგმენტულადაა გამოკვლეული ბრუნებათა ფუნქციები.

ითავითვე დაფიქსირდა სვანურ სახელთა ბრუნების ტიპები ორფუძიანი (არნ. ჩიქობავა და სხვები) თუ სამფუძიანი (თ. შარაძენიძე და სხვები) პრინციპის მიხედვით, მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა სისტემის დარად, მაგრამ სრულიად განსხვავებულად ქართულ-ზანური სისტემებისაგან.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ არც ორფუძიანობა და არც მით უფრო სამფუძიანობა არ ახასიათებდა სვანური ბრუნების სისტემას ისტორიულად; ეს პრინციპი მერმინდელი შენაძენია და მომდინარეობს ე. წ. ართრონიანი ბრუნების სისტემიდან, სადაც ფონემათა თანდათანობით

¹¹⁹ ჩვენი ნაშრომი გაცილებით დიდი მოცულობისა გამოვიდოდა, იმდენად ბევრმა მკვლევარმა გამოამჟღავნა ეთნოლინგვისტური იუ საკუთრივ ლინგვისტური ინტერესი არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ კავკასიაში თავისი არქაულობით, პალატალური, სახელთა ბრუნების ორფუძიანობის (resp. სამფუძიანობის) პრინციპის სპეციფიკური გამოვლენით, ურთულესი ვერბალური კატეგორიებით, „მცა“ ნაწილაკიანი და სხვათა სიტყვის მესამე პირისეული (ნაცვლად I-II პირისა!) კონსტრუქციის ორიგინალობით (და კიდევ ვინ მოთვლის, რითი აღარ!) გამორჩეული სვანური ენის მიმართ, მაგრამ ზოგი ნაშრომი იმდენად იქცა ბიბლიოგრაფიულ იმვიათობად, რომ საჯარო ბიბლიოთეკაშიც კი აღარ მოიპოვება, ხოლო, რაც შეეხება უცხოურ გამოცემებს, რამდენიმე მათგანი საქართველოში საერთოდ არ შემოსულა გარკვეულ წლებში ჩვენი ცხოვრების მძიმე სოციალურ-პოლიტიკური ვითარების გამო. ცხადია, ვერსად ვნახავდით ს. ლენცის ხელნაწერ ნაშრომს „Активный падеж в грузинском и других картвельских языках“, რომელიც გ. კლიმოვის მონოგრაფიაში (1962: 38) დამოწმებული. ამიტომაც თავს ვალდებულად ვთვლი, უღრმესი სამადლობელი გამოვხატო წინამდებარე წიგნის ყველა რედაქტორისა და უცხოელი (განსაკუთრებით გერმანელი) კოლეგების მიმართ იშვიათი სპეციალური ლიტერატურის მოწოდებისათვის ქართველურ და კავკასიურ ენათა განყოფილებების სტუდენტთა თუ დოქტორანტთა სახელმძღვანელოზე მუშაობის პროცესში.

ცვეთის შედეგად ბრუნებად სახელთა მორფემებთან შერწყმით ჩამოყალიბდა სრულიად ახალი ტიპი. „ქართველურ ენებში (მათ შორის სვანურშიც) კვეცას უმთავრესად სონანტები (გ, ნ, ლ,...) განიცდიან. სწორედ ისინი შეადგენენ დეტერმინანტი სუფიქსების თანხმონით ელემენტებს სახელებში“ (მაჭავარიანი 1972: 506); საყურადღებოა, რომ ერთადგილას ვ. თოფურია ერგატისის -ემ მორფემას არტიკლს უწოდებს (Топурия 1967: 81). მანამდე, ძირითადად, ერთგვარად იბრუნვოდა მეტყველების ყველა ნაწილი (ზოგ ნაცვალსახელს თავისი სპეციფიკა ჰქონდა!) ყველა ქართველურ ენაში.

მოსალოდნელია, რომ არა მარტო იბერიულ-კავკასიურ ენებში, არამედ სხვაგანაც, სადაც კი დღეს არსებობს ორფუძიანი ბრუნების პრინციპი, იგი მეორეული მოვლენა იყოს, რასაც დიაქრონიულად საფუძვლად უდევს ფონოლოგიური პროცესები. ისიც სრულიად შესაძლებელია, რომ თავად სვანური ენის განვითარების შინაგანი კანონების მოქმედებამ გაართულა სახელთა პარადიგმატული სისტემა ყოველგვარი გარეგანი ზეწოლის (მთის კავკასიურ ენათა გავლენის) გარეშეც (ჩანტლაძე 1998: 118).

ნაშრომის დასასრულს წარმოვადგენთ სახელთა ბრუნების ჩვენებულ სავარაუდო პარადიგმატულ სისტემას სვანური ენის განვითარების ისტორიულ საფეხურზე:

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ -ჟ და -ემ არა მარტო ქართული დეტერმინანტი (ლ'ს შემცველი) სუფიქსის მორფოლოგიური ეკვივალენტებია, არამედ თავად სვანურში ძალზე გავრცელებული ელემენტები, რომლებიც სახელთა ძირის აგებაში არ მონაწილეობენ; ისინი ფუძეთა მაწარმოებელი სუფიქსების როლში გვევლინებიან ისეთ სიტყვებშიც, რომელთაც საერთოქართველური წარმომავლობა არ ახასიათებთ. -ჟ/-ემ ადრე უფრო ბევრ ფუძეს აწარმოებდნენ ალბათ, მაგრამ იმის გამო, რომ მოხვდნენ აუსლაუტში და ამავე დროს წარმოადგენდნენ ლაბიალურ ფონემებს, ენის განვითარების გარკვეულ საფეხურზე ადვილად გაუჩინარდნენ ზეპირი მეტყველების ნაკადში.

იმასაც ვფიქრობთ, რომ ჟ'ს ამგვარი ახსნის მეტი საფუძველი არსებობს როგორც ძველი სვანური სიმღერებისა და ანდაზების ენაში, დალოცვისა თუ წყევლის ფორმულებში. რელიგიურ რიტუალთა გადმომცემ ან ეთნოგრაფიული ყოფის აღმნიშვნელ ლექსიკაში, ისე თანამედროვე დიალექტებსა და კილოკავებში. რაც შეეხება -ემ-ს, აქ გარკვეული სიმძნელები იჩენს თავს, მაგრამ ჩვენ მაინც გვგონია, რომ არსე-

ბით სახელთა იმ ჯგუფს, რომელიც დღეს -ემ დაბოლოებას მიიღებს ერ-გატივში (და შესაბამისად ნათესაობითშიც), ისეთი დეკლინაცია უნდა ჰქონოდა, როგორც ზედსართავებს, რიცხვითებსა თუ ნაცვალსახელებს.

შესაძლებელია ცალდეტერმინანტიანთა გვერდით წყვილდეტერ-მინანტიანთა სისტემაც არსებობდა, პირდაპირი თუ ინვერსიული წყო-ბისა (ჟ-ემ და ემ-ჟ), ამასთანავე ეს უკანასკნელი არაპროდუქტიული აღმოჩნდა მსგავსი ბუნების ბგერების აუსლაუტში თავმოყრის გამო. მაშ ასე:

I. ცალდეტერმინანტიანები

ა) ჟ'იანი

- სახ. *ჟალ-ჟ+ი>ჟელ-ჟ>ჟელ
 მოთხ. *ჟალ-ჟ+დ
 მიც. ჟალ-ჟ+ს > ჟალჟ
 ნათ. *ჟალ-ჟ+იშ>*ჟელჟიშ>ჟელიშ>ჟელი
 მოქ. ჟალ-ჟ+შჟ>ჟალჟშ
 ვით. ჟალ-ჟ+დ

ბ) ემ-იანი

- სახ. *ჟახ-ემ+ი>*ჟახემი>*ჟახემ>*ჟახენ>ჟახე
 მოთხ. *ჟახე-ემ+დ>ჟახემდ>ჟახემ
 მიც. *ჟახე-ემ+ს>*ჟახემს>*ჟახემ
 ნათ. *ჟახე-ემ+იშ>ჟახემიშ>ჟახემი>ჟახემ (ბზ.), ჟახემ (ბქ.)
 მოქ. *ჟახე-ემ+შჟ>*ჟახემშჟ>ჟახანშჟ>ჟახანშჟ>ჟახანშჟ>ჟახანშჟ>ჟახანშჟ
 ვით. *ჟახე-ემ+დ>*ჟახემდ>*ჟახემ

II. წყვილდეტერმინანტიანები

ა) უ+ემ (პირდაპირი წყობა)

სახ.	* შალ-უ+ემ+ი >* შალუმი >* შალმი >* შელმი >* შელმ > შელ
მოთხ.	* შალ-უ+ემ+დ >* შალუემ
მიც.	* შალ-უ+ემ+ს >* შალუემს >* შალუემ > შალუ
ნათ.	* შალ-უ-ემ+იშ >* შალუმიშ >* შალმიშ >* შელმიშ > შელმი / შალუემი > შალუემ (ზს.)
მოქ.	* შალ-უ-ემ+შუ >* შალუემშ
ვით.	* შალ-უ+ემ+დ >* შალუემ

ბ) ემ+უ (ინვერსიული წყობა)

სახ.	უახე-ემ+უ+ი >* უახემუ >* უახემ >* უახე > უახე
მოთხ.	უახე-ემ+უ+დ >* უახემუდ >* უახემდ > უახემ
მიც.	უახე-ემ+უ+ს >* უახემუს >* უახემუს > უახემუ > უახემ > უახე
ნათ.	უახე-ემ+უ+იშ >* უახემუიშ >* უახემიშ > უახემი > უახემ (ზზ.), უახემ (ბქ.)
მოქ.	უახე-ემ+უ+შუ >* უახემუშუ >* უახემუშუ > უახემუშ > უახემუ > უახემუ > უახემ
ვით.	უახე-ემ+უ+დ >* უახემუდ >* უახემდ > უახედ > უახედ

(ვრცელი ანალიზი იხ. ჩვენს მონოგრაფიაში „ქართველოლოგიური ძიებანი“, 1998: 25-183).

ჩვენი მსჯელობა გვინდა დავამთავროთ არნოლდ ჩიქობავას სიტყვებით, რომლებიც მან თავისი სიცოცხლის მიწურულს წარმოთქვა: „ადიღურში დღემდე შემოგვრჩა ის ვითარება, რაც ძველი ქართული ენის ანალიზის შედეგად შეიძლება ვივარაუდოთ: ერთი და იგივე ფორმანტები განსაზღვრულ ნაწიევერებადაც გვევლინება და ბრუნვათა ნიშნებსაც წარმოადგენს... ამ ფორმანტების ფუნქციათაგან უფრო ძველი უნდა იყოს განსაზღვრებითი ფუნქცია“ (1979: 146).

ვფიქრობთ, სვანური ენის ჩვენ მიერ რეკონსტრუირებული პარადიგმატული სისტემა სრულიად შეესაბამება მოძღვართმოძღვრის ტიპოლოგიურ პარალელს.

"Тбилисская школа И. Кипшидзе – И. Джавахишвили в 30-40-е гг. XX в. стала школой А. С. Чикобава и продолжает оставаться таковой, даже после его смерти" (Халидов 2008: 13).

ლათინური **rekonstruktion** „გაუმჯობესებულ გარდაქმნას“ გულისხმობს! სვანურ სახელთა ბრუნების კვლევაში თუ რამე გავაუმჯობესეთ ჩვენი მასწავლებლების მოღვაწეობის შემდეგ, ხომ კარგი, თუ არადა ჩვენც ხომ გვეყვანან მოწაფეები? – იმედია, ისინი თავიანთი შრომებით შეავსებენ იმ სიცარიელეს, რომლის ათვისება ჩვენ ვეღარ მოვასწარიით...

I want to finish the discussion on monograph with Arnold Chikobava's words: "Adyge preserves the situation which can be assumed as a result of analysis of the old Georgian language: the same formants occur as certain articles as well as the case markers... of the functions of these formants an attributive function should be older" (1979: 146).

I believe that Svan reconstructed paradigmatic system is completely in line with our teacher's typological parallel.

"In the 1930-40s, the Tbilisi school of I. Qipshidze – I. Javakhishvili became the school of A. Chikobava and continues its traditions even at ter his death" (Khalidov 2008: 13).

Latin **rekonstruktion** means "improved transformation"! If we could improve something in researching the Svan declension of nominals after our teacher it is welcome, but if not, we have students, as well?! Hopefully, with their own works they will fill those gaps, which we could not manage to do ...

შევირდ-მწვრთნელის პარადიგმიდან მაძიებელ-მოძღვრის პარადიგმამდე

წინამდებარე წიგნის ანალოგიურ ნაშრომთა შექმნას, უპირველეს ყოვლისა, მეცნიერული ინტერესი განსაზღვრავს, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია მეთოდოლოგიური და კოლეგიალურ-ზნეობრივი ასპექტებიც. ეს პუბლიკაცია, ძირითადად, სტუდენტ-დოქტორანტებისთვისაა განკუთვნილი, რათა მათ სწორად განჭვრიტონ, რა ძნელია და რთული იმ სიმბიზის ზიდვა, რომელსაც ღირსეულ წინაპართა ნაკვალევზე მეცნიერის კეთილსინდისიერად სვლა ჰქვია, დიდებულ პედაგოგთა მუხლჩაუხრელი ღვაწლის ერთგულ მემატანეობას რომ გულისხმობს.

განუზომელია როგორც მასწავლებლის, ისე მოსწავლის ურთიერთპასუხისმგებლობა განსაკუთრებით მაშინ, როცა მეცნიერებას ეხება საქმე, თუმცა ვფიქრობ, რომ გაცილებით მძიმეა მოწაფის ტვირთი, თუ იგი ხშირად ახსენებს თავის ჯერაც დაუმთავრებელ-დაუსტამბავ ნაშრომებს, მაგრამ იმავდროულად ავიწყდება (!), რომ მისმა მასწავლებელმა არაერთი სერიოზული მონოგრაფია თუ სტატია შექმნა...

„დიდი სიხარული, რაც ახალ კანონზომიერებათა გამოვლენას მკვლევრისათვის მოაქვს, ეს თეტიკური ძალით ყოველ პოეზიას წააჭარბებდა. ამის გარეშე მეცნიერული აკრიბია მძიმე ტვირთად იქცეოდა და ან ინტრიგის შხამს რა გაუძლებდა?!“ (არნოლდ ჩიქობავა).

სამეცნიერო სტატიის წარმოდგენისა და გამოქვეყნების ახალ საერთაშორისო სტანდარტებში 15 პუნქტია გათვალისწინებული, ერთერთი მათგანია **მადლიერება**, რომელშიც ნათქვამია:

„სტატიის ბოლოს, ცალკე პარაგრაფში, შენიშვნებამდე, მადლიერება გამოხატეთ ყველა იმ ადამიანის მიმართ, რომლებიც დაგეხმარნენ კვლევისას. ეს პარაგრაფი არ მიუთითოთ სქოლიოს სახით სათაურთან ან სხვაგვარად“.

ძალიან ვწუხვარ...

არც ერთ მასწავლებელს ჩვენი ამგვარი გაფრთხილება არასდროს დასჭირვებია, რადგანაც ისედაც ვიცოდით **მადლიერების არსიც და ფასიც!**..

ერთი რამ უდავოა: არნოლდ ჩიქობავა ყველა ჩვენგანისათვის იყო ერთგვარი „შინაგანი ცენზორი“, რომელიც „აკონტროლებდა“ ყოველივე იმას, რასაც ვქმნიდით... ალბათ, ბევრ ენათმეცნიერს მოაკლდება ახლა ბატონი არნოლდის „თვალი“... (გამყრელიძე 2008: 200).

შემომეცალა საყვარელი მოწაფეები, მათ ახლა შენც მიემატე და საშინელ მარტოობას განვიცდი... შენი წასვლით თავკაცი დააკლდა მთელ ქართველ ერს, მთელს ჩვენს საზოგადოებას, ქართულ მეცნიერებას. არ ვიცი, ვინ შეძლებს შენობას, ვის აქვს შენოდენა ცოდნა ყველა ქართველური ენისა, შენებრი ნიჭი და ფართო განათლება, რომ შენებრ ასწიოს სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის დიდი სიმძიმე?!“ – წერდა ქართველოლოგიის პატრიარქი აკაკი შანიძე 1966 წლის 24 აგვისტოს, ვარლამ თოფურიას გარდაცვალების დღეს.

დიდი ილია ბრძანებდა: „ნეტავი იმას, ვინც არამცთუ ჩვენთან ყოფნით გწურთვნის, არამედ მარტო თავის სახელის ხსენებითაცა“. არნოლდ ჩიქობავას და ვარლამ თოფურიას სამეცნიერო გაკვეთილებზე შეგირდ-მწვრთნელის პარადიგმა იცვლებოდა მამიებელ-მოდერნის პარადიგმად. მათი საუკეთესო მოწაფის – ნოდარ ანდლუღაძის თქმისა არ იყოს, მოძღვართმოდვართა ზეციურ სამყაროში გადაბრძანება მაშინ ყველამ მივუსამძიმრეთ ერთმანეთს – ისინი ზღაპარივით დარჩნენ ჩვენს მეხსიერებაში, ანდერძად კი შემდეგი სიტყვები დაგვიტოვეს:

„გარდაუვალი წესია: ერთი თაობა მიდის, მეორე – მოდის... ხალხი კი უკვდავია. უკვდავია მისი ენაც...“

ქვეყანას სჭირდება განათლებული ახალგაზრდობა. ნიჭიერი ახალგაზრდა ჩვენში საბეზარი არ არის, ოღონდ ნიჭს დამჯდარი შრომის უნარი უნდა უმაგრებდეს ზურგს; კარგს უკეთესი უნდა შეემატოს.

სახელიანი ივლიდეთ ცხოვრების გზაზე!”

From the paradigm of student-trainer to the paradigm of researcher-teacher

Creation of the analogous books is determined by scientific interest, but the methodological and collegial-ethical aspects are important, as well. This publication is mainly destined for students to estimate correctly how it is difficult and heavy to carry that obligation, which obliges a scholar to follow the worthy ancestors' footsteps conscientiously that means to be a faithful chronicle of great teachers' merits.

Mutual responsibility of a teacher and student is immeasurable especially when it is related to the science. Though I think that the student's responsibility is heavier, if he/she often mentions his/her unfinished and unpublished works, but at the same time he/she **forgets** (!) that his/her teacher has created a number of serious monographs and articles!...

"That great joy, which researcher feels in revealing the new laws, always exceeds all kind of poetry aesthetically. Without it the scientific precision will become heavy and cannot resist intrigue poison?!" (Arnold Chikobava).

In the new international standards of the presentation and publication of scientific articles 15 items are given. One of them is **gratitude**:

"In the end of the article, in a separate section, express your gratitude to all those who helped in research. Don't use this paragraph at a title as a footnote or otherwise".

I am so anxious...

None of our teachers needed to give such warning us as we already knew the essence and **price of gratitude!** ...

One thing is indisputable: Arnold Chikobava was a kind of "inner censor" for of us, who "controlled" everything we created... Probably many linguists will lack of Mr. Arnold's "eye" ... (Gamkrelidze, 2008: 200).

"I lost my favorite students. Now among them you are too and I feel terrible loneliness ... By your death the whole nation, the whole of our society, the Georgian science lost the leader. I do not know who will substitute you, who has such deep knowledge of all the Kartvelian languages, talent and broad education like you to carry the heaviness of the scientific and pedagogical work?! "- wrote the patriarch of Kartvelology **Akaki Shanidze** on August 24, 1966, on the day of death of Varlam Topuria.

Great Ilia said: "I envy that person who teaches us not only by being with us but by mentioning his/her name". At the scientific lessons of Arnold Chikobava and Varlam Topuria the paradigm of a teacher and student was changed into the paradigm of a teacher and searcher. Their best student – Nodar Andguladze once said: "When our teachers died we all expressed our condolences to each other – they remained in our memory as a legend, they left the following words as a will:

"It is an imminent rule: one generation comes, the other one goes away... People and its language is immortal ...

The country needs educated youth. We are not lacking in talented youth, but talent should be backed up by hard-working. Good should be supplemented by better.

Walk reputably on the way of life!"

ბიბლიოგრაფია

- აბესაძე ნ., თანდებული სვანურში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, VII, თბილისი, 1955;
- აბესაძე ნ., ბრუნვათა სინტაქსური ფუნქციები სვანურში ქართულთან მიმართებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 164, „ენათმეცნიერება“, თბილისი, 1975.
- აბესაძე ნ., რეცენზია ო. უორდროპის წიგნისა *Englisch-Svanetian Vocabulary*, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწადეული“, ტ. IX, თბილისი, 1982;
- აბულაძე ილ., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973;
- არაბული ა., ვარლამ თოფურის ადგილისათვის XX საუკუნის ქართველოლოგიაში, „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“, ტ. XI, თბილისი, 2011;
- არაბული ა., ქურდიანი მ., „ვინ“ ნაცვალსახელი-ერგატივის უძველესი ინფორმაცია, საერთაშორისო საენათმეცნიერო კონფერენცია „ერგატივი და ერგატიული კონსტრუქცია მსოფლიოს ენებში“, თბილისი, 2006;
- ნაბუნაშვილი ე., მიცემითი და ვითარებითი ბრუნვების ურთიერთობისათვის ძველ ქართულში, „სახელთა ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში“, თბილისი, 1957;
- ნარდაველიძე ვ., სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, ტ. I, თბილისი, 1939;
- გაბლიანი ეგნ., ძველი და ახალი სვანეთი, ტფილისი, 1925;
- გაბუნია კ., რთული თანდებულების საკითხისათვის ქართულსა და სვანურში, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, ტ. XXVIII, თბილისი, 1989;
- გაბუნია კ., ბრუნვათა სემანტიკისა და ისტორიის ზოგი საკითხი ქართველურ ენებში, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, ტ. XXIX, თბილისი, 1990;
- გაბუნია კ., -მ ნაცვალსახელური ძირის შესახებ ქართველურ ენებში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 137, №1-2, თბილისი, 1990;
- გაბუნია კ., -ე სუფიქსის წარმომავლობისათვის ჭანურის ბრუნვათა სისტემაში, ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერმუშაკთა სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 1990;

- გაბუნია კ.**, ზმნისართის წარმოება და ფუნქციები ქართველურ ენებში, თბილისი, 1993;
- გაბუნია კ.**, -ას სუფიქსიანი მიცემითის უძველესი ფუნქციებისათვის ქართველურ ენებში, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწადული“, ტ. XX-XXI, თბილისი, 1993-1994;
- გაბუნია კ.**, აღდგება თუ არა ზმნური ტიპის ნომინატიური სისტემა ქართველურ ფუძეენაში?, „საენათმეცნიერო ძიებანი“, ტ. V, თბილისი, 1996;
- გაბუნია კ.**, მიცემითი ბრუნვის ნიშნის გენეზისისათვის ქართველურ ენებში, „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“, ტ. VII, თბილისი, 1998;
- გაბუნია კ.**, მოთხრობითი ბრუნვის ნიშანთა შედგენილობისა და გენეზისის საკითხი ქართველურ ენებში, „საენათმეცნიერო ძიებანი“, ტ. VII, თბილისი, 1998;
- გაბუნია კ.**, ბრუნვათა სისტემები ქართველურ ენებში (დიაქრონიული ანალიზი), სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი, თბილისი, 1998; აგრეთვე, იმავე სახელწოდების მონოგრაფია (2007);
- გაბუნია კ.**, ბრუნვათა რაოდენობისათვის ქართულში, ბ. ჯორბენაძის საზოგადოების VI სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 1999;
- გაბუნია კ.**, უნიშნო ფორმის მორფოლოგიური სტატუსისათვის ქართული ენის ბრუნვათა სისტემაში, „ენათმეცნიერების საკითხები“, ტ. II (VI), თბილისი, 2000;
- გაზდელიანი ე.**, ნათესაობითი ბრუნვის ალომორფთა განაწილებისათვის ხმოვანფუძიან სახელებთან სვანურში, ენათმეცნიერების ინსტიტუტის 69-ე სამეცნიერო სესია, თბილისი, 2010;
- გაზდელიანი ე.**, ნათესაობითი ბრუნვის მორფემები ხმოვანფუძიან სახელებთან სვანურში, „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“, ტ. XI, თბილისი, 2011;
- გაზდელიანი ე.**, მოქმედებითი ბრუნვის ალომორფები სვანურში, „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“, ტ. XII, თბილისი, 2013;
- გაზდელიანი ე.**, ვითარებითი ბრუნვის ზოგი საკითხი სვანურში, „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“, ტ. XIII, თბილისი, 2015;

- გამყრელიძე თ.**, ენა და ენობრივი ნიშანი, თბილისი, 2008;
- გამყრელიძე თ., მაჭავარიანი გ.**, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი, 1965;
- გვენცაძე ა.**, ნათესაობითი ბრუნვა სვანურში, თსუ კიბერნეტიკისა და გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტის მათემატიკური ლინგვისტიკის კათედრაზე დაცული სადიპლომო ნაშრომი, თბილისი, 1970;
- გიგინეიშვილი ზ., სარჯველაძე ზ.**, ნანათესაობითარი მიმართულებითისა და ნანათესაობითარი დანიშნულებითის ადგილი ძველი ქართულისა და ქართველური ენების ბრუნვათა სისტემაში, „მრავალთავი“, ტ. 6, თბილისი, 1978;
- გიგინეიშვილი ზ.**, ხმოვანთა სიგრძე და აუსლაუტის საკითხი სვანურში, „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია), №2, თბილისი, 1973;
- გიგინეიშვილი ზ.**, გივი მაჭავარიანი და ლინგვისტური მეცნიერება, „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, №2(49), თბილისი, 1978;
- გიგლემიანი ლ.**, ვითარების ზმნისართების შესახებ სვანურში, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, ტ. XLII, თბილისი, 2014;
- გიპერტი ი.**, სვანური დიალექტური სხვაობების ელექტრონული ანალიზისათვის, „ქუთაისური საუბრები“, VI, ქუთაისი, 1999;
- დანელია კ.**, წრფელობითის ადგილისათვის ძველი ქართულის ბრუნვათა სისტემაში, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, ტ. XXXIII, თბილისი, 1995;
- დანელია კ.**, ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან, ტ. I, თბილისი, 1998;
- დონდუა კ.**, ადიღური ტიპის მოთხრობითი ბრუნვა სვანურში, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, ტ. I, თბილისი, 1946;
- თოფურია გ.**, ბრუნების ისტორიის ზოგი საკითხი სვანურში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXVIII სამეცნიერო სესია, თბილისი, 1972;
- თოფურია გ.**, მოქმედებითი ბრუნვის ისტორიისათვის სვანურში, „მაცნე“, №3 (ენისა და ლიტერატურის სერია), თბილისი, 1977;
- თოფურია გ.**, ნათესაობითი ბრუნვა და ორფუძიანი ბრუნების პრინციპი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXXV სამეცნიერო სესია, თბილისი, 1979;

- თოფურია გ.**, ორფუძიანი ბრუნების სისტემათა სახეობებისათვის და-
დესტნურ ენებში, აკაკი შანიძის დაბადების 100 წლისთა-
ვისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბილისი,
1987;
- თოფურია გ.**, ერგატივი, ინსტრუმენტალისი და ერგატიული კონსტრუქ-
ცია, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეუ-
ლი“, ტ. XV, თბილისი, 1988;
- თოფურია გ.**, წარი'ანი ბრუნებისათვის სვანურ ენაში, „ქუთაისური სა-
უბრები“, VI, ქუთაისი, 1999;
- თოფურია გ.**, ორფუძიანი ბრუნების შესახებ სვანურში, „არნოლდ ჩი-
ქობავას საკითხავები“, X, თბილისი, 1999;
- თოფურია გ.**, ორფუძიანი ბრუნების ზოგი საკითხისათვის სვანურში,
„ენათმეცნიერების საკითხები“, ტ. №2, თბილისი, 2001;
- თოფურია ვ.**, სახელთა დაბოლოების ისტორიისათვის სვანურში, ტფი-
ლისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე, ტ. VII,
ტფილისი, 1927;
- თოფურია ვ.**, სვანური ენა, I, ზმნა, ტფილისი, 1931;
- თოფურია ვ.**, ზოგიერთი ბრუნვის გენეზისისათვის მეგრულ-ჭანურში,
„ენიძის მოამბე“, ტ. I, ტფილისი, 1937; აგრეთვე, შრომები,
ტ. II, თბილისი, 2002;
- თოფურია ვ.**, ბრუნების სისტემისათვის ლაკურ ენაში, საქართველოს
სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. X-B, ტფილისი, 1940;
- თოფურია ვ.**, ნ და ს ფენებისათვის ქართველურ ენებში, საქართველოს
მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. II, თბილისი, 1941;
- თოფურია ვ.**, ბრუნების სისტემისათვის სვანურში სხვა ქართველურ
ენათა ბრუნებასთან შედარებით, საქართველოს მეცნიე-
რებათა აკადემიის მოამბე, ტ. V (3), თბილისი, 1944;
- თოფურია ვ.**, გრამატიკულ მოვლენათა ერთგვაროვანი პროცესი ქარ-
თველურ ენებში, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერე-
ბა“, ტ. VI, თბილისი, 1954;
- თოფურია ვ.**, ქართველურ ენათა დიალექტების მონაცემთა მნიშვნე-
ლობა ენის ისტორიისა და ზოგადი ენათმეცნიერებისა-
თვის, „მაცნე“, №2, 1965;
- თოფურია ვ.**, პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელები ქართველურ
ენებში, შრომები, ტ. III, თბილისი, 1979;
- თოფურია ვ.**, შრომები, ტ. I-II-III, თბილისი, 1967-2002;
- თოფურია ვ.**, ქალდანი მ., სვანური ლექსიკონი, თბილისი, 2000;

- თოფურია ვ.**, სვანური ენის სახელმძღვანელო, წიგნი დაასრულეს და გამოსაცემად მოამზადეს **გურამ თოფურიამ და იზა ჩანტლაძემ**, თბილისი, 2008;
- იმნაიშვილი ი.**, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბილისი, 1957;
- კვეზერელი-კოპაძე მ.**, საერთოქართველური რიგობითი რიცხვითი სახელები, თსუ ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს შრომები, ჰუმანიტარულ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია, X, თბილისი, 1983;
- კვეზერელი-კოპაძე მ.**, რიცხვითი სახელისა და რიცხვის გრამატიკული კატეგორიის ურთიერთმიმართებისათვის ქართველურ ენებში, თსუ ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს შრომები, ჰუმანიტარულ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია, XI, თბილისი, 1984;
- კვეზერელი-კოპაძე მ.**, საერთოქართველური რაოდენობითი რიცხვითი სახელები, თსუ შრომები, ტ. 262, ენათმეცნიერება, 9, თბილისი, 1985;
- კვეზერელი-კოპაძე მ.**, უძველესი ინდოევროპულ-ქართველური კონტაქტებისათვის, თსუ ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს შრომები, ჰუმანიტარულ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია, XII, თბილისი, 1986;
- კვეზერელი-კოპაძე მ.**, რიცხვითი სახელი კომპოზიტის ნაწილად საერთოქართველურ ენასა და ცალკეულ ქართველურ ენებში, თსუ ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს შრომები, ჰუმანიტარულ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია, XIII, თბილისი, 1987;
- კვეზერელი-კოპაძე მ.**, რაოდენობითი და რიგობითი რიცხვითი სახელები ქართველურ ენებში, ისტორიულ-შედარებითი გამოკვლევა (სადისერტაციო ნაშრომის ხელნაწერი), თბილისი, 1987;
- კიზირია ა.**, ნანათესაობითარი მსაზღვრელის ურთიერთობისათვის საზღვრულთან ძველ ქართულში, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, ტ. I, თბილისი, 1946;
- კიკვიძე ხ.**, ზედსართავი სახელი იბერიულ-კავკასიურ ენებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 71, თბილისი, 1959;
- კიკვიძე ხ.**, ორფუძიანი ბრუნება ხუნძურში, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, ტ. XII, თბილისი, 1960;

- კოტინოვი ნ.**, -ე ხმოვნთან სახელთა ბრუნებისათვის სვანურში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, №7, თბილისი, 1955;
- ლიპარტელიანი ასლ.**, სვანურ-ქართული ლექსიკონი (ჩოლურული კილო), თბილისი, 1994;
- ლომთაძე ა.**, ბრუნების თავისებურებათა ისტორიისათვის მეგრულში, თბილისი, 1987;
- ლომთაძე ე.**, მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობა მეგრულში, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, ტ. VI, თბილისი, 1954;
- მარგაიანი-დადვანი ქ., მარგაიანი-სუხარი ქ.**, ერგატივი და ერგატიული კონსტრუქცია სვანურში (კოდორის ხეობის მოსახლეობის მეტყველების მიხედვით), საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ერგატივი და ერგატიული კონსტრუქცია მსოფლიოს ენებში“, თბილისი, 2009;
- მარტიროსოვი ა.**, ნაცვალსახელი ქართველურ ენებში, თბილისი, 1964;
- მაჭავარიანი გ.**, ბრუნების ერთი ტიპის გენეზისისათვის სვანურში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 93, თბილისი, 1960;
- მაჭავარიანი გ.**, ბრუნების საერთო-ქართველური სისტემის რეკონსტრუქციისათვის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXIII სამეცნიერო სესია, თბილისი, 1967;
- მაჭავარიანი გ.**, მახვილის საკითხისათვის ქართველურ ენებში, თბილისი, 1956 (ხელნაწერი); **მ. მაჭავარიანის** მიერ შედგენილი ანოტირებული ბიბლიოგრაფია იხ. „მიმომხილველში“ (სამეცნიერო-ბიბლიოგრაფიული კრებული, ტ. 6-9, თბილისი, 1972);
- მაჭავარიანი გ.**, ბრუნების ზოგიერთი საკითხი სვანურში, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, ტ. XXIII, თბილისი, 1985;
- მაჭავარიანი გ.**, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა, თბილისი, 2002;
- მეგრელიძე ი.**, აკადემიკოსი ნიკო მარი, „მნათობი“, №1, თბილისი, 1935;
- მელიქიშვილი ი.**, ქართველურ ენათა ორი იზოლირებული ბგერათფარდობის ახსნისათვის (ქართ.-ზან. თ: სვან. შდ და ქართ. ა: სვან. ე), „თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები“, ტ. VI, თბილისი, 1981;
- ნაკანი ნ.**, სახელის მრავლობითი რიცხვის -პრ სუფიქსის დისიმილაციისათვის ლატალურ კილოკავში, „ქართველური მემკვიდრეობა“, ტ. IV, ქუთაისი, 2000;

- ნიქარაძე ბ.** („თავისუფალი სვანი“), მოკლე განხილვა სვანური გრამატიკისა, „ძველი საქართველო“, ტ. II, ტფილისი, 1911;
- ნიქარაძე ბ.**, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, ტ. I-II, თბილისი, 1962-1964;
- ნიქარაძე ბ.**, ქართულ-სვანურ-რუსული ლექსიკონი, თბილისი, 2007;
- ნოზაძე ლ.**, სახელობითი ბრუნვის მორფემასთან დაკავშირებული ზოგი საკითხისათვის ქართველურ ენებში, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, ტ. XXIII, თბილისი, 1995;
- ონიანი ალ.**, ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, თბილისი, 1978;
- ონიანი ალ.**, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები (სახელთა მორფოლოგია), თბილისი, 1989;
- ონიანი ალ.**, სახელთა ბრუნვის ტიპები თანამედროვე სვანურში, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის შრომები, №3, თბილისი, 1997;
- ონიანი ალ.**, სვანური ენა, თბილისი, 1998;
- ოსიძე ევ.**, ნამყო უსრულის -ა სუფიქსისა და მიცემითი ბრუნვის -ა ნიშნის წარმომავლობისათვის სვანურში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, №3 (142), თბილისი, 1972;
- ოსიძე ევ.**, ქართველურ ენათა ისტორიული ურთიერთმიმართების ზოგი საკითხი, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული“, ტ. XV, თბილისი, 1988;
- ოსიძე ევ.**, აბლაუტის ტიპის ი/გ ხმოვანთმონაცვლეობა სვანურში, „არნოლდ ჩიქობავას საკითხავები“, VII, თბილისი, 1997;
- ოსიძე ევ.**, ენა და დიალექტი, ფილოლოგიის ფაკულტეტისა და თსუ ფილიალების I სესია, თბილისი, 1998;
- პალმაიტი ლ.**, ემფატიკური ა სახელთა მორფოლოგიის ძირითად საკითხებთან დაკავშირებით, „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია), №1, თბილისი, 1978;
- პალმაიტი ლ.**, შენიშვნები სვანური ბრუნვის შესახებ, „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია), №3, თბილისი, 1979;
- ჟღენტის ს.**, სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბილისი, 1949;
- როგავა გ.**, ბერათფარდობის ზოგი საკითხი ქართველურსა და ადიღურ ენებში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის XII სამეცნიერო სესია, თბილისი, 1955;

როგავა გ., ფუძის ბოლოკიდურ სონორთა პოზიციური ცვლილებები-სათვის ქართველურ ენებში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, ტ. I, თბილისი, 1962;

როგავა გ., ერგატივის საკითხისათვის აფხაზურ-ადიღურ ენებში, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, ტ. XVI, თბილისი, 1964;

სვანური ენის ქრესტომათია, ტექსტები შეკრიბეს: **ა. შანიძემ, მ. ქალდანმა და ზ. ჭუმბურიძემ**, თბილისი, 1978;

სვანური პოეზია, I, ტექსტები შეკრიბეს და ქართულად თარგმნეს: **ა. შანიძემ, ვ. თოფურამ, მ. გუჯეჯიანმა**, თბილისი, 1939;

სვანური პროზაული ტექსტები, I, ბალსზემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს **ა. შანიძემ, და ვ. თოფურამ**, თბილისი, 1939;

სვანური პროზაული ტექსტები, II, ბალსქვემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს: **ა. დავითიანმა, მ. ქალდანმა და ვ. თოფურამ**, თბილისი, 1959;

სვანური პროზაული ტექსტები, III, ლენტეხური კილო, ტექსტები შეკრიბეს და რედაქცია გაუკეთეს **ვ. თოფურამ და მ. ქალდანმა**, თბილისი, 1967;

სვანური პროზაული ტექსტები, IV, ლაშხური კილო, ტექსტები შეკრიბეს: **არს. ონიანმა, მ. ქალდანმა და ალ. ონიანმა**, თბილისი, 1979;

უთურგაძე თ., ქართული ენის სახელის მორფონოლოგიური ანალიზი, თბილისი, 1986;

ფოჩხუა ბ., ხმოვანთავსართული ზმნისართები, „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“, ტ. I, თბილისი, 1959;

ფუტკარაძე ტ., ბრუნება, როგორც სახელის ფორმათწარმოების ერთ-ერთი ასპექტი, პროფესორ გიორგი როგავას ხსოვნისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბილისი, 1997;

ფუტკარაძე ტ., მოთხრობითი ბრუნვის ნიშნის ვარიანტთა ისტორიისათვის ქართული სამწიგნობრო ენისა და ქართველური დიალექტების მონაცემების მიხედვით, აკადემიკოს ქეთევან ლომთათიძის სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 75-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კრებული, თბილისი, 2008;

- ფუტკარაძე ტ.,** -ისა, -იშა, -იშე, -იშენ; -ისად, -ისდა, -იზა, -იზან, -იზე ფორმამაწარმოებელი ფორმანტების ისტორიული მიმართებისათვის (საერთოქართველურისა და ქართველური ქვესისტემების მიხედვით), „ენათმეცნიერების საკითხები“, ტ. I-II, თბილისი, 2009;
- ქალდანი მ.,** სვანური ენის ლახამულური კილოკავის გრამატიკული თავისებურებანი, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, ტ. VIII, თბილისი, 1956;
- ქალდანი მ.,** სვანური ენის ბალსქვემოური კილოს ეცერული თავისებურებანი; „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, ტ. IX-X, თბილისი, 1958;
- ქალდანი მ.,** სვანური ენის ჩუბეხური მეტყველების თავისებურებანი, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, ტ. XI, თბილისი, 1959;
- ქალდანი მ.,** ლეჩხუმის გეოგრაფიულ სახელთა -იშ(||-შ) სუფიქსის საკითხისათვის, „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“, ტ. III, თბილისი, 1965;
- ქალდანი მ.,** სვანური ენის ფონეტიკა, I, უმლაუტის სისტემა სვანურში, თბილისი, 1969;
- ქალდანი მ.,** დიალექტთა შერევა კოდორის ხეობის სვანურში, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, ტ. XVII, თბილისი, 1970;
- ქალდანი მ.,** სახელობითი ბრუნვისა და მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელ სუფიქსთა საკითხისათვის სვანურში, „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“, ტ. IV, თბილისი, 1974;
- ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია** სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, თბილისი, 1945;
- შანიძე ა.,** უმლაუტი სვანურში, „არილი“ (პროფესორ ი. ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი კრებული), ტფილისი, 1924;
- შანიძე ა.,** ქართული გრამატიკის საფუძვლები, ტ. I, თბილისი, 1953;
- შანიძე ა.,** ორობითი რიცხვის საკითხისათვის ხევსურულში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 121, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, 7, თბილისი, 1967;
- შანიძე ა.,** თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, თბილისი, 1981;
- შარაძენიძე თ.,** სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოება სვანურში ბალსზემოური კილოს მიხედვით, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, ტ. VI, თბილისი, 1954;
- შარაძენიძე თ.,** ბრუნებათა კლასიფიკაციისათვის სვანურში, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, ტ. VII, თბილისი, 1955;

- შარაპენიძე თ.**, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვების წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში, „სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში“, ტ. I, თბილისი, 1956;
- შარაპენიძე თ.**, სვანური ენის ცხუმარული კილოკავის ძირითადი თავისებურებანი, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, ტ. IX-X, თბილისი, 1958;
- შარაპენიძე თ.**, ორფუძიანობის ერთი ტიპის შესახებ სვანურ სახელთა ბრუნებაში (ჭ'იანი მიცემითის გამოყენება ფუძედ და-ნარჩენ ბრუნვათათვის), „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“, ტ. II, თბილისი, 1961;
- შარაპენიძე თ.**, სვანური ენის ლატალური კილოკავის ზოგიერთი თავისებურება, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, ტ. XVII, თბილისი, 1970;
- შარაპენიძე თ.**, ორფუძიანობა და სამფუძიანობა სვანურ ბრუნებაში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXXVIII სამეცნიერო სესია, თბილისი, 1982;
- შენგელია ვ.**, ქართველურ და აფხაზურ-ჩერქეზულ ენათა აღწერითი და ისტორიულ-შედარებითი ანალიზის საკითხები – ქართველური მიცემითის -ს და ჩერქეზული ერგატივის -შ, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, ტ. XXXVII, თბილისი, 2009;
- შენგელია ვ.**, მონოფუნქციური და პოლიფუნქციური ერგატივი ქართველურ და ჩერქეზულ ენებში, საერთაშორისო საენათმეცნიერო კონფერენცია „ერგატივი და ერგატიული კონსტრუქცია მსოფლიოს ენებში“, თბილისი, 2009;
- ჩანტლაძე ი.**¹²⁰ შტო-გვარის აღმნიშვნელ სახელთა წარმოება და ბრუნება სვანურში, „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია), №6, თბილისი, 1967;

¹²⁰ ძალზე უხერხულ მდგომარეობაში ვარ, რადგანაც ბიბლიოგრაფიაში აშკარა ჩემი გამოკვლევების სიუხვე, რასაც მხოლოდ იძულებითი სიტუაცია განაპირობებს: უკანასკნელ ხანებში, სამეცნიერო კონტაქტების შენელების გამო, სამწუხაროდ, მომრავლდა ნაშრომები (განსაკუთრებით ახალგაზრდებისა), სადაც აღმოჩენის ტოლფასადაა გამოცხადებული ისეთი პრობლემების ხელახალი კვლევა, რომლებიც კარგა ხანია საფუძვლიანადაა შესწავლილი უფროს და საშუალო თაობათა წარმომადგენლების მიერ, ახალმა „აღმომჩენებმა“ კი ამის შესახებ თითქოს არაფერი იციან. სამწუხაროდ, ამგვარი რამ თითო-ოროლა შემთხვევაში ჩემს ერთ მოწაფესაც დაემართა. გარდა ამისა, წინამდებარე წიგნში უხერხულია შეფასება საკუთარი ღვაწლისა, რომელშიც უმრავლეს შემთხვევაში სწორედ ქართველური ენების სახელთა პარადიგმატული სისტემის ფუნდამენტური კვლევა იგულისხმება. „მე ვარ და ჩემი ნაბადი“ როგორმე უნდა დავივიწყოთ!

- ჩანტლაძე ი.**, კვლავ მარე ტიპის სახელების გამო სვანურში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერმუშაკთა სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 1970;
- ჩანტლაძე ი.**, „საკუთრივ სვანური ბრუნება“, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXVII სამეცნიერო სესია, თბილისი, 1971;
- ჩანტლაძე ი.**, საზოგადო და გეოგრაფიულ სახელთაგან მომდინარე ადგილის ზმნისართები სვანურში, „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია), №3, თბილისი, 1971;
- ჩანტლაძე ი.**, ნა- — ი აფიქსიან სახელთა ბრუნება სვანურში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXVIII სამეცნიერო სესია, თბილისი, 1972;
- ჩანტლაძე ი.**, სახელობითის -ე ფორმანტის შესახებ სვანურში, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, ტ. XVIII, თბილისი, 1973;
- ჩანტლაძე ი.**, ბრუნვაში მართვის ერთი საკითხისათვის სვანურში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXX სამეცნიერო სესია, თბილისი, 1974;
- ჩანტლაძე ი.**, -ი ხმოვანზე დაბოლოებულ სახელთა ბრუნება სვანურში, „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“, ტ. IV, თბილისი, 1974;
- ჩანტლაძე ი.**, ლოკალურ მიმართებათა გრამატიკული გამოსახვისათვის სვანურში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. B 6-7 (151-152), თბილისი, 1974;
- ჩანტლაძე ი.**, თანხმოვანფუძიან არსებით სახელთა ბრუნება ქვემოსვანურში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXXII სამეცნიერო სესია, თბილისი, 1976;
- ჩანტლაძე ი.**, ორფუძიანობის საკითხისათვის ქვემოსვანურში, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, ტ. XXI, თბილისი, 1979;
- ჩანტლაძე ი.**, ორმაგი აფიქსაციისათვის სვანურში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო სესია, თბილისი, 1981;
- ჩანტლაძე ი.**, ბრუნების ძველი სისტემიდან ახალ წარმოებაზე გადასვლის პროცესი სვანურში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის XLII სამეცნიერო სესია, თბილისი, 1984;

- ჩანტლაძე ი.**, უნიფორმაციის ტენდენცია და მისი როლი ქართველურ ენათა ბრუნება-უღვლილების სისტემაში, საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ქართული ენის კათედრათა X რესპუბლიკური კონფერენცია, თბილისი, 1984;
- ჩანტლაძე ი.**, სვანურ სახელთა ბრუნება და ზმნისართული თანდებულები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის XLIII სამეცნიერო სესია, თბილისი, 1985;
- ჩანტლაძე ი.**, სამფუძიანობის საკითხისათვის სვანურ სახელთა ბრუნებაში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის XLIV სამეცნიერო სესია, თბილისი, 1986;
- ჩანტლაძე ი.**, დესტინატივის ფუნქცია და მისი მიმართება ორმაგი ბრუნების სისტემასთან სვანურში, პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სამეცნიერო სესია, თბილისი, 1987;
- ჩანტლაძე ი.**, ერგატივის -დ/-ემ ფორმანტთა განაწილების ფონეტიკური საფუძვლისათვის სვანურ თანხმოვანფუძიან სახელებში, პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სამეცნიერო სესია, თბილისი, 1987;
- ჩანტლაძე ი.**, ნათესაობითი ბრუნვა და ეკონომიურობის პრინციპი ქართველურ ენებში, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული“, ტ. XV, თბილისი, 1988;
- ჩანტლაძე ი.**, სახელთა ბრუნება ქართველურ ენებში (ზოგადი პრობლემები), „იბერიულ-კავკასიური ენები ზოგადი და ტიპოლოგიური თვალსაზრისით“, თბილისი, 1989;
- ჩანტლაძე ი.**, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვების ფორმათა მონაცვლეობისათვის ქართველურ ენებში, უნივერსიტეტ „გეორგიას“ პროფესორ-მასწავლებელთა II სამეცნიერო სესია, თბილისი, 1993;
- ჩანტლაძე ი.**, ნამოქმედებითარი ფორმები სვანური ენის ბრუნვათა სისტემაში, უნივერსიტეტ „გეორგიას“ პროფესორ-მასწავლებელთა IV სამეცნიერო სესია, თბილისი, 1995;
- ჩანტლაძე ი.**, ხმოვანფუძიანი სახელების თანხმოვანფუძიანთა კლასში გადანაცვლებისათვის სვანური ენის ბალსქვემოურ დიალექტში, XV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია, ბათუმი, 1995;

- ჩანტლაძე ი., დინა ტიპის სახელთა აუსლაუტისათვის სვანურში,**
„არნოლდ ჩიქობავას საკითხავები“, IX, თბილისი, 1998;
- ჩანტლაძე ი., ქართველოლოგიური ძიებანი, I, თბილისი, 1998;**
- ჩანტლაძე ი., სამეტყველო კოდების შერევა სვანურში, „ქუთაისური სა-
უბრები“, V, ქუთაისი, 1998;**
- ჩანტლაძე ი., ნათესაობითი ბრუნვა, როგორც სახელთა პარადიგმატუ-
ლი სისტემის საკლასიფიკაციო ერთეული სვანურ ენაში,**
„არნოლდ ჩიქობავას საკითხავები“, X, თბილისი, 1999;
- ჩანტლაძე ი., სვანური ენის ზოგადი დახასიათება, „კავკასიის მაცნე“,
ტ. I, თბილისი, 2000;**
- ჩანტლაძე ი., უზენაესის სახელწოდება და მისი მიმართება ორფუძიანი
ბრუნების სისტემასთან სვანურში, „ქუთაისური საუბრე-
ბი“, VII, ქუთაისი, 2000;**
- ჩანტლაძე ი., სვანური ტექსტების ანოტირებული მორფონოლოგიური
ანალიზი, საერთაშორისო პროექტი ECLING გერმანელ
კოლეგებთან ერთად, ელექტრონული ვერსია, თბილი-
სი-ფრანკფურტი, 2002-2006;**
- ჩანტლაძე ი., ინტერფერენციული მოვლენები კოდორის (resp. დალის)
ხეობის მოსახლეობის მეტყველებაში, „ენათმეცნიერების
საკითხები“, ტ. I-II, თბილისი, 2007;**
- ჩანტლაძე ი., სვანურ დეკლინაციურ მოდელთა განაწილება კოდორის
ხეობის მოსახლეობის სხვადასხვა თაობის მეტყველება-
ში, „კავკასიოლოგიური კრებული“, II, თბილისი, 2007;**
- ჩანტლაძე ი., სვანური ანთროპონიმია დიაქრონიულ ჭრილში, კავკა-
სიოლოგთა I საერთაშორისო კონგრესი, თბილისი, 2007;**
- ჩანტლაძე ი., ინტერფერენციურებულ დიალექტ-კილოკავთა საკითხისა-
თვის სვანურ ენაში, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიე-
რება: მემკვიდრეობა და პერსპექტივები“, თბილისი,
2008;**
- ჩანტლაძე ი., გიპერტი ი., კოდორის ხეობის მოსახლეობის ლინგვო-
კულტუროლოგიური შესწავლის ასპექტები, „ლინგვო-
კულტუროლოგიური ძიებანი“, II, ბათუმი, 2007-2011;**
- ჩანტლაძე ი., იყო თუ არა ერგატივის ფორმაზე დამყარებული ორფუ-
ძიანი ბრუნვა სვანურ სახელთა მრავლობით რიცხვში?,
საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ერგატივი და
ერგატიული კონსტრუქცია მსოფლიოს ენებში“, თბილი-
სი, 2009;**

- ჩანტლაძე ი.**, სვანური ერგატივის მორფემის ნასესხობასთან დაკავშირებული თეორიები, XV საერთაშორისო სემინარი „ნასესხები მორფოლოგია: ფორმა და მნიშვნელობა“, ვენა, 2011;
- ჩანტლაძე ი.**, კვლავ სახელთა აუსლაუტის პრობლემისათვის სვანურ ენაში, აკადემიკოს მზექალა შანიძის დაბადების 90 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 2016;
- ჩანტლაძე ი.**, „დიგიტალური ქართველოლოგია“ (!) და სვანურ სახელთა ბრუნების სისტემა, „არნოდ ჩიქობავას საკითხავები“, XXVII, თბილისი, 2016;
- ჩანტლაძე ი.**, წრფელობით და სახელობით ბრუნვათა ურთიერთმიმართების პრობლემა სვანურ ენაში, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, ტ. XLIV, თბილისი, 2016;
- ჩანტლაძე ი.**, იყო თუ არა წრფელობითი ბრუნვა სვანურ სახელთა პარადიგმატულ სისტემაში?, „ქართველური მემკვიდრეობა“, ტ. XX, ქუთაისი, 2016;
- ჩანტლაძე ი.**, მარგიანი-დადვანი ქ., მარგიანი-სუზარი ქ., საღლიანი მ., იოსელიანი რ., კოდორული ქრონიკები, ტ. I, თბილისი, 2007-2010;
- ჩანტლაძე ი.**, გიპერტი ი., მარგიანი-სუზარი ქ., იოსელიანი რ., ნაკანი ნ., ზემოსვანური მორფემული ლექსიკონი (მზადდება გამოსაცემად), თბილისი, 2012-2017;
- ჩიქობავა არნ.**, მიმართულებითი (გარდაქცევითი) ბრუნვის მნიშვნელობის, წარმოებისა და ისტორიისათვის, „ენიკის მოამბე“, ტ. I, ტფილისი, 1937;
- ჩიქობავა არნ.**, მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. X, თბილისი, 1939;
- ჩიქობავა არნ.**, სვანური მოთხრობითის ერთი ვარიანტი და ბრუნების ორფუძიანობა ზოგ კავკასიურ ენაში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. XVIII, თბილისი, 1941;
- ჩიქობავა არნ.**, ისტორიულად განსხვავებული ორი მორფოლოგიური ტიპისათვის ქართულ ბრუნვათა შორის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. III, №6, თბილისი, 1942;
- ჩიქობავა არნ.**, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, 1942;

- ჩიქობავა არნ.**, თანდებულისან ბრუნვათა საკითხისათვის ქართულში, „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“, ტ. II, თბილისი, 1961;
- ჩიქობავა არნ.**, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბილისი, 1965;
- ჩიქობავა არნ.**, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი, 1979;
- ჩუხუა მ.**, საერთოკავკასიური ერგატივი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ერგატივი და ერგატიული კონსტრუქცია მსოფლიოს ენებში“, თბილისი, 2009;
- ჩუხუა მ.**, ბრუნების პრაქართველური სისტემის ზოგი საკითხისათვის, „არნოლდ ჩიქობავას საკითხავები“, XXII, თბილისი, 2011;
- ჩუხუა მ.**, შენიშვნები ქართველურ ენათა მორფოლოგიის საკითხებზე, „არნოლდ ჩიქობავას საკითხავები“, XXVII, თბილისი, 2016;
- ჭუმბურიძე ზ.**, საკუთარ სახელთა ბრუნება სვანურში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 9, თბილისი, 1964;
- ჭუმბურიძე ზ., ნიჟარაძე ლ., ქურდაძე რ.**, სვანური ენა, თბილისი, 2007;
- ჭუმბურიძე ზ.**, წინასიტყვაობა ბესარიონ ნიჟარაძის ნაშრომისა „მოკლე განხილვა სვანური გრამატიკისა“, თბილისი, 2013;
- ჯავახიშვილი ივ.**, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, ტფილისი, 1937;
- ჯანაშია ს.**, სვანურ-ადიღეური (ჩერქეზული) ენობრივი შეხვედრები, ქართველურ-ადიღეური პარალელები, „ენიმკის მოამბე“, ტ. I, თბილისი, 1942;

- Бартоломей И.**, Поездка в Вольную Сванетию, "Записки Русско Географического общества", III, Тифлись, 1911;
- Габунია З. М.**, Научные портреты кавказоведов – лингвистов, Нальчик, 1991;
- Габунია К. А.**, Система падежей в картвельских языках (диахронический анализ), Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора филологических наук, Тбилиси, 1998;
- Гишперт И.**, Электронический анализ различностей между диалектами (на основе материалов сванского языка), „ქუთაისური საუბრები“, VI, ქუთაისი, 1999;
- Грен А.**, Грамматические заметки, СМОМПК, X, отд. II, Тифлись, 1890;
- Джирр А.**, Арчинский язык, СМОМПК, 39, Тифлись, 1908;
- Дондуа К. Д.**, К вопросу об особой форме множественного числа в сванских терминах родства, „მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვეთი VII, ტფილისი, 1937;
- Дондуа К. Д.**, Морфологическое выражение активного (эргативного) строя в адыгейской и картвельской группах кавказских языков, ИАН СССР (отдел литературы и языка), т. VIII, вып. 3, Москва, 1948;
- Завадский М. Р.**, Предисловие, СМОМПК, X, Тифлись, 1890;
- Качаравა Г. Н.**, Наречие в сванском языке, Тбилиси, 1965 (საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი);
- Климов Г. А.**, Основные синтаксические вопросы атрибутивного комплекса в картвельских языках, Москва, 1955 (საკანდიდატო დისერტაცია);
- Климов Г. А.**, К вопросу о порядке членов атрибутивного комплекса в картвельских языках, "Вопросы изучения иберийско-кавказских языков", Москва, 1961;
- Климов Г. А.**, Реконструкция склонения общекартвельского языка-основы, "Вопросы языкознания", №6, Москва, 1961;
- Климов Г. А.**, Склонение в картвельских языках в сравнительно-историческом аспекте, Москва, 1962;
- Ленцкий С. К.**, Активный падеж в грузинском и других картвельских языках, Москва, 1961 (ხელნაწერი);

- Ломтатидзе К. В.**, К истории показателей т. н. обстоятельного "падежа" в абхазском и абазинском языках, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული“, ტ. XV, თბილისი, 1988;
- Лущиу анбан (პეტრე უსლარის რედაქციით)**, Тифლისი, 1864;
- Магомедов А. А.**, П. К. Услар – Исследователь дагестанских языков, Махачкала, 1979;
- Март Н. Я.**, Где сохранилось сванское склонение?, ИИАН, №17, С.-Петербург, 1911;
- Март Н. Я.**, Яфетические элементы в языках Армении, II, ИИАН, №6, С.-Петербург, 1911;
- Март Н. Я.**, Из поездок в Сванию, "Христианский Восток", т. II, вып. I, СПб, 1913;
- Март Н. Я.**, Грамматика древнелитературного грузинского языка, Ленинград, 1925;
- Нижарадзе И. И.**, Русско-сванский словарь, СМОМПК, 41, Тифლისი, 1910;
- Немировский М. Я.**, Из прошлого и настоящего кавказской лингвистики, Владикавказ, 1928;
- Немировский М. Я.**, Ад. Дирр и кавказская лингвистика, Владикавказ, 1930;
- Осидзе Е. А.**, Ауслат в сванском и некоторые вопросы исторической морфологии сванского языка, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული“, ტ. IX, თბილისი, 1982;
- Осидзе Е. А.**, Некоторые вопросы исторической морфологии сванского языка, Одинадцатая региональная научная сессия по изучению системы и истории иберийско-кавказских языков, Нальчик, 1986;
- Рогавა Г. В.**, Эргатив двух формации в картвельских и абхазско-адыгских языках, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული“, ტ. XV, თბილისი, 1988;
- Сборник** материалов для описания местностей и племён Кавказа (СМОМПК), X – 1890, XVIII – 1894, XXXI – 1902, Тифლისი;
- Соболевский А. И.**, Русский исторический синтаксис, Москва, 1892-1893;
- Топуриа В. Т.**, Сванский язык, "Языки народов СССР", т. IV, Москва, 1967;
- Топуриа В. Т.**, Сванский язык, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული“, ტ. XII, თბილისი, 1985;

- Топуриа Г. В.**, Эргатив самостоятельный и эргатив совмещающий, их функции в иберийско-кавказских языках, "Вопросы синтаксического строя в иберийско-кавказских языках", Нальчик, 1977;
- Топуриа Г. В.**, Об основных принципах становления склонения в иберийско-кавказских языках, "Падежный состав и система склонения в иберийско-кавказских языках", Махачкала, 1981;
- Топуриа Г. В.**, Вопросы морфологии склонения в дагестанских языках, "Вопросы языкознания", №1, 1987, Москва;
- Топуриа Г. В.**, Морфология склонения в дагестанских языках, Тбилиси, 1995;
- Услар П. К.**, Характеристические особенности кавказских языков, "Сборник сведений о кавказских горцах", т. IX, Тифлиси, 1876;
- Услар П. К.**, Грамматический очерк сванетского языка, "Этнография Кавказа-Абхазский язык", Тифлиси, 1887;
- Услар П. К.**, Этнография Кавказа – Чеченский язык, Тифлиси, 1888;
- Халидов А. Н.**, Введение в изучение кавказских языков, Грозный, 2008;
- Цагарели А.**, Сравнительный обзор морфологии иберийской группы кавказских языков, Санкт-петербург, 1872; აგრეთვე, თსუ შრომები, ტ. 67, თბილისი, 1957;
- Чантладзе И. И.**, Материалы по распространению сванского языка и его диалектов (фрагмент кавказской компьютерной энциклопедии), "Дагестанский лингвистический сборник", вып. 7, Москва, 1999;
- Чантладзе И. И.**, Интерференции в сванской речи жителей Кодорского, resp. Дальского ущелья, Международная научная конференция "Язык, культура, общество", IV, Москва, 2007;
- Чантладзе И. И.**, Проблема диглоссии и билингвизма в речи населения верхнего пояса Кодорского, resp. Дальского ущелья, "Languages and Cultures in the Caucasus", München-Berlin, 2011;
- Чантладзе И. И.**, Сопоставительный анализ языка древних сванских народных песен и современной живой речи (საკანდი-დატო დისერტაციის ავტორეფერატი), Тбилиси, 1969;
- Чантладзе И. И.**, Парадигматическая система имён в сванском языке (სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი), Тбилиси, 1990;

- ჭიკობავა ა. ს.**, Картвельские языки, их исторический состав и древний лингвистический облик, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, ტ. II, თბილისი, 1948;
- ჭიკობავა ა. ს.**, К вопросу о первых текстовых записях по горским иберийско-кавказским языкам, "Вопросы языкознания", Москва, 1962;
- ჭიკობავა ა. ს.**, О текстовых записях И. Гюльденштедта от 1771-73 годов по ряду бесписьменных языков Кавказа, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული“, ტ. IX, თბილისი, 1982;
- შანიძე ა. გ.**, რედაქტორის წინასიტყვაობა ალ. ცაგარლის ნაშრომზე "Сравнительный обзор морфологии иберийской группы кавказских языков", თსუ შრომები, ტ. 67, თბილისი, 1957;
- შარაძენიძე თ. ს.**, Некоторые основные вопросы склонения сванского языка, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული“, ტ. X, თბილისი, 1983;
- შარაძენიძე თ. ს.**, Сванский язык, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული“, ტ. XII, თბილისი, 1985;
- შენგელია ვ. გ.**, К истории послелогов в картвельских языках, Восьмая региональная научная сессия по изучению системы и истории иберийско-кавказских языков, Черкеск, 1979;
- შენგელია ვ. გ.**, К истории дательного падежа в картвельских языках, Девятая региональная научная сессия по изучению системы и истории иберийско-кавказских языков, Маикоп, 1981;
- Шмидт К. Н.**, Относительная хронология и картвельские языки, "Вопросы языкознания", №4, Москва, 1984;
- Шухардт Г.**, О пассивном характере переходного глагола в кавказских языках, "Эргативная конструкция предложения", Москва, 1950;
- Яковлев Н. Ф.**, Краткая грамматика адыгейского языка, Краснодар, 1930;
- Boeder W., Topuria V.**, A Course of the Svan Language (The book completed and prepared for publication by Guram Topuria and Iza Chantladze), "Georgica", Jena-Tbilisi, V. 32, 2009/ 2010 (რეცენზია);
- Boeder W.**, The Kodori Chronicles (with researches), V. I, "Georgica", V. 34, Jena-Tbilisi, 2011 (რეცენზია);

- Braun J.**, The Grammatical Category of Article in Kartvelian and Basque. A Comparative Study, „Studia Caucasologica“, V. I, Oslo, 1988;
- Braun J.**, Protokartvelian declension and its development, "Euscaro-Caucasica", Warszawa, 1998;
- Chantladze I.**, Interferences in Svan speech of Kodori, resp. Dali gorge population, "Caucasus conference", Leipzig, 2007;
- Chato Gujejiani, Mykolas L. Palmaitis**, Svan-English Dictionary, New York, 1985;
- Chato Gujejiani, Mykolas L. Palmaitis**, Upper Svan: Grammar and texts, Kalbotyra, XXXS(r), Vilnius, 1986;
- Gippert J.**, Towards An Electronic Analysis of Svan Dialectal Divergences, „ქართველური მემკვიდრეობა“, IV, ქუთაისი, 2000;
- English-Svanetian Vocabulary by **Oliver Wardrop**, "Journal of the Royal Asiatic Society", London, 1911;
- Harris A. C.**, Diachronic Syntax: The Kartvelian Case, New York, 1985;
- Hewitt B.**, "The North Wind and the Sun" in Svan, "Bedi kartlisa", V. XXXVIII, Paris, 1980;
- Machavariani G. I.**, The system of the Ancient Kartvelian nominal flection as compared to those of the Mountain Caucasian and Indo-European Languages, "Theoretical problems of typology and the Northern Eurasian Languages", Budapest, 1970;
- Schmidt K. H.**, Svan, in: A. C. Harris (ed.): The Indigenous Languages of the Caucasus. V; 1, „The Kartvelian Languages“, Delmar, New York: Caravan, 1991;
- Tuite K.**, Svan, München-Newcastle, 1997;
- Boeder W.**, Anaphora in Svan „Kaukasische Sprachprobleme“, VI, Oldenburg, 1995; იხ. აგრეთვე, „ენათმეცნიერების საკითხები“, №2, თბილისი, 2001;
- Boeder W.**, Notwendigkeit im Swanischen, „Kaukasiologie heute“, Festschrift für Heinz Fähnrich zum 70. Geburtstag, Jena, 2015;
- Deeters G.**, Armenisch und Südkaukasisch, „Caucasica“, №3, Leipzig, 1926;
- Deeters G.**, Das khartvelische Verbum, Leipzig, 1930;
- Dirr A.**, Einführung in das Studium der kaukasischen Sprachen, Leipzig, 1928;
- Erkert R.**, Die Sprachen des kaukasischen Stammes, Wien, 1895;

- Fährnich H.**, Gibt es ein nachisch-daghestanisches Substrat im Swanischen?, „Georgica“, Heft 9, Jena/Tbilisi, 1986;
- Fährnich H.**, Kartwelisches Etimologisches Wörterbuch, Leiden/Boston, 2007;
- Fährnich H.**, Das kartwelische Dualzeichen, „Georgica“, Heft 38, Jena/ Tbilisi, 2017 (იბეჭდება);
- Feuerstein W.**, Mingrelisch, Lazisch, Swahisch: alte Sprachen und Kulturen der Kolchis vor dem baldigen Untergang, „Caucasian Perspectives“, München, 1992;
- Gigineishvili B.**, Die Reihenfolge der khartwelische Grundsprache, 5th International Conferense of historical linguistics, Galway 'Irlad', 1981;
- Gippert J.**, Drei svanische Phonogramme, "Anzeiger der phil.-hist. Klasse der Österreichischen Akademie der Wissenschaften", Vien, 1986;
- Gippert J.**, Strukturelle Aspekte der svanischen Volkspoese, "Caucasologie et mythologie comparée", Actes du Colloque international du CNRS/TVe Colloque de Colloque de Caucasologie, Paris, 1992;
- Gippert J.**, Wortformenindex zu den svanischen Liedtexten, Frankfurt an Main, 1995 (კომპიუტერული გამოცემა);
- Schmidt K. H.**, Casus indefinitus bei Eigennamen, „Bedi kartlisa“, vol. XXXVIII, Paris, 1980;
- Schuchardt H.**, Über das georgische, Wien, 1895;
- Rosen G.**, Ossetische Sprachlehre nebst einer Abhandlung über das Mingrelische, Suanische und Ahchasische, Berlin, 1847;
- Brosset M.**, L'art libéral ou Grammaire géorgienne, Paris, 1834.
- Vogt H.**, Le Système des cas en géorgien ancien Georgian, Norsk Tidsskrift for Sprogvidenskap, b. XIV, Oslo, 1947 (რ. ჯანაშიას ქართული თარგმანი იხ. „მიმოხილველში“, №4-5, თბილისი, 1968).

- აბესაძე ნ. 10, 37, 57
 აბულაძე ი. 157
 ანტონ კათალიკოსი 162
 ანდლულაძე ნ. 196, 198
 არაბული ა. 6, 52, 171
- ზაბლუანი ლ. 40
 ზაბუნაშვილი ნ. 198
 ზარდაველიძე ვ. 123
 ზართოლოძე ი. 23, 38
 ბეერი 30
 ბენვენისტი ე. 152
 ბოდერი ვ. 32, 118, 121, 124, 125, 129, 185
 ბრაუნი ი. 112
 ბრონდალი ვ. 152
 ბროსე მ. 29
- გაბლიანი ეგნ. 164
 გაბროშვილი თ. 6
 გაბუნია კ. 9, 42, 56, 57, 108, 143, 150-153, 155-159, 180
 გაბუნია ზ. 213
 გაზდელიანი ე. 6, 131, 182-184
 გაზდელიანი მ. 163
 გაიოზ რექტორი 162
 გამყრელიძე თ. 147, 196, 197
 გვენცაძე ა. 200
 გიგინეიშვილი ბ. 81, 160, 175, 176, 188
 გიგლემიანი ლ. 200
 გიპერტი ი. 38, 118-121, 129
 გიულდენშტედტი ი. 12, 38, 118, 130
 გლისონი გ. 152
 გოეთე ვ. 38, 121
- გრენი ა. 27, 38, 183
 გულზანი გ. 18, 20
 გუჯეჯიანი მ. 102
 გუჯეჯიანი ჩ. 6, 99, 102, 103, 125
- დადიშქელიანი კ. 16
 დავით ბატონიშვილი 162
 დავითიანი ა. 205
 დანელია კ. 165
 დეეტერსი გ. 4, 67, 84, 92, 116, 118, 176
 დირი ა. 43, 44, 119, 120
 დიუმეზილი ჟ. 51
 დოდაშვილი ს. 162
 დოიჩზაინი მ. 152
 დონდუა კ. 41, 45, 54-58, 89
- ერკერტი რ. 23, 28-30
- ვაშაკიძე ლ. 6
 ვინოგრადოვი ვ. 152
- ზავადსკი მ. 18, 23-27, 42-44, 46, 49, 187
- თავადი მინგრელსკი 16
 თაყაიშვილი ე. 32
 თოფურია გ. 42, 79, 87, 93, 95, 106-109, 111, 132, 150
 თოფურია ვ. 4, 9, 26, 38, 41, 45, 52-56, 58, 59, 70, 77, 82, 84, 88, 89, 95, 96, 98, 102, 104, 107, 110, 113, 119, 121, 123, 132-136, 139, 141-145, 152, 154, 155, 160, 163, 164, 166, -168, 170, 177, 191, 196, 198

¹²¹ მკვლევართა გვარების არაქართული ორთოგრაფია იხ. ბიბლიოგრაფიაში.

- იაკობსონი რ. 152
 იაკოვლევი ნ. 49
 იარცევა ვ. 152
 იელმსლევი ლ. 152
 იმნაიშვილი ი. 201
 იოსელიანი რ. 6, 88
- კაჭარავა გ. 213
 კეკელიძე კ. 157
 კეცხოველი ნ. 123
 კვეზერელი-კოპაძე მ. 146-149, 188
 კვიციანი ჯ. 6
 კიზირია ა. 202
 კიკვიძე ბ. 58, 75, 84, 89, 104, 108, 135, 202
 კლაპროთი ი. 12, 38
 კლიმოვი გ. 42, 58, 75, 82-85, 89, 90, 94, 96, 98, 107, 108, 116, 135, 147, 159, 176
 კოტინოვი ნ. 58, 59
- ლაიონზი ჯ. 152
 ლენცკი ს. 190, 213
 ლიპარტელიანი ა. 164
 ლომთათიძე ქ. 42
 ლომთაძე ა. 202
 ლომთაძე ე. 203
- მარგიანი გ. 170
 მარგიანი დ. 143
 მარგიანი-დადვანი ქ. 6, 181
 მარგიანი-სუბარი ქ. 6, 73, 181
 მარგველანი თ. 118
 მარი ნ. 17, 20, 23, 25, 29, 32, 39-42, 45, 46, 60, 67, 71, 98, 101, 102, 104, 107, 118, 123, 130, 132, 134, 139, 169, 186
 მარტიროსოვი ა. 73, 86-90, 96, 97, 116, 124, 141
- მაჭავარიანი გ. 42, 58, 75-82, 89, 93, 100, 104, 108, 111, 116, 117, 119, 123, 134, 135, 145, 147, 152, 173, 191
 მაჰომეტოვი ა. 22, 214
 მეგრელიძე ი. 39
 მელიქიშვილი დ. 76
 მელიქიშვილი ი. 81, 148
 მეშხანიშვილი ი. 94
 მიულერი ფრ. 28
- ნაკანი ნ. 57, 64
 ნიჟარაძე ბ. 16, 25, 32-37, 118, 127, 167, 169, 170
 ნიჟარაძე ი. 20, 26, 43
 ნიჟარაძე ლ. 32, 129
 ნოზაძე ლ. 113
- ონიანი ა. 205
 ონიანი ალ. 35, 42, 45, 56-58, 66, 82, 100, 103, 108, 113, 116, 119, 122, 123, 129, 134, 138, 145, 162, 177, 178
 ორბელიანი ს.-ს 167
 ოსიძე ევ. 91, 160
- პალმაიტი ლ. 58, 66, 98-100, 102-104, 113, 114, 116, 117, 122, 125, 174
 პეტჩი ჰ. 126
- ჟღენტი ს. 59
- რაინიკი ნ. 126
 როგავა გ. 89, 105, 106, 111
 როზენი გ. 12, 13, 16, 17, 26
 რუჩეგიანები 34
- სარჯველაძე ზ. 76, 128, 175, 176
 საღლიანი მ. 85, 103, 139, 161, 185-189
 სობოლევსკი ა. 19, 152
 სტოიანოვი ალ. 16, 17, 38

- ტაბიძე გ. 118
 ტუიტი კ. 83, 114, 116, 117, 129
- უთურგაიძე თ. 158
 უორდროპი ო. 37
 უსლარი პ. 18-23, 35, 38, 43, 64, 93, 127, 156
- ფენრიხი ჰ. 118, 125-128, 189
 ფოგტი ჰ. 81, 151, 153, 177
 ფოიერშტაინი ვ. 217
 ფოჩხუა ბ. 141
 ფუტკარაძე ტ. 173-178
- ქავთარაძე ნ. 6
 ქალდანი მ. 35, 45, 67, 70-74, 89, 91, 120, 144, 148, 163, 164, 167, 181
 ქართველიშვილი ი. 162
 ქურდაძე რ. 129
 ქურდიანი მ. 171
- ყიფიანი ყ. 118, 169
- შანიძე ა. 14, 33, 41, 45, 58, 85, 88, 102, 116, 121, 123, 126, 130, 146, 152-156, 160, 165, 166, 168, 184, 196, 197
 შარაძენიძე თ. 20, 21, 48, 59, 60-69, 70, 75, 77, 84, 85, 93-95, 96, 99, 100, 104, 113, 116, 117, 119, 123, 129, 131, 132, 136, 140, 143, 150, 158, 174, 176, 190,
 შენგელია ვ. 6, 110, 111
 შმიდტი კ. 4, 89, 92-97, 100, 118, 129, 150, 152
 შუხარდტი ჰ. 31, 47, 75, 77, 78, 89, 117, 131
 შტერლინგი ე. 152
 შჩერბა ლ. 152
- ჩანტლაძე ი. 2, 3, 6, 13, 20, 21, 45, 48, 57, 62, 63, 70, 73, 78, 84, 93, 108, 122, 138, 143, 151, 152, 154, 156, 170, 181, 182, 185, 191
 ჩართოლანი ნ. 141-145, 153
 ჩიქობავა არნ. 4, 5, 13, 22, 30, 45, 48-52, 55, 56, 62, 66, 68, 77, 82, 89, 96, 98, 105, 107, 110, 111, 113, 123, 132, 141, 150, 152, 154, 171-173, 184, 187, 190, 194-198
 ჩუბინაშვილი დ. 162
 ჩუხუა მ. 155, 179, 180
- ცაგარელი ალ. 14-17, 25, 26, 31, 36, 127, 141
 ცერცვაძე ი. 52
- წერეთელი ა. 64, 173
- ჭავჭავაძე ილ. 25, 32
 ჭკადუა რ. 39
 ჭუმბურიძე ზ. 32, 59, 89, 91, 96, 129-131, 161, 169
- ხალიდოვი ა. 10, 11, 19, 194, 196, 215
 ხარაძე რ. 123
- ჯავახიშვილი ივ. 45, 89, 123, 124, 153, 172
 ჯანაშია რ. 76
 ჯანაშია ს. 45-48, 53, 55, 56, 77, 82, 89, 113, 123, 135
 ჯანაშვილი მ. 29
 ჯაფარიძე ა. 88
 ჯაჭვლიანი ე. 16
 ჯორბენაძე ბ. 151
- ჰარისი ა. 95
 ჰიუიტი ჯ. 83

ს ა რ ჩ ე ვ ი

ანოტაცია	5
----------------	---

XIX საუკუნე

უცხოელი (ან უცხოეთში მოღვაწე ქართველი) დიპლომატები, მოგზაურები და მკვლევრები სვანეთისა თუ სვანური ენის შესახებ	9
--	---

§ 1. გიორგი როზენი	12
§ 2. ალექსანდრე ცაგარელი	14
§ 3. პეტრე უსლარი	18
§ 4. მიხეილ ზავადსკი, ადოლფ გრენი	23
§ 5. რიხარდ ერკერტი	28
§ 6. ჰუგო შუხარდტი	31
§ 7. ბესარიონ ნიჟარაძე	32
§ 8. ოლივერ უორდროპი	37
§ 9. ძველი ჩანაწერები და დიგიტალური ტექნოლოგია	38

XX საუკუნე

§ 1. ნიკო მარი და სვანური ენის (კერძოდ, სახელთა ბრუნების) მეცნიერული შესწავლის დასაწყისი	39
--	----

§ 2. ადოლფ დირი	43
-----------------------	----

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსება და ქართველოლოგიის, როგორც სამეცნიერო დარგის, ჩამოყალიბება	45
--	----

§ 3. აკაკი შანიძე და მისი მოწაფეები	45
§ 4. სიმონ ჯანაშია	46
§ 5. არნოლდ ჩიქობავა	48
§ 6. ვარლამ თოფურია	52
§ 7. კარპეზ დონდუა	55

ქართველოლოგთა მომდევნო თაობა (ჩვენში და უცხოეთში)	58
---	----

§ 1. თინათინ შარაძენიძე	60
§ 2. მაქსიმე ქალდანი	70
§ 3. გივი მაჭავარიანი	75
§ 4. გიორგი კლიმოვი	82

§ 5. არამ მარტიროსოვი	86
§ 6. ეკატერინე ოსიძე	91
§ 7. კარლ ჰორსტ შმიდტი	92
§ 8. ლეტა პალმაიტი	98
§ 9. გიორგი როგავა	105
§ 10. გურამ თოფურია	106
§ 11. ვაჟა შენგელია	110
§ 12. იან ბრაუნი	112
§ 13. ლამარა ნოზაძე	113
§ 14. კევინ ტუიტი	114
§ 15. იოსტ გიპერტი	118
§ 16. ალექსანდრე ონიანი	122
§ 17. ვინფრიდ ბოედერი	124
§ 18. ჰაინც ფენრიხი	126
§ 19. ზურაბ ჭუმბურიძე	129
§ 20. „სვანური ენის სახელმძღვანელო“	132

XX-XXI საუკუნეები

ქართველოლოგთა საშუალო თაობა	141
§ 1. ნელი ჩართოლანი	141
§ 2. მაია კვეზერელი-კოპაძე	146
§ 3. კახა გაბუნია	150
§ 4. წრფელობითი ბრუნვის პრობლემა სვანურ ენაში	160
§ 5. მიხეილ ქურდიანი, ავთანდილ არაბული	171
§ 6. ტარიელ ფუტკარაძე	173
§ 7. მერაბ ჩუხუა	179
§ 8. ქეთევან მარგიანი-დადვანი, ქეთევან მარგიანი-სუბარი	181
§ 9. ელისაბედ გაზდელიანი	182
§ 10. მედეა სალიანი	185
§ 11. ორფუმიანი ბრუნების რეკონსტრუქცია	190
შეგირდ-მწვრთნელის პარადიგმიდან მაძიებელ-მომღვრის პარადიგმამდე	195
ბიბლიოგრაფია	199
პირთა საძიებელი	220

Contents

Annotation	5
------------------	---

XIX CENTURY

Foreign (and abroad-working Georgian) diplomats, travelers and researchers about Svaneti and the Svan language	9
§ 1. George Rosen	12
§ 2. Alexandre Tsagareli	14
§ 3. Peter Uslar	18
§ 4. Micheil Zavadski, Adolf Gren	23
§ 5. Richard Erckert	28
§ 6. Hugo Schuchardt	31
§ 7. Besarion Nizharadze	32
§ 8. Oliver Wardrop	37
§ 9. Old records and digital technology	38

XX CENTURY

§ 1. Nicholas Marr and the start of scientific study of the Svan language (in particular, declension of the nominal)	39
§ 2. Adolf Dirr	43
Foundation of the Tbilisi State University and development of Kartvelology as a scientific field	45
§ 3. Akaki Shanidze and his students	45
§ 4. Simon Janashia	46
§ 5. Arnold Chikobava	48
§ 6. Varlam Topuria	52
§ 7. Karpez Dondua	55
Next generation of Kartvelologists (in Georgia and abroad)	58
§ 1. Tinatin Sharadzenidze	60
§ 2. Maxime Kaldani	70
§ 3. Givi Machavariani	75
§ 4. Giorgi Klimov	82

§ 5. Aram Martirosov	86
§ 6. Ekaterine Osidze	91
§ 7. Karl Horst Schmidt	92
§ 8. Letas Palmaitis	98
§ 9. Giorgi Rogava	105
§ 10. Guram Topuria	106
§ 11. Vazha Shengelia	110
§ 12. Ian Braun	112
§ 13. Lamara Nozadze	113
§ 14. Kevin Tuite	114
§ 15. Jost Gippert	118
§ 16. Alexandre Oniani	122
§ 17. Winfried Boeder	124
§ 18. Heinz Fähnrich	126
§ 19. Zurab Chumburidze	129
§ 20. „Manual in Svan language“	132

XX-XXI CENTURIES

Middle generation of Kartvelologists	141
§ 1. Neli Chartolani	141
§ 2. Maya Kvezereli-Kopadze	146
§ 3. Kakha Gabunia	150
§ 4. „Problem of Absolute case in Svan“	160
§ 5. Mikheil Kurdiani, Avtandil Arabuli	171
§ 6. Tariel Putkaradze	173
§ 7. Merab Chukhua	179
§ 8. Ketevan Margiani-Dadvani, Ketevan Margiani-Subari	181
§ 9. Elisabed Gazdeliani	182
§ 10. Medea Sagliani	185
§ 11. „Reconstruction of double-stemmed declension“	190
From the paradigm of student-trainer to the paradigm of researcher- teacher	195
Bibliography	199
Index of personal names	220